

სახის მოვლენა

აპრილი 2009 №8
ფასი 5 ლარი

არალიზი

კავკასიის პოლიტიკის გენერალები
თომ ნათვალი

პასუხისმგებლობის სპიტხეზი
ან მოლიძე

საჯარო დისტანცია

ბია ნორია VS ლავით უსუფაშვილი

სიცოდურები

1 კითხვა რაოდიციას
ქართულ-რუსული ლილები

სოფო ჭავაძე

კომენტარები

9 აპრილის 20 წლის შემდეგ
დავით ბახრიძიძე

საკანი, რომელიც გაეკანი
და რომელიას ზურანი
დავით ბახრიძიძე

საკონკრეტო

ცეკვის ქართული კეცენტი
გიორგი მასრავაძე

ლიტერატურა

ვერი ლავიდ თორჩი
ოშავა თავაძე
ნათო იგორ როსვა
ჯულიან ბარნე

ისტორიები

პირველი ნაბიჯი

ერევანის ბავშვთა სახლის შემდეგ
თამარ ბაბუაძე

მარა კახაბერი

ნინო ბერიძეილი

რეალიტაზი

ზუგდიდი

ფინანს-მართალის ზონა

თამარ ბაბუაძე

იმიტობის

რაფაელ გლუქსმანი

ნინო ჯაფიაშვილი





samsungGEOCELL
Connect



ცაილით ინტერნეტი გვამოსის აეგილა!

კალაპბარით, ბიზნეს შეხვედრის დროს ან თავდას მგზავრობისას,
გვაერთიანოთ მოწვევი ქონისათვის და ინტერნეტი ჩართალია!
ინტერნეტის სიჩქარეა 3.6 მეგაბიტი/წათ:

თარგივი და ხელშისაცვლილ სატარენო გარეა:
ინტერნეტ ტუფიკი 1 გიგაბაიტამდე - 35 ლარი/თვეში
ინტერნეტ ტუფიკი 5 გიგაბაიტამდე - 69 ლარი/თვეში

მარტინი მარტინი გამოსახულის აღმოჩენას მომსახურების წყისძვალი.



USB მოდემი/Data Card
HSDPA – 7.2 mbps
HSUPA – 2.0 mbps



EXPRESS/PCMCIA მოდემი/Data Card
HSDPA – 7.2 mbps
HSUPA – 2.0 mbps

Wherever you go, take internet with you!

Geocell Connect allows you to surf the internet with Highest Speed - 3.6 mb/sec, just Connect the data card to your Laptop and you are online!

Easy and affordable tariff plan
Internet traffic up to 1Gb – 35 GEL per month
Internet traffic up to 5Gb – 69 GEL per month

HSDPA - HSUPA - UMTS - EDGE - GPRS

www.geocell.ge



ფოტო: გოგი ცაგარელი

სახლი მოწოდები

N48, აპრილი 2009

მთავარი რედაქტორი	6	რედაქტორის წერილი
შორენა შავერდაშვილი	8	ჩვენი ავტორები
აღმასრულებელი რედაქტორი	12	ვჭამთ თუ არა ყოველდღე ბულიონს? დავით ჩიხლაძე
ნინო ლომაძე, ნინო ჯაფარშვილი	14	თბილისის ანდერგრაუნდი საფრანგეთში დავით ჩიხლაძე
ართ-რედაქტორი: გოგოგი ნადირაძე	16	აქ თეატრია „მთავარ როლში“ დავით ჩიხლაძე
რედაქტორ-სტილისტი: ნინო სვანიძე	18	ირანული კულტურის კვირეული თბილისში გიორგი ლობჟანიძე
კორექტორი: ნინო საითიძე	22	ქარს ქსოვენ უძაფო დაზგები... დავით ბუხრიკიძე
ნომერზე მცვალეული: თამარ ბაბუაძე,	26	თვალი თვალის წილ? ასე ხომ მთელი მსოფლიო დაბრმავდება მარკ მალენი
გიორგი მასიურაძე, დათო ტურაშვილი,	28	საკანი, როგორც ბაქანი და რომელმაც უაკანი დავით ბუხრიკიძე
ზურა ჯიშვარიანი, ნინო ჯაფარშვილი,	30	ზუგდიდი - ტყუილ-მართლის ზონა თამარ ბაბუაძე
სოფო ჭავჭავაძე, ანა დოლიძე, ნინო	38	„პირველი ნაბიჯი“ - სტატუსის, ჯანმრთელობის და ასაკის მიღმა თამარ ბაბუაძე
ბექიშვილი, მარკ მალენი, ლანა	46	მამა კახაბერი ნინო ბექიშვილი
ლოლობერძენიძე, სალომე კიკლეშვილი,	50	რაფაელ გლუქსმანი - ევროპას არ უყვარს კონფრონტაცია ნინო ჯაფარშვილი
დავით ბერიძე, იური მეჩიორივი, გურამ	54	ერთი კითხვა ოპოზიციურ პარტიებს - რუსეთი სოფო ჭავა
ირნა აბაშიძე	60	როტორსპექტივა გოგი ცაგარელი, იური მეჩიორივი, გურამ წიბახაშვილი, ნათელა გრიგალაშვილი, ირნა აბაშიძაძე
ილუსტრატორი: მაია სუმბაძე,	74	პასუხი პასუხისმგებლობის საკითხზე ანა დოლიძე
ანა ტაბატაძე	80	კავკასიის პოლიტიკის გენერლები ტომ ნათვალი
დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე,	84	უკანასკნელი იმპერია? ზურა ჯიშვარიანი
კახა დოლიძე	88	პოლიტიკური ალტერნატივა: რეფერენდუმის სტრატეგია?
საზოგადოებრივი განაცხადი:	94	სტალინის აქცენტი და ქართული ენის აპოკალიფსი გიორგი მაისურაძე
საზოგადოებრივი განაცხადი: ბიზნესი-ადამიანები,	100	ქუთაისი, ზღვის პირი აკა მორჩილაძე
მეცნიერებელი: გ. 108, ტელ.: 912326		
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net		
სახალხო გამოცხადება: ბიზნესი-ადამიანები,		
მეცნიერები, სტრატეგიები, დიალოგი,		
თიბისი და თიბისელები.		
სატამარი: შპს „სეზანი“, თბილისი,		
ნერეთლის გამზ. 140, ტელ.: 357002		
შურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან		
© "M Publishing" საავტორო უფლებები		
დაცულია. უურნალში გამოქვეყნებული		
მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი		
გამოყენება გამომცემლობის წებართვის		
გარეშე აკრძალულია.		

"ეროვნული" ბანკი

გამოტანი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მცე სარგებელი

 ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჭავაშვილი ქუჩაზე
ჭავაშვილი ქუჩაზე

(822) 9090 83360
კაშაშვილი
www.republic.ge



„როცა სევდიანი ფიქრები მომეძალება, ტანსაცმლის კარადას გამოვხსნი ხოლმე და იქვედები. ასეთი სიმყუდროვე მთელ სახლში არსად არ არის. ვარ ხოლმე მარტო ჩემთვის და არაფერზე ვფიქრობ. ეს უფრო თვალდია გამოძინებას ჰგავს. მერე ვდები, კარადის კარს მჭიდროდ ვხურავ და ვითომ ჩვეულებრივი ვხდები“ – ეს ნაწყვეტია პოეტ მაია სარიშვილის „რადიო თავისუფლებისათვის“ დაწერილი დღიურიდან, რომელიც ახლახან წავიკითხე. მას მერე, როგორც კი 9 აპრილს ახსენებენ, სულ ეს კარადა მახსენდება ხოლმე. ზუსტად არ ვიცი, როდის გახდა ჩემთვის შეგრძებები რაციონალურ ფიქრებზე უფრო მნიშვნელოვანი. ალბათ ჩემი შვილის, ლუკას დაბადების მერე, ვარდების რევოლუციის დროს, ლუკა მუცელში იჯდა, ჩვენ კი ახალ ცხოვრებას ვიწყებდით. თითქოს თავი დავაძინეთ წარსულს და რეფორმების პარალელურად, ცნობიერების შეცვლაზე დავიწყეთ ფიქრი. მოდერნიზაციისა და ლიბერალიზაციის პროექტები ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე სხვადასხვა არჩევნებისათვის დასახული „ელექტორალური ამოცნება“, რომელსაც ნელ-ნელა ენირებოდა კიდეც რევოლუციის რეალური მონაპოვარი. შეცდომების მონანიების მიზნით, ხელისუფლება თითქოს სულ უფრო და უფრო დიდი ხარის გადებას ცდილობდა იმ საზოგადოებისათვის, რომლის შეცვლასაც ცდილობდა. „უმრავლესობის“ ყველაზე ბრელ ინსტინქტებთან არშიყით და მერე ამ ინსტინქტზე აპელირებით კი კარგი არაფერი გამოვიდა. ამ დროს ყველაზე პროგრესულმა პოლიტიკურმა ოპოზიციამაც კი მონარქიაზე, „კულტურულ რევოლუციაზე“ ქილიკსა და „რუსეთთან მეგობრობაზე“ უფრო არსებითი ალტერნატივა ვერაფერი მოიფიქრა.

შესაძლოა ესეც მხოლოდ შეგრძებებია, რადგან აპრილის მოლოდინში, უფრო მეტი კითხვა მაქვს, ვიდრე პასუხი. პოლიტიკაში ლიბერალური იდეების კრიზისა იმიტომ, რომ რეფორმატორებმა თვითგადარჩენისათვის დაინყეს ბრძოლა თუ რევანშისტული ტალღა იყო იმდენად ძლიერი, რომ ამ იდეების მარგინალიზაცია თავისით მოხდა? ვისწავლეთ რამე ამ 20 წლის განმავლობაში თუ კიდევ ერთი ნაბიჯით დავშორდებით მომავალს? დავიბრუნებთ „ძველ საქართველოს“ თუ ვირწმუნებთ, რომ ძალა ჩვენშია და სამართლინობის განცდასა და უკეთეს არჩევანს სხვადასხვა ლოზუნგების სკანდალებით ვერ გავაჩერთ?

ამ ქვეყნის „ბუფერულ ზონებში“, ჩვენი სახელმწიფოებრიობის შეგრძნების საზღვრებს მიღმა სოფლებში, ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ვერ გვაწვდენენ ხმას. სულ მეშინაა, რომ მთელი ქვეყანა ასეთ „ბუფერულ ზონად“ გადაიქცევა, სადაც ვანგრევთ, აშენება კი არაფრის შეგვიძლია. გული მწყდება, რომ 2 ნოემბრამდე არ ვცდილობდი დამეცვა ჩემი სამოქალაქო უფლებები. ვნანობ, რომ 7 აგვისტომდე არ გავკიოდი, რომ მინდონდა მშვიდობა. არ მინდა 9 აპრილის შემდეგ, კიდევ ერთხელ გამახსენდეს კარადა, საიდან გამოსვლაც აღარ მომინდება.

შორენა შავერდაშვილი
მოგვნერეთ, editor@shokoladi.ge



1. მაქვს ცხიმიანი ტიპის კანი. სახეზე მაქვს ანთებითი გამონაყარი, რა საშუალება შეიძლება გამოვიყენო?

ცხიმიანი ტიპის კანს ახასიათებს ცხიმოვანი ჯირკვლებიდან ჭარბი ცხიმის (სებუმის) გამოყოფა. თქვენი კანის ზედაპირზე ანთებითი პროცესის ჩასაცხრობათ გირჩევთ გამოიყენოთ ანთების საწინააღმდევო, ანტიბაქტერიული თვისების მქონე ადგილობრივი მოქმედებს მაკორექტირებელი საშუალება პრობლემური ტიპის კანისთვის.

ამასთანავე გირჩევთ თავი შეიკავოთ ჰიპერალერგიული საკვების მიღებისაგან, როგორიცაა შოკოლადი, თაფლი თხილი, მზესუმზირა და სხვა.

2. ვარ გარდატების ასაკში, თვეში 2-3-ჯერ მანუხებს ანთებითი ხასიათის უერისმჭამელა, რა საშუალება შეიძლება გამოვიყენო?

ანთებითი ხასიათის ფერისმჭამელას გამომწვევი ფაქტორი შეიძლება იყოს კვება, სტრესი, აკლიმატიზაცია, გარემი ფაქტორები (სიცივე, სიცე, ქარი, დიდხანს მზეზე ყოფა) ჰიორმონალური ცვლილებები . თქვენს შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ადგილობრივად შემნიღბავი ფანქარი, რომელიც სწრაფად ჩაგიცხრობთ ანთებით პროცესს და ხელს უწყობს მის გაქრობას.

3. მაქვს შავი ფერისმჭამელები რა საშუალება შეიძლება გამოვიყენო?

შავი ფერისმჭამელა წარმოიქმნება ცხიმოვანი ჯირკვლიდან გამოყოფილი ცხიმის დაგროვებითა და გაჭუჭყიანებით. ამ პრობლემის პრევენ-ციისათვის უნდა ეცადოთ შეინარჩუნოთ კანი სუფთად. შესაბამისად გირჩევთ დილა-სალამოს გაინმინდოთ A დასაბანი გელის ან რძე-ტონიკის საშუალებით.

ცხიმიანი და პრობლემური ტიპის კანი

დერმატოგის რეკომენდაცია:

1. სახეზე არსებულ ანთებით გამონაყარზე შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიშის ნორმადერმის აქტიური ერემი - კონცენტრატი პრობლემური ტიპის კანისთვის -Normaderm - Concentre actif anti-imperfections . ნასივით სალის ადგილობრივად პრობლემურ ადგილებზე (გაიჩირეთ მთელი ლამის განმავლობაში). განკურნების მიზნით შეგიძლიათ იგივე კრემი რამდენიმეჯერ იმართოთ დღისითაც.
2. გარდატების ასაკში ვითარდება ანთებითი გამონაყარი, შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიშის შემნიღბავი ფანქარი-Normaderm - Stick asechant camouflant anti-imperfections

ნაისვეთ ანთებით გამონაყარზე, დღეში რამდენიმეჯერ საჭიროების მიხედვით.

3. შავი ფერისმჭამელების მოსაშორებლად გამოიყენეთ ვიშის დასაბანი გელი Normaderm - Gel nettoyant profond peau nette ან რძე-ტონიკი Normaderm - Lactogelée demaquillante, Normaderm - თონიქუე ასტრინგენტ პურიფიანტ რომელიც ნაზად ასუფთავებს კანს და აძლევს მას ჯანმრთელი იერს. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიშის ფორების ლრმა სრული გამწმენდა სისტემა-KIT CORP ANTI-IMPERFECTIONS LANGUES გამწმენდები გამოიყენეთ ყველა ტიპის კანისთვის, მერქობიარე ტიპის კანის ჩათვლით კვირაში ერთხელ სამი კვირის განმავლობაში. ვიშის გამწმენდა საზი ღრმად წმენდს ფორებს და ავინროვებს მათ. განაპირობებს კანის ინტენსიურ და ღრმა განახლებას 3 კვირის განმავლობაში. სისტემის შემადგენლობაში შედის 4 პროდუქტი, რომლებიც გამოიყენება ერთმანეთის თანაბრძოლებით.

პაციენტთა და მომსახურების განვითარების სამსახური

სახის კანისა და თოის უზასო დიაგნოსტიკა
ჯე პი სი-ს აფთიაქების შემდეგ მისამართებზე:
ჭავჭავაძის 50, პეტიონის 2, ლეონიძის 8

ვიზის პროდუქცია იყიდება ჯე პი სი-ს აფთიაქების

ვიზის ცხელი საზი: 91 04 34



თამარ ბაბუაძე

მესხი და მე ზუგდიდის ფაიფურის დასახლებაში, დანგრეული სადარბაზოს ნინ ვდგავართ. გამეტებით გვაწვიმს, მნა ატალახებული და ტყლაპოანინია. გადა-ვდიგართ ზღურბლას და სადარბაზოს საშავიდან ამო-დიან ადამინები, რომელთაც მანამდე ვერ ვხედავდით. ისინი ე.წ. „შევარდნაძის დევნილები“ არიან. ზუგდიდის უნივერსიტეტის ეს კორპუსი მათი კომპაქტურ ჩასა-ხლების ადგილია. ამ ადამიანებს ექვსი თვეა, არ აქვთ შუქი და წყალი, 15 წელია, ლექციებისთვის განკუთვ-ნილ ოთახებში ცხოვრობენ და ჩვენნაირების გამოჩენას ელიან, ერთადერთი მიზნით – თავიანთ გასაჭირზე ლაპარაკით გული მოიოხონ და მერე ისევ საბარბაზოს მიღმა, თავიანთ განზომილებაში გაუჩინარდნენ... მესხი და მე ერთი სოფლის გზაჯვარედიზე ვდგავართ. გარშემო არავინაა. გადავდიგართ ხიდს და გაშლილი მდელოს სიმწვანიდან უცებ ამოდიან ადამიანები; ისევ ისეთები, რომელთაც მანამდე ვერ ვხედავდით. მათ შე-ვყავართ თავიანთ სახლებში, გვაჩვენებენ ჩამოქცეულ სახურავებს, ლოგინად ჩავარდნილ დებს და მდუმარე ბავშვებს. ჩვენ მათოვის ხიდი ვართ იმ რეალობასთან, საიდანაც ვერვით. მათი მიზანიც ერთია – იქნებ აქე-თაც დაინახონ და შეამზიონ... ხერხე და მე ლამაზი კოტეჯის ზღურბლზე ვდგავართ. ვალებთ კარს და ვხვდებით ბავშვებს, რომლებიც ჩემს ყოველდღიურობაში არ მონაწილეობენ, არადა არსებო-ბენ, იზრდებიან და იმ რეალობას უკავშირებენ თავიანთ ოცნებებს, რომელიც ჯერჯერობით მათ არ ეუთვინით... მესხი და მე რიკოთის უღელტეხილზე ვდგავართ, ღამეა და ისევ წვიმს. რამდენიმე წამის განმავლო-ბაში, ცარიელ გზატკეცილზე, მიპყრობს შიში, რომ საზღვარი პარალეურ განზომილებს შორის გაქა; რომ ყველა ის ადამიანი მაკრავს გარშემო, რომლებიც მანამდე თვალისოთვის უჩინარნი იყვნენ. თითქოს მაქს უნიკალური შანსი, დავინახო მასობრივი ხედვისთვის უხილავი, განვიცადო მასობრივი განცდისთვის განუც-დელი, გავხსნა მასობრივი ცნობიერებისთვის დალუ-ქული საზღვრები. მეც, მესხიც და ხერხეც პირობითი საზღვრების მიღმა ვიყავით. გვინდა, განახოთ ის, რაც ჩვენ ვნახეთ.

სოფო ჭავავა

ჩემი თანატოლების უპრავლესობის შსგაესად, 9 აპრილი კოლექტიური იმიჯებით დამამახსოვრდა – ლამის გაურკვეველი კადრები, ტანკები, ნიჩბი, გუ-ლისგამანერობებელი სიმღერა ჩონგურის თანხლუ-ბით და უცნობი ადამიანების შავ-თეთრი პასპორ-ტის ფოტოები. თუმცა, იყო კიდევ ერთი სცენა, რომელმაც 9 აპრილის გემო დამიტოვა – დილით ტელევიზორს მიჩრებული დედაჩემი, რომელიც ტიროლა და რომლის თვალებიც საცე იყო შიშით. თითქმის 20 წლის შემდეგ, რუსული ტანკების მორიგი შემოსვლის დროს: ისევ ტელევიზორი. კოლექტიური მეხსიერებისთვის ახალი იმიჯები – აალებულ ნაგრევებში მოყოლილი ხანშიშესული ქალი, მშის ცხედარს ჩახუტებული ახალგაზრდა კაცი. ამჯერად, დედაჩემის შიში რომ არ გადმომედოს, ტანკებთან ისე ახლოს მივდივარ, რომ ვეღარ დავი-ნახო. 17 აგვისტოს, მაშინ, როცა გორი და მასთან მდებარე ქართული სოფლებიც ოკუპირებული იყო, „ბიბისის“ გადამდებ ჯგუფთან ერთად რამდენიმე ტყუილის და სამი კოლოფი „მალბოროს“ ფასად ტყვაიავში შევედი. ვნახეთ და გადავიღეთ გვამები, რომლებიც მეზობლებმა სახელდახელოდ დამარტეს – მარტი ერთ ქუჩაზე ასეთი 8 საფლავია. ისევე, როგორც 1989-ში, ახლაც ჩემთვის ყველაზე მძიმე სცენის წინაშე ისევ მარტი ალმოვჩნდი: სასწაულით გადარჩენილი ტყვიაველი კაცი მიახლოვდება, თვა-ლებში მიყურებს და მთხოვს: „წამოდი, კიდევ ერთი გვამია. დამარხვა ვერ მოვასწარით და მატლები ახვევია. წამოდი, გადაიღე!“ უცნაურია, რომ 20 წელი დამჭირდა იმისთვის, რომ მიმმართება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში უკეთესობისკენ არაფერი შეცვლი-ლა, არც – უარესობისკენ. უბრალოდ, არაფერი შეცვლილა.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ Ն. Ն. 24
www.evitaperoni.com



Let fashion go to your head®


EVITA PERONI®
PARIS · NEW YORK · TOKYO



ანა ლოლიძე

„უოტერგეიტის სკანდალზე“ პასუხი 70-იანი წლების ამერიკაში შემ-დექში გამოინახა – პრეზიდენტი ნიქსონი თანამდებობიდან გადადგა და ამით იმპირიუმის გადაურჩა, რამდენიმე მთავარი დამნაშავე დაისაჯა, ხოლო მომდევნო პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა ნიქსონს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა მოუქმნა. ეს გადწყვეტილება, ვინაიდან მან პასუხისმგებლობისაგან მთლიანად ისანა დანაშაულის მთავარი დამკეცეთი პირი, დღემდე დაპირისპირების საგანია ამერიკულ საზოგადოებაში.

ამერიკული საზოგადოების წინაშე დღეს ისევ დგას იგივე დილემა – როგორ დამოკიდებულება უნდა შემსუშავოს პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციას ბუშის პრეზიდენტობის დროს ჩადგინილი პოლიტიკური დანაშაულებებისადმი. ასეთი სია კი საკაოდ გრძელია – ერაყის ომის დაწესებისათვის მტკიცებულებების გაყალბება, ტერორიზმში ეჭვმიტრინილ პირთა წამება და არაპეტრიური მოპყრიბა, სხვადასხვა ქვეყნებში დაზვერების სააგენტოს მიერ კანონგარეშე დაკავების ცენტრების და ციხეების შექმნა, ეჭვმიტრინითა სამართლებრივ ვაკუუმში მომწყდევა გუანტანამოს ციხეში მოთავსებით, წამების ლეგალიზება, სასამართლოს ნებართვის გარეშე, სატელეფონო საუბრების მოსმენის სანქციონება, პროკურორების პოლიტიკური წიშვნით და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მყარ და სტაბილურ დემოკრატიულ ინსტიტუტებს ასეთიმა ტენ-დენციების საფუძველი მნიშვნელოვნად ვერ შეურყია, ამ უკანონო ქმედებებმა მკვეთრად შელახა ამერიკული დემოკრატიის ავტორიტეტი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ამ დანაშაულების ჩამდენი პირების პასუხისმგებისათვის ვერმონტის შტატის სენატორმა პატრიკ ლიკმი წარმადგინა სიმართლისა და შერიგების კომისიის შექმნის იდეა. ასეთი კომისიის შექმნას ბერი მონინააღმდეგვ ჰყავს – ერთი მიჩნევენ, რომ აუცილებელია უმაღლესი დონის თანამდებობის პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა; მეორენი ფიქრობენ, რომ ასეთი მოპყრობა საზოგადოებას, გამთლიანების მაგივრად, კიდევ უფრო დაანაწევებს. საქართველოში სიმართლისა და შერიგების კომისიის შექმნა და საქმიანობა შრომატევადი და სანგრძლივი პროცესი იქნება, რომლის წამოწყებისათვის ბევრად უფრო სერიოზული კვლევა და მსჯელობაა საჭირო, ვიდრე ეს ერთი სტატითა შესაძლებელი. ჩემი სტატიის მიზანია, რომ ასეთი კომისიის შექმნის იდეის შემოტანით საფუძველი დაედოს ღა და გულწრფელ დისკუსია პოლიტიკური დანაშაულებისათვის ლიდერებისა და საზოგადოების პასუხისმგებლობის მექანიზმების შესახებ. დაე, ასეთი დისკუსიის შემდეგ მცდარიც კი აღმოვწიდე.



ლავით ჩიხლაძე

ალბათ ყველაფერს საფუძვლად დიქტომია აქვს, როგორც თეზა და ანტითეზა, პენქტუმი და სტუდიუმი. ჩემი პერსონალური ტაროს კარტი კი, ნუმეროლოგიური გამოთვლით, არის „შეყვარებულები“ და თუ, ძირითადად, შეყვარებული ქალ-ვაჟით და მათს ზემოთ ანგელოზით გამოისახება, მარსელის ვარიანტში, მაგალითად, ნაჩვენებია ვაჟი, რომელსაც 2 ქალი ამოსდგომია ორი მხრიდან და მას თითქოს არჩევანის გაკეთება უხდება.

ჩემი ნიკი ერთ-ერთ ქართულ ლიტერატურულ ფორუმზე არის 2124. ეს ციფრუბი, რომლებიც 2 წლის წინ მხოლოდდა ინტუიტიური სიმპათიით ამოვირჩიე, თურმე კვლავ ამ ჯადოსნურ 2-ს უკავშირდება. შუაში მყოფი ორი ციფრი, ანუ 12 რომ 2-ზე გავამრავლით, გარეთ მყოფ ციფრებს, ანუ 24-ს მივიღებთ. ხოლო პირველი ორი ციფრი, ანუ 21 რომ 2-ზე გავამრავლოთ, ბოლო ორ ციფრს, უკუღმი ნაკითხული, ანუ 42-ს ვღებულობი. სულ 2 ასეთი ოპერაცია გამოიდან და ვინ იჯიქრებდა, რომ ამ, ერთი შეხედვით, უშინაარ და უშინაარსო წიგნის ასეთი ფარული სიმეტრიული სტრუქტურა აღმოაჩნდებოდა. 24 და 42 ნუმეროლოგიურად 6-ია, ანუ „შეყვარებულების“ კარტის ნომერი ტაროში, ხოლო მთლიანად ამ რიცხვის ნუმეროლოგიური ჯამი (2+1+2+4) უდრის 9-ს. 6 და 9 ისევ სიმეტრია, ხოლო მათი ჯამი (9+6) უდრის 15-ს, ანუ კვლავ 6-ს (1+5).

მე-15 არყანს ტაროში „ბაფომეტი“ ჰქვია და ეს ერთადერთი კარტია, რომელიც სწორედ მე-6 არყანის სტრუქტურას უკუღმა იმეორებს.

ნეუთუ ჩემზე (ჩვენზე) არის ყველაფერი სამყაროში ორიენტირებული, ხომ არა ჰგავს ეს რაღაც უცნაურ, ჩვენთვის უხილავი ლოგიკის ქეონე სიზმარს?

ტიტუს მაკციუს პლავტუსის „ამფიტრიონში“ ყველა მოქმედი პირი 2-ია, ყველა ადამიანს საკუთარი ორეული ღმერთი ჰყავს მისთვის უხილავ აჩრდილად და სდევნის, ირონის ქვეშ მოაქცევს მის მინიერ ვნებებსა და ამბიციებს. ის განიცდის, აუდიტორია კი გულიანად იცინის და ალბათ, სევდაც იძყრობს ადამიანის იღუზიების გამო. დიახ, ზოგჯერ იმას, რაც ჩვენ სტუდიუმი გვგონია და რასაც საქართველოში არცთუ უსაფუძლოდ ვაღმერთებთ (სწავლას, ფორმალურ განათლებას, სასწავლო გრანტს და შესაძლებლობას), თურმე, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაემატება ეს ყოველთვის მოულონდენელი პუნქტუმი (femme fatale, ემიგრაცია, ისტორიული კატალიზმები ან სხვ.) და ჩვენს ლირებულებებს, ჩვენი სასიათის სილრმეს და არჩევანის გამოსცდის.

გახსენი ანაბარი...

მოგა ყოველთვე **ბინა**... და...

ცლის ბოლოს **1.000.000**



მინიმალური შენატანი

500 ლარი

ლ 27 27 27 | ვ 27 27 | www.tbcbank.ge



თიბისი პანკი
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



ვფამთ თუ არა ყოველდღე ბულიონს?

ავტორი: ლავით ჩიხლაძე

ჯერ წელიც არ არის გასული, რაც თბილიში ახალგაზრდა მხატვრების ერთი ჯგუფი, სახელწოდებით „ბულიონი“, თანამედროვე ხელოვნების მორიგი კონტექსტის შექმნას ცდილობს საქმაოდ მრავალმნიშვნელოვანი პროექტით – ბინის გამოვლენების სერიებით. უნებლივით გაახსენდება ნაცნობი პრაქტიკა მოსკოვის ანდერგრაუნდის საბჭოური პერიოდიდან, როდესაც თანამედროვე ხელოვნებას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა და, დასავლეთის ქვეყნების თანამედროვე ხელოვნების მარქსისტული ან ანარქისტული კონტექსტისგან განსხვავებით, კაპიტალისტურ იმპერიას კი არ უპირისპირდებოდა, პირიქით, მიესწრავოდა მას, როგორც კომუნიზმის ანტიდოტს და საკუთარ ორიენტირადაც ირჩევდა.

თბილიში მსგავსი გამოძახილი 80-იანი წლების ბოლოს, „პერესტროიკა“ პერიოდში თანამედროვე მხატვრობაში იყო და, რადგან ამას უკვე აღარავნო კრძალავდა, ბინების გამოვლენების პრაქტიკის განვითარებას საფუძველი აღარ ჰქონია. მოგვიანებით, 90-იანების ბოლოს თბილიში კვლავ განმეორდა ეს ტენდენცია და მუსიკისი ლადო ბურდულის ბინა სისტემატურად ეთიბობოდათ სხვადასხვა არტისტებს ივენტების მოსაწყობად. მაგრამ ეს საღამოები მხოლოდ თანამედროვე ხელოვნების ნიშ-

ნით არ ყოფილა აღბეჭდილი და ვერც იმას ვიტყვით, რომ იმ პერიოდში რამე პოლიტიკური აკრძალვა იყო მამოძრავებელი იმპულსი.

მით უმეტეს დღეს, როდესაც ჩვენს ნინაშე ერთოლუსიანი მსოფლიოა და ადრინდელი პოლიტიკური დაპირისპირების საფუძველი აღარ არსებობს, რჩება მხოლოდ საკუთარ გარემოსთან კულტურული ურთიერთობის გარკვევა ან სისტემის ნინააღმდეგ გლობალური მემარცხენება. ეს უკანასკნელი კი საქართველოს, ძირითადად, არასოდეს ახასიათებდა, რადგან ყოველგვარ მემარცხენებისა და მით უმეტეს – ანარქისტულის მიმართ ჩვენ, გარკვეული მიზეზების გამო, ზემგრძნობიარენი ციფავით და, გამომუშავებული ინფანტილური სტერეოტიპით, ასეთ საკითხებს არასერიოზულად მივიჩნევდით.

როგორც თვით ჯგუფის წევრებთან პირადი გასაუბრების შედეგად შეიტყვე, მათვის ბინის გამოვლენები არც რომელიმე ზემოსხენებული კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელია და არც, უბრალოდ, ანდერგრაუნდის ხიბლის გავლენის მქონე. მათ სხვა, დასავლეთში საკმაოდ ნაცნობ ესთეტიკურ პლატფორმას გაუსვეს ხაზი, რაც ხელოვნებათმცოდნებაში აღნიშნება ტერმინით site-specific. ეს საიტ-სპესიფიკი (ანუ

სპეციფიკური ადგილის) ხელოვნება კი მარტო ბინებს როდი მოიცავს, არამედ ნებისმიერ ტერიტორიას ჩვენს სოციალურ გეოგრაფიაში – იქნება ეს ქუჩა, მიტოვებული თუ მოქმედი ქარხანა, კორპუსის სახურავი, სუპერმარკეტი და ა.შ. ანუ მათი მონოდებით, ეს არის გალერეების სივრციდან გარეთ გამოსული ხელოვნება – იმ თანამედროვე ხელოვნების ან საერთოდ გალერეების სივრციდან, რომელიც უძრავი არსებობს არსებობს; და მიემართება არა ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ადგილისკენ, არამედ პირდაპირ მხატვრის საკუთარი ბინისკენ. და მაინც, ჯგუფ „ბულიონს“ არ სურს აღიაროს, რომ ის უბრალოდ კვლავ ანდერგრაუნდის ბედისწერას იზიარებს, უკვე ახალი შინაარსების მქონე კულტურული ანდერგრაუნდისა და რომ ეს შინაარსები შეიძლება იყოს, როგორც თანამედროვე ხელოვნების ტრაგიკული გაქონბა 21-ე საუკუნის ეთნო-თანამედროვე საქართველოს კულტურის რუკაზე, ასევე ის გლობალური ესთეტიკური გადანაცვლებები, რაც სიმულაკრას გლობალური ექსპანსიის თუ ბიზნესისა და ხელოვნების (ან მასობრივის და ელიტურის) არაერთგვაროვნი რეინტეგრაციის პროცესებმა ნარმოშვა დასავლეთის სახელოვნები მენტალიტეტში.



**დღეს, როდესაც ჩვენს წინაშე
ერთაობლუსიანი მსოფლიო
და აღრიცხული კოლიტიკური
დაკირისპირების საფუძველი
აღარ არსებობს, რჩება
მხოლოდ საკუთარ გარემოსთან
კულტურული ურთიერთობის
გარევაზა ან სისტემის
წინაღმდეგ გლობალური
მემარცხევა.**

ჯგუფი „ბულიონი“ 7 არტისტისგან შედგება. ესენი არიან: ნატო ვანაძე, ვასო მაჭარაძე, თემო ქართლელიშვილი, კოვა ქიტიაშვილი, კატია ქეცბაია, ლადო ხარტიშვილი და ზურა კიკვაძე. სულ ახლახან მათ რიგით მესამე ბინის გამოფენა მოაწყვეს, რომლის შინაარსიც ჯგუფის სახელმძღვანებას მთლიანად დაემთხვა: ქიქოძის ქუჩაზე, სოლოლაკში, მხატვარ ქრისტინე აკაბაძის სახელოსნოში 12 თუ მეტი ადამიანი მიირთმევდა ბულიონს გრძელ მაგიდასთან და თაქს იქცევდა მშვიდი საუბრითაც, რომლის შინაარსიც შუშაბანდს აქტ დარჩენილ აუდიტორიას არ ესმოდა. მთლიანი სივრცე ორი ოთახისგან შედგებოდა. აუდიტორია ჩაბრულებულ სივრცეში იყო, რის შედეგადაც განათებულ ოთახში მოქცეული მონაწილეები კიდევ უფრო იდუმალი და საინტერესონი ჩანდნენ გაჩახახებული თეთრი მაგიდას გარშემო. თუმცავი იგრძნობოდა, რომ საუბარი უმნიშვნელო ყოფითი საკითხების და ტრაფარეტული ეტიკეტის ფარგლებში უნდა ყოფილიყო და სწორებ ეს ორი პოლუსი – სამხატვრო პასუხისმგებლობა და მსუბუქი თვითორონია – სძნება ხიბლს ამ გამოფენას. ვასო მაჭარაძემ ერთხელ აღნიშნა კიდევ საუბარში, – თანამედროვე ხელოვნებას დღეს სულ ცოტა ირონია ხომ უნდა ახასიათებდესო.

ჩემი აზრით, „ბულიონის“ ნამდვილი ნარმატების გასაღები არც ზოგადად აპრობირებულ ესთეტიკურ სტერეოტიპულ პლატფორმებსა და კრედიტებსა და არც ქართული ხელოვნების უახლესი ისტორიის წინაშე პასუხისმგებლის მათ გულწრფელ გრძნობა-

ში. მთავარი სწორებ ამ ორი კომპონენტის, სამხატვრო პასუხისმგებლობის და მსუბუქი თვითორონის გადაკვეთაა. მათ ესმით, რომ თანამედროვე ხელოვნება მე-20 და 21-ე საუკუნეების კულტუროლოგიური ნიშნებისა და ინდექსების გენერირების მთავარი მექანიზმია, მაგრამ ხელებიან, რომ დღეს იმ ტრადიციას, რაც ავანგარდიდან იღებს სათავეს და, ასე თუ ისე, ანდერგრანუნდშიც უხდება ზოგჯერ ყოფნა, შეუძლებელია ერთხელ და სამუდამოდ დაგენერილი სტრატეგიები გაუჩნდეს. დღეს, ერთპოლუსიანი მსოფლიოს, სუპერმარკეტისა და ტოტალური მომზარბლის ეპოქაში ეს სტრატეგია უკვე უწყინარ და თავმდაბალ (და არა კონფორმისტულ) ირონიასაც გულისხმობს და, სადაც ეს შესაძლებელია, ცოტა სარგებლობს კიდევ საყოველთაო კომფორტითა და უზრუნველობით.

ჯგუფმა საკუთარი საბინაო გამოფენების ციკლი შარმან, გვიან შემოდგომაზე დაიწყო, როდესაც ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეტრი „დელისთან“ ახლოს, ერთ-ერთ ბინაში მოაწყო ინსტალაცია, სახელწოდებით „კოკა ბანაობს“. ბინა მთლიანად გაღერეად იყო გადაკეთებული და თეთრი, ინდუსტრიული ქაღალდით მოსაბეზრებლად შეფუთული. ერთ ოთახში მოთავსებული იყო ეკრანი და მის წინ კიდეო პროექტორი იდგა. ეკრანზე ჩანდა კაცის (ერთ-ერთი მხატვრის) ბანაობის ხანგრძლივი პროცესი და ყველაფერი უწყობდა ხელს ისეთი შთაბეჭდილების შექმნას, თითქოს ეს გამოსახულება ეკრანზე პირდაპირი ტრანსლაცია იყო სააბაზონდან, სადაც ზუსტად ამ დროს მართლაც ბანაობდა სწორებული გამოსახულება მოგვაგონებს და საინტერესოა, რამდენად მისაღები იქნება ასეთი დემოკრატიული ნარჩენი პროდუქტის – ბულიონის სტრუქტურა პროგრესულობის ამბიციის მქონე საქართველოსთვის!?



თბილისის აღმართობული საფრანგეთში

11 მასას სანტშმ, „კოსმოპოლის“ გალერეაში გახსნება ქასპოზიცია სახელწოდებით „თბილისის ანდერგრაუნდი“.

ქართული თანამედროვე ხელოვნების მოვლენათა რიგში ეს გამოფენა განსაკუთრებულია იმით, რომ აქ მხოლოდ ფოკუმენტაცია იქნება გამოფენილი – განვლილი მოვლენების ამსახველი აფიშები, ფლაერები, ფოტოსურათები, მისაწვევები, ბულეტები და სხვ. სათაურიდან გამოიძინარე, ექსპოზიციაშ უნდა დახატოს თბილისის ე.წ.

არაოფიციალური ხელოვნების თუ ოფიციალურის პარალელური კულტურის სურათი, დაწყებული 80-იანი წლებიდან დღემდე.

„პერსტროკის“ დროს თბილისში დაარსებული ტრანსავანგარდის ჯგუფი „მეათე სართული“ სიმბოლურად მხატვარ ნიკო ცეცხლაძის მიერ იქნება წარმოდგენილი. კოტე ყუბანევილი თანამედროვე აგანგარდისტული პოეზიის 90-იანების ჯგუფს, „რეაქტიული კლუბს“ შეგვასტენებს. გამოფენას ნიუ იორკიდან ესტუმრება უფრო ადრინდელი პერიოდის, „აბსტრაქციონისტთა ჯგუფის“ მხატვარი, ლუკა ლასარეიშვილი. გამოფენაზე ასევე მიწვეულია თბილისის ალტერნატიული როკის მუსიკის ლადონ ბურდული. ამ კონტექსტში, ალბათ, ყველაზე საპატიო სტუმარი მაინც ფოტოგრაფი გურამ წიბარაშვილია, რომელიც, მისი პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკუთარ ფოტოარქივს არა მხოლოდ დოკუმენტების მნიშვნელობით წარმოადგენს, არამედ ეს მისი ნამუშევრების გამოფენაც გამოვა.

თითქმის სამი ანტეგულის მანძილზე თბილისის ანდერგრაუნდში მოღვაწე არტისტების რიცხვი კი მართლაც დიდია – ჯერ მარტო ჯგუფების უბრალო ჩამონათვალიც გვაჩვენებს ამას: „მეათე სართული“, თხუნელების ჯგუფი, აბსტრაქციონისტების ჯგუფი, „გოსლაბი“, „რეაქტიული კლუბი“, „ვიზუალური კვლევის ცენტრი“ და სხვ. ამავე რიგში განთავსდება ისეთი აქციები, როგორიცაა „დე მუსიკა“ 1989 წელს, „ქარვასლის“ გამოფენები 80-90-იან წლებში, თუ „არჩევანი და ლირებულება“ (1992). დამთვალიერებლისთვის უაღრესად საინტერესო უნდა იყოს ასეთ გამოფენაზე მოხვედრა, სადაც ხელოვნების ნიმუშებს კი არა, მათ მიღმა არსებულ ბიოგრაფიას შეხვდება.

საერთოდ, დოკუმენტაციის კულტურამ ჩვენში ცოტა გვიან დაიწყო ფეხზე დადგომა. იმდენა, ეს გამოფენას ხელს არ შეუსლის და აქ პოლიგრაფიული ხარისხის აფიშებიც საკმაოდ მოყრის თავს. ასეც რომ არ იყოს, ნამდვილი კულტურული ანდერგრაუნდი კაპიტალისტურ ქვეყნებში ხშირად შეგნებულად ავითარებს დაბალი ხარისხის ესთეტიკას. მაგრამ ეს სულ სხვა, საკულტო ანდერგრაუნდია და ის ჩვენთვის მაინც იმდენადვე უცხოა, როგორც აქტრიული გრაფიტის ისტორია ჩვენში უკვე დაგვიანებულ მნიატურულ და იმიტირებულ გასართობად თუ იქცევა. რუსმა და კანადელმა არტისტებმა ძალზე სნორი სახელი მოძებნეს, როდესაც ოფიციალურის მიღმა დარჩენილ ავანგარდისტულ ხელოვნებას პარალელური კულტურა უწოდეს და ამით ანდერგრაუნდს მხოლოდ ყველაზე მემარცხენის, ანტი-ბურჟუაზიულის, იდეოლოგიურის და პოლიტიკური მექანიზმის აღნიშვნის პრეროგატივა დაუტოვეს. კანადში უურნალიც კი გამოდიოდა ასეთი დასახელებით „პარალელოგრამა“. სამაგიეროდ, თბილისში მეტრო (ინგლისურად - ანდერგრაუნდი) გვაქვს, რომელიც მოსკოვისგან მაღლულად, დაბომბვის თავშესაფრის ნაცვლად აშენდა და მხოლოდა მერე, დე ფაქტო ეცნობა უმაღლეს ინსტანციას, როცა უკვე ვერავინ ველარაფერს გახდებოდა. ამას მოჰყვა ჩინების და ადგილების დაკარგვა, მაგრამ თბილისმა 60-იან წლებში მეტრო მოიპოვა. ეტყობა, დადგა დრო, თბილისმა საკუთარი ანდერგრაუნდიც მოიპოვოს, რადგან ის უკვე აშენებულია და მის დაგრევას ნამდვილად ჯობს, უბრალოდ ვისარგებლოთ იმ ლოკალური თუ გლობალური კომუნიკაციებით, რასაც ის გვთავაზობს.

კოსმოპლისი, საერთაშორისო საგამოფენო სივრცე

ნაწილი, საფრანგეთი



ნაწილის და თბილისის დაძმობილებდან 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად, პროდუქცია „ა 360“ და ასოციაცია „ქარავანსარაი, მხატვრული პროგრამები“ წარადგენენ ქალაქ ნანტში, კოსმოპლისის საერთაშორისო საგამოფენო სივრცეში, ექსპოზიციას, TBILISSI UNDERGROUND.

ქალაქ ნანტის მერიის მიწვევით ამ პროექტის კურატორები არიან, შალვა ხახაშვილი და არნო კონტრერასი. ექსპოზიცია ჩატარდება საფრანგეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით.

ეს მოვლენა ფართოდ გაშუქდება საფრანგეთის პრესისა და ტელევიზიის საშუალებით. პროგრამაში გათვალისწინებული კოსმოპლისის ექსპოზიციასთან ერთად დაგვეკმილია პროექტის წარდგენა ნანტის უნივერსიტეტში, კურატორების, ხელოვანებისა და სტუდენტების მოანაბლეობით. გამართება ქართული პოეზიის საჯარო კითხვა/პერფორმანსი და მუსიკალური აქცია, გარე სივრცეში აფიშებით, სლაიდებით და ვიდეო პროექციებით.

ექსპოზიციის მიზანია, საქართველოს დედაქალაქი თბილისი წარმოაჩინოს ორიგინალური კუთხით, ფოტოგრაფიული არქივების, ფილმების, აფეშების და სხვა დოკუმენტური მასალის მეშვეობით. ეგრეთ წოდებული „ოფიციალური კულტურის“ პარალელურად, 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე განვითარდა „მინისქემა კულტურა“, ანუ ანდერგრაუნდი. თუმცა ეს პირობითი სახელწოდებაა. თავისი ხასიათით და ფორმით ეს უწყვეტი შემოქმედებითი პროცესი მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში. რამდენიმე არტ ჯგუფი (რეცეპტი, რეაქტული კლუბი) და ხელოვანი იქნა შერჩეული ამ პერიოდის წარმოსადგენად, მათ შორის – კოტე ყუბანეიშვილი, ლადო ბურდული, გურამ ნიბახშვილი, დავით ჩიხლაძე, ნიკო ცეცხლაძე, თემო ჭავახიშვილი, ლუკა ლასარეიშვილი და გელა წულაძე. ამ პროექტის ჩარჩოების გამოყენებული იქნება ნინო მეტრეველის, ალეკო დარჩიაშვილის, დათო ტურაშვილის და პატა ქურდაძის ანალიტიკური ტექსტი და ნარკევე ამ პერიოდის უკეთ აღსაქმელად. ამ მონაცენებით მოგონებები და წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა დაედება საფუძვლად გამოფენის ვიზუალური მხარის სკენონგრაფიის შექმნას.

ბოლო 30 წლის განმავლობაში პოეტებმა, მუსიკოსებმა, ვიზუალური, კინო და ფოტო ხელოვანებმა, თეატრის და პერფორმანსის მოღვაწეებმა შექმნეს ერთგვარი ექსპრიმენტული კულტურული სპექტრი. ხშირ შემთხვევაში, შეხვედრის ადგილები და შექმნილი ნამუშევრების გავრცელების მეთოდები იყო არაკონვენციონალური და ფაქტობრივად წარმოადგენდა არაოფიციალურ სცენას. რამდენიმე კერძო გალერეა და ქართველი კურატორი, ხშირად ფინანსური თვალსაზრისით წამგებიან, მაგრამ მხატვრულად მაღალხარისხიან პროექტებს ქმნიდა. განსაკუთრებით შეიძლება ხაზი გაესვას იმ საქმიანობის მნიშვნელობას, რასაც „N გალერეა“, ნინო მეტრეველის თაოსნობით შეუწყვეტლად ახორციელებდა ბოლო 15 წელი. ბოლო დროს გაიხსნა რამდენიმე ახალი მხატვრული სივრცე, არტ კაფე და დამოუკიდებელი სალონი. ბოლო პერიოდში, მუსიკალური და ვიზუალური არტ ფესტივალები თუ მხატვრული ბანაკები, ქართული კულტურული გარემოს განუყოფელი, შემადგენლი ნანილები გახდა; თუმცა, მანაც იგრძნობა პროფესიონალური და პერმანენტული საგამოფენო სივრცების ნაკლებობა.

მიუხედავად 90-იანი წლების საერთო არასტაბილური პოლიტიკური ფონისა, ამ მხატვრული სამყაროს მნიშვნელოვანმა მონაცენებმა გადალახეს მშინდელი პოლიტიკური საზღვრები. დღეს ბევრი ქართველი ხელოვანი საზღვარგარეთ მუშაობს. 2000-იან წლებში, ქვეყნის შეგნით თუ გარეთ, საერთაშორისო პროექტებიც უფრო დახვეწილი და პროფესიონალური გახდა.

ამ პროცესებში ჩართული ხელოვანების და ზოგადად ქართული თანამედროვე ხელოვნების ისტორია, ასევე, განუყოფელია უახლესი საქართველოს პოლიტიკური ისტორიისგან, მნიშვნელოვანია, საზოგადობამ თვალისწილოვ წახოს, საზოგადობრივი საქმიანობის ერთი შეხედვით განსხვავებული ორი ნახევარსფერო, პოლიტიკა და თანამედროვე ხელოვნება, როგორ ასაზრდობდა ერთმანეთს 1979-2009 წლებში, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებელ საქართველომდე...



აქ თეატრის „მთავარ როლები“

ჩვენში სხვა შესაძლებლობა აღარც არსებობს, ნახო თეატრი, რომელიც განუდგა დრამატურგის ანტიკურ საწყისებს და, მსგავსად ხელოვნების სხვა დარგებისა, ახალ პოეტიკას ეძებს. ეს მოდერნისტული, ავანგარდისტული ან ექსპრესიონისტული თეატრები ზოგჯერ ლიტერატურას საერთოდ უარყოფენ, ან ტექსტის წარმოქმნის და დრამატურგის თვისობრივად სრულიად ახალი საჭალებების ძიებით არიან გაზაფებულები.

ბოლო დროს სკენასთან იკრძებიან მაყურებლები, რეჟისორები, თეატრმცოდნები, საერთოდ თეატრალები და მათი თანდასწერით მსახიობები სკენაზე კითხულები ახალ პიესებს. ვერავინ იტყვის, რომ მაყურებელი აქედან ისეთივე კამაყოფილი არ წავა სახლში, როგორც რომელიმე სპექტაკლიდან. მით უმეტეს, თუ ჩვენს თვალინ მთავარი როლი მტკუცდება ანუ ჩვენს წინაშეა 4 მარტს კინომსახიობთა თეატრში საკონკურსო საჯარო კითხვაზე წარმოდგენილი თამარ ბართაიას პიესა სახელწოდებით „მთავარი როლი“.

მოდერნისტული ინოვაციებით მოტივირებულმა ამ დრამატურგიულმა წამუშევარმა საჯარო კითხვისას პოსტმოდერნისტული ესთეტიკის შექმნა დაიწყო და რეჟისორისთვის, ვინც ამ პიესის ადეკვატურ წაკითხვას მოახერხებს, ეს საქმაოდ სარისკო გამოწვევაც იქნებოდა ჩვენს კონტექსტში.

დარბაზში შევეძით თუ არა, რატომძაც ჩვენს ფოტოგრაფს, ქეთი ცავას ვურჩერჩულე, – ხედავ, დოკუმენტური რეპორტაჟის გარდა არაფერია გადასალები და იქნებ ისე გადაილო, რომ თითქოს ეს უკვე დადგმაა, უკვე სპექტაკლია, რეალობის სპექტაკლი.

მსახიობის, თამაშის გაუცხოება, პლავტუსიდან მრეხტამდე, თეატრის თანმდევი ანრდილია. მაგალითისთვის, მოლიერს აქვს ერთი ნაკლებად გახმაურებული პიესა „ვერსალის იმპრონეპტუ“, სადაც პერსონაჟებად მისი რეალურად არსებული დასის წევრები გვევლინებიან და რომლებიც მთელი პიესის მანძილზე მხოლოდდა სპექტაკლის დასადგმელად ემზადებიან.

ამდნად, ის, რაც ისედაც სანტერესო უნდა ყოფილიყო ჩემი აკავაზებული იდეის გამო, თამარ ბართაიას პიესას „მთავარი როლის“ წარმოდგენისას ორმაგად მნიშვნელოვანი გახდა: ეს ხომ ისედაც იყო პიესა იმის შესახებ, თუ როგორ დგამს რეჟისორი სპექტაკლს და ამ პიესის მთელი ისტორია ისევე შედგება მხოლოდ საკუთარი თავისგან, როგორც მოლიერის „ვერსალის იმპრონეპტუ“. საჯარო კითხვისას კი ამ ყველაფერს უნდებლიერ დადგმატა ეს დოკუმენტური აღწერა – თუ როგორ დგანან მსახიობები, როგორია მათი ცხოვრებისეული ჩატმულობა, როგორ უცდიან საკუთარ რიგს ტექსტის კითხვისას – როლისა და სინამდვილის საზღვარზე.

მოკლედ, პიესის წაკითხვის ერთი კარგი პერსპექტივა გამოჩნდა. ეს პიესა რეჟისორ ნინო ბურდულს ჰქონდა მინერილი პროგრამის მიხედვით. მე ისიც კი ვიჟიერე, როგორი საინტერესო, დღევანდელობის შესატყვისა ლიბერალური უტოპიაა, სპექტაკლი რეჟისორის გარეშე, დრამატურგის გარეშე. ისედაც ხომ თითქოს ასე მოხდა (მამიაც ხომ ეუბნება რომელიდაც მსახიობს, – შენ როლი არ გექნება).

ასეთ ეფემერულ აწმოოშო (თეატრი ხომ ისედაც მოუხელობებელია) შესანიშნავები იყვნენ მსახიობები – იოკასტე (მამა გელოვანი), როლს რომ პაროტესტებს, ნუკა (ირინა გოუნაშვილი), თეატრის მხატვარს რომ თამაშობს და თან აქვე გვიცხადებს, – „მე არა ვარ მსახიობი, მე მხატვარი ვარ“; ჩვენ კი ამით საპირისპიროს გვახსენებს, რომ ის სწორედ მსახიობია პროფესიონით და უკვე პერსონაჟიც; თეატრის ხელოსანი და ფილოსოფიოსი (თემი ნატროშვილი), ტრაგედიის ტრუიზმს რომ შეგვასხებებს – წინასწარმეტყველებას შეიძლება გაეცე, მაგრამ ბედისწერას არა; და თვით მამია (გოგა პილინაშვილი), რეჟისორი, ვისი პირადი გრძელების გამო, სპექტაკლის ბედი დიდად არის დამოკიდებული მის შეყვარებულ ქალზე, რომელსაც დადა ჰქვია, რომელმაც თეატრი მიატოვა და არსად ჩანს.

ბოლოსკენ ეს უხილავი, შეყვარებული ქალიც თითქოს მოვიდა, თითქოს უნდა გამოჩნდეს და ყველას უხარის, დადა მოვიდა, დადა მოვიდაო! – იძანია.

დადა (ანუ ხელოვნების დადაისასტური მოძრაობა) როცა მოვიდა ციურისში, მოდერნიზმის აყვავების ხანა დადგა კაპიტალისტურ ქვეყნებში და თუ ოდიპოსის მითი კვლავ ბედისწერაზე მიგვითითებს, იქნებ ამჯერად ქართული თეატრის ეს ერთი შესაძლებელი ბედისწერა სულაც არ იყოს საშიში და ახალი ხედვისკენ, ახალი წაკითხვებისკენ გვიბიგონს.

Fish Café

3 ა კ ი ა ნ



ნატასტარმა და „Food Chain“ ლუდის, მილიონის, მოლუსკებისა და კრევეტების მოყვარულთათვის ვაკეში, აგა-შიძის 22-ში „Fish Café“ გახსნის. ახალ კაფეში სტამრაზი დააგემოვნებან ჩოგორც სამარხო კარძნებს, ასევე იტალიელი მზარეულის მიერ მომზადებულ მრავალფეროვან მენიუს. „Fish Café“-ში სხვალასხვა სახის ალკო-კოლური და გამაგრილებელი სასხლისა ნარმოდგანილი, თამა დიდი ნილი "ნატასტარის" აროლურისას უფრისას.





በኢትዮጵያውያን የወጪውን በቃል ተከተለዋል

10 მარტიდან 13 მარტის ჩათვლით, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს ინიციატივით, თბილისში ირანული კულტურის კვირეული გაიმართა, რომელიც ისლამური რევოლუციის გამარჯვების 30-ე წლისთავს მიეღღნა. კვირეულის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და ეს ღონისძიებები დედაქალაქის რამდენიმე კულტურულ კერას მოიცავდა.

როგორც ამ დღეს ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, ბატონმა მოჯათაბა დამირჩილუმ აღნიშნა: „კვირეული კიდევ ერთი დასტურია იმ დიდი ინტერესისა, რაც ირანში საქართველოს მისამართით არსებობს. ჩვენს ქვეყნებს ტრადიციულად ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდათ და ეს ურთიერთობები განსაკუთრებით სისხლსაცვეს სწორედ კულტურის სფეროში იყო. სამზუხაროდ, დღეს ხელახლა გვიჩდება აღმოვაჩინოთ ერთმანეთი და ჩვენი საელჩოს მიერ მოწყობილი კვირეულიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.“ სამხატვრო აკადემიაშივე გამართული იყო ხეზე კვეთის, ფერწერული, კერამიკული და კალიგრაფიული სახელოსნოები და დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა, არა მხოლოდ ნიმუშები ენახა, არამედ თვალყური მიედევნებინა თვითონ სამუშაო პროცესისათვის.

დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა კალიგრაფიულ სახელოსნოსთან, რადგან ქართველები, როგორც ჩანს, განსაკუთრებულად მიზიდა ცდუნებამ — თავიანთი სახელები არაბული ანბანით ჩაკრწენილებული ენახათ და ირანელი კალიგრაფიებიც მოთმინებით აგვირისტებდნენ მათვის ძალზე შეუჩვეველ და ყურისმომქრელ ბერათშეთანხმებებს. იქვე ირანული ტრადიციული მუსიკალური საკრავებისაგან შემდგარი ორკესტრი უკრავდა. მართალი გიორგათ, საქართველოს პიმინი ჩანგსა და ჩაღანაზე ძალიან უცხოდ და საინტერესოდ ქლერდა, მაგრამ საზოგადოებას დიდი ინტერესი ამ მუსიკის მიმართ მაინცდამაინც არ გამოუჩენია. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ჩვენ ხომ მრავალშიანები ვართ და აპა, ჩვენს ყურთასმენას როგორ აამებს ერთიანობანი, მონოტონური, უსასრულოდ განელილი და აბლაბულასავით გამძლი ჰანგი.

ଅମିତ୍ରମାତ୍ର ପ୍ରୟେଲାଟ୍ରେ ମେଟ୍ରୀ ସିନ୍ଧାଲ୍ପାଟ୍ରେ କ୍ଷୁର୍ରୂପିତ ଦଳରେଷ୍ଟି ଏରାନ୍ତିରେ ତ୍ରାଣିତ୍ରୀଯିତ୍ଵରେ ମୁସିକ୍ଯୋଦ୍ରି କାନ୍ତିପ୍ରେରଣୀତିରେ ଏହି ପ୍ରକାଶନକୁ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ପରିଚାରିତ କରିଛି।

სამაგიეროდ, მთავრები არ მოჰკულიბია ირანული ფილმების ჩეცნებასა და განხილვას შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსალტეატრში, სადაც სამზღვეო ფლის განმავლობაში 8 ირანული ფილმი იქნა წარმოდგენილი.

ამათგან ერთი მხატვრულ-დოკუმენტური, დანარჩენი კი მხატვრული.

ଓইলমেঠি, নিমি আশ্রিত, নূড়াওড়াড়ি ও গুর সাসাখুড়া অভ্যন্তরীণ প্রক্রিয়ায় তাৰামেজুৱো ইৱানুলি প্ৰিনস লেন্দুগুণে

მდგომარეობას. მასალა ირაულმა მხარემ შეარჩია და უფრო ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საელჩომ უპრალიდ გამოიყენ ის, რაც ხლოთ პრინციპი, მხატვრულ ღირებულებაზე კი არავის უჟირია.

გარდა ამისა, კინოჩენების სერიოზული ნაკლო იყო ინგლისური სუპტიტრები. ცხადია, უკეთესი იქნებოდა წინასწარ ქართული თარგმანი მომზადებულიყო, რადგან საქართველოში ჯერჯერობით არცთუ ისე ბევრმა ადამიანმა იცის ინგლისური და ამიტომაც დარბაზი სეანსიპის დამთავრებამდე იკლიპოდა.

სამიზანობრივი ბანკები

ავტომატური გადახდები

ეანაქობის ეაზეცვა



ოქტომბერი

სამიზანობრივი ბანკების მიერ



ნავთობი

ნავთობის მიერ მიზანობრივი
ბანკების მიერ



უნიკალური მიზანობრივი
BANK OF GEORGIA



მიმოხილვა

სადაც შეულამაზებლად და ასე თუ ისე რეალისტურად აისახება ქვეყანაში არსებული ვითარება, საკითხთა და პრობლემათა წერა, რომელიც ფილმის შემქმნელებსა და, შესაბამისად, მათ მშობლიურ საზოგადოებას აღელვებს. ამ თვალსაზრისით ირანული კანებმატოგრაფის გაცნობა ქართველ მაყურებელს ერთ საგულისხმო დასკვნამდე მიიყვანს: ქართველი და ირანული საზოგადოების წინაშე წამოჭრილი პრობლემები ხშირად ძალიან ჰგავს ერთმანეთს და პრობლემათა ეს ანალოგიურობა ეროვნული ბუნების, ჩვენი წაკლისა და ლირსებების გარკვეული მსგავსებიდან მომდინარეობს.

კვირეულის ფარგლებში წარმოდგენილი ფილმების რეჟისორთაგან წელს საქართველოს მხოლოდ აბდოლ რასულ გოლბუნ სტუმრობდა. სწორედ მისი ფილმით „სამოთხე სადაც სხვაგანა“ გაიხსნა კიონჩვენების პროგრამა.

2003 წელს გადაებული ეს სურათი დღემდე 20 საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობდა და ოთხჯერ გახდა სხვადასხვა კონკურსის პრიზიორი.

ფილმი ეხება ემიგრაციის ფინანსობიური ძირების ძალზე მტკიცნეულ და საქართველოსთვისაც მეტად აქტუალურ პრობლემას. 17 წლის ბიჭი, რომელიც ირან-ავდანეთის საზღვარზე, პატარა ქალაქში ცხოვრობს, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში წასვლაზე ოცნებობს. მეორეს მხრივ კი ავდანეთიდან მუდმივად გადმოდიან ირანში იქაური ემიგრანტები. მათი ბედისნერის გააზრება, რეჟისორს ერთი მარადიული პრობლემის თავისებური ინტერპრეტაციისათვის სჭირდება: ადამიანი მუდმივად ეცნორაფის სადმე წასვლას, რაკი ჰგინია, რომ სამოთხე, ალთქმული მინა სადაც სხვაგანაა, თუმცა შესაძლოა სამოთხე სწორედ იქ იყოს, სადაც უცხოვრობთ. გააჩნია, ჩვენ თვითონ რას ვაკეთებთ საიმისოდ, რომ ადგილი, სადაც ღმერთმა ცხოვრება დაგვაკისრა, სამოთხე ყოფილიყო. წლევანდელი ირანული კულტურის კვირეული ქართველ საზოგადოებას დაეხმარა შინდიან გაუსელელად ენახა ირანი, ზიარებოდა ამ ქვეყნის კულტურას და სწორი წარმოდგენა შექმნდა მის თანამედროვე ყოფა-ცხოვრებაზე. ამ მხრივ მადლობის მეტი რა გვეთქმის ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მისამართით, რომელმაც ღონისძიების მაღალ დონეზე დაგეგმვა და ჩატარება მოახერხა.

სასურველია თუ ასეთი კვირეულები ტრადიციად იქცევა და მუდმივად, ყოველწლიურად მოგვეცემა შესაძლებლობა, თვალი მივადენოთ ჩვენს უახლოეს მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ პროცესებს.

ავტორი: გიორგი ლობჩაშვილი, ფოტო: ქათო საავა

ტაიმ-აუტი



ახალი დისკის პრეზენტაცია

27 თებერვალს, ფრანგულ კაფე Belle de Jour-ში, ელექტრონული მუსიკის მოყვარულები და Belle de Jour-ის ერთგული სტუმრები უკვე შესამე სეზონური დისკის პრეზენტაციაზე შეკრიბნენ. ზამთრის დისკი, Belle de Jour-ში შეკრებილ საზოგადოებას ამჟერად მუსიკამა 5Tia-მ წარუდგინა. ეს „მუსიკალური პროექტი“ Belle de Jour-მა ზაფხულში დაიწყო და პირველი ორი დისკის ავტორებად Dj Taho და ნიკაკი აირჩია. სულ მალე, კაფე Belle de Jour-ში, გაზაფხულის დისკის პრეზენტაციაზე მიგინვევენ და მის ახალ ავტორს გაგაცნობენ.





გამოიცა:

ვეფხისტყაოსნის პროზაული ვერსიები, ახალგაზრდებისთვის



„ვეფხისტყაოსნის მოგითხობთ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია“

„შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის მოტივებზე „ვეფხისტყაოსნის წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი“

მხატვრის ალბომი ვეფხისტყაოსნის მოტივებზე „ვეფხისტყაოსნის წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი“

წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ
ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანში“
და სტამბა „სეზანში“.

დაგვიკავშირდით:

არტ კაფე „ქარავანი“

მისამართი: ფურცელაძის ქ. 10

ტელეფონი: +995 32 99 66 91

899 67 77 56 ირინა შავერდაშვილი

სტამბა „სეზანი“

მისამართი: წერეთლის გამზ. 140

ტელეფონი: +995 32 35 70 02 ქეთი ბოჭორიშვილი

893 35 14 64 დათო კარაჯავი



ქარს ქსოვენ უძაფო დაზიანები... ცხრა აპრილიდან ოცი წლის შემდეგ

ავტორი: დავით გუბარიძე

ცხრა აპრილის ტრაგედიის ფხიზელი და მიუკერძოებელი შეფასება არ მომისმენია; შეიძლება იმიტომ, რომ ისტორიას მართლმასჯულების ენით ლაპარაკი არ შეუძლია. მას მხოლოდ სუბიექტივიზმით დაღდასმული ავტორები თხზავენ. ან იმიტომ, რომ ბოლომდე გაცნობიერებული სიმართლის მოსასმენად ჯერ შზად არა ვართ.

საქართველოში საბჭოთა სისტემის დასასრული მთავრობის სასახლის ნინ 60-იან წლებში აღმართულ, მუხინას კიჩური სოციალიზმით შთავონებული ქნიდაკებების დამხობას წაავადა. სწორედ ამ გიგანტურ და მახინჯ მუშათა და კოლმეურნეთა ქანდაკებების ფონზე, 1989 წლის ცხრა აპრილის გამთენისას გათამაშდა უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლშენირვის რიტუალი: ეროვნული მოძრაობის ეგზალტირებული ლიდერების, აგონიაში მყოფი საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისა და დამსჯელი საბჭოთა ჯარის მონაწილეობით. დაიღუპა ათობით ადამიანი, დასახირდა და მოინამლა რამდენიმე ათასი.

ცხრა აპრილის ნინა დღეებში საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის აქციას ასობით მოშიმშილე შეუერთდა. ხოლო რვა აპრილის საღამოს, როცა დარბევის საფრთხე რეალური იყო, ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი,

ირინა სარიშვილი, თამარ ჩხეიძე და ა.შ.) აქციის გადატანასა თუ შეწყვეტაზე უარი თქვეს. დილის 4 საათზე რუსთაველზე ფიზიკურადაც კი იგრძნობოდა ბრმა მეჩინგურების სიმღერის ფონზე განელილი წუთების უსასრულობა, მეტაფიზიკური შიში მოსალოდნელი დარბევის ნინ და მებრძოლური ხალხურ-კარნავალური სულისკეთება.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მთავრობის სახლის ნინ შეკრებილებს ტაძარში წასვლისა და ლოცვისაკენ მოუწოდა. არადა, ათასობით ადამიანი ანთებული სანთლებით ხელში მაინც მონუსსულებივთ შეჰყურებდა იქ მყოფ ლიდერებს და რაღაცას ელოდა. ამავე დროს უცნაური ექსტაზით შეპყრობილნი, თითქოს შეთანხმებულებივთ ილტვოდნენ თავგანწირვისა და სიკვდილისკენ, ანუ თავისუფლებისაკენ. ცხადი იყო, რომ მაშინ რუსთაველიდან ფეხს არავინ მოიცვლიდა.

აქცია მთავრობის სახლის ნინ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით ისე სწრაფად გადაიზარდა დრამატულ-თეატრალური სანახაობიდან ტრაგედიში, რომ არც ორგანიზაციონებს, არც მსხვერპლს, არც ჯალათებს და არც რიგით ობივატელს მისი მნიშვნელობა ბოლომდე გაცნობიერებული არ ჰქონიათ. 9 აპრილმა განაჩენი გამოუტანა არა მხოლოდ საბჭოთა რეჟიმს, არამედ ადგილობრივ კომუნისტურ ხელისუფლებასაც.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – ვიდრე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი დამსჯელი მერვე ლეგიონისა და დარბევის ოპერაციის ხელმძღვანელის, გენერალ როდონოვის მოწვევას გადაწყვეტდა, თანხმიბა უმაღლესი საბჭოს დეპუტატებსა და ინტელიგენციას ჰკითხა, რომლებმაც ეს გზავნილი ინსტინგურად „სწორად“ გაიგეს. ცინიკური ის არის, რომ მოვლენების მსგავსი სცენარი და განვითარება ეროვნული მოძრაობის ლი-დერებსაც აწყობდათ, რადგან იმ მომენტში მათი მნიშვნელობა და როლი ასმაგდებოდა. დისკურსიტირებული კომუნისტური რეჟიმის ფონზე, გზა ხელისუფლებისკენ გახსნილა იქნებოდა.

“უკვე დღევანდელი გადასახელიდნ, ოცი წლის შემდეგ ცხრა
აპრილის აქცია გამოცხადებული დასჯის ქრონიკას ჰგავს. ყვე-
ლამ ყველაფერი იცოდა – მაშინდელმა ხელისუფლებამ, აქციის
ორგანიზატორებმა, მიტინგებზე დროებით „დასახლებულმა“
ხალხმა, საბჭოთა ჯარმა. მაგრამ ტრაგედია მაინც გარდაუვალი
აღმოჩნდა. ბრძოლისა თუ ხელისუფლების წყურვილით დაელე-
ქტროებული ახალი დროს ლიდერები, დაუმირჩილებლობისა
და სიჯოუტის ატმოსფერო... ეს ბედისწერის გარდაუვალობის
შეგრძნებას უფრო ჰგავდა, მაგრამ ეს დასასრულიც შეიძლება
ყოფილიყო და დასახელისიც. მაშინ ამაზე არავინ ფიქრობდა,
რადგან უმთავრესი ღირებულება – თავისუფლება, ჯერ გაუ-
ცვეთელი და შეუცნობელი, ფანტომებისა და ძალადობისგან
შეუბლალავი ჩანდა.

1989 წლის აპრილი ამბიციური ეროვნული ლიდერებისათვის, თუ სხვა კონკრეტული პიროვნებებისათვის უკომპრომისობას, წლობით დაგუშებულ ოცნებას და ამავდროულად რევანშს ნიშ-ნავდა. ისიც მჯერა, რომ ცაიტნოგრა და ხაჯანგში მომზყდეული საქართველოს ხელისუფლება რაღაც გამოსავალს ექცევა მოსალოდნელი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად. ინტელიგენციას კი საშუალო სინდისის ქრისტიანულ გაცემა დამსჯელი ვარის შემოყვანაზე ირიბი დასტური და პილატესავით დაპანილი ხელები... თუმცა, ამ კულტურულ მაშინ საბედისწერო რანგის ეგზისტენციური ნიშნული პერიოდი: თავისეუფლება ან სიკუდილი.

აქციების დროს შეიძი საბჭოთა სისტემის მიმართ ალარ იგრ-ძნობდა და ეს ნიშავდა, რომ ალარც სიკედილის შიში არსებობდა. აპრილის იმ ერთ კვირაში მერყეობა და გაურკვევლობა თითქოს საღდაც გაერა. ათწლეულიბით შემაკავებელმა საბჭოთა აკრძალვებმა, დასინებამ შედეგი ვერ გამოიღო. სიცრუით შენიდბულმა მორალმა და გაცევილმა კანონებმა ძალა, სიმძიმე და გრავიტაცია დაკარგა. და ამ სითამაზე ნარკოტიკული ზემოქმედება მოახდინა – ჩვენივე ნებით გადაცეშვით უფსკრულში, რომელიც მონატრებული თავისუფლების სახელით გვიხმობდა.

კარგად მახსოვეს ტრაგედიის ნინა დღეებში გადაკეტილი რუსთაველი. ათასობით მოსეირნე წყვილი. გამოპარანტული ქალები მაღალ ქუსლებზე და მომლიმარი კაცები გახამებულ პერანგებში, რადგან უჩევულოდ თბილოდა. მთელ ხმაზე ჩართული რადიო ხან ბეთჰოვენის მეშვიდე სიმღვრიას, ხან „მოწინავე ინტელიგენციის“ ჭუკისდამრიგებლურ გაფრთხილებებს, ხანაც დისიდენტების გამოსვლებს გადასცემდა. მაგრამ არსად და არასდროს ყოფილა აკაეის „განთადი“ (ცხადია, ავტორის ნაკითხული) ასე ზუსტი და დღოული. მისი სუსტი, ონავ

მოცავას ხმა მთელ ჩვენ მითიურ, ამაოდ ნასწავლ ისტორიას ირეკლავადა და გვაზიარებდა რაღაც უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს, ვიდრე რუსთაველზე გამართული მთელი ეს პოლიტ-ფოლკლორი.

პპრილის შემდეგ ასეთი ლალი და უდარდელი ხალხი აღარც
მინახავს. მგონია, რომ სწორედ მაშინ დასრულდა სოციალური
უდარდელობისა თუ პოლიტიკური ინფანტილურობის ხანა სა-
ქართველოში და დაიწყო გაუთავებელი სახელისუფლო პრძო-
ლით ნაკვები სპეცუალუციები, რომელიც დღემდე გრძელდება,
და რომელმაც უმთავრესი – სამოქალაქო მშვიდობა, ეკონო-
მიკური კეთილდღეობა და არჩევნების თავისუფლება ვერ მო-
გვიტანა. როცა ათასობით ადამიანი ათეული ნლების განმა-
ვლობაში ჯერ მონდომებით ანგრევს და შემდეგ თავად ქმნის
ლიდერის კულტს და არ შეუძლია რაციონალიზმი იქ მაინც
დანახოს, სადაც აუცილებელია, მაშინ გამეორებული შეცდო-
მები სიბრივების მეტაფორად იქცევა.

არადა, რა მარტივი და ზუსტი იქნებოდა მხოლოდ დათმენა, ამბიციებზე უარის თქმა, უბრალოდ სიჩუმე, ხანგრძლივი პაუზა, დაფიქრება ხვალინდელ დღეზე... რომ არაფერი ვთქვათ, სხვისი სიცოცხლის მიმართ პასუხისმგებლობაზე. „ჯონ“ ძახილით გაყრუებული მოედნიდან წასვლა კი ღალატს ნიშნავდა, მაშინ, როცა საჯაროდ და სახეიმოდ გამზადებულ სასაკლაომდე რამდენიმე საათი რჩებოდა. „ლესია უკრაინეას და ბე-სიკის ქუჩაზე ჩაფეხუტიანი, გიგანტური ზომის ჯარისკაცები

კუთხი დღისასასის გადასახელილან, რცი

ნლის შემთხვევაში აკრიტიკული აქცია

გამოცხადებული დასკის ქრონიკას ჰგავს.

ყველა ყველაფირი იურიდიკი – გაშილება

ხელისუფლებამ, აქციის ორგანიზატორებმა,

მიზიდვებზე დროებით „დასახლებულება“

სალხეა, საბჭოთა კარხა. მაგრამ ტრაგედია

მაიც გარდაუვალი აღმოჩენა.

დავინახე. სრული შეგრძნება მქონდა, თითქოს გაპარსული ორანგუტანგები იყვნენ, – იგონებს რეჟისორი გულსუნდა სი- ხარულიძე, – ირგვლივ ტანკები და ათასობით შეიარაღებული ჯარისკაცი იდგა, მთავრობის სახლის წინ კი ცეკვა-თამაში იყო გამართული. ეს რაღაც არარეალურის, უფრო ზუსტად, დროში აცდენილი მოვლენების თანხვედრას ჰგავდა. ხალხი სრულიად სხვა ფსიქოლოგიურ რეალობაში იმყოფებოდა, მასინ, როცა სხვა რამა ჩოტია რეალურობის პროსპექტის მიომა.“

ამგვარი არარეალურობის მეტაფორას აღბეჭდავს ვიდეოკამერაც, როცა გამნარებული ახალგაზრდა ტანკს ჯოხს ურთყამს. ეს აკონკრეტებს გულწრფელი ამბობის უსუსურობას ძალადობასთან შედარებით. უფრო ზუსტად, სინამდვილესა და წარმოდგენას შორის განკუვებით კავშირს. ქართულის ემო-

კომენტარი

ციური და ფეთქებადი ბუნება ყველზე კრიტიკულ მომენტში გმირულ მსხვერპლშენირვას გულისმობს და არა რეფლექსიას და დაეჭვებას. ხოლო როცა მრისხანების უამს გონება მოქმედებაში არ მონაწილეობს, ვდებულობთ იმას, რაც მივიღეთ.

ჯერ ყოფილი დისიდენტი, ზვიად გამსახურდია. თავისი ნაციონალური იდეებით, მიუღწეველი სამოქალაქო მშვიდობით, სრულიად ირაციონალური ხელისუფლებით, აღზებებით და დაცუმით. შემდეგ ფხიზელი ნეკომუნისტური ხელისუფლების რეინიკარნაცია. შევარდნაძის ამბიციური დასაწყისით (გაერო, ნატო, ევროსაბჭო, ნავთობსადენი) და კორუმპირებულ ჭაობში აღსრულებული ფინალით. და ბოლოს, „ვარდების რევოლუციის“ მითი – „ჭაბუკების ხელისუფლება“ (გაიხსენეთ იერემიას წყველა ბიბლიოდან), უცნაური და ამბიციური გავეშება („პირველად ისტორიაში“), ლამაზ ფორმებში გამოწყობილი „პატრულით“ და შედებილი სახლებით რეკლამა. და გაუთავებელი დაჭრების ტელესეანსები. თუმცა გასული წლის აგვისტოს ომმა სააკაშვილის ხელისუფლების მითი საამაყო გზებთან, სახლებთან და საკერძოან ერთად, საბოლოოდ დაანგრია.

საქართველოში დაუსრულებელი „ცხრა აპრილების“ უმთავრესი დრამა გზასაცდენილი საზოგადოების გულუბრყვილო ვერსიებშია – თითქოს არსებობა, როგორც ასეთი, აუცილებლად რაღაც იდეებისთვის ან ვიღაცის უფლებებისთვის ბრძოლისა და მსხვერპლშენირვის რიტუალია. ამის შემდგომ ხელი-

სა და მცდარი წარმოდგენების მუდმივი გამეორება, რომელიც ლექსს ირინიულ სევდას ანიჭებს. იმპის წიგნშიც ხომ დაასლოებით ასეა – უდაბნოს ქარი, როგორც მუდმივი იმედებისა და ილუზიების საფუძველი.

ცხრა აპრილიდან ოცი წელი გავიდა, მაგრამ მოჯადოებული წრის გარღვევა შეუძლებელია. მუდმივად გადავადებული მოლოდინი პერსპექტივულ სიცხადეს – რა იქნება ხვალ – არ შეიცავს. ერთ დროს საამაყო საქარავნო გზები, რომელსაც დღეს სანავთობო დერეფანი და სტრატეგიული გზაჯვარედინი ეწოდება, ჩვენივე უჭკუობით პოლიტიკურ ჯვარცმად ვაქციეთ, რომელზეც, ცხადია, ყველაზე დავიწყებულები, სუსტები და დაუცველები გავაკარით.

„დამოუკიდებლობა გვჭირდება იმიტომ, რომ საკუთარი თავი ხელახლა დავინახოთ“ – წლების შემდეგ მერაბ მამარდაშვილის ეს ზუსტი კომენტარი, შესაძლოა ვიგრძენით, მაგრამ გამოცდილებად არ ვაქციეთ. რადგან ამგვარი ეგზისტენციური ყოფა უშფოთველი და უდარდელი ცხოვრების შედეგი იყო. ქვენის დამოუკიდებლობის ორი ათწლეული ისე განვვლეთ, რომ მატუარა, დეფორმირებულ სარკეებში ლამაზ ანარეცლებს ვხედავდით და ვერ ვამჩნევდით სინამდვილეს. მხოლოდ ისინი მლიქენელობრდენ და გვეუბნებოლდნენ, რომ ყველაზე ლამაზები ვართ, რომელსაც ფიფქაც და დედინაცვალიც ფეხებზე ეკიდათ. და როცა გასული წლის აგვისტოში ნამდვილი ეგზისტენციური კრიზისი დაგვიდგა, მარტო დავრჩით. აბსოლუტურად მარტო! წარსული შეცდომებისა და ხელისუფლების ბრიყვული თვითკამაყოფილების ამარა.

„არ შეგვინდეთ, ძალიან შორს თუ შეტოპავთ, რადგან ჭეშმარიტება კიდევ უფრო შირსაა“. დეკარტეს ამ სეტენციის გაცნობიერების სურვილი და მზაობა აღბათ მოგვიანებით დადგება. როცა ფსევდოპატრიოტული ვნებების ქარიშხალი ჩაივლის და დროშების ფრიალს თუ ომების უნიჭო წამქეზებლებს ამოფარებული ხელისუფლება იმაზე მაინც დაფიქრდება, სად არის გამოსავალი. იქნებ, ჩვენ გვსურდა რაღაც კალვინისტური სიშიშვილის დემონსტრირება – აი, შეგვხდეთ, ესა ვართ რაც ვართ. თავისუფალი და ამაყენი, მაგრამ გამოგვივიდა ხანგრძლივი თეატრალური კარნავალი – ბრმა მეზონგურეებით, მოქავშირზე შეთხზული სიმღერებით, შადრევნებით, საბავშვო საქანელებით... აღმოჩნდა, რომ „პატარა მსხვერპლით დიდი თავისუფლების მიღწევა“ (როგორც ამას ერთ დროს ეროვნული მოძრაობის ლიდერები ვარაუდობდნენ) შეუძლებელია.

ვიდრე გაიგე რა გსურს, ან ხარ თუ არა დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში, ჯერ მოწინააღმდეგის პრინციპები და არგუმენტები უნდა ჩამოთვალო და გააანალიზო... მაგრამ რაც უფრო გეზიზლება მოწინააღმდეგე, მით უფრო დიდია ცდუნება, ჭეშმარიტებას დაშორდე ან მისაგან შეგნებულად გადაიხარო; ყველა არგუმენტი ბოროტებას მიაწერო და არა რეალობას.

საკმარისია, დაუსხლტე ბოროტების იმპერიას, რომ შენი ცხოვრება თავისუფლების ნიშნით წარიმართება. ამავე დროს, საკუთარ წარუმატებლობას მხოლოდ იმპერიას მიაწერ და მუდმივად მსხვერპლის როლს შეასრულებ. ეს თავის მოტყუების ძალიან ნაცადი ფორმას: გამუდმით და ზუსტად ვენერებით მსხვერპლისა და ჯალათის პარადიგმაში და ამით უცნაურ მაზოხისტურ სიამოვნებასაც ვიღებთ. ხოლო როცა გინდა იყო მსხვერპლი, ეს

9 აკრილის ფენერი როი რავობის

დაჯახებას პჩავლა. ეს სწობილი

დიალეტიკა – პალათი და მსხვერპლი.

ნიაბისიერი ტრაგედიის შემდეგ დაგენა

მოხარეი, როსა გაშიშვლების სურვილი

იმდენად დიდია, რომ გინდა არის შესახებ

ზვალას მოუყვავ და ახილ რაღაც უფრო

საშირელი და შესაბამის შემარიტება

გამოააშკარავო.

სუფლებისა უჭკუობით თავსდამტყდარი ტრაგედიებით მუდმივი თვითგვემა ცალკე საუბრის თემაა. სპეცულაციისათვის დრო და ადგილი ყოველთვის არსებობს: რუსეთი ისევ ახლოა, უპასუხისმგბლო პოლიტიკური პარტიები უხვადაა, შეუძგარი თუ ამბიციური ლიდერები კი არასოდეს გრძნობენ სიოცხვილს ჩადენილის გამო. ქვეყნის ნორმალური არსებობა საღი გონებით მოძებნილ პერსპექტივას გულისმობს, რაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ფუფუნებაა.

მიუღწეველი შესაძლებლობა, როგორც „უძაფო დაზგებით ქარის ქსოვა“: ჩვენი ყოფნა (ან იქნებ არყოფნა?!?) – ტრამას ელიოტის ცნობილი ლექსის, „ჯერიმშენის“ მეტაფორა. ელიოტის ლექსი ძველ, დანგრეულ სახლში მცხოვრებ მოხუცზე, რომელიც ქარსა და წვიმას ამაოდ ელოდება. ეს არის შეცდომები-

20-ი თებერვალის ყველაცოდნის ინტერნეტი

მაქსიმალი

www.maximali.ge
8 800 41 41 41

მოწმიანებულის საკუთხი	ოპერატორი	პრიცეს	მარტინი
საბონინურო გაფასახლი	55 ლარი	75 ლარი	95 ლარი
მიღების უზრუნველყოფის სისტემა	500 კარბ-შედე	1000 კარბ-შედე	1500 კარბ-შედე
ტრანსფერი	ულიმიტი	ულიმიტი	ულიმიტი
მოდემი	USB მოდემი	USB მოდემი	USB მოდემი
ფაშინის პლატფორმა	1	1	1
უკიდურეს	20 მებ	50 მებ	80 მებ
საფოსტო კუთხის რიალურობა	1	2	2
საფოსტო კუთხის საერთო მოკლობა	40 მებ	100 მებ	200 მებ
მოდემის მდგრადი მიმოხვევა			
საბონინურო გაფასახლი	35 ლარი	55 ლარი	75 ლარი
USB მოდემის ფასი	195 ლარი	195 ლარი	195 ლარი



USB მოდემი

სამიზანო პროდუქტები

მარტინი

MIC – ჩერქეზი ქ. N5

ინტერ გაფილიური – გამარჯვებული ქ. N6

ატ. არეალი – ზოგადისახლის ქ. N2

ვე ვაი – ადამიანური ქაბ. N195

VPC – ავტომატიკური ქაბ. N78

კომუნიკაციური სისტემა – კომუნიკაციური სისტემა

LAB სისტემა – სისტემა უზრუნველყოფის; ვალის N84

ლინიური კომუნიკაციები – სისტემა ცენტრალური – კონსალტ, ვალის N30

LAB სისტემა – ზოგადისახლის ქ. N1

კულტ კომუნიკაციები – კულტურის ქაბ. N13

სისტემა კომუნიკაციები – კომუნიკაციების ქაბ. N17

ეკო+ – მიმართებული ქაბ. N10

კომსო – კომუნიკაციების ქაბ. N17

კომუნიკაციური სისტემა – კომუნიკაციური ქაბ. N37

კომსო კომუნიკაციები – კომსოს ქ. N16/20

მიზანისა – კომსოს ქაბ. N73

მიზანის+ – კომუნიკაციების ქაბ. N16

სისტემა კომსო – კომსოს ქაბ. N29

ფაქტორი – სისტემის ქ. N1

მიზანის კომუნიკაციები – სიზოდულის ქ. N41

ლინიური კომუნიკაციები – ფინანსთა ქაბ. N32

კომ. დატექ – ფინანსთა ქაბ. N48

სამიზანო სისტემები

მარტინი

მარტინი, მიზანის ქ. N22

რებინი

ვე ვაი – კომბინ. ქ. N14

მიზანი 50 – მუნიციპალიტეტი N6

კულტი – ფინანსთა ქ. N16 მუნიციპალიტეტი

არეალი

კულტობ 99 – დავითი ქ. N18/18

ნაიმანი

სისტემა – უფა-ტელეკომ ქ. N40

მიზანი – უფა-ტელეკომ ქ. N23

სისტემა – უფა-ტელეკომ ქ. N10

EGV – კომსოს ქ. N66

LAB სისტემა – კომსოს ქ. N18

ლინიური

კომუნიკაციური სისტემა – ფინანსთა ქ. N34

ნაიმანის სისტემები

მარტინი

ნაიმანი, კომსოს ქაბ. N38

კომენტარი

ნიშნავს, რომ არ გინდა და არ ილებ პასუხისმგებლობას საკუთარ საქციელზე. მსგავსი რამ კი ინგანტილურ ბავშვებსა და მოხუცებს სწვევიათ. პოლიტიკური ზრდასრულობა ჩვენ რატომღლაც არ შეგვეხო, რადგან შევეჩვიეთ დამსხვრეულ იმპერიასთან მუდმივ ანგარიშმორებას. ალპათ ცხრა აპრილიც სწორედ ამის პირველი და ყველაზე გულწრფელი გამოვლინებაა.

ჩვენ ტოტალიტარული ყოფისა და ახალი, შეუცნობელი ყოფიერების ბნელი გვირაბიდან გამოვდივართ... ნელა, მთანჯველი რეფლექსიებით, მაგრამ მაინც გამოვდივართ. ამიტომ შეუძლებელია, არ ვატარებდეთ ამ საშინელი და სისხლიანი გამოცდილების კვალს, როცა რამდენიმე თაობა იბადებოდა და იზრდებოდა იმ ატმოსფეროში, სადაც ძალადობა ჯერ კიდევ ახსნილი არ არის. ის ჯერ კიდევ ჰაერშია გამოყიდებული და ჩვენ თავზე ირხევა და მოძრაობს. განა შეიძლება იქიდან ანგელოზის ფრთხებით გამოხვიდე? ან იტირო, გაბრაზდე, განრისხდე და ამით ვინმეს გული მოიგო? ეს არასერიოზული იქნებოდა.

9 აპრილის ფენომენი ორი რეალობის დაჯახებას ჰქავდა. ეს ცნობილი დიალექტიკა – ჯალათი და მსხვერპლი. ნებისმიერი ტრაგედიის შემდეგ დგება მომენტი, როცა გაშიშვლების სურვილი იმდენად დიდია, რომ გინდა ამის შესახებ ყველას მოუყვედა ამით რაღაც უფრო საშინელი და შეუცნობელი ჭეშარიტება გამოაშკარავო, როგორც, მაგალითად – „ოიდპის მეფეში“; ან გინდა, სურვილი რეალობად აქციო და მერე თავად დაიჯერო ეს ახალი რეალობა.

„ჯერონშენის“ ჩამონგრეულ სახლში მეხსიერებადაკარგული მოხუცი წარსულსა და აწმყოში მოგზაურობს. ელიოტი სიზმრადეცეულ რეალობას უბრალოდ და გულწრფელად აღნერს: „მე, მოხუცი კაცი – ფუტურო თავით, ქარიან სივრცეებს შორის ვარ გაჩერილი“. ალბათ ჩვენც ასევე ვართ წარსულ და დამდეგ ცხრა აპრილს შორის გაჩერილები; თანაც, ჯერ არაფერი დამთავრებულა, მხოლოდ ახლა იწყება – ამჟერად საქართველოს ნარჩენების სახელით. ■



თვალი თვალის ნილ? ასე ხომ მთალი მსოფლიო დაბრმავლება

რამდენადაა დაკავშირებული საკართველოს საგარეო კოლიფიკა
ქართულ სასკოლო ცხოვრებასთან?

ავტორი: გარე გალენი

ცხლილისარიდან თარგმანი რუსეთი ამირავიბა

წარმოიდგინე, რომ ხარ პატარა ბიჭი, რომელიც თავისზე უფროსმა ან ფიზიკურად უფრო ძლიერმა ბიჭმა და-ჩაგრა, გალახა სკოლაში ან ეზოში. რას იზამ? პირველი, რაც თავში მოგდის და სოციალურად მისაღებ საქციელადაც ითვლება, ის არის, რომ ვინმეს დახმარება სთხოვო. თეორიულად იმის შენისი, რომ უფროსი ძმა, ბიძაშვილი ან სხვა ახლობელი გამოგეხსარჩლოს და „ჭკუა ასწავლოს“ შენს დამჩაგვრელს, რა თქმა უნდა, არსებობს. ასევე არსებობს იმის შენისი, რომ ასეთი პიროვნება ვერ იძოვო, ვთქვათ, იმიტომ, რომ შენი ძმა თუ ახლობელი ბევრად უფროსია და არ სურს ბავშვების საქმეში ჩარევა. მოზრდილი ასაკის

გამო, მან შეიძლება ღირსეულ საქციელად არ ჩათვალის შენი დამჩაგვრელის დასჯა. შეიძლება მას საკმარისი ავტორიტეტი არ აღმოაჩნდეს და შენმა დამჩაგრავმა ყურადღება არ მიაქციოს მას. შესაძლოა, სულაც არა გყავს მოზრდილი ახლობელი ან შორს გყავს (სხვა სკოლაში სწავლობს და ა.შ.). ასეთ „ჭკუას მასწავლებელს“ კი მუდმივი ყურადღების ქვეშ ვერ ეყოლება შენი დამჩაგვრელი და შეიძლება კიდევ გაიღახო. აქ დისტანციას დიდი მნიშვნელობა აქვს.

დაფუძვეთ, რომ ახლოს გყავს სანდო პიროვნება და ის გამოგეხსარჩლა კიდეც. ეს შექმნის ახალ დინამიკას შენს დამცველასა და მონინააღმდეგეს შორის. პრობლემა კი არ

მოგვარდება, არამედ მოზრდილ ბიჭებს შორის მუდმივ და-პირისპირებაში გადაიზრდება: ჩამოყალიბდება ალიანსები თუ ჯგუფები, სადაც რიცხვონობას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება. ასეთმა გამოსავალმა შეიძლება იმუშაოს კიდევაც, ვინაიდან ალიანსების უპირატესობა, ვთქვათ სკოლაში ან კლასში, ისაა, რომ დროშიც და სივრცეშიც ისინი მუდმივად აქვე არიან. ყურადღება არ დუნდება. თითოეულ ალიანსს სათავეში უდგას ძლიერი ლიდერი (ყოჩი) და ჰყავს დასაცავი ობიექტი, რომელმაც, სხვათა შორის, დაცვის სანაცვლოდ, ადრე თუ გვიან რამე უნდა გაიღოს, თორემ დაუცველი დარჩება. საფასური სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს.

თუ ამ მექანიზმა თავიდანვე არ იმუშავა ან ველარ იმუშავა გარეული დროს შემდეგ, მაშინ რას იზამ? სკოლის ხელმძღვანელობას ჩააყენებ საქმის კურსში, ასე ვთქვათ, „ჩაუშვებ“ შენს მონინაალმდეგეს? „ჩაუშვების“ იარლიყი შეიძლება დიდხანს შეგრჩეს და ბევრი უსიამოვნება მოგიტანოს ცხოვრებაში. არა, ამას ვერ იზამ.

მაშასადამე, უნდა ჩჩუბო. მაგრამ შენი მონინაალმდეგე რომ უფრო დიდი და ღონიერია? ისტორიული მითოლოგია სავსეა მაგალითებით, როცა პატარა, მაგრამ გულადი ძალა თავისზე ძლიერს გაუკლავდა ან გამკლავების მცდელობას შეენირა. ეს ღირსების დაცვის კეთილშობილურ მისნრაფებადაა მიჩნეული. ამიტომ ჩჩუბისთვის თავის არიდება მხოლოდ იმიტომ, რომ ნინასარ განწირული ხარ დამარცხებისთვის, უღირსი მიზეზია. ამაზე ნურც იფიქრებ.

როგორ უნდა დაამარცხო ჩჩუბში შენზე ფიზიკურად უფრო ძლიერი მონინაალმდეგე? მე გეტყვი: მოულოდნელობით. პირველმა დაარტყო და რაც შეიძლება მაგრად. სანამ ის აზრზე მოვა, ურტყო გაუჩერებლად, და ვიდრე მიხვდება, რა ხდება, უკვე საკმაოდ დასუსტებული იქნება. ეს რომ გააკეთო, უშიშარი უნდა იყო. ამას კი პრაქტიკა სჭირდება. შენმა ტაქტიკამ რომ გაამართლოს, ეს რამდენჯერმე უნდა ჩაიდინო, მერე შიშაც დაძლევ. არ დაგავინწყდეს, რომ შენ მიერ წამოწყებულ ჩჩუბს მეგობრები შეასწრო, ან უამბი მაინც ამის შესახებ. ეს დაგეხმარება მოგვიანებით ერთობლივი მითის შეთხვაში.

კი მაგრამ, ჩჩუბის წამოწყება ხომ ცუდი საქციელია, – იყითხავ შენ. სრულებითაც არა. მართალია, შეიძლება თავის მართლება დაგრიდეს, რომ სხვა გამოსავალი არ გქონდა და აუცილებლად პირველს უნდა დაგერტყა, მაგრამ ეს მერე. ახლა კი, თუ პირველი დაარტყამ, შეიძლება მოიგო კიდეც. წარმოგიდგენია, რა ტრიუმფია პატარა ბიჭისთვის? თუ დამარცხდები, იმას მაინც დაამტკიცებ, რომ მშიშარა არა ხარ. ის კი, თუ ვინ დაინტერ ჩჩუბი, რთული, მაგრამ მეორეხარისხოვანი საკითხია.

მომხდარის ბევრი ვერსია გავრცელდება. შენ და შენს მეგობრებს ერთი ვერსია გექნებათ, სხვებს – სხვა. ნეიტრალური მაყურებელი კი, რომელმაც დანახას, რომ პირველმა შენ დაარტყო, სავარაუდოდ, არ მოისურვებს შენს გადამტერებას, მით უმტეს, თუ პრძოლში გაიმარჯვე.

ფიზიკურად ძლიერი მტრის ჩჩუბში დამარცხება სხვაგვარადაც შეიძლება: იარაღით. იარაღის ტარებამ, თან თუ

ბედიც გწყალობს, შეიძლება ბოლო მოულოს შენს ჩაგვრას, მაგრამ ალბათ უფრო სავარაუდოა, რომ შენმა მონინაალმდეგემაც ჩაიდოს იარაღი. იარაღს საიდუმლოდ ვერ ატარებ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, გინდა მტერი შეაშინო და დაანახო ეს იარაღი; მეორეც იმიტომ, რომ ერთი სული გაქვს, მეგობრებს ანახო ეს თვალწარმტაცი ნივთი; მესამე კი იმიტომ, რომ მასში შენი ადრინდელი დამარცხების ერთგვარ კომპენსაციას და ძლიერების სიმბოლოს ხედავ: არ გეშინია, იარაღი, ვთქვათ დანა, მუდამ თან გაქვს და ყოველთვის მზად ხარ ჩჩუბისთვის. გაითვალისწინე, რომ ამის შემდეგ შენი მონინაალმდეგეც ჩაიდებს დანას.

მაშ ასე, ორივეს გიდევთ დანები და, როგორც ჩანს, ორივე მზად ხართ ისინი იხმაროთ. მაგრამ შენ უპირატესობა აღარ გაქვს, ვინაიდან მონინაალმდეგე უფრო დიდი ან ფიზიკურად ძლიერია. გამოსავალი? უფრო დიდი დანის ან უფრო შთამბეჭდავი იარაღის შოვნა და იმის იმედი, რომ შენი მონინაალმდეგე იმავეს არ იზამს. განა არ იზამს?

აქამდე როგორ მიხვედი? თავიდან ჩჩუბი ხომ თავშიც არ მოგსვლია. იყავი შენთვის, არავის ანუხებდი, სანამ იმ ჩჩუბისთავმა არ გაგლახა ისე, როგორც ბევრი სხვა გაულახავს მანამდე! როგორ უნდა მოიქცეს პატარა ბიჭი, რომელსაც არც ჩჩუბი უნდა, მაგრამ არც მშიშარას რეპუტაცია

ზურალლება არ დულება. თითოეულ ალიანსს სათავეში უდგას ძლიერი ლიდერი
(ყოჩი) და ჰყავს დასასავალი რაგიძეზი,
რომელმაც, სხვათა შორის, დასვის სანაცვლოდ, აღრე თუ გვიან, რამ უდება.
საფასური სხვალასხვანირი შეიძლება იყოს.

ხიბლავს? ან თუნდაც დიდი ბიჭი, რომელსაც ჩჩუბი არ უყვარს ან დანიანი მონინაალმდეგის უშინია? პატარა და მშიშარა ერთია, მაგრამ დიდი და მშიშარა კიდევ სულ სხვაა. არა, არა, ჩჩუბს თავს ვერ აარიდებს. რაც უნდა იყოს, ეს ღირსების და პატივის ამბავია!

ისეთი ბიჭებიც ხომ არსებობენ, რომლებიც საერთოდ არ ჩჩუბობენ? რა მიზეზიც უნდა დაასახელონ საიმისოდ, თუ რატომ არ ჩჩუბობენ, ვერავის დაარწმუნებენ, რომ ნამდვილი მიზეზი სიმბდალე არაა. გაბატონებული აზრით, ისინი სუსტები არიან და არავის დამარცხება არ შეუძლიათ. მოკლედ, მშიშები გამოდიან. აბა, სხვა რა უნდა იყოს?

რა ცხოვრებისეულ გაკვეთილს სწავლობს პატარა ბიჭი, რომელიც დიდმა ბიჭმა გალახესაგან დაიხსნა? რა არჩევანს გააკეთებს ის ცხოვრებაში (იქნება ეს პირადი, პოლიტიკური თუ ფინანსური სფერო), როცა საზოგადოებაში უშიშრობა უფრო მოსაწონი თვისებაა, ვიდრე საღი აზრის ქონა? ერთგულება უფრო ფასობს თუ სიმართლე?

რა ელით ამ ბიჭებს? ■



REUTERS

საკანი, როგორც ბაქანი და რომელმაც ზაკანი უსწობის ნაცვლაში სახე

ავტორი: დავით ბუხრიძეიძე

„უცნობად“ წოდებული გიორგი გაჩეჩილაძე – ყოფილი მსახიობი, ამჟამად ბარდი, მომავალში ალბათ საზოგადო მოღვაწე, სატელევიზიო პიარ-ტექნოლოგი და, უბრალოდ, ალალი თბილისელი კაცი, ორი თვეა, ნებაყოფლობით ჩაჯდა სატელევიზიო „საკანში“; ალთქმაც კი დადო, რომ „სანამ ტირანი მიშა არ წავა, ციხიდან არ გამოვა“. ტელეკომპანია „მაესტრო“ ლაიზენუს რეჟისორი დეტალურად გვაცნობს უცნობის სადლელამისო ცხოვრების რიტმს – ყავს სმიდან დაძინებამდე, გულლია მასპინძლობიდან უმიზიზო გავეშებამდე, ძინიგურიდან ალასანიმდე, ტურაშვილიდან სტურუამდე, მარტივი პოზიტივიდან შედარებით რთულ პოლიტიკურ ინტერალებამდე. არანაირი ეჭვი და პესიმიზმი, რომ რაღაც მთლად ისე ვერ არის. ცხადია, ყველაფერი გამოვა და, რაც მთავარია, ყველაფერი სამშობლოსა და მომავლის სახელით მოხდება.

მართალია, ლამის 24-საათიან რეჟისორი მომუშავე „საკანი N5“-ს ცოტა აგიტ-პრომის იერი დაჰკრავს, ხოლო „პატარა გრეჩიხას“ რვამარცვლიანი ლექსები ბოლომდე ვერ გამოხატვენ მის მოქალაქეობრივ გულისტკვილსა და ესთეტიკურ პათოსს, მაგრამ თავის დროზე არც მიშას დაუკრეფია ვარდეგბი უკელოდ; თანაც მარტო სატელევიზიო „ყუთში“ კი არ იჯდა, ქუჩებშიც ძალიან ბევრს დარბოდა და მასაესისტებისთვის ხომ ნამდვილად არ ეცალა. მაგრამ როგორც მას „საკანი-დან“ ემუქრებიან, ქუჩის მოტანილს ისევ ქუჩა წაიღებს.

პოეტის, მუსიკოსისა და რევოლუციის ტრიბუნის, გიორგი გაჩეჩილაძის სატელევიზიო რეიტინგი: გივი, გივი, გივი... შეიძლება გავიგოთ როგორც გამოცხადებული სამოქალაქო აკვიატება ან პერსონიფირება; უკეთეს შემთხვევაში, როგორც საშუალება მთვლემარე მოქალაქეობრივი ცხოვრების გამოსაფხილებლად. ამასთან „პატიმრის“ ლექსიური მარაგის სიმწირე, მოწვეული სტუმრების დახარისხება და პოლიტიკური თვალსაზრისით გამარტივებული, ერთგუნზომილებანი მსჯელობანი „მაესტროს“ მაყურებლისთვის ხელისშემშლელი სულაც არ არის. არც „ვარდისფერი“ საზოგადოებრივი მაუწყებელი შესავაზებს მას რამე უფრო ღრმას და დამაფიქრებელს, არც „რუსთავი 2“ გაბედავს და რამე მოქალაქეობრივ აქციას ჩაიდებს. უმედოდ გაყიდულ „იმედსა“ და აქუბარდას ერთოთახიანი სიმართლის ქრონი „კავკასიზე“, რომ არაფერი ვთქვათ.

მოკლედ, მამუკა ღლონტისა და უცნობ-გაჩეჩილაძეს გარკვეული შანსი ეძლევათ, „საკანი N5“ რევოლუციის ტრიბუნად აქციონ, ხოლო „მაესტრო“ – „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ ახალ მოდელად. მაგრამ როგორც ჩანს, მიშა, ვანო და გივი „საკანში“ რამე განსაკუთრებულ ან სახელმწიფოებრივ საფრთხეს ჯერჯერობით ვერ ხედავენ. უცნობი „ციხეში“ ნებაყოფლობით სწორედ იმიტომ ზის, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს ან სინდისი გაუდგიძოს, ან მოახლოებული რევოლუციით დააშანტაჟოს. 9 აპრილამდე დარჩენილ დროს

კი ახალი წლის დადგომამდე დარჩენილი წამებივით უფლის. ალბათ იმის საფუძვლიანი იმედიც აქვს, რომ ისევ ირასი ათა-სი კაცი შეიკრიბება და ისევ იმ მრავალტანჯულ მოედანზე.

ლაივ-შოუს პრინციპებმა, ზოგადად, ტელევიზიაში მაყურებელს ლანდღვა-გინების მოსმენის სურვილი კიდევ უფრო გაუღვივა, ისევე, როგორც გაზარდა მაგრინალური და აგრესიული ქმედების შანსი. სხვათა შორის, ეს ხელისუ-ფლების მიერ კონტროლირებადი არხების სიყრუისა და სიმუნჯის ბრალიცაა, რომელთა მიმართ ნდობა საზოგადოებაში ძალიან დაბალია. ამდენად, ბურთი და მოედანი ისევ „კავკასიასა“ და „მაქსტროს“ რჩებათ. არც ისაა გასაკვირი, რომ „საკანი“ ყველაზე რეტინგული გადაცემაა ქართულ სატელევიზიო სივრცეში. მას უყურებენ „ვიგრები“, ლუმპენები, სტუდენტები, ბანკის თანამშრომლები, „ვანოს შოუთი“ და „მშვენიერი ცხოვრებით“ იმედგაცრუებულები, ნაციონალები, ლეიბორისტები... ცხადია, განამებული დისახლისებიც, რომლებიც ზოგჯერ აკვირდებიან, როგორ სძინავს უცნობს პირდაპირ ეთერში.

უცნობის სამოქალაქო მონოდებები თუ პოლიტიკური შეხედულებები, ძირითადად, ზედაპირულია, ხოლო ემოციური სულისკვეთება უფრო ისტერიული. სამაგიეროდ, ენერგიულია და მიზანმიმართული; ამავე დროს – შინაგანად დამუხტული, დროდადრო გამოუხატავი თუ არავერბალური სიმართლით იტანჯება, რომელიც სურს, მაყურებელსაც გაუზიაროს. ტელეკამერის შიში საერთოდ არა აქვს და გადამდები გულწრფელობა ახასიათებს. ერთდროულად ქველბიჭურ-აღმ-სარებლობითი ინტონაციები, ქალაქელის, ძმაკის, პოეტის, მექანისის იმიჯი მაყურებელზე ზუსტადაა გათვლილი და შესაბამისად ზემოქმედებს კიდეც. შოუ განსაკუთრებით მოსწონთ მოზარდებს, ქალებსა და სოციალურად დაუცველებს. აღარაფერს ვამბობთ „ფორუმზე“ მიმდინარე დისკუსიებზე, რომელმაც დიდი ვრცებათალელვა გამოიწვია.

მას მოულოდნელი გაორება ახასიათებს: ერთი მხრივ – სევდა საბჭოთა წარსულზე („სოჩიში სამი დღით საგრიალოდ რომ ჩავდიოდით“), და მეორე მხრივ, ახალი დღოის შესაბამისი მოთხოვნები; ამსტერდამსა თუ ბარსელონაში „თავის შეფარების“ სურვილი. უცნობი თან რუსეთთან ძმური ურთიერთობის აღდგენის მხურვალე მომხრეა, და თან დაგროვილ ისტორიულ ბოლმასაც არ ივიწყებს.

„საკანში“ შესული სტუმრები მათი ინტელექტის, ტელეკამერსთან ურთიერთობის თუ პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, რაღაც წინასწარ განსაზღვრულ თამაში ებმებიან. როგორი განწყობაც უნდა ჰქონდეს სტუმარს, თავს მაინც ვერ აღნევს ერთგვარ დაკითხვა-გამოძიების რეჟიმს. მძიმე შთახებდილებას ტოვებს საკან-სტუდიაში შექმნილი ფსიქოლოგიური და პოლიტიკური შეუწყნარებლობის ატმოსფერო, რომელიც უცნობს ეხმარება ერთგვარი ფსიქოლოგიური შოკის მდგომარეობაში ამყოფოს განსხვავებული მოსაზრების მქონე სტუმრები; და, რაც მთავარია, ის თითქმის დაცლილია იუმორისა და თვითირონისაგან, რითაც ემსგავსება სწორედ პოლიტიკურ პონენტებს – პრზიდენტ საკაშვილის ურცხვ და უპასუხისმგებლო მხარდამჭერებს, რომლებიც, ამდენი ტრაგიკული შეცდომის მიუხედავად, უკვე

სასაცილოდ ქცეულ სლოგანს – „მიშა მაგარია!“ პატარა ბავშვებივით უაზროდ იმეორებენ.

ახალგაზრდული მაქსიმალიზმი – სანამ მიშა იქნება და ხელისუფლება არ შეიცვლება, საკანში დავრჩები – ცოტა სასაცილოა და, დისიდენტურ თავგანნირვას კი არა, ბავშვურ ახირებას ჰგავს. ისე, საინტერესოა, გერმანიაში რომელიმე კერძო ტელეკომპანიამ, ან რიგითმა პოეტმა რომ მოინდომოს მსგავსი შოუს გაკეთება, თანაც იგივე პრინციპით ანგელა მერკელის გადაყენება მოითხოვოს, რა რეაქცია ექნებათ ან ხალხს ან ორგანიზაციორებს ან ქვევენის კანცლერს?

ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც: კრეატიული პიტი და პოტენციური რევოლუციონერი გიორგი გაჩერილაძე, 60-იანი წლების საბჭოთა ინტელიგენტებისგან განსხვავებით, მარტო სამზარეულოში, მეგობრებთან ერთად არ ლაპარაკობს პრობლემებზე და ეს თავსუფლება, ანუ „სამზარეულოს მიღმა“ კონტაქტები ძვირიც უჯდება; როგორც პირდაპირი, ისე არა-პირდაპირი გაგებით. ხშირად უცნობის სინრფელე მისსავე

ას მოულოდნელი გაორება ახასიათებს:

ერთი მხრივ – სევდა საბჭოთა წარსულზე

„სოჩიში სამი დღით საბრიალოდ

რომ ჩავდიოდით“), და მეორე მხრივ,

ასალი დროის შესაბამისი მოთხოვნები;

ამსახურებასა თუ ბარსელონები „თავის

შეფარების“ სურვილი. უცნობი თან

რუსეთთან ძმური ურთიერთობის აღმზადების

მურვალე მომხრეა, და თან დაგროვილ

ისტორიულ ბოლოსას არ ივიწყებას.

დილემად იქცევა, ისევე, როგორც მისი პოეზიის ხარისხი. სიმღერის ამგვარი პერიფრაზი – „რედეი სირი გინოდე, ხელი გამოგინოდე“ – მიშას ბრალი არ შეიძლება იყოს.

იქნებ ამიტომაც არ მიღიან ხელისუფლების წარმომადგენლები მასთან „საკანში?“ ირმებრივი უნდობლობა და შეურაცხყოფა ხომ ნებისმიერ პრობლემას ართულებს და ადამიანთა შორის ურთიერთობას კიდევ უფრო აფუჭებს. თანაც ხელისუფლებას აღარ შერჩა ისეთი ინტელექტუალური თუ მორალური რესურსი, რომ მსგავს ლაივ-შოუში დახარჯოს საკუთარი თავი. ამიტომ ჩუმად და შორს ყოფნას ამჯობინებს, „საკანში“ ინტელექტუალური თვითლუსტრაცია რომ არ მოახდინოს. თუმცა ვერ კიტყოდი, რომ იქ მინვეულმა ოპოზიციონერმა თუ ინტელექტუალმა სტუმრებმა თავიანთა აზროვნებითა და მასტაბით გაგვაოცეს.

ისევ უცნობის მარტივ რითმებსა და ცხად პოეზიას რომ დავესესხორ, „საკანი“ რეალურად არის დროებითი ბაქანი, სადაც ჩერდები, ისვენებ, სულს მოითქვამ და მერე უკანი დაგჭირდება... ისე, სიმბოლურადაც და – მორიგი რევოლუციის მოსაწყობადაც. ■



სოფელი ხარა, ბალის საზღვაოზო პოლო სახლი

ტყუილ-მართლის ზონა

ავტორი: თამარ ბაბუაძე

ფოტო: ლავით მასხი

წასვლის წინა ღამეს ჩემ ქმარს და-
ვუფიცე: ანდრიას გეფიცები, შენ თავს
გეფიცები, დედას გეფიცები, თუ ვე-
ცადო გმირობას, თუ მოვინდომო სა-
შიშ ზონაში გადასვლა და თუ ჩავიგდო
თავი საფრთხეში.

არც განმუხურში წახვიდე!

— თუ შევატყობ, რომ რამე საფრ-
თხეა, გეფიცები, ზუგდიდიდან ფეხს
არ გავადგა!

ეს ოჯახური მოლაპარაკებები „კუ-
რიერის“ მიმდინარეობისას, სარეკლამო
პაუზის დროს შედგა. მანამდე საინ-
ფორმაციო სააგენტოებში ამოკითხუ-
ლი ცნობები „კურიერის“ დამზაფრავ

ინტონაციას ერთი ერთზე დაემთხვა და
მე და ჩემი ქმრის ემოციებზეც თანა-
ბარი წარმატებით იმოქმედა: რუსეთის
საოკუპაციო ჯარები გალის რაიონში
პოზიციებს აძლიერებენ; აფხაზური მი-
ლიციის მიერ გალის რაიონის სოფელ
მეორე ოტობაიადან გამოძევებული 50-
მდე ოჯახი ჯერაც სოფელ განმუხურ-
ში იმყოფება; ოკუპირებული ტერიტო-
რიიდან გამოქვეული ირაკლი ბიგვავა
თავს ისევ ზუგდიდის რაიონს აფარებს;
გალის სოფელში ქართული მოსახლე-
ობის პასპორტიზაცია ზენოლითა და
მუქარით მიმდინარეობს; მოსახლეო-
ბას აყაჩალებენ; სროლები ყოველ ღამე

ისმის. ადამიანები შიშისა და ზენოლის
ქვეშ ცხოვრობენ – ამ რეალობის გა-
თვალისწინებით, რომელიც ნაციონა-
ლური მედიის საშუალებით „ივერება“,
კითხვა – „სად მიდიხარ, თბილისში და-
ეტიე“ – ჩემი ქმრის გარდა, საკუთარი
თავისადმი მეც გამიჩნდა. თუმცა, ხმა-
მაღლა არაფერი მითქვამს. ისევ ჩემმა
ზუგდიდელმა მასპინძლებმა გერონტი
ყალიბიავამ და გუგა ლაგვილავამ დამა-
მშვიდეს, – „ჩამოხვალ და ნახავ, რომ
საშიში არაფერია. არც ისეა საქმე,
როგორც შენ მანდ ისმენ!“ – მითხრეს
ტელეფონში და შემდეგ მეც ხელახლა
ვიპოვე საკუთარ თავში ზუგდიდში გა-



რეაგირებული მთაბი სოფიალ ხარჩაში

მგზავრების თავდაპირველი მოტივი: თბილისიდნ ტყუილ-მართალის გარჩევა ჭირს. ჩემს პირად განწყობას საზღვარზე განვითარებული მოვლენების შესახებ მხოლოდ ტელევიზია განსაზღვრავს. ამიტომ, საკუთარი თვალით ნახვა და საკუთარი ყურით მოსმენა ტელევიზიისგან შექმნილ ბურუსს გამიფანტავს. იქნებ მოვხვდე, რა არის პროპაგანდა, რა არის სინამდვილე. ეს იყო მოტივი. ამიტომ წავედი ზუგდიდში.

...

ოჯახური პაქტი ჩასვლისთანავე დავარღვიე. „ხურჩაში გინდა?“ – კითხვა ისეთი მშვიდობიანი ტონით დამისვეს, რომ, – მერე საშიში არ არის-მეთქი, – მგონი, აღარც მიკითხავს, თავი ენერგოულად დაფუქრიე.

სანამ ბათუმიდან ჩამოსული მესხი ჩავისვით, სანამ გენკასა და გუგას შე-

ვხვდით, ზუგდიდს რამდენიმე წრე დავარტყით. ზუგდიდში ჯარები დგანანო, – ცილს ვერავის დავნამებ, ტელევიზიორში არავის უთქვაშის, მაგრამ, ეტყობა, საერთო საომარი პროპაგანდის ბრალი იყო, რომ წარმოდგენა ზუსტად ასეთი მქონდა. ქალაქში პოლიციის შემინული და მოდერნისტული შენობა კი მომხვდა თვალში, გზებზე მხვდებოდნენ პატრულის მანქანები და პოლიციელებიც, მაგრამ სხვა არაფერი: ფართო გადასასვლელებზე, შუქნიშანზე ჩვეულებრივად ჩერდებოდა ხალხი, ტროტუარების გასწრივ დადიოდნენ ველოსიპედიანი ზუგდიდელები, საავტომობილო გზებზე კი – მხოლოდ მანქანები. შუქნიშანზე შეჩერებისას ტრაფარეტი წავიკითხე სმამალლა: „სოხუმი – 102 კმ.“ დათომ, ჩვენმა მეგზურმა კი ხმამაღლა წაიოცნება, – გამიშვან და ნაძლევს დავუდებ, ვისაც გინდა, 40 წუთში იქ ვიქნებიო...

სოხუმისკენ მიმავალი გზატკეცილი-დან სოფლის შარაზე გადავუხვიეთ. ტრაფარეტი: „კოკი – 4 კმ., „ორსან-ტია – 6 კმ., „ხურჩა – 7 კმ.“. დათოსი არ იყოს, ამ გზების გათელვისას მივხვდი, როგორი პირობითი და უაზროა ხელოვნურად დაწესებული საზღვრები და დრო. თუ დათო ოცნებობს, – 40 წუთში ჩაგალ სოხუმშიო, – გენკა მიყვება, როგორ ჩადიოდა მამიდასთან ჭუბურხინჯში სკოლის მერე, ზუსტად 15 წუთში. ახლა ამ 15-წუთიანი მანძილის დასაფარად რამდენიმე შლაგბაუმისა და საგუშაგოს გავლა და წითელი საბჭოთა პასპორტის ქონაა საჭირო. არადა, საგუშაგოების ორივე მხარეს ჩვეულებრივი სოფლებია, ხრეშიანი ორლობებით და თხილნარით, აქეთ-იქით დარჩენილი და გაყოფილი ოჯახებით, ურთიერთობებით და წარსულით. ცოტა უცნაურია იმის



სასახლეში სოფლის ბზაბასაჩარი

სოფელ გარეჯის ახლად გასცილი ფოსტა

წარმოდგენა, რომ ნაბაკევიდან ხურჩაში გადმოსასვლელად, პატარა ტყის ტაფობსა და პატარა ლელეზე გადმოვლისას ადამიანმა საგუშაგო პოსტი უნდა გადმოკვეთოს და მესაზღვრეს პასპორტი წარუდგინოს...

ხურჩა სამეგრელოს ბოლო წერტილია. ამ პატარა ლელეზე აფხაზეთის რესაპუბლიკის საზღვრი გადის (თვითალიარებული, ანდა მარიონებული, როგორც ჩვენთან ამბობენ). ხურჩაში 20 წუთში ვართ. მანამდე სოფელ კოკს გავდივართ. დანგრეულ გზაზე ბებერი ძალით ტყლაპოში წევს. ჯერ მკვდარი მგონია, ჩავუვლი და მზერას მაყოლებს. იქაურობა დაბომბილს ჰგავს – არც ერთი ბაცშვი, არც ერთი ძროხა, არავინ და არაფერი. ძლივს, ერთ-ერთ ეზოში გოგოს ვხედავ. ხის ქვეშ დაუდგამს სკამი, ფეხი ფეხზე გადაუდია და მკლავებში შეფუთნულ ჩვილს არწევს. გავცდით

სოფლის სასაფლაოსაც და გადავიარეთ ენგურის რკინის ხიდი. ხურჩა იმ რამდენიმე მეგრული სოფლის რიცხვში შედის, რომელიც ენგურს გადაღმა მდებარეობს, მაგრამ მაინც ქართველი მესაზღვრები აკონტროლებენ. ხიდის მეორე მხარეს პირველი ქართული პოსტია. ქვემით დატენილი ტომორებით აშენებულ საგუშაგოში ათოდე მესაზღვრე ზის. გალიმებულები გვხვდებიან. სანამ ერთი დათოს პასპორტს უმონმებს, და – საიდან მოდისართო, – ეკითხება, მეორე ხმამაღლა ოცნებობს, – ისე, კი წავიდოდა კაცი თბილისში. გუგა მეუბნება, – აგვისტოში, ამ ქართული დროშის ნაცვლად, აქ აფხაზური დროშა ფრიალებდაო, – და მაფრთხილებს, – ადგილობრივებს ფრთხილად ელაპარაკე, თუ გთხოვეს, დიქტოფონიც გამოურთეო.

სოფლის ბირჟაზე ვწერდებით. უცხო მანქანის დანახვაზე ხურჩელები წა-

მოიშლებიან და ინტერესით უსმენენ გუგას და გენკას მეგრულ განმარტებებს, ვინ ვარ და რა მინდა. მერე ყველა ერთ ხმაში იწყებს ლაპარაკს. ჩემს თითო კითხვას ათ პასუხს ახვედრებენ. ზოგჯერ პასუხები ერთმანეთს არც ემთხვევა და საშინლად ვიბნევი. თუმცა, ურთიერთგამომრიცხავ ცნობებზე ოდნავ ქვემოთ. ახლა ერთ სასიამოვნო ქალს, შორენას გამოვარჩევ ხალხიდან და გადიდებული ყურებით ვუსმენ. პოლიტილენის ზოლიან პარქს მიშლის, შიგ ტანსაცმელი უწყვია, – ამ პარკზე მძინავს ყოველ ლამე, როგორც კი სროლებს გავიგებ, აქეთ გამოვრბივარ. დიდად უსაფრთხო, წესით, არც აქ არაა, მაგრამ ჩემი სახლი ზედ ზოლზე დგას და აბა, რა ვქნაო. აგვისტოს მერე აქეთ გადმოსული რუსები და აფხაზები არ მინახავს, მაგრამ როცა სროლების გამო სოფელი ცარიელდე-



ბა, იქნებ, გადმოდიან კიდეც და ჩემს სახლში შედიანო. გაგებით ვერაფერს გავიგებ – წასაღები და მოსაპარი აღა-რაფერი დამრჩაო.

ავტომატის გადაბმულმა ჯერმა ხურჩელები ბოლოს გუშინ, 9 მარტის საღამოს შეაშინა. შორენას სახლის გადაღმა მთელი საათის განმავლობაში ისროდნენ. შორენა და მისი მეულე კოკისკენ წამოვიდნენ. შვილები, გოგო და ბიჭი, კარგა ხანია, გახიზნული ჰყავთ, ლამეს საზღვრისპირა სახლში მარტო ცოლ-ქმარი ათევს – რამდენ-ჯერ გამოვქცეულვართ ღამის ორ-სამ საათზე აქეთო, – გვიყვებიან, თან გვეპატიულებიან, – თუ არ გეშინიათ, წამოდით, ჩვენს კარ-მიდამოს გაჩვენებთო. მანქანას იქვე ვტოვებთ და წვიმით დატბორილ შარას ფეხით მივუყვებით. მთელი ხურჩა მოგვდევს უკან. სოფე-ლი მინდოორზეა გამენებული. ნაწიმარ

სიმწვანეს ყვითელ ლაქებად გასდევს ყოველ ეზოში მწერივებად ჩანიკინებული ნარცისები – მეგრული კარ-მიდამოს მთავარი ატრიბუტი. იქაურობა მართლა ძალიან ლამაზია, ვიდრე სახლებს არ დააკირდები. ბევრს ფანჯრის ჩარჩოებზე პარკები აქვს აკრული, სახურავები გადახდილია, ზოგან კარის და ფანჯრის ჩარჩოები მთლიანად ამოღებულია და შელესილი ბეტონის ანდა ფიცრების კვადრატების შიგნით სიშავე ჩანს. ეზოები კი აქვთ ჩანიკინებული, მაგრამ, როგორც გუგა ამბობს, ყველანი საცერივით სახლებში ცხოვრობენ – ავტომატის ტყვიებით მთლიანად დაცხრილულ, გაძარცვულ და იატაკაყრილ სახლებში.

შორენას სახლს ნაბაკევისგან უკანა ეზო და ღელე ჰყოფს. 1993 წლიდან მოყოლებული ერთ-ერთი პირველად დაიწყო, შორენას ოჯახს მინა ჰქონდა ნაყიდი ახალი სახლის ასაშენბლად, ერთ საღამოს კი სოფელში იყვირეს, – უშველეთ თაგე, აფხაზები მოდიანო, – და მისმა ოჯახმაც დატოვა ყველაფერი და თავი კოქს შეაფარა. აფხაზე-

მე. პრინციპში საზღვარზე მოსეირნე გუშაგების დანახვა სახლის ფანჯრი-დანაც შეუძლია. ამბობს, – ახლოს კი მოდიან, მაგრამ არაფერს გვიშავებენ, თავიანთ პერიმეტრს აკონტროლებენ. აქ აფხაზს აფხაზას ეძახიან, ჰოდა, აფხაზა იმდენჯერ არის გადმოსული ხურჩაში, ხურჩელები კი იმდენჯერ არიან აყრილები და გაქცეულები თავიანთი სახლ-კარიდან, რომ 15 წლის განმავლობაში დაგროვებული ინციდენტები ერთმანეთში ერევათ. ამიტომ გაქცევის, სროლის, დაყაჩაღების თუ დახვრეტის ისტორიებსაც არეულად ჰყვებიან. როცა ყველაფერი პირველად დაიწყო, შორენას ოჯახს მინა ჰქონდა ნაყიდი ახალი სახლის ასაშენბლად, ერთ საღამოს კი სოფელში იყვირეს, – უშველეთ თაგე, აფხაზები მოდიანო, – და მისმა ოჯახმაც დატოვა ყველაფერი და თავი კოქს შეაფარა. აფხაზე-



© 2018 കേരള സംസ്കാര പരിപ്രേക്ഷ



Digitized by srujanika@gmail.com

ბი მაშინ ხურჩაში რვა თვეს იდგნენ. შორენა მიამბობს, — აი, ამ ოჯახის უფროსი გამოიყენეს სახლიდან და აი, ამ მინდორზე დახვრიტეს, ხუთი შეილი დარჩათო. ახლა ეს კარ-მიდამო გაძარ-ცეკლი და დაკიტილია.

აქეურების მთავარი შემოსავლის წყარო თხილია. ერთ-ერთი შემოსევის დროს შორენას სახლს ჭიშკარიც მოხს-ნეს, საქონელი შევიდა შორენას თხილ-ნარში და ყველაფერი გადაჭამა. უკან დაბრუნებულ ოჯახს გაძარცვული სახლი და მინასთან გასწორებული თხილის ნარგავები დახვდა. ყველაფერი თავიდან დაიწყეს. ხელახლა ჩაყარეს თხილის ნერგები და ააშენეს სახლი, ამასობაში ბავშვებიც გაიზარდნენ, ბიქმა რეზერვში იმსახურა, ზუგდი-დის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ ახლა სწავლას გეღარ აგრძე-

ლებს, ოჯახს ფული არ აქვს, ამიტომ
რამდენიმე დღის წინ კონტრაქტს მო-
აწერა ხელი და ჯარში წავიდა. აგვის-
ტოს ომის დროს, როგორც რეზერ-
ვისტი, გორში წაიყვანეს. იმ დღლასვე
გავარდა ხურჩაში ხმა, — აფხაზები და
რუსები გადმოდიანო, — და სოფელიც
უცემ დაცარიელდა. შორენას წასკლა
არ უნდოდა, — ბიჭზე ვდარდობდი და
სიკვდილი მინდოდა, — მაგრამ გო-
გონამ დედ-მამას უთხრა, მაშინ მეც
თქვენთან ერთად დაეკრძიბიო, იძულე-
ბული გახდა გაქცეულიყო. კოში გაი-
გეს, — აფხაზებმა სოფელი დატოვესო
და ის იყო, უკან დაბრუნდნენ, იქნებ,
ცოტაოდენი თხილი მაინც ავკრიფო-
თო, — რომ ახალი განგაში ატყდა, —
უკან ბრუნდებიანო. ხურჩელებმა თავი
ახლო-მახლო ტყეებს შეაფარეს. მზია
მიყვება, როგორ გაატარეს ტყეში სამი
დღე-ლამე ისე, რომ არაფერი უჭამიათ.

მეოთხე დღეს შიმშილს ველარ გაუძლეს
და გარისევს – ძაძებში გაეხვინენ, ვი-
თომ კოკში დაკრძალვაზე მიდიოდნენ
და პურის საყიდლად გადავიდნენ. იქ
კი თაგვისგან ნაჭამი პური შეხვდათ,
მეტი არაფერი. ახლა ამბობს, – ეს
გენწყინს ყველაზე მეტად, რომ არავის
ვახსოვართ, თითქოს არ ვარსებობთო.
მაშინაც კი არავის უფიქრია ჩვენზე, –
იქნებ პური მაინც შეჯუგზავნოთ ხურ-
წილაბსაო....

დაგინებულ სასაზღვრო სოფელს
არც სკოლა აქვს და არც ავტობუსი
ემსახურება. აგვისტოს მომადე ბავშ-
ვები სკოლაში, გალის ტერიტორიაზე,
ნაბაკევში გადადიოდნენ. ახლაც და-
დიან, მაგრამ კანტიკუნტად და ისიც
უმცროსკლასელები, — პატარებს
აფხაზები არაფერს უზამენო; უფრო-
სები კი კოკის სკოლაში დადიან. თუ-
მკა, ესევი რთულია. მოსწავლიერს



ააზრიობთა ხანაში გამოვარის

ფეხით სიარული უწევთ. ხურჩამდე მხოლოდ მარშუტკა მიდის, მგზავრობის ლირებულება 2 ლარია. მზია კი მეუბნება, – შემხედე მე და შეხედე ჩემს სახლს, იტყვი რომ მე შეიძლება მქონდეს დღეში 4 ლარი მხოლოდ მგზავრობაში რომ გადავიხადონ?

ბინდდება, მაგრამ ნათურა არც ერთ სახლში არ ანათებს. შუქი გვაქვს, მაგრამ გრაფიკითო. რაც ყველაზე უცნაურია, ვარკვევ, რომ ხურჩა ელექტროენერგიას ნაბაკევიდან, ანუ გალიდან იღებს. თვეში 12 ლარსაც ნაბაკევში, ანუ აფხაზეთის მხარეს იხდიან. მზია მიამბობს, – თუ სიწნარეა და ქართული ტელევიზიით აქაურობის შესახებ არაფერი ცუდი არ გადაიცემა, წენარად არიან, არც ისვრიან და შუქსაც გვაწოდებენ, მაგრამ მათ გუნება-განწყობაზე ვართ დამოკიდებული, ვაი და ცუდ ხასიათზე არიან, შუქს არ

მოგვცემენო. მეორე დღეს ზუგდიდში „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოფისში ვარკვევ აფხაზური ელექტროენერგიის ამბავს. მეუბნებიან, რომ ჩვენი დენი გაცილებით ძვირი ღირს, აფხაზეთიდან გადმოჭიმული ელექტროენერგიაში კი გაცილებით ნაკლებს იხდიან. ამიტომ ხურჩელებმა და კიდევ საზღვრისპირა სოფლებიდან რამდენიმემ (მთა შორის არის სოფელ განმუხურის ნაწილი, ასევე ანაკლია, ორსანტია და კოკი) „ენერგო-პროს“ მიერ სოფლებში დაყენებულ ტრანსფორმატორებში გალიდან გადმოჭიმული ელექტროენერგია მიაერთეს და იმას ხმარობენ. ქართული მხარის კეთილი ნება გამოიხატება იმაში, რომ ამ უკანონობის გამო, არავის სჯიან. თუმცა, კეთილი ნება პრობლემის უფრო ეფექტურად გადაჭრას ველარ წვდება. ზუგდიდში გავიცანი ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ ხურ-

ჩელები აფხაზური დენის გამოყენებით თვისანთ ქვეყანას ღალატობენ, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს არად აგდებენ და საკუთარი თავის გადარჩენაზე ზრუნავენ. ვინც ასე ფიქრობს, ალბათ, ხურჩაში არასოდეს ყოფილა, თორემ... ყველას უნდა თავისი სახლი დაგვათვალიერებინოს. მზია და შორენა გვერდით მომყვებიან. იმ დღეს ერთი ჩვენი მეზობელი ამბობდა, – კარგი ფარდები ვნახეო; ფულს რომ თავი დაანგებო, სურვილიც ალარ მაქვს, რომ სახლში რაღაც ახალი შევიტანო, რისთვის – თორემ კი, სულ განგაშში ვცხოვრობო.

ახლა მდივნიშვილების ჭიშკარში შევდივართ. აქ აგვისტოში რუსების შტაბი ყოფილა. სამახსოვროდ კი ოჯახს კედლებზე მიწერილი გრძებები და დანით ამოტვიფრული სამიზნე დაუტოვეს, – როცა თვრებოდნენ, ალბათ



კატრიკითა პანაკი ჩამოასრული

დაწეს ესროდნენ დახატულ ქართველ კაცს და ერთობოდნენო...

მინდორზე სახელდახელოდ გაშლილი სუფრის გარშემო მამაკაცები არიან შეკრებილები. მიხსნიან, – იქეთ ნაბაკევში, ამ კაცს მამა გარდაეცვალა, იქით ვერ გადადის, ყოფილი სამხედროა და აქვე გაშალა ქელების სუფრაო. სამაგიეროდ, რამდენიმე წუთში დელებზე სატირალიდან დაბრუნებული რამდენიმე შავოსანი ქალი გადმოდის. ინტერვიუზე უარს ამბობენ. არ ჩერდებიან, მიდიან და თან გველაპარაკებიან, რომ რუსული პასპორტი აქვთ, ნაბაკევში ასე გადადიან, საგუშაგოზე აფხაზები ჩვეულებრივად ატარებენ, ახალი რუსული პასპორტების დარიგება ჯერ არ დაუყიდათ, – მოყლედ, არაფერი სდებაო. მათი სიტყვაძუნობა მესმის. არ უნდათ, მათ სიტყვებს აქეთ სხვანაირი კუდი გამოაბან, სხვა-

ნაირი კონტექსტი შეუქმნან და საქმე ისე გაიფუჭონ, რომ ნაბაკევში აფხაზებმა საერთოდ აღარ გადაუშვან, – რას იტყუებითო.

რამდენიმე ხურჩელმა ისიც გულწრფელად მითხრა, რომ ნანობენ, ნაბაკევში აფხაზური პირადობის მოწმობები რომ არ აიღეს, – ჩვენ ჩვენს საზღვარს ვიცავთ, ზედ სასაზღვრო ზოლზე ვცხოვრობთ, მაგრამ ამას არავინ გვიფასებს, არავინ გვპატრონობს, არავინ გვიცავს და იქნებ იმ პასპორტების აღება უკეთესიც ყოფილიყოო...

ამ პრობლემების გამო, რაც იქ მოვისმინე, ხურჩა ნაციონალური ტელემაუწყებლების ეთერში არასდროს ხვდება. ხურჩა მხოლოდ მაშინ ჩნდება ხოლმე ტელეეკრანზე, როდესაც აფხაზების მიერ ჩადენილი კრიმინალის გაშუქება და წარმოჩენა საჭირო. ასე იყო მაშინაც, როცა 21 მაისის საპარ-

ლამენტო არჩევნებზე ხურჩის სტადიონზე ამომრჩევლებით სავსე ავტობუსი აფეთქდა. ამ ფაქტზე იქაურები არ მესაუბრებიან, მაგრამ Crisis Group-ის დასკვნაში ეს აფეთქება ეჭვევეშაა დაყინებული და ნათევამია, რომ ქართულმა მედიამ ინციდენტი არასწორად გამოისახა. შემდეგ ამ არასწორად გაშუქებული ინციდენტების გამო, ისევ ხურჩასნაირი სოფლები ზარალდება. ალბათ ამიტომაც, ერთმა ხურჩელმა მესხს უთხრა, – თუ ზუგდიდის მთავრობამ არ ჩამოგიყვანათ, კარგია, ესე იგი, სიმართლეს დაწერთო.

ხურჩელები იმ იმედით გვემშვიდობებიან, რომ ზუგდიდის მთავრობაში რალაცას მაინც გავურკვევთ მისალები დახმარების შესახებ – ახლა მათ არც ერთი მუნიციპალური პროგრამით არ ეხმარებიან. ერთადერთი თანხა, რომელიც ბოლოს მიიღეს, შვეიცარიის



დავითები



ლანა მარკოზია (მარსენი), სახლის გადმილა



დავითების კამარები ჩასახლება ზუგდიდში



დავითები

მთავრობის დახმარება იყო, რომელიც მაგალითად შორენას ოჯახმა გოგონას მეურნალობასა და ერთ ტომარა ფქვილზე დახარვა – მის შვილს 15-წლიანი სტრესის ფონზე ალერგიული ვირუსი შეეყარა, ახლა ექიმები საერთოდ უკრძალავენ ნესტსა და მტკვერში ცხოვრებას და თბილისში გადასვლას ურჩევნ, – მაგრამ აბა, როგორო, – ხელებს უმწეოდ შლის შორენა.


მანქანაში რომ ვსხდებით და ხურჩის პოსტს გავდივართ, დათო მეუბნება, – წესით, ამ პოსტს აქ რა უნდა, ხურჩა რომ მთავრდება და ნაბაკევი იწყება, იქ არ უნდა იყოსო? პასუხად, შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი, შოთა უტიაშვილი მიხსნის, რომ წინათ, როცა საგუშაგო სოფლის ბოლოს იყო, აფხაზები ქართველ მესაზღვრეებს გამუდმებით ესროდნენ. მოსახლეობას კი

არ ესვრიან, ამიტომ საგუშაგო სოფლის დასაწყისში გადმოსწიეს, სამაგიეროდ ქართველები ხურჩაში გამუდმებით პატრულირებენ. ასეა თუ ისე, გამოდის, რომ ხურჩა ხელოვნურად არის მოწყვეტილი საზღვარს და იქაურების მონახულებას არც განმუშეურში ფოსტის გასახსნელად რამდენიმე წუთით ჩასული პრეზიდენტი ჩქაროს. ერთი ხურჩელი მამაკაცი კი მეუბნება: ტელევიზორში ვხედავთ, როგორ ჩავიდა განმუხურში და ფოსტა გახსნა, ჩვენ კი – ცოცხლები ვართ თუ მკვდრები ან საერთოდ როგორ ვართ, არავის აინტერესებსო.

ხურჩა ტელეეკრანზე ჩემი დაბრუნებიდან მესამე დღეს კვლავ მოხვდა. წამყვანმა გვაცნობა, რომ ხურჩაში აფხაზურ-ქართული ბანდის წევრები დააკავეს, რომელთაც ნაბაკეველი ჩარგაზიას ოჯახი დააყაჩალეს. ჩვეულებრივი კრიმინალური ქრონიკა, მეტი არაფერი.

ხურჩა ისევ ავანსცენაა დიდი თეატრის-თვის, და ამ დიდ თეატრში აპა, რა მოსატანია, ადამიანები, რომლებიც აბსოლუტურად უსახსროდ ნახევრად დანგრეულ, დაცხრილულ სახლებში ცხოვრობენ და რომელთაც სროლები თითქმის ისეთივე სიხშირით ესმით, როგორც თავიანთი სახლების გადაღმა – პატარა ლელის ჩუხჩუხი. ხურჩაში გავარდნილ ტყვიას ისე ვაშუქებთ, როგორც სახლმწიფო ინტერესებს დასჭირდება – ზოგი სროლა მასშტაბური ინციდენტის ხარისხში აგვიავს, ზოგს საერთოდ წავუკრეულ ზოგსაც კიდევ მოვიგონებთ, იმავე სახელმწიფო ინტერესებისთვის. ირაკლი ბიგვავას ტელეისტორია მახსენდება. ვიდრე ზუგდიდში წავიდოდი, ქართულმა მედიამ ოტობაიელი ირაკლი ბიგვავას ისტორია გააშუქა.

>>> გამრჩეულება გვ. 104





სტატუსის, ჯანმრთელობის და ასაკის მიღმა

რაცომ და როგორ უდეა შევიცვალოთ ია და თქვენ

ავტორი: თამარ ბაბუაძე



ისტორია

დელაბს, რომლებიც ჩვენს
ქვეყანაში ცხოვრიბან,
ყველაფარი ახლა აქვთ
მოსაკვებელი – სოციალური
სისტემას, გამართული
კანონებებისას,
პროგრესული საზოგადოებას,
უფლებებიც და შვილების
ნორმალური მომავლისთვის –
სხვა გარანტიების. და მასც,
ასეთი დელაბი ჩვენთან არ
აჩინა. კითხვა მიჩნდება –
რატომ?



საახალოო ზომი „პირველ ნაბიჯი“

ფოტო: ლაურა ბერიძელია



ფოტო: ლაურა ბერიძელია

პირველი ნაბიჯი

პირველი ნაბიჯი ფრთხილად გადა-
ვდგი. საკუთარ თავს, გამოვიდა, რომ
ავანტიურა მოვუწყვე. წინასწარ რეაქ-
ციები და გრძნობები არ გავთვალე და
არც ქცევაში ვიმეცადინე.

შეგნით უკვე გველოდნენ. კარის შე-
ღება და ურიამულის ატებვა ერთი იყო.
ბიჭი შემეგბა, მასხარას ქუდითა და
ყელზე ფერადი ჟაბოთი. როგორ ხარ?
– მკითხა და ჩამეტუტა.

კარგად, შენ როგორ ხარ? რა გქვია?
გიორგი. როგორ ხარ? – კიდევ ერ-
თხელ გამიმეორა, თან ისევ თბილად
მეცვროდა.

ამასობაში ორი „ბაყაყი“ გოგო და
ერთიც მექობრე ბიჭი მომიახლოვდნენ.
ლაპარაკით არა, მაგრამ აუტირებული
ჟესტიკულაციით მაგრძნობინეს, რომ
ძალიან უხარიდათ ჩვენი მისვლა.

ეს ლამაზი ბაყაყები ნათია და ხატია
არიან. გამართულად ვერ ლაპარაკობენ
და ამიტომ თვითონ არ გეტყვიან, მაგრამ
თქმა რად უნდა, ხომ ისედაც ეტყობათ,
როგორ უხარიათ, აյ რომ ხართ.

საშობაო ზეიმი დაიწყო. ბავშვები თა-
მაშობდნენ „ბურატინოს ზამთრის თა-
ვგადასავალს“. შუაში ეტლიანი გოგო
დავინახე და თვალი ვეღარ მოვაშო-
რე. ძალიან დიდი და ჭკვიანი თვალები
ჰქონდა. „ეგ თამუნაა, 15 წლის არის,
იცით, რა გონიერი და მგრძნობიარეა?“



კოჯის ბავშვთა სახლი

– ამიხსნა ერთ-ერთმა მასწავლებელმა. თამუნა კი მთელი გრძნობით მღერის: „ეს ცხოვრება საცალფეხო ხიდია“... მერე ასკვნის – „ეჭ, რა ძნელია მარტო ცხოვრება. მოდი, ამ ხის ნაჭრისგან თოვებინას გავაკეთებ“... თოვებინა ბექაა. ამ დროს მუსიკის მასწავლებელი ახალ სიმღერას იწყებს ფორტეპიანოზე. საიდანდაც ძალიან ბოხი და სუჟთა ხმით ვიღაც მღერის „მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება, სიხარული ღმერთმა, თურმე, ასე ინება“. თვალებით ვეძებ მომღერალს და ხელში ერთი სათვალიანი გოგო შემრჩება. ეს ნინოა. წარმოდგენა მთავრდება თუ არა, ნინოს და თამუნას გვერდით, იატაკზე ვჯდები, გულუბრყვილო შეკითხვებს ვსვამ და პასუხებს მთელი გულისყურით ვისმენ – პატარებმა რომ იცინ ხოლმე ისე.

ნინო მეუბნება, რომ ძალიან უყვარს ხატვა. გინდა დაგათვალიერებინო՞ – მეკითხება და ხელიხელჩაკიდებულები კედელზე გამოკიდებული სურათების სანახავად მივდივართ. იცი, როგორ მიყვარს სამზარეულოში ტრიალი, – დიდი ქალივით მეუბნება, – სამზარეულოში თეფშებსაც ვრეცხავ და სუფრასაც ვაწყობ; რომ გავიზრდები, იქნებ მზარეული გამოვიდეო. მერე ლევანის ფოტოაპარატზე მანიშნებს, – ეგ კარგ სურათებს იღებს, არაო? ნინო-საც უყვარს ფოტოების გადაღება, ერ-

თხელ, თურმე, კამერა აჩუქეს და მას მერე იღებს და იღებს.

თამუნა ეტლში კი ზის და დამოუკიდებლად ვერ დადის, მაგრამ თავისი გაბედულებით მაოცებს. ვცდილობ, არ შევიმზნიო, მაგრამ მიკვირს, როგორ ჩვეულებრივად მიყვება ზღვაში ცურვის ამბავს: ზაფხულში ქობულეთში წაგვიყვანეს, ზღვა ძალიან შემიყვარდა და ვიცურავე კიდეცო. სხვების მსგავსად, თამუნასაც ბოლომდე აქვს გააზრებული, რომ ბევრი რამის გაკეთება არ შეუძლია, მაგრამ თან საკუთარ თავში დარწმუნებულიც მეჩვენება. მიყვება, რომ მომღერლობაზე ოცნებობს. ჩემი სიმღერა ხომ მოგენონაო, – მეკითხება და მერე კომპლიმენტებს იფერებს. ამბობს, – ეტლი ხელს არ შემიშლის, დიანა ღურნეკაია ხომ არის უსინათლო და ხომ გახდა ვარსკვლავი, მეც შეეძლებო. სამკაულები უყვარს. ბეჭდები და სამაჯურები. ნინოსაც უყვარს, მაგრამ არ იკეთებს, თითები არ მოსწონს თავისი. კიდევ რომ მოვალ, რა გაჩუქოთ-მეტე. ნინოს ვატყობ, სახატავი რვეულები და საღებავები გაუხარდება. თამუნა არ მეუბნება. ისეთი ადამიანი არ ვარ, სხვებს რაღაცები რომ მოვთხოვთ; როცა გამიცნობ და მიხვდები, როგორი ვარ, თუ გინდა, რამე მაჩუქე, მე მაინც გამიხარდებაო, – ძალიან საყვარლად მიხსნის.

გარეთ რომ გამოვდივართ, უკვე სიბნელეა. დეკემბრის სუსტიანი ჰაერი სახეში მეჯახება და რეალობაში მაბრუნებს. ჩემი რეალობა სულ სხვაა. აქ, ჩემს სივრცეში, თამუნას და ნინოსნაირი ბავშვებისთვის ადგილი არ არის. ისინი არსად მხვდებიან, არც ქუჩაში, არც თეატრში, არც ავტობუსში. აქ ჩემთან ადამიანები დარწმუნებულები არიან, რომ მაქსიმუმი, რაც ამ ბავშვების მიმართ შეიძლება იგრძნო – სიბრალულია. რაც მართლა შეიძლება ჰუმანური განცდა იყოს, იმასთან შედარებით, რაც საბჭოთა კავშირში იყო – მათი სრული უარყოფა. თუმცა, სიბრალული არ ნიშნავს საზოგადოებრივ ცნობიერებაში მომხდარ გრანდიოზულ პროგრესს. პროგრესი ის არის, რაც არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯის“ მიერ შექმნილ მიერო-სამყაროში ვნახე.

რაც „პირველ ნაბიჯამდე“ იყო

მათგან ყველაზე პატარა 11 წლისაა, ყველაზე უფროსს – 18 უსრულდება. მათ განსხვავებული დიაგნოზები აქვთ. ცერებრული დამბლა, ეპილეფსია, სმენის და მხედველობის დაქვეითება. ის დრო, როცა საკუთარ სახლებში, ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობდნენ, უმეტესობამ ღრმა წარსულში მოიტოვა. პატარები არიან, მაგრამ ამ დროს თითქოს ათეული წელი აშორებთ. თითოეულ მათგანს ერთი მისამართი და ერთი გამოცდილება აერთიანებს – კასპის ბავშვთა ფსიქო-ნევროლოგური პანსიონატი. ეს დაწესებულება საბჭოთა ეპოქიდან ფუნქციონირებს. მაშინაც კი მთელი კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინსტიტუცია იყო.

საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკა ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა სტრატეგია, შეზღუდული უნარის მქონე ადამიანების მიმართ ზუსტად ისეთი იყო, როგორც ევროპასა და ამერიკაში 1960-იანი წლების ბოლოს. დასავლეთში კი ზუსტად ამ დროს სექსის, რასის, თავისუფალი სიტყვის და როკ-ენ-როლის რევოლუციების პარალელურად, ჩემი აზრით, არა-ნაკლებ მნიშვნელოვანი რევოლუცია დაიწყო: მოძრაობა იმის წინააღმ-

სიტორია

დეგ, რომ ადამიანები ერთმანეთის-გან უნარებისა და შესაძლებლობების, გარეგნობისა და ფსიქიკის მიხედვით გავარჩიოთ. ერთმანეთის მიყოლებით დაიწყო დიდი ინსტიტუციების მოშლა (და ეს პროცესი დღემდე არ დასრულებულა) და შეზღუდული უნარების მქონე ადამიანების ჩვეულებრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა. საბჭოთა კავშირში კი და მისი დანგრევის მერცე, საზოგადოების ცნობიერება გაიყინა. აქეთ, ჩვენებულ შეზღუდული უნარების მქონე ადამიანს კვლავაც ინვალიდი ერქვა, მათი ერთი დიდი ღობის გადაღმა თავმოყრა და სახელმწიფო ბიუჯეტით შენახვა კვლავაც უფრო დიდ ჰუმანურობად ითვლებოდა, ვიდრე „ნორმალური“ ადამიანების წრეში „შემოშვება“ და მათი არსებობის გახსენებით თავის ყოველდღიურად შეწენება. ოჯახს რცხვენოდა „ინვალიდი“ შეილის, ზოგს არ რცხვენოდა, მაგრამ ფინანსურად უჭირდა ძალიან და ამ განსხვავებული მიზეზებით მუდმივად ივსებოდა ბავშვთა თავშესაფრები, რომლებიც 18 წლის ასაკიდან ზრდასრულთა ფსიქო-ნევროლოგიურ პანსიონატებში გადაჰყავდათ.

1990-იანმა წლებმა მოიტანა ის, რომ „ღობის მიღმა დამალულ“ ადამიანებს ქვეყნის ბიუჯეტიდან ვეღარ არჩენდნენ. გრანდიოზული ინსტიტუციები გაჩანაგდა. მათზე სახელმწიფო კონტროლი მოისპო. ბავშვთა სახლებში მომუშავე ადამიანებმა კი ყველაფერი დაივინებს, ადამიანობის ჩათვლით. 1993-94 წლებში კასპის ბავშვთა სახლში 24 ბავშვი გარდაიცვალა იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ საკვები და სათანადო მუჟრნალობა. ვინც გადარჩა, ნახევრად ველურებს ჰგავდნენ, ლაპარაკის ნაცვლად, ღმუოდნენ, ერთმანეთს და ალმზრდელებს ყოველ მცირედ ნიუანსზე აგრესით პასუხობდნენ. როდესაც პედაგოგები ზრუნვა-მოკლებულ, გაღიზიანებულ და მშერ პატარებს ვეღარ აჩერებდნენ, ზეწრებით სანოლზე აბამდნენ, ბავშვები ერთმანეთის მიმართაც აგრესიულები და სასტიკები ხდებოდნენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ საკვები იყო გასაყიდვი... შესაბამისად, მათი უნარების



სახალისო ზომი „პირველ ნაბიჯი“

განვითარებზე, აღზრდაზე, სითბოსა და დაყვავებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. კასპი იქცა დეპუმანიზაციის სიმბოლოდ. ის გახდა წერტილი, რომლის შემდეგაც ახალი წინადადება სუფთა ფურცელზე ფონდმა „პირველმა ნაბიჯის“ დაწერა. ფურცელი – საბჭოური საზოგადოებრივი მენტალიტეტი და სახელმწიფო პოლიტიკა იყო, წინადადება კი შემდეგნაირა: ის, რაც კასპში ხდება, ჩვენი ცნობიერების სიმბოლოა. ასე აზროვნება კი დაუშვებელია. ამ ბავშვებს აქვთ თავიანთი უფლებები. ომების, დაკარგული ტერიტორიების, დაღუპული ჯარისკაცების, ენერგოკრიზისის, ინფლაციის და ყველა იმ 90-იანური კრიზისს მიუხედავად, აუცილებელია, ამ ბავშვებზე ზრუნვა არასამთავრობო სექტორმა მაინც ითავოს, თუ ამაზე ფიქრისთვის სახელმწიფო ვერ იცლის.

პირველი ნაბიჯი საქართველოში ევროკავშირის ირლანდიელი ელჩის დენის ქორბოის მეუღლებმ ჯეინ ქორბოიმ და ნინო ქადაგიძემ გადადგეს. ჩემისგან განსხვავებით, მათი პირველი ნაბიჯი იყო გაბედული და იყო მყისიერი რეაქცია კასპზე. 1998 წელს ფონდი „პირველი ნაბიჯი“, როგორც საქართველო-ირლანდიის საქველმოქმედო ორგანიზაცია, ოფიციალურად გაფორმდა. ორგანიზაციის მიზანი ერ-

თადერთი იყო – გამოვიყვანოთ ბავშვები კასპის პანსიონატიდან და გადავარჩინოთ ისინი.

კასპის დაცარიელების პროცესი ასე დაიწყო. პარალელურად, თბილისში, დილმის ბავშვთა მეორე საავადმყოფოს ტერიტორიაზე, ირლანდიური მხარის დახმარებით, „პირველი ნაბიჯის“ საკუთრებად იქცა მინა, რომელზეც კასპის ბავშვებისთვის აშენდა სამი კოტეჯი, ორი საცხოვრებელი დანიშნულებით, მესამე – დღის ცენტრის ფუნქციით. დღის ცენტრში დღეს დაახლოებით 30 ბავშვი სწავლობს. აქ ის ბავშვები დადიან, რომელთა აღზრდასა და განათლებასაც ძალიან სპეციფიკური მეოთხევა სტირდება.

თავდაპირველად კასპიდან იმ ბავშვების გადმოყვანა დაიწყეს, რომელთაც ყველაზე რთული ჯანმრთელობის მდგომარეობა ჰქონდათ. დანარჩენებზე, სანამ შესაფერის თავშესაფარს უპოვნიდნენ, „პირველი ნაბიჯი“ კასპშივე ზრუნავდა და საკვებით ყოველდღიურად ამარაგებდა. კასპიდან გადმოყვანილი 12-12 ბავშვი კი ეტაპობრივად ორ კოტეჯში გადანაილდა.

ფსიქოლოგი რუსიკო ბოჭორიშვილი „პირველ ნაბიჯში“ მაშინ მივიდა, როცა ბავშვებს მეორე კოტეჯში აბინავებდნენ. მიამბობს, როგორი რთული იყო თავიდან. პატარებს ვერ მოე-

სისტემაში, რომელიც მათ არსებობას და მათ უფლებებს არც იღვირასტრუქტურა, არც საჯარო დაცვისულებების საკალო პოლიტიკა და არც სოციალური დაზღვევა ითვალისწინებს, რთულია, ირმანებო ის, რასაც „პირველი ნაბიჯის“ ბავშვთა სოფელში პატარებს მოსვლის დღიდან ასწავლის დღისან – არ არსებობს „ისინი და ჩვენ“, არსებობს მხოლოდ – „ჩვენ“.



ფერებოდი, თავზე ხელის გადასმა და გარბოდნენ, როცა რამის თქმა სურდათ, ყმუილისმაგვარ ბგერებს გამოსცემდნენ, სუფრიდან საკვებს იპარავდნენ. ამიტომ 8-10 წლის ბავშვებს აქ იმ ქცევებს ასწავლიდნენ, რასაც, წესით, 2-3 წლის ასაკში ითვისებენ. რუსიკო ამბობს, – ყველაზე მთავარი, რაც უნდა გაგვეკეთებინა, იყო ის, რომ ბავშვები შიშისგან, აგრესისგან, კომპლექსებისგან გაგვეთავისუფლებინაო. წარმოიდგინეთ, რამხელა ძალისხმევა დასჭირდებოდა ბავშვების ტკიცილით გაჯერებული მეხსიერების წაშლას; მათ დარწმუნებას იმაში, რომ კოშმარი დამთავრდა, ახალი ცხოვრება იწყება, რომელშიც, მათი ნაკლის და უუნარობის მიუხედავად, ამ ბავშვების გულწრფელი სიყვარულია შესაძლებელი.

რუსიკო მეუპნება, რომ ბავშვები სწორედ ასეთმა მიდგომამ გადაარჩინა. აი, ვთქვათ, ხატიაო – კიკინიანი გოგონა, საახალწლო წარმოდგენაზე, ბაყაყს რომ თამაშობდა. ხატია დანარჩენ ბავშვებთან შედარებით, ძალიან წელა ვითარდება. კასპში გატარებულმა წლებმა კი მას კიდევ უფრო დიდი დაღი დაასვა. „პირველ ნაბიჯში“ მოსული ბავშვი საერთოდ ვერ ლაპარაკობდა, არადა, ბუნებით კონტაქტური იყო, სხვებთან ურთიერთობა



ისტორია

ჩემ და ჩემზე უფროს თაობას
სოციალური ვალიგენულების
გაცელა დაჩლუგებული აქვს. ჩვენ
ვერ წარმოგვიდგინა, რომორ
შეიძლება, კალატავიბის გარეშე,
ჩახვილე თუდეას გრემის თემში და
იმაშაო; არ დაგაფრთხოს ზონას
მიღმურა მზერამ, რომელიც
უსლ კართან დგას, თავისთვის
იღიხება, თავს აქვთს, არავის
ელაპარაკება, სხვა კარავაზრებით
აზროვნებს და თავის სამყაროში
ცხოვრობს.



მოსწონდა და ეს არ შეეძლო. დროთა
განმავლობაში, ნაბიჯ-ნაბიჯ, მეტყვე-
ლების თერაპევტმა და ფისქოლოგმა
შეძლეს ის, რომ გოგონა სათქმელს
ყველას აგებინებს. მეგობრებიც ჰყავს
და იცის, როგორ გამოხატოს სიყვა-
რული – ნამდაუწუმ ეკვრის და ეფე-
რება ყველას. ხატიას ხატვა და ცეკვა
უყვარს განსაკუთრებით. ის ჩვეულე-
ბრივი სასკოლო პროგრამით ვერ სწა-
ვლობს, განსაკუთრებული პროგრამა
სჭირდება. ამიტომ დღის ცენტრში
დადის, ხოლო როცა მუსიკის საათი
დგება, თავდავიწყებით ცეკვავს.

ახლა უკვე გაზაფხულია, უკვე
ბალში მუშაობაც შეიძლება. „პირვე-
ლი ნაბიჯის“ ეზოში სპეციალურად
ბავშვებისთვის გაშლილ ბაბში პატა-
რები იმას აკეთებენ რაც შეუძლიათ.
რამდენიმე ბავშვი, რომელთაც ცე-
რებრული დამბლის დიაგნოზი აქვთ,
სპეციალურ პროგრამაში არიან ჩარ-
თულები და ოებერვალში ერთ კვი-
რას გუდაურში ატარებენ, სათხილა-
მუროდ დადიან. თავიდან ვერავინ
ნარმოიდგენდა, რომ თუნდაც ბექა
თხილამურზე დადგომას შეძლებდა,
მაგრამ ახლა ისე კარგად ფლობს წო-
ნასწორობას და ისე მოსწონს სრიალი,
ყველ წელიწადს, მოთოვს თუ არა,
ფანჯარასთან დგება და ნამდაუწუმ
კითხულობს, – უკვე თებერვალი ხომ
არ მოვიდაო.



მხრივი – „ჩვენ“

„პირველ ნაბიჯში“ მთავარ აღმზრდელს დედა ჰქვია, მის დამხმარეს – დედა. თუმცა, თავიდან მხოლოდ მსგავსი ტერმინოლოგიური ნოვაციები პატარებთან არ ჭრიდა. თუნდაც მხოლოდ ბავშვებთან ყოველდღიური ურთიერთობისთვის საჭირო იყო ქართული საგანმანათლებლო სისტემისთვის სრულიად უცხო და სპეციფიკური განათლება. ამიტომ „პირველი ნაბიჯის“ სპეციალისტებმა, ბავშვების აღზრდის პარალელურად, თვითგანათლებაზე ფიქრიც დაიწყეს.

თამუნა ზაალიშვილს „პირველ ნაბიჯში“ სოციალური და ტრენინგების მიმართულება აბარია. მისი საქმეა ბავშვებზე ზრუნვა, მათ მიმართ განცდილი სიყვარული, ემოციები და სენტიმენტები პროექტებად და გეგმებად გარდამნას, მოიფიქროს, როგორ და რა გარემოში განვითარდებიან პატარები უკეთ. მანამდე კი იგივე სახის ცოდნა რამდენიმე კოლეგასთან ერთად დუბლინში, სენტ მაიკლის სახლში დაიგროვა. ეს ორგანიზაციაც „პირველი ნაბიჯის“ მსგავსი პროფილით მუშაობს, თუმცა, 50 წლის წინ დაარსდა და მსოფლიოში ერთ-ერთ სამაგალითო სისტემად ითვლება.

სწორედ ამ დაწესებულებაში „პირველი ნაბიჯის“ სპეციალისტებს ასწავლეს შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე ადამიანებთან ურთიერთობის მთავარი პრინციპი: არ არსებობს – „ისინი და ჩვენ“, არსებობს მხოლოდ – „ჩვენ“. ვიდრე ამას გულწრფელად არ დაიჯერებ, არაფერი გამოგიგა.

თამუნა მიამბობს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კურსის შესახებაც, რომელსაც პიროვნებაზე ცენტრირებული დაგეგმვა ჰქვია. ცენტრირებული იმიტომ, რომ ეს კონცეფცია ცენტრში აყენებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის პირად ინტერესებს და ხასიათს და არა მის დიაგნოზს. როდესაც დავივიწყებთ დიაგნოზს და ყურადღებას გავამხვილებთ იმ უნარებზე, რაც ამ ადამიანს აქვს, უკვე შესაძლებელი გახდება მისი პიროვნული განვითარება იმ დონეზე, რომ ის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდეს. ამ კონცეფციის მიხედვით, ადამიანის საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია შეუძლებელია,

თუ მას კვლავაც ძველმოდური ყაიდის, დიდ ინსტიტუციაში ვაცხოვრებთ – ფართო საზოგადოებისგან დამატულად. შედეგი მხოლოდ მაშინ გახდება სილული, თუ ამ ადამიანებს ბავშვობიდანვე გავზრდით ოჯახური ტიპის, მცირე პანსიონებში, სადაც თითოეულ მათგანზე ინდივიდუალური ზრუნვა იქნება შესაძლებელი, სადაც ისინი ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებს მიერვევიან.

დუბლინში მიღებული ცოდნა ქართველებმა ერთი წლის განმავლობაში თარგმნეს, დამუშავეს, ქართულ რეალობას მოარგეს და „პირველ ნაბიჯში“ დაწერებეს; ანუ, ფერტობრივად, საქართველოში მსგავსი განათლების არარსებობის პირობებში, მათ ახალი ბილიკი გაკვალეს. დღეს ამ სფეროში მუშაობა გაცილებით უფრო ადგილია, ვიდრე 1998 წელს, „პირველი ნაბიჯის“ გახსნის დროს იყო. 2004 წლის შემდეგ გატარებულმა განათლების რეფორმამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტერესები გარკვეულწილად გაითვალისწინა. თუ ერთ დროს სოციალური მუშავის ცნება ქართული საზოგადოებისთვის აპსლუტურად გაუქმდარ რამ იყო, დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახსნილია ოკუპაციური თერაპიის და სოციალური სამუშაოს ბაკალავრიატები, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში კი – სოციალური მუშავებისთვის სამაგისტრო პროგრამა მოქმედებს. ორივე ფაკულტეტზე ცალკე კურსი იყოთხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების შესახებ. პირველი გამოშვება ამ ფაკულტეტებს ჯერ არ ჰქინიათ.

თამუნა მეუბნება, რომ კურსდამთავრებულებს ამ ფაკულტეტებიდან „პირველი ნაბიჯიც“ ელოდება, რადგან ჩვენთან ჯერ კიდევ ძალიან ცოტა კვალიფიციური სპეციალისტია, რომელმაც იციან შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებთან ურთიერთობის ყველა სპეციფიკა.

დედა

„მე მიყვარს ასმათი“ – გიორგი მარცვალ-მარცვალ, წელა და მონდომებით კრეფს ამ წინადადებას კომპიუტერის კლავიატურაზე. გიორგი 17 წლისაა, ძალიან ცისფერი თვალები და ცოცხალი გამოხედვა აქვს. მისი დიაგნოზია გონებრივი ჩამორჩენა. ასმათი გიორგის კოტეჯის „დედაა“. როცა გიორგის ეკითხები, – ვინ არის შენი დედა, ის გპასუხობს, – ასმათი. მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში ნამდვილი დედის გამოჩენას თითოეული ბავშვი მთელი არსებით ელის.

>>> გაგრძელება გვ. 107

მამა კახაბერი

ავტორი: ნინო ბერიძე

მამა კახაბერს სულ რამდენჯერმე შევხვედრივარ, მაგრამ მასთან ურთიერთობისას ერთი რამ შევნიშნე: ის მონიშება და ერთგვარი შიში, რასაც ანაფორა ჩემში უნებურად იწვევს ხოლმე, ყოველთვის სადღაც ქრება. მას შეუძლია ის, რასაც სასულიერო პირებისგან, ცოტა არ იყოს, მიუჩვეულები ვართ – არა მენტორის ტონითა და ჭეშმარიტების სახელით ქადაგება, არამედ ნებისმიერ თემაზე უბრალო, უშუალო, ადამიანური ენით საუბარი. ეს ძალიან საინტერესოა – მამა კახაბერი მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარია, და თან – თანამედროვე ადამიანი, რომელიც ჩემ ენაზე ლაპარაკობს: ჩემთვის ნაცნობი და საყვარელი ავტორების ციტატებს მოიხმოს, უყვარს ფეხბურთი და სჯერა, რომ თუკი საქართველოს ეროვნული ნაკრები ზედიზედ ხუთ მატჩს მოიგებს, ჩვენთან ცხოვრების დონე გაუმჯობესდება – ხალხს ოპტიმიზმი გაუჩნდება და იმიტომ.

– რელიგიაზე ყველა ფიქრობს, ათეიისტებიც კი, და თუ ეკლესიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა მართლა ჯანსაღი იქნება, ეკლესიაც მოისმენს შენს გულისტკივილს და რაც მთავარია, თავის გულისტკივილსაც თუ გაგიზიარებს, ნაკლს არ დამაღავს, მაშინ ბევრი რამ შეიცვლება. ჩვენ სწორი, თანამედროვე სტრუქტურები გვჭირდება. არა მგონია, რომ სხვა რელიგიაში იყოს უფრო მეტი პოტენციალი, ვიდრე მართლმადიდებლობაში. ორთოდოქსიამ ძალიან ბევრი რაღაც დააკონსერვა. დღეს ბევრი რამის შეცვლა შეიძლება...

მამა კახაბერი შარშან დაბრუნდა ამერიკიდან. დღეს უზნაძის ქუჩაზე, მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიაში მსახურობს და ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში თეოლოგიას ასწავლის.

– სწავლა მარტიდან იწყება. ქრისტიანული თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა სოციალურ მეცნიერებათა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე გაისხა. მართალია, ბაზა ორთოდოქსული და აღმოსავლური თეოლოგია, მაგრამ ნებისმიერი აღმასარებლობის სტუდენტს შეუძლია სწავლა. ათეიისტი სტუდენტიც კი გვყავს. ლექტორებიც სხვადასხვა აღმსარებლობის არიან; დიდი თეოლოგები, ისნი, ვინც მე განსაკუთრებით მიყვარს და მომწონს, თავიდან სულ სხვადასხვა პროფესიის და ფართო განათლების ადამიანები იყვნენ. თეოლოგები კი მერე გახდნენ. ზოგი მათემატიკოსი იყო, ზოგიც ძეველ ბერძნულ მითოლოგიას იკვლევდა. ჩვენთან სწავლება ინტერდისციპლინურია. კურსი ისეთია, რომ სტუდენტს საშუალება აქვს, ინტერესის მიხედვით საგანი ნებისმიერი პროგრამიდან აირჩიოს. ყურადღება გამახვილდება უახლეს, XX საუკუნის თეოლოგიაზე – ეგზისტენციალურ, სოციალურ, კულტურის, დიალექტიკურ თეოლოგიაზე და სხვ. თეოლოგები, რომლებმაც XX საუკუნის თეოლოგია შექმნეს, სხვადასხვა კონფესიის ნარმომადგენლები იყვნენ; ზოგი ფაშისტებთან ბრძოლაში დაიღუპა, ზოგიერთი დღესაც ცოცხალია და მოღვაწეობს.

სამაგისტრო კურსი, რომელსაც მამა კახაბერი ილია ჭავჭავაძის სახელობის

უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს, განსაკუთრებულია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ თეოლოგია თსუ-შიც ისნავლება და სასულიერო აკადემიაშიც, საქართველოში სხვაგან არსად ასწავლიან თანამედროვე, უახლეს თეოლოგიას და არ ჰყავთ სხვადასხვა კონფესიის ლექტორები. თვითონ, მამა კახაბერი დიდხანს სწავლობდა: ჯერ საქართველოში – პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში; შემდეგ უცხოეთში – თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტში, შევიცარიაში – ბოსტე ეუმენიურ ინსტიტუტში, ბოლოს ამერიკაში – ბოსტონის წმინდა ჯვრის ბერძნულ თეოლოგიურ კოლეჯში. ამჟამად მაქსიმე აღმსარებლის თეოლოგიაზე მუშაობს – სადოქტორო დისერტაციას წერს.

– რაც თავი მახსოვს, რაღაცნაირად ყოველთვის ვფიქრობდი ღმერთზე. სახლში გვქონდა ხატები, დედაჩემი სანთლებს ანთებდა ხოლმე. მამას, რომელიც კომუნისტი იყო, შაბათ-კვირას ეკლესიაში მთელი ოჯახი დავყავდით ხოლმე. ამას უფრო ისტორიული ძეგლების მონახულების სახე ჰქონდა, მაგრამ თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ. ბავშვობიდან ერთი მომენტი განსაკუთრებით დამამახსოვრდა: ჩემი დაბადების დღე იყო, ნ წლის გავხდი, კიბეზე ჩამოვდიოდი, გავჩერდი და დავფიქრდი – სად წავიდა ეს ხუთი ნელი? მაშინ ვიფიქრე, რომ ის წლები სადღაც წავიდა, სულ შორს და აღარასოდეს დაბრუნდება, წარსულის არდაბრუნების და უსასრულობის გრძნობა დამეუფლა. ასეთი რამ მერე იშვიათად



Հայոց եպիսկոպոս Հայուս Առաքելյան

**ხლება ისე, რომ ჩვენ იდენტობა მექარბება და
ვიღაცის როლის თავაში მიწვეს. წვეულებებზე
რომ დაიხსნავთ, აგარენტ, – მაამ, დაგვლოცი,
მაამ, გვაკურთხო. აღარ მიღება ვითავაშო ლანდი.
მღვდელთან ურთიერთობას არავინ ამყარებს,
მის ანაფრიასთან ურთიერთობენ. ეს ძალიან
დამთრგავების.**

განმიცდია. როცა რელიგიური გავხდი, მაშინაც სწორედ ეს განცდა მქონდა: არის რაღაც ჩვენს მიღმა, დაუსრულებელი, მისტიური, და ამ უსასრულო სივრცში მარტო ხარ. 9 წლის ვიავი, როცა ჩემი ძმის მეგობარი, 15 წლის ბიჭი მოკლეს, მაშინ პირველად დავფიქრდი სიკვდილზე. „გეპეიში“ რომ ჩავაბარე, ჯარში წამიყვანეს, ბალტისპიროვეთში. საპატრო დაცვაში ვმსახურობდი. ისე მოხდა, რომ ჯარიდან ავადმყოფობა ჩამოვიყოლე, ერთი წელი ვიავადმყოფე, საავადმყოფოში ვწერე. მაშინ უკვე სერიოზულად დავფიქრდი სიკვდილ-სიცოცხლეზე, როცა წევხარ და აქტიურ ცხოვრებას არ ეწევი, ფიქრის დროც მეტი გაქვს.

გამოჯანმრთელების შემდეგ სასულიერო სემინარიაში ჩააბარა, პარალელურად სწავლობდა ორივეგან. იხსენებს, რომ სემინარიაში პირველ წელინად ბევრი საინტერესო რამ ისნავდა. მაშინ სასულიერო აკადემია ახალი გახსნილი იყო და ქართული პროფესურის ნაღები სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში ასწავლიდა. თუმცა, იყო ისეთი საგნებიც, რომ-ლებსაც ვერ ასწავლიდნენ, კადრები არ ჰყავდათ. შემდეგ, თითქმის ორი წელი შიომღვიმის მონასტერში გაატარა, იქ ბევრს კითხულობდა, თარგმნიდა, საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაზე ვმუშაობდი და გარკვეული გამოცდილებაც შევიძინე. მონასტერში მომისდა რუსი ემიგრანტი თეოლოგების გიორგი ფლოროვსკის და ვლადიმირ ლოსკის წაკითხვა, მაშინ წავიკითხე ბერდიაევიც. მაგრამ მაინტერესებდა ავტორები, რომლებიც ევქარისტიაზე, ეკლესიის მსახურებით ცხოვრებაზე წერდნენ, სადაც უფრო მეტად ქრისტიანთა ერთობის ცხოვრებაზე იყო ყურადღება გამახვილებული. ცნობილია, რომ სწორედ მონასტროცენტრულმა ცხოვრების წესმა გამოიწვია ბიზანტიური სეკულარული კულტურის კასტრირება – ხელოვნება აღარ ვითარდებოდა, ყველაფერი მონასტრებში გადავიდა და იდეალი ბერი გახდა. ჩვენს მონასტრებშიც ძირითადად იმას

და ამერიკაში. რუსეთში წასვლაზე არ უფიქრია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იმ ლიტერატურაზე, რითაც რუსეთში ასწავლიდნენ, ისედაც მიუწვდებოდა ხელი.

– სამწუხაროდ, ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩვენთან რუსული ტრადიცია ჩამოყალიბდა. ჩვენ ეკლესიაში ბევრი რამ რუსულია – ტრადიციები, საეკლესიო წეს-ჩვეულებები. არადა, ქართველებს საკმაოდ დიდი სასულიერო ლიტერატურა გვაქვს – შუშანიკი, გრიგოლ ხანძთელი, ბალავარიანი, მთაწმინდელები და უამრავი თარგმანი. ვკითხულობდი ამ ყველაფერს და აღარ მიზიდავდა თანამედროვე რუსული თეოლოგია. მონასტერში წინამდღვარმა თარგმანა დამავალა, რუსულიდან ქართულად ვთარგმნიდი იანე კიბისალმწერელს და ამბა დოროთეს, ძველ ქართულ თარგმანს უვდარებდი, საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაზე ვმუშაობდი და გარკვეული გამოცდილებაც შევიძინე. მონასტერში მომისდა რუსი ემიგრანტი თეოლოგების გიორგი ფლოროვსკის და ვლადიმირ ლოსკის წაკითხვა, მაშინ წავიკითხე ბერდიაევიც. მაგრამ მაინტერესებდა ავტორები, რომლებიც ევქარისტიაზე, ეკლესიის მსახურებით ცხოვრებაზე წერდნენ, სადაც უფრო მეტად ქრისტიანთა ერთობის ცხოვრებაზე იყო ყურადღება გამახვილებული. ცნობილია, რომ სწორედ მონასტროცენტრულმა ცხოვრების წესმა გამოიწვია ბიზანტიური სეკულარული კულტურის კასტრირება – ხელოვნება აღარ ვითარდებოდა, ყველაფერი მონასტრებში გადავიდა და იდეალი ბერი გახდა. ჩვენს მონასტრებშიც ძირითადად იმას

გასწავლიან, როგორ უნდა ილოცო, დაიჭირო გულისთქმები, როგორ არ უნდა მოგეწონოს გოგო, რომელიც აშეარად ლამაზია და ა. შ. მე კი, მონასტრული კი არა, საერო ქრისტიანობა მაინტერესებდა, ქრისტიანების ერთობა, სამრევლო ცხოვრება. თანამედროვე ქრისტიანული ცხოვრების შესწავლა მინდოდა. მაინტერესებდა, როგორი მიმართება ჰქონდათ მართლმადიდებლებს სხვა ქრისტიანებთან. მერე სტიპენდია მივიღე და საბერძნეთში წავედი, თესალონიკის არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტში. აღმოჩნდა, რომ საბერძნეთშიც პრობლემებია. იქ დავინახე ის, რაც ჩვენ ყველამ აღმოვაჩინეთ რუსეთში. რუსული რომანი, პოზია, მუსიკა მთლიანად დასავლურია. რომანი ხომ არ გაჩენილა რუსეთში? მაგრამ რუსები ძალიან დიდ რომანებს წერდნენ. მივხვდი, რომ ის, რაც მომწონდა საბერძნეთში, სწორედ ევროპაა. იქაურ ეკლესიებში კი მათი მოწესრიგებულობა და დისციპლინა მომწონს. თუმცა, იქაც უჭირთ მინებებული ტრადიციების, ასე ვთქვათ, ეკლესიას მიტმასწილი ფოლკლორის მოშორება.

მამა კახაბერმა საბერძნეთის შემდეგ შვეიცარიაში გააგრძელა სწავლა, ბოსეს ეკუმენურ ინსტიტუტში, რომელსაც ეკუმენიზმის ლაბორატორიას უწოდებენ. საბერძნეთში მხოლოდ მართლმადიდებლობასთან ჰქონდა შეხება, იქაც სხვადასხვა ეროვნების ხალხი იყო შეკრებილი, მაგრამ – მართლმადიდებლები. აქ კი ვინ აღარ იყო, სრულიად განსხვავებული კონფესიების წარმომადგენლები; თანაც სწავლობდნენ უშუალოდ იმ ხალხისგან, ვანც ეკუმენიზმის თეოლოგიის სათავეებთან დგას, ან მათი მოსწავლეებისგან. 1997 წლის შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო დატოვა, ჩვენში ეკუმენიზმი მწვანებლობად აღიქმება, არადა, მართლმადიდებლურ ეკლესიათა უმეტესობა მონასტრებშიც ეკლესიათა დიალოგში. სამოცდაათიანი წლების ბოლოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ამ ორგანიზაციის თანაპარენიდენტიც კი იყო. – ეკუმენიზმი არ ისახავს მიზნად ახალი ეკლესიას შექმნას. ესაა გზების

ეკიპაჟების თანამშრომლობისთვის. ეკუმენური ოფერაციის მიხედვით, საჭიროა, მოვებებით სხვადასხვა კონფესიის ეკლესიებში ის, რაც მათ აერთიანებთ, რათა ეკლესიებმა არ დაკარგონ იდენტობა, მაგრამ ერთნაირი მონწმობა ჰქონდეთ – რომ ისანი მონწმობენ იქსო ქრისტეს და სამებას. ერთ-ერთი პირველი ინიციატივა მსოფლიო პატრიარქის-გან წამოვიდა. ის ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ხვდებოდა, რომ ეკროპას რაღაც საშიშროება ემუქრებოდა და ეკლესიებს გაერთიანებისკენ (ერთად ქმედებისაკენ და საერთოს ძიებისაკენ) მოუწოდებდა. გასული საუკუნის 40-იან წლებშიც იყო მცდელობა, შემოეკრიბათ ეკლესიები და ფაშიზმს წინ ალდგომოდნენ, მაგრამ მაშინ (გერმანიაში) ეკლესიათა უმეტესობა ფაშისტებთან თანამშრომლობდა – ლუთერანულიც და არც კათოლიკურს აღუმაღლებია სათანადოდ ხმა ფაშიზმის წინააღმდეგ, და ამ ინიციატივამ ვერ იმუშავა. კათოლიკები მხოლოდ 60-იანი წლების შემდეგ შეუერთდნენ ეკუმენურ მოძრაობას (კათოლიკებმა მხოლოდ 60-იან წლებში დაინტეს მსოფლიო ეკლესიების საბჭოსთან თანამშრომლობა). სხვათა შორის, გრიგოლ ფერაძე ეკუმენური მოძრაობის სათავეებთან იდგა. საგულისხმოა ერთი ფაქტი – ქართული ეკლესია ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც გაბედა და ახალ სტილზე გადავიდა. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გვაქვს ერთი საერთო დღესასწაული, რომელსაც ამ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანი, განურჩევლად ეთნიკური განათლებისა, რელიგიისა, ერთად ვზეომობთ. ეს ახალი წელია. და ვფიქრობ, შესაძლებელია, არ იყოს ახალ წელს მარხვა. 1918-21 წლებში ამბორისი ხელიამ, ეპისკოპოსმა ლეონიდემ, კორნელი კეკელიძემ და სხვებმა საეკლესიო კრება მოიწვიეს და ეკლესიაში რეფორმების გატარებას და ლიბერალური წესების შემოღებას ცდილობდნენ – მღვდლის შესამოსელი, მსახურებები ეპოქის ადეკვატური რომ გამხდარიყო. მაგრამ შემდეგ კომუნისტები მოვიდნენ და ეს ყველაფერი დაიკარგა.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ
ფერაძეც და ამბროსი ხელაიაც წმინ-
დანად ჰყავს შერაცხვლი ქართულ

ეკლესიას, ჩვენთან ერიდებიან ამ
ფაქტზე საჯაროდ საუბარს და ვერც
საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერ-
დზე ნახავთ ამ ინფორმაციას.

მამა კახაბერი პატრიარქის უკანასკ-
ნელი ეპისტოლებან ერთ ფრაზას მი-
კითხავს. მეუბნება, რომ მისთვის ამ
ეპისტოლები ეს ყველაზე მნიშვნელო-
ვანია.

- „პიროვნების მსგავსად, ამა თუ იმ ერისა და კულტურის ხვედრსაც მისი არჩევანი განაპირობებს, და ამაში ყველა თანასწორი და თანაბარუფლებიანია.“

რა არის იმაზე დიდი ღირებულება, რომ ყველა ადამიანი ხელშეუხებელი და თანაბარია – ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერი რელიგიის, კანის ფერის, ეთნიკურობის მიუხედავად. ამის აღიარება თანამედროვე ადამიანის ყველაზე დიდი მილნებვა. თუკი ამას რომელიმე ჩვენი ტრადიცია შეეწინააღმდეგება, მასინ უნდა დავემზვიდობოთ ამ ტრადიციას. ამაზე მნიშვნელოვანი არაუღია თოსის უკურნელობა.

მონილოგებს კითხულობს, პირდაპირ ამბობს, – ან მე ან არავინო. სად უნდა წავიდნენ ის ადამიანები, რომლებსაც რელიგიის შეგრძნება აქვთ? დღევან-დელ ეკლესიაში აგორა აღარ არსებობს. აუკილებელია დებატები. ხომ ნახეთ, „დიდ ათეულთან“ დაკავშირებით რაც მოხდა?! ხალხი ემხრობოდა და უჯერებდა ეკლესიას, მაგრამ როდესაც დიალოგი შედგა, საზოგადოება საღაზრს მიემხრო. როცა დიალოგი საჯარო სივრცეში გადმოვა და მედია ღიად ალაპრაკდება ეკლესის პრობლემებზე, ეს თვით ეკლესიას გააძლიერებს – მას დასჭირდება ადამიანები, ვისაც შეუძლია მეტყველება, აზროვნება, და კამათი. სამღვდელოება დღეს მაგიურ საბურველშია გახვეული. მღვდელი ხომ მამაკაცი აღარ არის. ჩვენი სოციალური როლი ასეთია. ჩვენ ვთამაშობთ 80 წლის მოხუცებს. „პრესიტერი“ ბერძნული სიტყვაა და უხუცესს ნიშნავს. ძველ ქართულადაც მღვდელს ხუცესი ერქვა. იქამდე მივიდა საქმე, რომ მეგობრებთან წვეულებებზე ვა-

დამინახავენ, ამშობენ, – მამაო, და-გვლოცე, მამაო, გვაკურთხეო. ასე მა-დლეგრძელებენ, – ილია II-ს გაუმარ-ჯოს შენი თამადობითო და ა. შ. ასეთი სიტუაციებიდან ვდგები და მოვდივარ ხოლმე. აღარ მინდა ვითამაშო ლანდი. მღვდელთან ურთიერთობას არავინ ამყარებს, მის ანაფორასთან ურთიერ-თობენ. ეს ძალიან დამთრგუნველია. მრევლი თვითონ თხოვს მღვდელს, ასეთი იყოს, ეს როლი მოირგოს. ამას ეკლესია არ გავალდებულებს, არც სა-პატრიარქო გავალდებულებს, თვითონ ხალხი გთხოვს, – გინდა თუ არა, ასე მოიქცეოთ. ხომ შემიძლია მონარქიაზე მქონდეს ჩემი აზრი, ან რომელიმე სხვა თემაზე? ინკუბატორი ხომ არ არის ეკ-ლესია ან ფერმა? თვითონ პავლე მო-ციქული ამბობს, – დიალოგი საჭიროა, სწორედ ასე გამოვლინდება უმჯო-ბესიო; არა მხოლოდ გამოვლინდება, არამედ დიალოგში იძადება საღი აზრი. დიალოგი და განსხვავებულ აზრთა ჭი-დილი თუ არ იქნა, ეკლესიაში არაფე-რი შეიცვლება. საუბარი მონარქიაზე, თუ გახსოვთ, შარაშან, შვიდი ნოემბრის მერე დაიწყო. პატრიარქს მაშინ ღიად არ დაუჭერია მხარი არც ხელისუფლე-ბისთვის და არც ოპოზიციისთვის და მონარქის იდეა წამოაყენა. არადა, ვიცით, რომ მონარქიისგან გამიჯვნით შენდებოდა თანამედროვე ევროპა. განმანათლებლობის შემდეგ ადამიანს შუამდგომელი ღმერთთან აღარ სჭირ-დება. ამ ჭიდილში განვითარდა ევრო-პა. ჩვენ, ერთი მხრივ, დასავლეთი გვინდა, მაგრამ ამ დროს მონარქიაზე ვოცნებობთ. ასე ევროპას ვერ ავაშე-ნებთ. ასე შეიძლება დიდი-დიდი ისეთი რუსეთი ავაშენოთ, რომელსაც მერე, 1917 წელს კატასტროფა დაემართება. მირონცხებულ მეფეზე რომ საუბრო-ბენ, ესეც რუსული ტრადიციაა. რუ-სეთი აძლევს მეფედ კურთხევის აქტს მეორედ დაბადების, ნათლობის მწვერ-ვალის მნიშვნელობას. ბიზანტიური ტრადიციით, მეფეს ზეთს სცხებენ და არა მირონს. შემორჩენილია მე-13 საუკუნის ქართული ტექსტი – „წესი და განგება მეფედ კურთხევისა“ – და იქ ზეთიც კი არ არის ნახსენები.



ფოტო: ლაუნჯ დარბაზის მემკვიდრეობის

ევროპას არ უყვარს კონფრონტაცია

ინტერვიუ რაფაელ გლუხსმათან

ავტორი წიგნისა „მე თავისუფლებაზე გესაუბრებით“ (საუბრები მიხეილ სააკაშვილთან)

ავტორი: ნინო ჯაფარვილი

თქვენი წიგნის შესავალში წერთ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვდით ნა-რინჯისფერი რევოლუციისას უკრაინა-ში და მისი ენთუზიაზმით და ენერგიით მოხიბლეთ. ბოლო ოთხი წლის განმა-ვლობაში ის ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. როგორ შეიცვალა ის ამ დროის განმავლობაში?

ჩემი აზრით, თქვენთვის ვარდების რევოლუციის შემდეგ ძალიან წარმა-ტებული ისტორია დაიწყო. ყველა-ფერი ძალიან კარგად მიღიოდა და შეიძლება, რაღაც თვალსაზრისით, ველარც კი ამჩნევდით, რომ რუსეთი ისევ აქვე, ძალიან ახლოს იყო. რაც უფრო მეტად დასავლური, რაც უფრო მეტად ევროპული ხდებოდა აქაურო-ბა, მით მეტად შორდებოდა რუსეთი თქვენს ყოველდღიურობას და მოუ-ლოდნელად, რაღაც მომენტში ისევ დაბრუნდა თქვენს ცხოვრებაში და, ჩემი აზრით, ამის შემდეგ არა მარ-

ტო სააკაშვილის, არამედ თითოეული ჩვენგანის ხედგა უფრო ტრაგიკული და დრამატული გახდა.

თუმცა, რაფაელ, რუსეთი არც ომამ-დე უნდა ყოფილიყო უჩინარი. აგვის-ტომდეც არსებობდა იმის ძალიან ბევრი წიშანი, რომ მოსკოვს საქართველოში სიტუაციის არევა სურდა.

ვიცი, ვიცი, რომ რუსეთი ბევრ რა-მეს აკეთებდა საქართველოს პროვო-ცირებისთვის. მაგრამ ვიდრე მათი ტანკები ასე ახლოს არ მოვიდოდა დედაქალაქთან, გადარჩენა—არგადარ-ჩენის საკითხი არ იდგა.

ევროპელების წანილი დღეს სააკაშ-ვილს ადანაშაულებს იმაში, რომ ის თა-ვად წამოეგო რუსეთის პროვოკაციას, პირველმა მან გაისროლა, მასაც უნ-დოდა ამ ომის დაწყება, ისიც მოისკენ მიღიოდა.

ვინ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ვინ გაისროლა პირველმა? — პოლო-ნელებმა. პოლონელებმა ისროლეს პირველი ტყვია, იმიტომ, რომ გერმა-ნელებმა გადაკვეთეს მათი საზღვარი. თქვენ რა, შეგიძლიათ იმის თქმა, რომ პოლონებმა დაიწყო მეორე მსოფლიო ომი? არა, რა თქმა უნდა. გერმანელ-მა ნაცისტებმა დაიწყეს ეს ომი, იმი-ტომ, რომ მათ ჰქონდათ ამ ქვეყნის დაპყრობის გეგმა.

სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, პირ-ველი ტყვია, რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთის ნახევრად სამხედრო ძალებმა ისროლეს, რასაც საქართველომ უპა-სუხა. პასუხი არ იყო პროპორციული და ამან რუსეთს მოქმედების საშუა-ლება მისცა.

რისი თქმა მინდა? თქვენ ხართ ევროპის მეგობარი. ყველა არა, მა-გრამ ევროპელების ნაწილი ყველა-ნაირ მიზეზს ეძებს იმისათვის, რომ იპოვოს საბაბი, რატომ არ დაუჭიროს მხარი მეგობრებს. და თუ შენ ევრო-პის მტერი ხარ, როგორც მაგალითად პუტინი, ეს ნაწილი ყველანაირ არგუ-მენტს პოულობს იმისათვის, რომ არ დაგიპირისპირდეს. აქედან გამომდი-ნარე, პიარის თვალსაზრისით, უკე-თესია, ევროპის წინააღმდეგი იყო, ვიდრე მოკავშირე.

საქართველოს მხარდაჭერისთვის კი არ არის საკმარისი მხოლოდ სიტყვე-ბი. საჭიროა ქმედებები, ამ შემთხვე-ვაში — ქმედებები რუსეთის წინააღ-მდეგ. ისტორიას რომ გადახედოთ, დაინახავთ, რომ დასავლეთ ევროპა ნელია. საქართველომ უნდა გაძლიოს რაღაც ხანი და შემდეგ ეს დახმარება მოვა.

თქვენც და მამათქვენი — ანდრე გლუ-ქსმანიც ომის დროს წერდით, რომ და-სავლეთს აქვს რეალური ბერკეტები და შესაძლებლობა, იმოქმედოს რუსეთზე. და თუ ევროპა დღეს არ აჩვენებს თავის სიძლიერეს რუსეთს, და არ დაიცავს საქართველოს, ის დაილუბება. ცოტა გულუბრყვილო ხომ არ იყო ეს განცხა-დება იმ ადამიანებისგან, ვინც ასე კარ-გად იცნობთ ევროპას და რუსეთს. იქ-ნებ ჩვენ ყველა ზედმეტს ველოდებით ევროპისაგან?

რუსეთის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები ეს არის ტესტი ადამიანებისთვის. თავდაპირველად მათ 2000 ჩეჩენი ამოხოცეს, მაგრამ ეს მათი სახელმწიფოს საზღვრებს შეიგნით მოხდა და არავის არაფერი უთქვაშს. მათ იფიქრეს, – ძალიან კარგი, ესე იგი, ჩვენ ამის უფლება გვაქვსო. შემდეგ მათ გადაკვეთეს საზღვრები და იყო ნელი რეაქცია, რაც ძალიან ცუდი გზავნილია მოსკოვისათვის. შემდეგი, რა თქმა უნდა, უკრაინა იქნება. მაგრამ არსებობს ბალტიისპირეთი, რომელიც ევროკავშირისა და ნატო-ს შიგნითა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რუსეთი იყო ძალიან, ძალიან ცალსახად არასწორი, ყველა საერთაშორისო ნორმის შესაბამისად. მე ვეთანხმები პრეზიდენტ სააკაშვილს იმ მოსაზრებაში, რომ ახლა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპის ისტორია იწერება. და თუ ჩვენ არ დავეხმარეთ საქართველოს დღეს, ხვალ აუცილებლად იქნება ვინმე სხვა.

რატომ არის ევროპა ასეთი ნელი?

ჩეხეთი მთელი ევროპის საუკეთესო მეგობარი იყო, კარგი არმიით, კარგი ინდუსტრიით, ყველაფრით და ჩვენ ის პიტლერს შევნირეთ მსხვერპლად. ეს არ ხდება იმიტომ, რომ საქართველო ცუდია. უბრალოდ, ევროპა ვერ იტანს კონფრონტაციას.

რატომ? იმიტომ, რომ თქვენი კომფორტული ცხოვრება არ გვიმობათ?

ჩვენ არ გვიყვარს რაიმეს რისკის ქვეშ დაყენება. მაგრამ ხანდახან აუცილებელია, აჩვენო, რომ ძლიერი ხარ. თუ ცხად სიგნალს გავუგზავნით მოსკოვს, ის ცოტა ხნით შეჩერდება.

შეგიძლიათ კონკრეტულად თქვათ, რა სიგნალი უნდა იყოს ეს?

ყველამ კარგად ვიცით, ვინ არის აგრესორი. ოკუპირებულია საქართველოს რეგიონები. პრობლემა ის არის, რომ ვიღაცები ევროპაში სულ იმაზე ფიქრობენ, რომ, ენერგორესურსების

გამო, რუსეთზე არიან დამოკიდებულები; მაგრამ რუსეთიც ხომ არის დამოკიდებული ევროპაზე? და თუკი შენ შეძლებ და დაანახებ რუსეთს, რომ ძლიერი ხარ, ის კონფრონტაციას აღარ გააღრმავებს, იმიტომ, რომ მოსკოვს შენც სჭირდები. ევროპაში ამას ზოგიერთი ხვდება, ზოგი – ნაკლებად. მაგალითად, გაიხსენოთ გაზის კრიზისი უკრაინაში. ძალიან უცნაური რამ იყო. რა მოხდა საბოლოო ჯამში? უნგრებები მოსკოვში ჩავიდნენ, ბულგარებები მოსკოვში ჩავიდნენ, მერკელმა ცუტინს დაურევა. არადა, ჩვენ გვჭირდება საერთო პასუხისმგებლობა, არა 27 ცალკეული ქვეყნის, არამედ ყველას საერთო, ერთიანი პასუხისმგებლობა. პრობლემა ისაა, რომ ცალ-ცალება ყველას სურს, კარგი ურთიერთობა პქონდეს მოსკოვთან – ბერლინსაც, პარიზსაც, რომსაც... ბერლინსკონი პუტინს მეგობარს ეძახის.

აქ, საქართველოში კარგად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ევროპა ერთიანი იყოს.

თქვენც და ანდრე გლუქსმანიც თავდადებული ადვოკატები ხართ ჩეჩენების, საქართველოსი, უკრაინის. თუმცა, ამ სიტუაციიდან ყოველ ჯერზე გამარჯვებული რუსეთი გამოდის. ხომ არ გეჩვენებათ, რომ უმცირესობაში ხართ და თქვენი ხმა იკარგება?

საფრანგეთში და სხვაგანაც ევროპაში დებატები, დისკუსია დაწყებულია და ეს მნიშვნელოვანია. სულ თავიდან მნიშვნელოვანია საუბრის დაწყება. ადრე არავინ მსჯელობდა ამის შესახებ. მხოლოდ რამდენიმე დიპლომატის ხმა ისმოდა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ რუსეთთან მეგობრობა გვჭირდება. ახლა საზოგადოებრივი აზრის გამოთქმა, შედა მსჯელობა დაიწყო და ეს კარგია.

როგორ ფიქრობთ, ძველი ლირებულებები ისევ მნიშვნელოვანია ევროპისთვის? აქვთ თუ არა ევროპელებს დანაშაულის გრძნობა იმის გამო, რომ მხარს უჭერენ პუტინის რუსეთს?

ნუ იტყვით ასე – მხარს უჭერენ. ეს, ჩემი აზრით, გადამეტებულია.

„პირველი შეხვედრა პუტინთან სულაც არ ყოფილა ისეთი კატასტროფული, როგორც ვშიშობდი. ეს მოსკოვში მოხდა, 2004 წლის თებერვლის ბოლოს. კრემლში ვიყავი და მეგონა, რომ პრაგმატული ლიდერი გავიცანი. მას ძალიან ალელვებდა საკუთარი ქვეყნის ინტერესები, ხოლო ჩემი დიპლომატიური შეთავაზებები სრულიად მიუღებლად მიაჩნდა, მაგრამ გასხილი იყო დისკუსიისთვის, მზად იყო ლია თამაშისთვის. გავიფიქრე, რა თქმა უნდა, ვერ დავმეგობრდებით, თუმცა, საბოლოო ჯამში, ალბათ ჯობია კიდეც ურთიერთობა მქონდეს მისნაირ ცივ და რაციონალურ პრეზიდენტთან, ვიდრე ელცინისნაირ უფრო მეგობრულ და ნაკლებად პროგნოზირებად ვინმესთან-მეთქი.

მანც ძალიან უცნაური შეხვედრა იყო. სტალინის კაბინეტში ვიყავით. მანაც პირველად სწორედ ეს ამისსანა: „ამ კაბინეტში გადმოვედი. ძველთან შედარებით პატარაა, მაგრამ უფრო კომფორტულია და ისტორიით სავსე“. ცოტა სიურრეალისტურიც კი ჩანდა კრემლში ყოფნა და **KGB**-ს ყოფილ ჯაშუმშით საუბარი სტალინის კაბინეტში. განსაკუთრებით, ჩვენი საუბრის პირველი ნახევარი საათის განმავლობაში, როცა პუტინი მიყვებოდა, როგორ ძალიან მოსწონს ამერიკა, მისი ეკონომიკური მოდელი და საოცარი პოლიტიკა, მისი გადასარევი პრეზიდენტი...

[...] ვიცოდი, რაც იყო **KGB**, მაგრამ სხვებივით მანც თვალში ნაცარი შემაყარეს, როგორც ბუშს ჩემამდე, როგორც იუშჩენკოს ჩემ შემდეგ.

ნაწყვეტი წიგნიდან „მე თავისულებაზე გესაუბრებით“, მიხეილ საკაშვილის საუბარი რაფაელ გლუქსმანთან

„ჩევენთა ჩემი ფერადი პერანგები
რევოლუციურად ჩანს: პრეზიდენტი
თი ხომ შავებში ან ნაცრისფერებში
უნდა იყოს გამოწყობილი და ბრეზ-
ნევს ჰგავდეს. თუმცა აյ საქმე მხო-
ლოდ პერანგებს არ ეხება. ქალაქები
მთლიანად გადავლებეთ. თავიდან
საკმარისი ფული არ გვქონდა იმის-
თვის, რომ თბილისის ცენტრში შე-
ნობები საფუძვლანად შეგვერგონ-
ტებინა, ჰოდა, მათ გასუფთავებასა
და ფასადების შედებვას შევუდექით.
ალბათ პოტიომეტრის სოფელი გაგა-
სხენდებათ, მაგრამ გვინდოდა, რომ
ხალხი როგორლაც გამოსულიყო სა-
ბჭოთა ერთფეროვნებიდან...
შეიძლება სასაცილოდ ჩანდეს, მა-
გრამ ეს მნიშვნელოვანია. ვერც კი
ნარმოიდებენთ, რამდენად ნაცრის-
ფერი და უსახერო იყო საბჭოთა სა-
მყარო. ახალგაზრდები, რომლებიც
როკს უსმენდნენ ან უჩვეულო ვარ-
ცხნილობას იკეთებდნენ, ყველასგან
გარიყულები იყვნენ. არავის ჰერონდა
უფლება, საკუთარი განსხვავებუ-
ლობა ეჩვენებინა. საჭირო იყო, რომ
ხალხი როგორლაც მიგვეჩია მრა-
ვალფეროვნებისთვის. და როცა ეს
ფასადები ვარდისფრად, ცისფრად
და ყვითლად გადავლებეთ, ჩევნი
პოლიტიკისადმი დაპირისპირებულ
პირველ ოპოზიციურ მოძრაობასაც
მაშინ მივიღით ბიძგი...“

ნაცყვეტი წიგნიდან „მე თავისუ-
ფლებაზე გესაუპრებით“, მიხეილ
სააკაშვილის საუბარი რაფაელ
გლუქსმანიან

გააჩნია ვის გულისხმობთ. ევროპაში ნანილისტების ძალიან მნიშვნელოვანია მყარი ფასეულობები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ იმის გაკეთება, რაც სურთ, და თავს დამნაშავედ თვლიან. ზოგი კი იმას ფიქრობს, რომ ვაშინგტონს მოსკოვი ჯობს. ჩემი აზრით, ეს დიდი შეცდომაა, მაგრამ კარგი ის არის, რომ დებატები დაწყებულია. ჩვენ – თქვენ და მე, მართლები ვართ და ეს იმას ნიშავს, რომ ჩვენ ამ დებატებს მოვიგებთ. ჩვენ მეტი არგუმენტი გვაძეს. გადახედეთ, უბრალოდ, რუსეთის ბოლო 10 წლის ისტორიას. როგორ ჩაიგდეს მათ ძალაუფლება ხელში, როგორ მოაწყვეს აფეთქებები მოსკოვში, რა ქნეს ჩეჩენიიში, რა უქნეს ხოდორკოვსკის, ანა პოლიტკოვსკაიას და სხვებს. ეს ის არის, რასაც ისინი აკეთებენ და აკეთებდნენ. ეს ყველა-ფერი გამოიძებულია. ეს ფაქტებია. თუ გადახედავთ რუსეთის ბოლო ათ წელს, დაინახავთ, რომ ის, რაც მათ საქართველოში აგვისტოში გააკეთეს, ნინასწარ იყო დაგეგმილი.

პრეზიდენტ სააკაშვილის თბონენ-
ტები ამბობენ, რომ ეს იმდენად ცხადი
იყო, რომ ამ ომის დაწყებაში მისი პასუ-
ხისმგებლობა/კ არის.

ମିଠାରାଗିତ ରନ୍ଧରେଣ୍ଡିମ୍ ସବ୍ରା ଲୋଡ଼-
ରି ଅଥ ରେଗିନ୍ବନ୍ଦି, ରନ୍ଧରେଣ୍ଡିମାଟ ଗାଢ଼େଇବା
ଏବଂ ତକ୍ଷା: ପିତ୍ର, ରନ୍ଧର ରିମ୍ବୁ କ୍ଷେତ୍ରାନ୍ତିକ୍ ଜୁରି
ରେଖାବିନ୍ଦୁ ନାହିଁଲେ ଏବଂ ଆଲାର ମିନ୍ଦା, ରନ୍ଧର
ରିମ୍ବୁ ସାମନ୍ଦରିଲେ ରୁଷେତିଲେ ଗାଢ଼େନ୍ଦ୍ରିୟ
କ୍ଷେତ୍ର ଫରିଦ୍ଦିଲୁବି. ମିଠାରାଗିତ ତାନ୍ତରିକ୍
ଏରତୀ ଆସେତି ବିନମ୍ର, ଶେଇଦିଲାଇତ? ଏରତୀ
ବେଳେ ବେଳେ ପଦବୀରେ. ମିଠାରାଗିତ ରନ୍ଧରେଣ୍ଡିମାଟ
ରାତ ତକ୍ଷମ୍ବ ଉନ୍ନଦା, ଦାଲାନାନ୍ତିକ୍ ନେଇଲାଇ,
ଶାକିମ୍ବ ପିକନିକ ରୁଷେତିତାନ୍ତି, ମାଗରାମ ଯୁଵେଲା,
ବିନ୍ଦୁ ଫ୍ରିଜରକ୍ଷଣୀୟ, ରନ୍ଧରେଣ୍ଡିମାଟ
ଶେଇଦିଲେବା ଏନ୍ଦର ଏତାମାନ୍ତି ରୁଷେତି,
ପଦବୀରେ. ତୁ ଗିନ୍ଦା ଏବଂ ମର୍ମିକ୍ ନେଇଲାଇ,
ଏରତାଫେରତୀ ସନ୍ତରି ଗଢ଼ା, ଫ୍ରାଙ୍କ ସିଙ୍ଗ-
ବାଲାକ୍ଷେତ୍ର ଜାହାଙ୍କରି.

ნებისმიერ შემთხვევაში, უნდამენ-
ტური პრობლემა რუსეთის გავლენის
სფეროდან გასცლას უკავშირება. და
თუკი ეს სურვილი გაგიჩნდება, აუ-
ცილებლად გექნება პრობლემებიც.
შეხედეთ უკრაინას, ყველაფერი გა-
აკეთეს, რომ რუსეთის სივრცის ესიმოვ-

ნებინათ, და მაინც მათ პრობლემებს
ბოლო არ უჩანს.

შესაძლებელი იყო რუსეთისა და
საქართველოს დაპირისპირების აცი-
ლება? როგორი უნდა ყოფილიყო
კონსტრუქციული ურთიერთობა რუ-
სეთან?

თუ რუსეთს არ უნდა ურთიერთობ-
ბების მოგვარება, როგორ წარმოგიდ-
გენიათ – სააკაშვილი მოსკოვში უნდა
ჩავიდეს და თქვას, – ძალიან დიდი
ბოდიში, რომ საქართველოს უნდა,
ევროპის ნაწილი გახდეს? თუები ის
იტყვის, – „ჯონდაბას, მე არ ვიქენე-
ბი ევროკავშირის წევრი, შევაჩერებ
სწრაფვას ნატო-სკენ, შევაჩერებ რე-
ფორმებს, უარს ვიტყვი დამოუკიდე-
ბლობასა და ტერიტორიების ინტეგრა-
ციაზე“, კი ბატონო, მაშინ მშვენიერ
ურთიერთობებს ააწყობთ რუსეთან.

თქვენ ფიქრობთ, რომ სტრატეგიულ
ინტერესებზე უარის თქმის გარეშე,
რუსეთთან ურთიერთობების მოგვარე-
ბა შეუძლებელია?

არ ვიცი, შესაძლებელია, ასეც
იყოს. მე არც საფრანგეთის პრეზი-
დენტი ვარ და არც საქართველოსი,
მე უბრალოდ ევროპელი ვარ და ვფი-
ქრობ, როგორ დავეხმარო საქართვე-
ლოს, რომ გადარჩეს და შემოგვიერ-
თდეს; როგორ გახდეს საქართველო
ევროპის ისტორიის ნაწილი, იმიტომ,
რომ, ჩემი აზრით, ეს ცხოვრების ჯერ
კიდევ საუკეთესო გზაა. ეს უკეთესია,
ვიდრე „კაგებე“-ს კანონები.

სააკაშვილი ძალიან პოპულარული
იყო თავისი პრეზიდენტობის დასა-
წყისში ქვეყნის შიგნით და გარეთაც.
მას ყველა ენდობოდა, ქართველებიც
და დასავლეთიც აღფრთოვანებული
იყო სააკაშვილით და მხარს უჭერდა.
ხუთი წლის შემდეგ მან დაკარგა ნდო-
ბის თა მხართაჭრის თოთი ნაწილი.

არ გეთანხმებით. ევროპის კავშირები საქართველოსთან დღეს უფრო მჭიდროა, ვიდრე ადრე. დღეს საქართველო ევროპის რუკის ნაწილია. მა-

ნამდე ევროპულებმა არც კი იცოდნენ საქართველოს არსებობის შესახებ. ახლა კი იცნობენ საქართველოს. სა-ქართველო ევროპული დებატების ნაწილი გახდა. ეს ხანგრძლივი პრძო-ლაა, წინ ბევრი სიძნელე და წინააღ-მდეგობაა, მაგრამ მაინც მჯერა, რომ დემოკრატიისთვის ბრძოლას არავინ დათმობს.

ეს პრძმოლა ევროპისთვის, რუსეთის ნინააღმდეგ მაშინ არ დაწყებულა, როცა საკაპშვილი პრეზიდენტი გახდა. ეს საუკუნეების წინ დაიწყო.

ამიტომ ვამბირბ, ვის შეუძლია
თქვას, რომ პრობლემები რუსეთთან
სააკაშვილის გამო დაიწყო? სოციალ-
დემოკრატებს მე-20 საუკუნეში იგივე
პრობლემები ჰქონდათ. ვერც ისინი
გაუმკლავდნენ რუსეთს. ყოველთვის,
ნინა საუკუნეებშიც საქართველოს
პატრიოტები ვერ თანხმდებოდნენ
რუსეთთან. შესაძლებელია იმიტომ,
რომ ზედმეტად იმპულსურები იყვ-
ნენ, არასაკმარისად დიპლომატიუ-
რები, მაგრამ, ღმერთო ჩემო, სა-
ქართველოს ყველა ხელისუფლება,
რომელსაც სურდა დამოუკიდებლობა
რუსეთისგან, იგივე პრობლემების წი-
ნაში იდგა.

თუმცა დღეს სხვა სიტუაციაა, სოციალ-დემოკრატების დროს ბოლ-შევიკებმა ყველა ინტელექტუალური ლიდერი მოკლეს. დღეს კი, ომისას სიტუაცია სხვანაირი იყო – საქართველოში დასავლეთ ეკროპის პრეზიდენტები ჩამოვიდნენ, სარკოზი ჩამოვიდა, ბუშმა ძალიან მკაფიო განაცხადი გააკეთა, შეადარეთ. დიახ, შესაძლოა, ეს ძალიან ნელა ხდება, გეთანხმებით, მაგრამ თუ ისტორიას გადახედავთ, მიხვდებით, რომ დღეს სხვა სიტუაციაა. და ეს მიშას დამსახურებაა, იმიტომ, რომ ყველა მხარს უჭირდა ვარდების რევოლუციას, როცა ის სათავეში მოვიდა. ეს სიმპათიები კი იმიტომ არსებობს, რომ საქართველო მნიშვნელოვანია. და რატომ არის საქართველო მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ ქვეყნამ გადადგა ნაბიჯი წინ და ყველას დაანახა, რომ მას უნდა იყოს ეკროპის ოჯახის ნაწილი.

მართალია, თქვენ ამბობთ, რომ
ევროპა ყოველთვის პოლობს მიზეზს,
რის გამოც ის მხარს არ გვიჭერს; მა-
გრამ, მეორე მხრივ, ეგებ მათ მართლაც
აქვთ ამის მიზეზი, იქნებ მათ სურდათ
მხარდაჭერა, მაგრამ აღმოჩინეს, რომ
საქართველო არც ისე დემოკრატიული
ქვეყანა ყოფილა, როგორც მანამდე
ეგონათ და თვლითნენ?

კი ბატონიშვილი, მაგრამ გაიხსენეთ, რო-
გორი იყო საქართველო ოთხმოცდაა-
თიან წლებში და როგორია ის დღეს.
რა თქმა უნდა, ვერ გახდებით სა-
ფრანგეთი 5 წელინადში და თუნდაც
ათში. ვერ ააშენებთ გადასარეც ქვეყა-
ნას მოკლე პერიოდში, მაგრამ შეხე-
დეთ საქართველოს პროგრესს ბოლო
წლების განმავლობაში.

რატომ გსაუბრობთ ამდენს პირადად
სააკაშვილზე? რაღაც თვალსაზრი-
სით, ძალიან ძნელია, გაავლო გამყოფი
ხაზი, განასხვავო მისი და ამ ქვეყნის
ძედი. თუ ის იქნება წარმატებული,
ჩვენც ვიქნებით წარმატებულები, მისი
დამარცხება ჩვენი დამარცხებაა. ამ
პერსპექტივიდან ჩვენ ვცდილობთ, გა-
ვიგოთ მისი პერსონის კომპლექსურო-
ბა, მისი ხასიათი. ერთი მხრივ, ის პრო-
გრესულია, ენერგიული, ენთუზიასტი,
ჭკვიანი, მოხერხებული. აი, ვთანხმდე-
ბით, რომ მან მოახერხა ქვეყნის პოზი-
ციონიზრება მსოფლიოსა და ევროპის
რუკაზე ...

და, სხვათა შორის, ომის დროს
სწორებ ამან გადაგარჩინათ...

დიახ, ჩვენ გავხდით ევროპული დება-
ტების ნაწილი, ეს ძალიან კარგად გვეს-
მის, მაგრამ მეორე მხრივ, სააკაშვილს
ძალიან ავტოკრატიული ტენდენციე-
ბისთვის აკრიტიკებენ. და აი, ჩვენც
დილემის წინაშე ვდგავართ – როგორ
შეუძლია ასეთ პროგრესულ ლიდერს
ასეთი ავტორიტარული მახასიათებლე-
ბიკ ჰქონდეს?

მე არ ვარ შესაფერისი ადამიანი ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. მხოლოდ იმას ვიტყვივი, რომ არასოდეს შემხვედრია ასეთი გულწრფელი პო-

լուղուզոն. յև ցշլնրգյելոնծա ձալուան մնովնը լուցանու პռլուգիւանո, դա ցանսայուտրեծու մաժոն, րուցա ասետո կրութուսեծու Տորոսակու քցահարտ. րուցա շենո կշընու ուժորուանու ասետո կրութույունո մոմենցուա, ձալուան մնովնը շընուցանու, լուգըրո ոպու ու, զուսա ցշլնրգյելու Տչերա, ցշլնրգյելու և Տամս, րոմ ման պայլագյերո տնօն գա- այտու միուտու, րոմ Տայարտցելու կշընու ար ցակեցու միւերուս նանուու. մե տագութանցու ցամացնա Տայաշընուու ամ տցուսեծամ. յև ար արու մեծոլու դապա- րայո, յև մուսու րցալուրո Տշրցուու. Տոլուգիւ Շբնայրո րամեյ. ասետո ցշլնրգյելոնծա յու ձալուան ուշցուտու. մե զեցդաց, րոմ րաւ մաս Տշրց, յև մուսու ցշլնրգյելու Տշրցուու. դա տու ու ու ցը Շեցլցեծ Տայարտցելու ոյ մուցանու, Տագաւ Շնճա, յև մուսու Նո- րագու Գրացգեցա օյենեծա. տույու ու Շե- ցլցեծ Տայարտցելու ցըրուու նանուու ցակագու, գայակելուցա գասալուտ Ռոցորու կլուգըրո, տացուսուցալու, գա- մուցուցա Տայարտցելու Տայարտցու, ու ծեց- նուրո օյենեծա մտելու տացուսու գարհի- նուու Ցեղարմենեծա.

არასოდეს გიფქერიათ, შეგეხედათ ამ
ქეყნისოფელის არა მხოლოდ სააკაშვი-
ლის პრიზმიდან, არამედ ამისგან და-
მოუკიდებლად; გაგეოთ, რა განსხვა-
ვებაა სააკაშვილის საქართველოსა და
რეალურ საქართველოს შორის?

როგორ ფიქრობთ, ამ რეგიონის
რომელი ქვეყანა შეძლებდა იმას,
რომ რუსული ტანკები მისი დედა-
ქალაქიდან 40 კილომეტრის დაშო-
რებით ყოფილიყვნენ და მის ყველა
ინსტიტუტს გამართულად ემუშავა?
ეს შეძლო საქართველომ. და ეს სინა-
მდვილეში მოხდა. აგვისტოს კრიზი-
სისას, ომის დროს, იმას, რასაც გაუ-
ძლო საქართველოს სახელმწიფომ,
პარადოქსულია და ეს იმის საუკეთე-
სო დასტურია, რომ რაღაც შეიცვა-
ლა. ეს რეალურად მოხდა და არავის
წარმოსახვის ნაყოფი არ ყოფილა.
ომი რეალური იყო და საქართველოს
სახელმწიფომ და საზოგადოებამ ეს
ტესტი ჩააპარა. ■

ერთი კიბევა ოპოზიციურ პარტიებს – რუსეთი

ავტორი: სოფო ჭავჭავაძე

ამ სპეციალურებულის მიზანი იყო, გაგვეგო, რას ფიქრობენ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ გამოწვევაზე – რუსეთთან ურთიერთობაზე ის ოპოზიციური ლიდერები, რომლებიც ქვეყნის განვითარების მთავარ პირობად 2013 წლამდე ხელისუფლებაში მოსვლას მიიჩნევენ.

ოპოზიციის მთავარი მოთხოვნის – ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ახალ ხელისუფლებას, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვაც მოუწევს. ამ პროცესში მთავარი სწორედ რუსეთთან მკაფიო პოლიტიკის გატარება იქნება.

სპეციალურებულის რესპონდენტების უმრავლესობა რუსეთს ხედავს, როგორც ძლევამოსილ, პოტენციურად კეთილგანწყობილ მეზობელს, რომელთან ურთიერთობაც გაუმჯობესდება, საკმარისია, პრეზიდენტი სააკაშვილი „ნავიდეს“. დიალოგის აუცილებლობა, მოლაპარაკებების გზით პრობლემების გადაჭრა, სახალხო დიპლომატიის ჩართვა და ერთმორწმუნების გათვალისწინება – ეს ოპოზიციური პარტიების სტრატეგიების საფუძველია და ამაზე კონკურეტული კონცეფციის შესახებ სასაუბროდ ოპოზიციის წარმომადგენელთა უმრავლესობა მზად არ არის.

პროექტში მონაწილეობა პარტიის ლიდერებს შევთავაზეთ. თუმცა, მათი ნაწილის არჩევანი იყო, რომ პოლიტიკური ორგანიზაციების სახელით პარტიის თუ ალიანსის სხვა წარმომადგენელს ესაუბრა. პასუხების კომპეტენტურობა და სიღრმე თავად შეაფასეთ.

კიბევა: ესპერიენცის ნაწილი მიიჩნევს, რომ
საქართველოს ეპისტოლი ხელისუფლებისთვის როგორ
ამოცანა იქნება რუსეთთან ურთიერთობის-მოგვარება, –
რადგან ამ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები
ერთმანეთს ერთნალება. იმ შემთხვევაში, რომ აკირაკი თქვენ
იქნებით ხელისუფლებაში, კონცენტრაცია როგორ აკირაბთ
რუსეთთან ურთიერთობის გაზრდას?



მა ლეს რუსთანა ურთიერთობების გაუმჯობესების რაიმე კონკრეტული რეცეპტის შემოთავაზება აბსოლუტურად არარეალურად მიმართია. და რაც არარეალურად მიმართია, ამაზე პასუხს ავირიდებ.

საერთოდ, ყველა ცხოველს თავისი ენა უნდა გამოიწახოს – როგორც დათვს, ასევე მგელს, ასევე კატას, ხომ სწორია? ჩვენ რუსეთის მიმართ ამგვარი მიდგომის შემუშავება და მერე რეალიზება ვერ მოვახერხეთ. არ შეიძლება ასეთ მეზობელთან პატარა ქვეყანას ჰქონდეს ისეთი ტონალობა და ფორმა ურთიერთობის, როგორიც გვაქვს ჩვენ. ამის გამოსწორება, ვფიქრობთ, აუცილებელია. მაგრამ ეს არ უნდა იყოს ცალმხრივი ნაბიჯები გადადგმული მხოლოდ საქართველოს მიერ, მხოლოდ საქართველომ არ უნდა იზრუნოს ამაზი.

დარწმუნებული ვარ, რესეტში დღესაც არსებობენ ის ძალები, რომლებიც სერიოზულად ფიქრობენ ამ საკითხზე. პირად საუბრებში, კულისებს მიღმაც გვისაუბრია ამ თემებზე. ეს იწნებოდა ვინაში, თბილისში, მოსკოვში, თუ სხვაგან.

არ შეიძლება პირდაპირი დაილოგი არ დავიწყოთ აფხა-
ზებთან, ოსებთან, და რაიმეს მივაღწიოთ; არ შეიძლება
დაილოგი არ გვქონდეს რუსებთან და რაღაცას მიგაღწიოთ.
რუსეთთან ჩვენ მრავალმხრივ უორმატშიც და ორმხრივ
ფორმატშიც მოლაპარაკება უნდა განარმოოთ.

მე არ ვიტყოდი, რომ რუსეთის და საქართველოს სტრატეგიული ინტერესები ურთიერთგამომრიცხავია. არ ვიტყოდი, რომ საქართველოს დასავლეთისადმი სწრაფვას რუსეთი პროვოკაციად აღიძვაშ. სამწუხაროდ, რუსეთმა არაა დეკატურად გაიგო ჩვენი სწრაფვა ნატო-სკენი. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ეს არაა სამხედრო პოლიტიკურ ალანბში ყოფნა იმისთვის, რომ რაიმე საფრთხე შევუქმნათ ჩვენს მეზობელ ქაყანებს. მარტინ ნატო-სკენი სწრა-

ჯერ ჩევნ უნდა მოეწესრიგდეთ,
უნდა განვითარდეთ — ეკონომიკუ-
რად, პოლიტიკურად, საინვესტიციო
გარემო უნდა განვითარდეს, სასა-
მართლო და მართლმსაჯულების
სისტემა, რომელიც კატასტროფულ
მდგომარეობაშია; ასევე, პენიტენ-
ციური სისტემა. აქედან გამომდინა-
რე, ყველაფრის რესეტზე გადაბრა-
ლება არ იქნებოდა სწორი. თუმცა,
ხაზი მინდა გავისუვა იმ ფაქტს, რომ

დიახ, რუსეთი არის აგრესორი, დიახ, მისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ იყო აგრესიული როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, აქ ორი აზრი არ არის. ზუსტად ამ პირობებში, თუკი სწორად ვითვალისწინებდით და ადვიქტავდით ჩვენს რეალობას, უფრო მეტად უნდა გვეფიქრა იმ შედეგებზე, სადამდეც მიღებდით.

ჩვენი ალიანსის და თვითონ ალასანიას პოლიტიკური გუნდის და პირადად ირაკლის მიზნები არ არის, წავიდეთ სადღაც წარსულში. სწორი პროცესებიც იყო, ჩვენი აზრით, მაგალითად, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვნა. უენევის პროცესი ავილოთ – ასევე ძალიან წინ გადადგმული ნაბიჯია. რატაცები წყდება, რაღაცებს ვერ ვწყვეტთ. რაღაც საკითხებზე მივდივართ კონსენსუსამდე, ეს პროცესია.

ვფიქრობ, რუსეთში ჯანსაღი ძალებიც არსებობენ. ისევე, როგორც საქართველოს სტირდება ძლიერი, დემოკრატიული რუსეთი, ღრმად ვარ დარწმუნებული, რუსეთსაც ასევე ესაჭიროება ანალოგიური ტიპის საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, და სხვა რეგიონული მოთამაშეებიც. აქ ორი აზრი არ არის. ■

საერთოდ, ყველა შხოველს თავისი ენა უდღა გამოიყახო —
რომორც დათვს, ასევე მჩილს, ასევე კატას, ხომ ცეორია?
ჩვენ რასეთის მიმართ ამგვარი მიზგომის შემუშავება და
მისი რაალიზაცია ვერ მოვახდეთ. მა არ ვიცყოდი, რომ
რასეთის და საქართველოს სტრატეგიული ინტერესები
უძლიერი გამოიჩინავია. არ ვიცყოდი, რომ საქართველო
და სავლეთისადმი სწრაფვას რასეთი პროვინციალ
აღიძვამ.



ნიმუშ გურჯაანები

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“

ჩვენის ხულისუფლებაზე დაცისგა მასივი პრაქტიკა, რომ რესპონსიურ არ უდია გეოლოგ არამენირი კონცეპტები, და, პრაქტიკულად, მან ამას მიაღწია - თითომის მინიჭუამლე არის ყველა ჩვენის კონცეპტები დაუცვის სუსტიტუტი რესპონსიურ და ეს სულაც არ მიაჩნია სურაბაზოდ.

ბები მივცე მოსახლეობას. ვერც მე და ვერც ნებისმიერი სხვა, ვინც უნდა იყოს ამ ქვეყნის პრეზიდენტი ამ არჩევნების შემდეგ – ვგულისხმობ წლევანდელი 9 აპრილის შემდეგ დანიშნულ ვადმდელ არჩევნებს და ნამდვილად არ ვგულისხმობ 2013 წელს (იმიტომ, რომ 2013 წლამდე რომ დარჩეს ეს პრეზიდენტი, კიდევ სხვა ტერიტორიებზე შეიძლება მოგვინიოს ლაპარაკი) – ნებისმიერი პრეზიდენტი, ვინც უნდა იყოს არჩეული, ხუთ წელიწადში აფხაზეთის და ოსეთის პრობლემას ვერ მოაგვარებს. თუ ეს ათ წელიწადში მოგვარდა, ეს იქნება ფანტასტიკის ზღვარზე.

ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დასვას საკითხი – თუ ვე-
რავინ ვერაფერს აგვარებთ, რა გამოსავალია? გამოსავა-
ლია ის, რომ მოგვარების პროცესი დაიწყოს. ანუ, ჩიხიდან
გამოსვლის პროცესი დაიწყოს. ჩვენ ახლა ნულიდან კი არ
ვიწყებთ საქმეს, ჩვენ ვიწყებთ უზარმაზარი მინუსიდან და
ჩვენი ამოცანა არის, პირველ რიგში, დავუბრუნდეთ აგვის-
ტოს ომამდელ ვითარებას და მერე ვიღაპარაკოთ უკვე ვი-
თარების სტაბილურობაზე.

რა თქმა უნდა, რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გარე-
შე წარმოუდგენელია რაიმე ტიპის პრობლემის მოგვარება.
სრულიად უპასუხისმგებლოა ჩვენი ხელისუფლების გან-
ცხადება, - არ დაველაპარაკებით რუსეთს, სანამ საქარ-
თველოს უკანასკნელი რუსი ჯარისკაცი არ დატოვებს. არ
ვიცი, ვის როგორ წარმოუდგენია, მაგრამ ვისაც ერთი წიგ-
ნი მაინც წაუჟითხავს პოლიტიკის შესახებ და ვისაც ელე-
მენტარული ალლო აქტებს, დამეთანხმება, რომ, პირდაპირი

დიალოგის გარეშე, რუსეთთან შეუძლებელი იქნება რაიმე დინამიკაზე საუბარი.

ჩვენმა ხელისუფლებამ დანერგა მახინჯი პრაქტიკა, რომ რუსეთთან არ უნდა გქონდეს არანაირი კონტაქტები, და, პრაქტიკულად, მან ამას მიაღწია – თითქმის მინიმუმამდე არის ყველა ჩვენგანის კონტაქტები დაყვანილი რუსეთთან და ეს სულაც არ მიმაჩინია სატრაბაზოდ. ნებისმიერ მეზობელ სახელმწიფოსთან, კარგი ურთიერთობა გაქვს თუ ცუდი, უნდა გქონდეს კონტაქტი; უნდა იცნობდე ადამიანე-



ბს, უნდა გქონდეს ელემენტარული ღირსება, რომ ამ ადა-
მიანებს ელაპარაკო შენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად
და ამ კონტაქტების გაწყვეტა, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი
შეკვეთია იყო.

როგორ ფიქრობთ, ის, რომ თქვენ სააკაშვილის ხელისუ-
ფლების წევრი იყავით, დაგეხმარებათ თუ ხელს შეგიძლით
რჯესთან ურთიერთობაში?

ხელისუფლებაში ყოფნის ჩემს გამოცდილებას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს უარყოფითი მომენტები არსებობს მხოლოდ ჩემი რეიტინგისათვის და მხოლოდ ადამიანების ჩემდამი განწყობის თვალსაზრისით. საქმის თვალსაზრისით, ამას უარყოფითი მომენტი არ აქვს. ის უარყოფითი გამოცდილება, რომელიც მე ხელისუფლებაში ყოფნით მაქვს და რომელმაც ჩემი ემოციის დიდი ნაწილი წაიღო, არის იმის გარანტია, რომ არ განმეორდება ის შეცდომები, რომელთა მონაბეჭდი მე ვიყავო.

სტრატეგიულ ურთიერთობასა და საომარ მდგომარეობას შორის არის ძალიან დიდი ლურჯი. ხელისუფლებაში ყოფინის დროს ყველა ჩემი მცდელობა, რომ ვითარება მეტ-ნაკლებად დარეგულირებულიყო, მაგალითად, ყოფილიყო ვიზიტები, ყოველთვის, ზოგჯერ პირდაპირ და ზოგჯერ არაპირდაპირ, იბლოკებოდა. ამის ნაცვლად, მთავრობა მუდმივად იყურებოდა „მუსკულებზე“, რომელიც საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ არ აქვს. მე, მართალი გითხრათ, მეგონა, რომ კოტა მანიკ ჰქონდა. ■



ზურაბ ნოლაიდელი: „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“

რუსეთთან მოლაპარაკები აუცილებლად უნდა შედგეს, ყოველგარი წინაპირობების და ულტიმატუმების გარეშე, დღევანდელი პოზიციისგან განსხვავებით. დღეს სააკაშვილი ამბობს, – რუსეთს ველაპარაკები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოდან

გავაო. რუსები თუ საქართველოდან გავლენ, მაშინ მათთან სამაპარაკოც არაფერი რჩება.

მთავარი პრობლემა სწორებ ის არის, რომ ომის შემდეგ შეიქმნა უმძიმესი ვითარება – რუსეთმა ორი უმსხვილესი სამხედრო ბაზა დააფურნა ჩვენ ტერიტორიაზე. მან აღიარა ფორმალურად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამ შემთხვევშიც კი, აუცილებელია რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკები, ურთიერთობის მოსაგვარებლად თუ არა, არსებული პრობლემების გასარკვევად მაინც.

მეორე მხარეა ის, რასაც თქვენ მექითხებით – ერთია, რას გავაკეთებთ, მეორე – რამდენად დიდია წარმატების შანსი? ეს მარტივი არ არის, იმიტომ, რომ დღეს კიდევ სულ სხვა ვითარებაა, ვიდრე იყო 7 აგვისტოს ან მით უმეტეს – 2005 წელს. სიტუაცია ამ პერიოდში მკვეთრად გაუარესდა და განსაკუთრებით გაუარესდა ის 8 აგვისტოს დილით. იმის მიუხედავად, რომ რუსეთ-საქართველოს შორის, შესაძლოა, ურთიერთობების პერსპექტივა არც არის, ამ პრობლემების მოგვარების გზა მაინც არსებობს. მე ამას ფრთხილი ოპტიმიზმით ვუყურებ.

ჩვენ არ უნდა გვეგონოს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები იქნება მსოფლიოს პოლიტიკის ქვაკუთხედი, ცენტრალური წერტილი. ამიტომ ამას მივყვეთ ძალიან წყნარად, თანმიმდევრულად, იმ ამოცანების შესაბამისად, რომელიც გვაქვს.

ურთიერთობის გაუარესების ტენდენცია აღნიშნეთ. როგორ გვინდათ, 2005 წლიდან დღემდე ეს პროცესი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების შეცდომების გამო წარიმართა წეგატიურად, თუ ამის მიზეზი საქართველოს დასაგვლური ინსტიტუტებისკენ სწრაფვა გახდა?

ვითარების გაუარესებას აქვს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. 2005 წელს საქართველო ასევე ისწრაფოდა ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ. ამის მიუხედავად, რუსეთთან ურთიერთობებში 2005 წელი იყო

ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებების წელი. ჩვენ შევძლით თანმიმდევრული მოქმედებების შედეგად საქართველოდან გაგვეყვანა დარჩენილი ორივე სამხედრო ბაზა. 2006 წლის დასაწყისიდან ჩვენს ურთიერთობებში დაიწყო ის, რაც მანამდე არ ყოფილა და რაც სულ უფრო მეტად გახდა ჩვენს ურთიერთობებში წამყვანი ფაქტორი. ეს იყო სააკაშვილის სრულიად კონტრპროდუქტიული რიტორიკა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები სააკაშვილის და პუტინის მტრობაში გადაიზარდა.

თუ შეგიძლიათ დამსახულოთ ჩვენი რეგიონიდან რომელიმე ქვეყანა, რომლის რუსეთთან ურთიერთობა შეიძლება გახდეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობისთვის მოდელი?

არა, არ მინდა ამის გაკეთება. რომ დავასახულო ერთი, ეს ნიშნავს, რომ არ უნდა დავასახულო მეორე.

რამდენიმე დაასახელეთ.

არა, არც ერთ მაგალითს არ დავასახულებ. არ გვინდა მოდელების შეიძლება სხვაგან. არის საქართველოს მოდელი – საქორთველო 2005 წელს – ეს იყო და არის ის მოდელი, რომელსაც ჩვენ კვლავ უნდა მივუბრუნდეთ. როცა თანმიმდევრულად ვიცავდით ჩვენს პოზიციას, მაგრამ არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებდით. შესაბამისად, ვიღებდით კიდეც შედეგს. რუსეთს არც 2005 წელს უნდოდა სამხედრო ბაზების გაყვანა, მაგრამ ჩვენ ჩვენს მოქმედებებში თანმიმდევრულები ვიყავით. ■

ერთია, რას გავაკეთობთ, მორჩი - რამდენიმე დილი

ნარჩატების შანსი? ეს მარტივი არავის, იმიტომ, რომ არა

დღეს კიდევ სულ სხვა ვითარებაა, ვიდრე იყო 7 აგვისტოს.

იმის მიუხედავად, რომ რუსეთ-საქართველოს შორის, შესაძლოა,

შესაძლოა, ურთიორთობების პერსპექტივა არც არის, ამ

პრობლემების მოგვარების გზა მაიც არსებობს. მე ამას

ფრთხილი რატიონალი ვუყურებ.



ნინო სალიშვილი:

„ლეიბორისტული პარტია“

ამ წლების თითოები მე მქონდა ბეჭნიერება და ეს იყო ღვთის წყალობა, როდესაც დილისა და სალამის ლოცვებზე დავდიოდი საპატრიაქოში, სადაც ლოცვებს ატარებდა მისი უწმინდესობა და უნეტარესობა. და როდესაც დასრულდებოდა ხოლმე ლოცვა, ჩვენ ჩამოვდიოდით ქვემოთ, თუ პატრიარქს ჰქონდა დრო, ან ერთად ვტრაპეზობდით, ან მის მისაღებ დარბაზში ვისხედით და ვსაუბრობდით. ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს მან ახლად მოხატულ პანოზე მიმითოთა. ეს ის პანოა, რომელზეც გამოსახულია მთელი ზეციური საქართველო. თქვა, რომ, – „აქო განსაკუთრებულსო რას ამჩნევ, ნესტანო?“ ძალიან დავძაპე ყურადღება, ვფიქრობდი, – რამე არ შემეშალოს-მე-თქი. უცებ, დავინახე, რომ ზეციური საქართველოს პანოზე გამოსახულია ყველა წმინდანი და ერთ-ერთ მეფეს დიადემა არ ჰქონდა და უკვე გამიკვირდა ძალიან. ვუთხარი, – ამდენ წმინდანში ერთი ჯერ კიდევ არკანონიზებული მეფე არის შეყვანილი და ეს რას ნიშნავს-მეთქი? მან გაიძინა და, – „ჰო, სწორად მიხვდითო, ეს ერეკლე მეორე არისო. მე დარწმუნებული ვარ, გავა დრო და ერეკლე მეორეს საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმინდანად შერაცხავს იმ დიდი მისის აღსრულებისათვის, როდესაც აღმოსავლურ ქვეყნებთან ორთაბრძოლებში ევროპამ მიუკეტა გზა საქართველოს, ერეკლე მეორემ კი გაკაფა გზა ერთმორწმუნე რუსეთისაკენ.“

ისევ დავიმოწმებ კათალიკოს-პატრიარქს: მე ვახლდი მას 2007 წლის მარტში მოსკოვში, როდესაც უაღ-

რესად დაძაბული იყო ურთიერთობანი რუსეთსა და საქართველოს შორის, როდესაც გაიმართა ორი პატრიარქის ისტორიული შეხვედრა ქრისტე-მაცხოვრის საკათედრო ტაძარში. პატრიარქმა მიმართა იქ მყოფ რუსეთის ხელისუფლებას და საქართველოს წარმომადგენლობასაც, რომ არსებობს ერთი ასეთი აღმოსავლერი სიბრძნე: „ადამიანი როდესაც დილით დგება, ვიდრე მზეს შეხედავს, ის მეზობელს ხედავსო. ეს მხოლოდ ადამიანებს შორის ურთიერთობას არ ეხება, ეს ეხება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობასაცო.“

და მესამე – ისევ კათალიკოს-პატრიარქს ვიმოწმებ. როდესაც მან ბრძანა ამ რამდენიმე წნის წინ მოსკოვში, რომ რუსეთს სჭირდება ერთიანი, მთლიანი, განუყოფელი და ძლიერი საქართველო და საქართველოსაც სჭირდება ერთიანი, მთლიანი, განუყოფელი და ძლიერი რუსეთი.

თუ გავაკეთებთ ამ ყველაზე ბრძენი მამის, ყველაზე ღირსეული მამის, საქართველოს წამდვილი, ფაქტობრივი ლიდერის, არა მხოლოდ სულიერი წინამძღვრის, მისი უწმინდესობის მიერ გამოხატულ ამ სიბრძნების ანალიზს, და რასაკვირველა, დავუმატებთ ჩვენს პოზიციასაც, გამოვა აუცილებლობა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის, როგორც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის, ბუნებრივია, უნდა იყოს ურთიერთობანი. ეს ურთიერთობანი უნდა იყოს, როგორც ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის, რომელიც უნდა განსაზღვროს საერთაშორისო სამართლებრივმა ხელშეკრულებამ და მისი საფუძველი უნდა გახდეს ინტერესთა ურთიერთგაცვლა.

საქართველოსთვის დამდუცველი აღმოჩნდა ის საგარეო პოლიტიკის კურსი, რომელიც 2003 წლის შემდგომ განვითარდა. ეს, არც მეტი, არც წაკლები, გახლდათ არა საქართველოს მიერ არჩეული კურსი, არამედ ვაშინგტონის გაცხადებული სტრატეგიული პოლიტიკა, გატარებული მისი მარიონეტის – მიხეილ სააკაშვილის მიერ. ■

ისევ დავიმოწმობ კათალიკოს-პატრიარქს,

საქართველოს არა მხოლოდ სულიორ

თიბის არამედ ფაქტობრივ ლილებს:

„არსებობს ერთი ასეთი აღმოსავლური

სიბრძნე: აღმიანი როდესაც დილით დგება,

ვიდრე მზეს შეხედავს, ის მაზრალს ხდება.

ეს მხოლოდ აღმიანი შორის ურთიერთობას

არ ეხება, ეს ეხება სახელმწიფოს შორის

ურთიერთობასაც.“

ଓଠ ଓପ୍ତିତ୍ୱାଦନ ଗାମନ୍ଦିନାର୍ଥ, ରାମ ହିତେ
ଅଗସ୍ତୀତ୍ରମ୍ବନ୍ଧି କେବଳ ମୋହିଲାପାରାଙ୍ଗେ ମେଡ-
ଵେଦ୍ୟାତାଙ୍କ, ଏବଂ ଶୈଳେଦ୍ୱବୀ ମିଳି ଧାସକ୍ଷଣ,
ରାମ 2010-ଶି ହିତେ କେବଳ ମୋହିଲାପାରାଙ୍ଗେ-
ଦିକ୍ଷାତ ମେଧ୍ୟାଦେଵୀରୁ ମେତ୍ରିଯିଲର୍କ୍ସତାଙ୍କ ରା-



კახა კუპავა:

ლოგისა, ძალიან დიდი რესურსები არ-
საგონი.

ეს პოპულარული პრესისტვის სასაცი-
ლოა და არ ესმით ხოლმე, რომ რუსეთ-
ში ქართველები უყვართ და რუსეთში
საქართველო უყვართ. ვინც „რუსთავი
2“-დან იცნობს რუსეთს, და მოსკოვში
ნამყოფი არ არის, ჰგონიათ, რომ რუ-
სეთში ქართველების ხორცის ჭამენ.

სალომე ზურაბიშვილს ხისტი პო-
ზიცია მაშინ კონკრეტულ საკითხთან
დაკავშირებით, კონკრეტულ დიპლო-
მატთან მიმართებაში ჰქონდა. ის მოქ-
მედებდა როგორც ფრანგი დიპლომატი,
კვალიფიციურად. ის დავობდა იმ საკი-
თხზე, რაშიც გვინდოვდა წარმატების-
თვის მიგვეღწია, ხოლო ზოგადად რუ-
სეთის მიმართ სალომე ზურაბიშვილს

ମାଲିନୀ ଫେଲେ କ୍ଷାଲତିଶ୍ୱରାଲ୍ଲି ଏ ପ୍ରସିଦ୍ଧରହୁଳ୍ଲି ଖାତା

არის ჩვენს მორის. რუსთაში ყველაზე მიზად უყვართ
ძართვები ჰალები. თუ ვიდეო არის გავლენისი, რუსულ
ელიტაში სიცხვა ეთების, მაგალითად, მიხეილ ხარატია,
გამოაცხადეს აგენტიად. ჩვიმი ასარჩევი რომ იყოს, ამ
დღაცორისა აგენტებად კი არ გამოვაცხადები, პირისკოთ,
უზურიანარ მაცევაც მივსვადი.

დაც სხვა რეალობაში. რაც შეეხება გა-
დაუწყვეტელ საკითხებს, მე მგონი, რომ
გადაუწყვეტელი საკითხები არ არსებო-
ბს. არ არის რუსეთ-საქართველოს ურ-
თევროპიული არც ერთი გადაუწყვეტე-
ლი საკითხი. მაგალითად, საქართველოს
ხელისუფლება ამჟობდ, რომ ნატო-ს
საკითხი გადაუწყვეტელია. 2008 წლის
აპრილში თავისითავად გადაწყდა ეს
საკითხი. საქართველომაც და ნატო-მაც
განაცხადეს, რომ საქართველოსთვის
ნატო-ში ინტეგრაცია არ არის საქარ-
თველოს პრიორიტეტი. ანუ, არ ყოფილა
გადაუწყვეტელი, ხო?

ყველა პრიბლემა უფრო სუბიექტუ-
რია და გამომდინარეობს რესეთის და
საქართველოს ხელისუფლებების ბევრი
კომპლექსისგან. პირველ რიგში, სა-
ქართველოს ხელისუფლებების კომპლე-
ქსებისგან და მე მცონია, რომ ახალ
ხელისუფლებას თუ ექნება მანდატი,
ლეგიტიმური მანდატი რესეთთან და-

სინამდგილეში, ძალიან დიდი კულტურული და ისტორიული ბმა არის ჩვენს შორის და რესეთში ყველაზე მეტად უყვართ ქართველი ხალხი. მე არ ვამბობ კრემლზე, მე ვამბობ საზოგადოებაზე, ბიზნესზე, კულტურულ ელიტაზე. სიუ-ჟეტებს რომ ვეყურებ, თუ ვინმე არის გავლენიანი, რუსულ ელიტაში სიტყვა ეთქმის, მაგალითად, მიხეილ ხუცუტია, გამოაცხადეს აგენტად. ჩემი ასარჩევი რომ იყოს, ამ დიასპორას აგენტებად კი არ გამოვაცხადებდი, პირიქით, უზარ-მაზარ მანდატს მივცემდი. დავნიშნავდი კეთილი ნების ელჩებად, საპატიო ელჩებად, ყველა ქართველ ბიზნესმენს, კულტურულ მოღვაწეებს, რომელსაც დიდი გავლენა აქვთ რესულ საზოგადოებაზე.

თქვენ განაცხადეთ, რომ „საქართველოს გზის“ სახელითაც დაპარაკიბთ, ანუ ქალბატონი ზურაბიშვილიც იზიარებს ამ პოზიციას?

აგრესიული ტონი არასდროს ჰქონია. მისი გადაწყვეტილება, რუსეთის წარმომადგენლებთან რესულად არ ესაუბრა, მე ვფიქრობ, უფრო ქართული პუბლიკისთვის იყო გათვლილი და ეს იყო კორექტულობის, დიპლომატიურობის დარღვევი.

სააკაშვილო არის მისწრება რუსეთის-თვის. სანამ იქნება სააკაშვილო, მანამდე მუდმივად იქნება აქ აქციები, დესტა-ბილიზაცია და არა არჩევნების გზით წარმართული პოლიტიკური პროცესები. სააკაშვილის შენარჩუნება დღეს რუსე-თის ინტერესებშია. ახალი ხელისუფლე-ბა რომ მოვიდეს – დიდი მანდატით, ლეგიტიმაციით და კარგი რეპუტაციით - წარმოიდგინეთ, ჩვენ ვხდებით ნატო-ს წევრობის კანდიდატი. შეიძლება ახალმა ხელისუფლებამ ხელი გაუწოდოს აფხა-ზებს და ოსებს, ბოდიმი მოუხადოს მათ და სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ ლა-პარაკი. ეს საფრთხეა რუსეთისთვის. ■



ფოტო: გიორგი სახარაძე



რეზისუელი

ავტორები: გოგი სახარაძე, გურამ წიგნაშვილი, იური მარიოვი, ირენ აჩალავაძე, ნათალა გრიგორიაშვილი

ლინიის ძეგლი ჩაიციდას დეკოსტან, თბილის 1990



9 აპრილი 1989 გეორგიეთი მდე.

© 2010 ერეკლე გურიაშვილი



ფოტოკრონიკა



ფოტო: გიგი სამარტინი



ფოტო: გიგი სამარტინი

აირვალი საარაზიდენზო არჩევნების შედეგების
გამოსხალების შემდეგ, ლოკომოტივის სადაცინი, თბილისი, 26 მაისი 1990



լուսապատճեն: Արմեն Մանուկյան

ՅՈՒՆԱՆԱԿԱՆԱԳՈ, ՄԱԿԱՐԵՆՈ 1988


ფოტოკრონიკა



სხივების მოსახლეობა ზეიად გამსაზრდისა მომხრეობა კალაპი ზესელის უფლებას არ აქლევს, 10 ნოემბერი 1989



საბჭოთა ჯარისკაცები სხივების მოსახლეობას და ზეიად გამსაზრდისა მომხრეობას შირის, 10 ნოემბერი 1989



ფოტო: ბერი საბაკელა

ეროვნული გვარდიის პარასახი, სოხუმი, აბენიშვილი 1992



მილისის რაიონი, თბილისი 1994

ფოტო: გილი საჩილდი



ზენო ბახსახერდის მომზრების მიზინი, თბილისი, ვაკე 1998

ფოტო: გილი



მარა როსტომი ზვიად გამსახურდის მომხრეების მიზინზე, თბილისი 1989



სამოქალაქო ომი, თბილისი, იანვარი 1992

ფოტოვაროვანი



ზოგად გამსაზღვრულისა და სიცეა-ექიტოვანის მომხვევა
ჩარიცალებთან. თბილისი, სექტემბერი 1991



ფოტო: ბრენ საბასული




სამოქალაქო რივი, შეზაერა ზოიალ გამსახურდის მომენტებში და მზღვიობის შორის, სამზღვიონი 1993



ფოტო: გილონ კამილიძე



ფოტო: ჩატი საჩარებელი



ვერის სასაფლაო, თბილისი, 1995

ფოტო: გიორგი გრიშაშვილი



ხაშური 2000

ფოტო: ნინო ჭავჭავაძე



პასუხი პასუხისმგებლის საკითხზე

ავტორი: ანა დოლიძე

მოსალოდნელი საპროტესტო გამოს-ვლების მოლოდინში ან მათვის მზადებაში ვლინდება საკითხი, რომელზეც ჩამოყალიბებული პასუხი ოპოზიციას არ გააჩნია – როგორ მოპყრობიან გამარჯვებული ოპოზიციონერები სააკაშვილის ხელისუფლების უკვე ყოფილ წევრებს?

ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში 24 თებერვლის გადაცემაში ნინო ბურჯანაძის, დაუით ზურაბიშვილის, დავით უსუფაშვილის, ზვიად ძიძიგურის და კახა შარტავას ერთად გამოჩენაში „რეზონანსის“ ურნალისტს იგივე კითხვა დაასმევინა – როგორ აპირებდა ეთერში მსხდომი ოპოზიცია გამარჯვების შემთხვევაში ხელისუფლების წევრებთან მოპყრობას, დადგებოდა თუ არა მათი პასუხისმგებლობის საკითხი? ამ კითხვაზე ზვიად ძიძიგურმა შესაძლო პასუხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ნეიტრალური აირჩია – ეს საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია. ზვიად ძიძიგური მართალია, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ სასამართლო საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებაში კანონით ხელმძღვანელობს, ხოლო პიროვნული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებელის მიღებაში აირჩინება.

ბლობის შეფარდების, ისევე, როგორც მისგან გათავისუფლების საკითხს, კანონი ადგენს. კანონს კი ქმნის საკანონმდებლო ორგანო, საქართველოს პარლამენტი, სადაც, ოპოზიციისთვის ოპტიმისტური სცენარის განხორციელების შემთხვევაში, სწორედ ამ პოლიტიკური ძალების ლიდერები ისხდებიან.

ამ მექანიზმის გამოყენების მაგალითისათვის შორს წასელა არ არის საჭირო. რომ არა საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წელს მიღებული ცვლილებები, „დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ“, საქართველოს სასამართლოები ვერ შეძლებდნენ შევარდნადის ბევრი ჩინოვნიკისათვის ქონების ჩამორთმევას. იგივე უნდა ითქვას საპროცესო შეთანხმების ქართულ ვარიანტზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობაში პარლამენტის მეშვეობით დამკვიდრდა და რომლის აღსრულება შემდგომში სასამართლომ განახორციელა.

შესაბამისად, კითხვაზე – პასუხისმგებლობის როგორი ზომები იქნება გამოყენებული სააკაშვილის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის წევრების მიმართ, პასუხი, რომ ამ საკითხს

სასამართლო გადაწყვეტს, არადამაკ-მაყოფილებელია.

როგორც საქართველოს მოქალაქეს, ეს კითხვა მეც მიჩნდება და არ მგონია, არაბუნებრივი იყოს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზიის მქონე პირებს ვთხოვოთ ამ საკითხზე საკუთარი პოზიციებისა და პრინციპების ჩამოყალიბება. უახლოესი წარსულის გამოცდილება ამის კიდევ უფრო მეტ საფუძველს გვაძლევს – სააკაშვილის ხელისუფლების მიერ განხორციელებული შერჩევითი მართლმსაჯულება, როდესაც გაურკვეველი პრინციპების მიხედვით ზოგი დაპატიმრებს და რამდენიმე წლით თავისუფლება აღუკეთეს (მოლაშვილი, მირცხულავა), ზოგიერთი ხელისუფლებაში დააბრუნეს (მიხეილ მაჭავარიანი, ზურაბ ნოლაიდელი, გოგა გაბაშვილი), ხოლო ზოგს დიდი ფული გადაახდევინეს და წარსულს ჩაბარეს (კობა ნარჩემაშვილი, მერაბ ადეიშვილი) და სულაც მიაჩუმათეს (ლევან მამალაძე, კახა თარგამაძე), საქართველოს მოსახლეობისათვის ჭეულის სასწავლებლად კარგი მაგალითია.

პირადად მე, ნინო ბურჯანაძის გამოჩენა ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა



გვერდით მეტ საფუძველს მაძლევს, ასეთი კითხვა დავსვა და ამ კითხვაზე პასუხი მათ არჩევნებამდე მოვთხოვო. უზარმაზარია ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობა ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე და ჩემთვის სააკაშვილის ხელისუფლების უმაღლეს ჩინოსანთა წვლილის ტოლფასია. ქალბატონმა ბურჯანაძემ სააკაშვილის ხელისუფლებას ბოლო დრომდე, ანუ 2008 წლის მაისამდე შეუნარჩუნა ის ჰუმანური სახე, რომელიც მას უკვე დიდი ხნის დაკარგული უნდა ჰქონოდა. არ დამავიწყდება, როგორ ითხოვდა პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრას ან გარდაცვლილი ირინა ენუქიძე და როგორ არ იჩება ნინო ბურჯანაძემ მისთვის პარლამენტის სხდომაზე დასასწრებად საშვის დაშვებაც კი. ნინო ბურჯანაძის „დამასახურებებს“ შორისაა ასევე 7 წლის დარბევის გამართვება, 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების დემოკრატიულად გამოცხადება და სრული თანამონაწილეობა იმ მილიტარისტული კამპანიის გაღვივებაში, რომელმაც აგვისტოს ომამდე მიგვიყვანა. თანამდებობიდან უხმაუროდ წასვლის საფასურად, წყნეთის სახელმწიფო საკუთრების 1 ლარად

მისაჩუქრებაც არ უნდა დაგვავინყდეს. როდესაც ყოველივე ამის შემდეგ ქალბატონი ბურჯანაძე ჩნდება იმ პოლიტიკოსთა გვერდით, ვინც მისი ამ ქცევების უარყოფითი შედეგები საკუთარ ზურგზევე იწვნია, ბუნებრივია, ამომრჩეველს შეაწუხებს კითხვა – რა პრინციპით მოეცყრიბიან იგივე პიროვნებები ამავე ხელისუფლების სხვა წევრებს?

ზვიად ძიძიგურის და სხვების სურვილს, პირდაპირ არ გასცემ პასუხი ამ საკითხს, პოლიტიკური მეცნიერება მარტივად ხსნის. ხელისუფლების შესუსტების ერთ-ერთ სიმპტომს მმართველი ეშელონების რღვევა და მმართველი წრის შევიწროვება წარმოადგენს. ოპოზიციური სპექტრის მიზანია, ხელი შეუწყოს რღვევას იმით, რომ კარი ღია დაუტოვოს წამოსვლის მსურველებს.

მეორე მხრივ, ოპოზიციის ლიდერებმა მოსახლეობის განწყობაც კარგად იციან და იციან ისიც, რომ მათი მხრიდან პირდაპირი განცხადება, რომ მიესალმებიან ხელისუფლებიდან ლიდერების წამოსვლას და, შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში ლმობირად იქნებიან განწყობილი მათ მიმართ, მევეთრად არაპოპულარული იქნება

მოსახლეობაში. შესაბამისად, ისინი არჩევენ ან დუმილს, ან ამ საკითხის მომავლისათვის გადაბარებას.

არადა, იმის დასაჯერებლად, რომ დღევანდელი ოპოზიცია უფრო გულისხმირი იქნება საკუთარი ამომრჩევლის მიმართ, ვიდრე ხელისუფლება, ასეთი დამოკიდებულება მათ ქცევაში დღესვე უნდა დავინახოთ. პირადად ჩემთვის მიუღებელია კახა შარტავას განცხადება ხელისუფლების დამხობის აუცილებლობაზე. ეს მიანიშნებს, რომ ბატონ შარტავას ჩვენი საკანონმდებლო სიკრცის და კონსტიტუციის მიმართ იგივე დამოკიდებულება აქვს, რაც ხელისუფლებას – კონსტიტუციური პრინციპები არ სებობს მანამ, სანამ ისინი პოლიტიკურად მიზანშეწონილია.

მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მესამე პრეზიდენტია, რომელიც სულ 5 წლის წინ მოსახლეობის უზარმაზარი მხარდაჭერით მოვიდა ხელისუფლებაში და რომელსაც, წინა ორი პრეზიდენტის მსგავსად, ამ ხელისუფლებასთან არა-საარჩევნო მეთოდით დამშვიდობება ემუქრება. მთელი უახლესი ისტორიის მანძილზე პოლიტიკურ პერიპეტიებსა და ტრაგიკულ

ანალიზი

მოვლენებში, მონაწილეობას იღებდნენ პიროვნებები, რომლებიც მუძმივად სხვადასხვა როლში გვევლინებოდნენ და გვევლინებიან კიდეც წყალგამყოფის ერთსა და იმავე ან სხვადასხვა მხარეს.

ამავე დროს, „ჩვეულებრივი“ მოქალაქები – პოლიციელები, ჯარისკაცები, უკანასკნები, პროფესორები, ექსპერტები, მასწავლებლები, ბიუროკრატები და სხვა, ჰანა არქნდტის „ბიროტების ბანალურობის“ მთავარი გმირები ანუ ჩვენ და ჩვენი თანამექალაქეები, თავიდან სისტემისა და მის ბელადის შექმნას და შემდეგ მის გადატრიალებას ვუწყობთ ხელს. ამავე დროს არც ერთხელ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში საზოგადოებას არ გაუანალიზებია და არ უცდია, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აეღო. ეს კი საქაოდ კომფორტული პოზიციაა, ვინაიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაფერი აისბერგის წვერს ბრალდება და ჩვენ ყველანი პროცესიდან ისევ მსხვერპლის, უსუსური, მაგრამ პატიოსანი პაიკების როლში გამოვდიოვართ.

კომუნისტების შემთხვევაში, აისბერგის წვერი კომუნისტური პარტიის ლიდერები იყვნენ, შემდეგ გამსახურდია, მოგვიანებით ყველაფერი მხოლოდ იოსელიანისა და კიტოვანის პასუხისმგელობა გახდა, შემდეგ კი დგება საქართველო – შევარდნაძის და საქართველო სააკაშვილის გარე-

შე ლოზუნგების დრო. არადა, ყველას გვავინაყდება, რომ თითოეული მათგანის ლიდერობის ქვეშ დამყარებული სისტემის ნაწილაკები და აღმასრულებლები ვიყავით ჩვენ თვითონვე, ჩვენივე ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები. ვერც ერთი ავტორიტარული რეჟიმი ვერ იარსებდებს მოსახლეობაში დასაყრდენისა და მისივე თანამონაწილეობის გარეშე. თითოეულ ლიდერს, რომლითაც აღვფრთოვანდებით, ჩვენვე ვაძლევთ ამ დასაყრდენს. ჩვენვე ვახდენთ იმ მცირე ჯგუფების მარგინალიზაციას, რომლებიც ყოველ ჯერზე ცდილობენ გაგვაფრთხილონ არადემიკრატიული ტერდენციების შესახებ. უახლესი წარსულიდან მასხენდება რამდენიმე პატივსაცემი მეცნიერი, საჯარო პირი და ახალი მემარჯვენები, რომლებიც თავიდან საზოგადოების რისხების მსხვერპლი გახდნენ, ვინაიდან ვარდების რევოლუციას არ ამართლებდნენ. ხოლო როდესაც იღუზიას ვკარგავთ, პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთ პიროვნებას და მის უახლოეს წრეს გადავაბრალებთ, ჩვენ კიდევ ვაგრძელებთ კომფორტულად ცხოვრებას ჩვენს ნათესაურ-მეგობრულ, ძმაბიჭურ საქართველოში. არადა, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა იმის გარეშე, რომ თითოეულმა მოქალაქემ გაიგოს საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობა და გაიზიაროს მისი პასუხისმგებლობა, შეუძლებე-

ლია. იმისათვის, რომ საქართველოში ასეთი სახელმწიფოს საწყისები გაჩნდეს, აუცილებელია, რომ საქართველოს საზოგადოებამ ამაზე იფიქროს, მსჯელობა დაიწყოს და გააანალიზოს დღევანდელ მდგომარეობაში მისი წლილი.

სწორედ ამ პროცესის მეშვეობით შეძლო გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ისეთი მძიმე ტვირთისაგან გათავისუფლება, როგორც ფაშიზმა. გერმანიაში მარტო პიტლერისათვის არავის დაუბრალებია ფაშიზმის არაპუმანური სისტემის შექმნა. საჯარო განხილვების, კვლევების და მტკიცნეული სამართლებრივი პროცესების მეშვეობით გერმანელმა ხალხმა გაიაზრა პიტლერის ხელისუფლების მიერ ჩადგნილ დანაშაულებში საკუთარი წილი პასუხისმგებლობა და, ამ პასუხისმგებლობის მწვავე განცდის საფუძვლზე, შექმნა ახალი, დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფო. თუმცა ეს პროცესი ცალმხრივი არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ პიტლერის მოლვანეობის ყველაზე ტრაგიკულ მსხვერპლად ებრაელი ერი გამოცხადდა, იგივე პროცესი განვითარდა მათ მხარესაც. ჰანა არქნდტის, თავად გერმანელი ებრაელის, კრიტიკულმა ნაშრომებმა, სადაც იგი გერმანიის ებრაულ ელიტას ნაციზმის გაძლიერებასა და ებრაელების გენოციდის ხელშეწყობაში სდებდა ბრალს,



უზარმაზარი დისკუსია გამოიწვია ებრაულ წრეებში, სადაც სწორედ საკუთარი ერის გენოციდში ებრაელების პასუხისმგებლობას იკვლევდნენ და ამაზე მსჯელობდნენ.

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განვითარებაში სტაგნაციის მთავარი მიზეზი სწორედ ისაა, რომ საქართველოს მოქალაქეები ვცდილობთ, ამ პასუხისმგებლობას გავექცეთ ერთი პიროვნებისათვის მისი გადაბრალებით და ჯერჯერობით არასოდეს ყვითელვართ მორიგი ავტორიტარული მმართველობის შექმნაში საკუთრივ ჩვენს პასუხისმგებლობაზე მსჯელობის მონაწილენი.

საზოგადოება თავად უნდა იყოს მზად, გაიაზროს საკუთარი შეცდომები და შეეგუოს საკუთარი თავის კრიტიკას და არჩევით ფიგურებს აგრძნობინოს, რომ ეს საკითხები ტაბუირებული თემა არ არის. ზემოხსენებულ სატელევიზიო გადაცემებში

საზოგადოების ეს სურვილი, დაინიოს ამ თემაზე დისკუსია და პასუხი გაეცეს კითხვას პასუხისმგებლობის შესახებ, კარგად ჩანს, თუმცა ეს მცდელობა ისევ შეზღუდული ფორმით ვლინდება – „უცნობი“ ფიქრობს, შეადგინოს „სააკაშვილის ფესვების“ სია და შემოსული ზარები მას ამაში არწმუნებენ. თუმცა, იმასაც ხვდება, რომ ასეთ „ფესვებზე“ საუბარმა შეიძლება ძალიან მორს წაგვიყვანოს. ერთი მხრივ, ფესვების ჩამონათვალი შეიძლება ძალიან გრძელი გამოვიდეს და, მეორე მხრივ, იქ შეიძლება ბევრი მისი ახლობელი ადამიანიც მოხვდეს, საკუთარი ძმის ჩათვლით, რომლის ფირმა ერთ დროს სასმელ „სააკაშვილსაც“ ასხამდა. წარსული მთავრობების დანაშაულებებისთვის პასუხის გაცემა სხვადასხვა ფორმით შეიძლება.

ლუსტრაციის კანონი ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში სხვა-


დასხვა ფორმით დაინერგა. პოლონეთში „ეროვნული მეხსიერების იმსტიტუტში“ შექმნა და გამოქვეყნდა კომუნისტური რეჟიმის თანამშრომელთა სიები, ჩეხეთში – ეს სპეციალურ ორგანოს დაევალა, რომელიც კონფიდენციალური პროცედურით ქმნიდა გარანტიას, რომ ყოფილი კომუნისტი ჩინოვნიკები მაღალ თანამდებობებზე არ დაბრუნდებოდნენ.

ვთვლი, რომ ლუსტრაციის კანონი საქართველოშიც მისაღებია. არა იმიტომ, რომ საქართველოს სახელმწიფოს წინაშე დგას დიდი საშიშროება, რომ ის პირები, ვინც მოწინავე თანამდებობებზე იყვნენ კომუნისტური რეჟიმის დროს, კვლავ დაბრუნდებიან ქვეყნის სამართვად. იშვიათი გამონაკლისების გარდა, მათი უმრავლესობა, დიდი ხანია, ჩამოშორებულია პოლიტიკურ ცხოვრებას და, ყველა სხვა საფრთხესთან შედარებით, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე დგას, ეს საფრთხე მნიშვნელოვანი არაა. კანონის მიღება სხვა რამის გამოა აუცილებელი - საქართველოში უნდა დაიწყოს ისტორიული მოვლენების გააზრების, ანალიზის საჯარო პროცესი და ამ მოვლენებზე პასუხისმგებლობის აღებაზე მსჯელობა.

სისხლის სამართლებრივ საშუალებებში შედის არა-დემოკრატიული ხელისუფლების მხრიდან გამოცხადებული თვით-ამნისტია, როდესაც შესაძლო ჩადენილი დანაშაულებისათვის ამნისტია ცხადდება ხელისუფლებაში ყოვნის დროსვე, შემდგომი პასუხისმგებლობის აცილების მიზნით, ან კიდევ ოპოზიციურ ძალებთან წინასწარ შეთანხმების შედეგად ხელისუფლების ცვლილების შემდგომ განხორციელებული ამნისტია. არგვენტინის „ბინძური მოის“ დროს ჩადენილი დანაშაულებთან დაკავშირებული პროცესები ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა, თუმცა ხელისუფლების ცვლილებისათვის გამოცხადებული ამნისტიისათვის საკმარისა საქართველოს უახლეს წარსულში დავბრუნდეთ და პრეზიდენტ შევარდნაძისათვის ხელშეუხებლობის გამოცხადება გავიხსენოთ.

ამავე საშუალებებში შედის ზოგიერთი მაღალჩინოსნის სისხლის სამართლებრივად დასჯა (ნიურნბერგის და ტოკიოს პროცესები და იუგოსლავიის

**სიმართლის და შერიგების კომისიის წინაშე საჯარო
პროცესზე გამოიიყოლენ დაზღვრებულები, გათი მოჯახის
წევრები, მოვალეები და თავად დამარავებების მთავრობების დანაშაულებისთვის პასუხის გაცემა
მისამდან და არჩევით ფიგურებს აგრძნობინოს, რომ ეს საკითხები ტაბუირებული თემა არ არის. ზემოხსენებულ სატელევიზიო გადაცემებში**



საქართველოს ხელისუფლების წევრების სრული აღნისტია დაუშვებელი და გაუმართლებელია, ვინაიდან მოავალ მთავრობაში და საზოგადოებაში ეს უფრო გააღმავებს დაუსკელობის სიღროობის განხდას და ხელს არ შეუცყობს მოსახლეობაში კანონის უზრუნველყოფას.

და რუანდის ტრიბუნალები), საგამოძიებო კომისიის შექმნა და ჩადენილ პოლიტიკურ დანაშაულებზე სიღრმისული ანგარიშის გასავაროება (არგენტინული კომისია) და ა.შ. დღეს საზოგადოებაში სწორებ ამ მეთოდების საქართველოსათვის მიზანშეწონილობაზე უნდა მიმდინარეობდეს საუბარი. ამ საშუალებებიდან რომლის გამოყენება უფრო წაადგება საქართველოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებას.

სააკაშვილის ხელისუფლების წევრების სრული ამნისტია დაუშვებელი და გაუმართლებელია, ვინაიდან მომავალ მთავრობაში და საზოგადოებაში ეს უფრო გააღმავებს დაუსჯელობის სინდრომის განცდას და ხელს არ შეუწყობს მოსახლეობაში კანონის უზენაესობის განმტკიცებას. ხელისუფლებიდან ყველას დასჯა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება, ვინაიდან, ერთი მხრივ, როგორც შევარდნაძის შემთხვევაში, ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს გარკვეული პირებისათვის ხელშეუხებლობისა და ამნისტიის პირობის მიცემა; მეორე მხრივ, ზოგიერთი მისი წარმომადგენელი, ნინო ბურჯაანაძის მსგავსად, საპირისპირ ნავში დროული გადახტომით შეეცდება, მოიპოვოს ინდულგენცია; დარჩენილების სამაგალითო დასჯა კი სააკაშვილის მიერ განხორციელებული შერჩევითი მართლმსაჯულების განმეორება იქნება. რაც ყველაზე მთავარია, ადამიანთა გარკვეული ჯგუფის გამოცალევება და მთელი პასუხისმგებლობის მათთვის დაკისრება გააღმიარებს საქართველოს მოსახლეობის ჩვევას, უპასუხისმგებლოდ მოეკიდოს პოლიტიკურ პროცესებში საკუთარ როლს და თავი

აარიდოს ამ პასუხისმგებლობის გათავისებას.

ამ ჩვევიდან და იქიდან გამომდინარე, რომ აუცილებელია მოსახლეობის შეგნებულმა ნაწილმა ვისწავლოთ ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, სიმართლისა და შერიგების კომისიის პროცესის გამოყენება ყველაზე უპრიანია. სიმართლის და შერიგების კომისია ავტორიტარული რეჟიმის მექანიზრებისათვათ გამკლავების ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც პირველად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, აპარტეიდული რეჟიმის დამარცხების და ხელისუფლებაში პირველი დემოკრატიული მთავრობის მოსვლის შედეგად შემოიღეს.

1977 წლის 18 აგვისტოს სტივენ ბიკო, ნელსონ მანდელას პატიმრობის დროს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმული ლიდერი, პოლიციამ დააკავა. 12 სექტემბერს იგი შიშველი და ნაწამები პრეტორიის ციხის ერთ-ერთი საკნის ბეტონის იატაკზე იპოვეს. მისი მკლელობა ერთ-ერთი დანაშაული იყო სამხრეთ აფრიკას აპარტეიდული რეჟიმის მძიმე დანაშაულთა სიაში. იმ ხეთმა პოლიციელმა, ვინც ანამა და მოკლა ბიკო, ამნისტიისათვის მიმართა სამხრეთ აფრიკის სიმართლის და შერიგების კომისიას 20 წლის შემდეგ. კომისია 1995 წელს შეიქმნა პრინციპით – ამნისტია და შერიგება სიმართლის სანაცვლოდ. კომისია შეიქმნა ძალიან ბევრი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად – ერთი მხრივ იმისათვის, რომ არ დაწყებულიყო რევანშისტული პროცესი ყოფილი თეორეკანიანი მმართველი კლასის წინააღმდეგ; მეორე მხრივ იმისათვის, რომ დასჯის საფრთხის მოლოდინში რესპუბლიკის

ჩანასახოვანი დემოკრატია არ დაემარცხებინა სხვადასხვა, მეტადრე ყოფილ სამართლადამცავ და უშიშროების ორგანოებში მომუშავე ძალებს. რაც მთავარია, რომ არ მომხდარიყო ისედაც კლასობრივად და რასობრივად დაყოფილი საზოგადოების კიდევ უფრო დანაწევრება და დაპირისპირება, გადალაშული ყოფილიყო „სიძულვილის, შიშის, ბრალეულობისა და შერისძიების მემკვიდრეობა.“ კომისიის წინაშე საჯარო პროცესზე გამოდიოდნენ დაზარალებულები, მათი ოჯახის წევრები, მოწმეები და თავად დამნაშავეები, რომლებიც ფაქტებისა და საკუთარი ბრალის შესახებ სიმართლის გადმოცემით და გულშრფელი მონათხრობით ქმნიდნენ ტრაგიკული წარსულის ნამდვილ ისტორიას იმისათვის, რომ ყველას დაენახა საკუთარი როლი ამ ისტორიის შექმნაში და ეს ისტორია აღარასოდეს განმეორებულიყო. ამ საჯარო მსჯელობის, განხილვის და მონანიების პროცესით შეიქმნა ახალი, მომავალზე ორიენტირებული ერთიანი საზოგადოება.

ჩვენი საზოგადოების თავისებურებებიდან გამომდინარე, წარსულის დანაშაულებთან გამკლავებისთვის სიმართლისა და შერიგების ეს პროცედურა ყველაზე მისაღებია. სიის შედეგისა და სასამართლო პროცესის გზით თუ წავალთ, ხშირად აღმოჩედება, როგორც ადრეც ყოფილა, რომ მოსამართლე და თავად სიის შემდეგნიც უნდა იყოს განსასჯელის სკამზე. ასეთ პროცესს არ ექნება მოსახლეობის მხრიდან ლეგიტიმურობის ხარისხი და შესაბამისად, უერც ფართო გათავისება ექნება მის შედეგებს.

>>> გამორჩეულება გვ. 112

ხარჯე და აგრძვე! GPI Card -ით!

დააფიქსირეთ შენაძენი 150-მდე
ობიექტში თბილისში!

დააგროვეთ თანხა პერსონალურ ანგარიშზე
„ჯიპიაი ჰოლდინგში”...



გაცემები GPI Card-ით!

20% 	10% 	7% 	5% 
15% 	10% 	5% 	5% 
15% 	8% 	5% 	5% 
10% 	7% 	5% 	5% 
10% 	7% 	5% 	
10% 	7% 	5% 	

დაწვრილებითი ინფორმაცია
იხილეთ ვებ გვერდზე

www.gpih.ge


24 საათიანი ცხელი ხაზი

505 111

on-line რეჟიმში დააკვირდი როგორ იზრდება დაგროვებული თანხა...

კავკასიის პოლიტიკის გენერალები

ავტორი: ზომ ნათეული
თარგმანი: ქათო ეკონომიკი



გასული წლის ოქტომბრის მიწურულს ინგუშეთში, ჩრდილოეთ კავკასიის ამ პატარა რესპუბლიკაში პოლიტიკური სენატი მოახდინა: ხელისუფლებაში ძალოვანთა მოსვლის დროიდან პირველად, კრემლს სამოქალაქო პროტესტის წინაშე უკან დახევა და რესპუბლიკის მეთაურის, ფსბ-ს გენერალის მურად ზიაზიკოვის გადაყენება მოუხდა. ზიაზიკოვის ხელისუფლებაში მოსვლამდე რესპუბლიკის ხელმძღვანელი არმიის გენერალი რუსლან აუშევი იყო, პოპულარული და გაძედებელი პოლიტიკოსი. თავის მაღალ რეიტინგზე დაყრდნობით, ის დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა. მისი გადაწყვეტილებები, რომლებსაც მხარს ინგუშთა უმტესი ნაწილი უჭირდა, ეწინააღმდეგებიდა კრემლის ამოცანებს რეგიონში. ის ერთადერთი ხელმძღვანელი იყო კავკასიაში, რომელმაც ორჯერ თქვა უარი, ხელი მოეწერა ჩეჩენეთში ჯარის შეყვანის მოთხოვნაზე. მოსკოვისთვის შედგენილმა პეტიციებმა კრემლს სერიოზული საფუძველი მისცა ჩეჩენეთში ორივე ომის დასაწყებად. რუსეთის ფედერალური მოწყობის ერთგული მხარდამჭერი, როცა საქმე რეგიონის ინტერესებს ეხებოდა, კრემლთან ურთიერთობის გამნვავებას არასდროს მორიდებია. ამ

პოზიციის წყალობით, მან ინგუშეთის ეკონომიკური განვითარების მხრივ დიდ ნარმატებებს მიაღწია. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ვლადიმირ პუტინი და მისი ფსბ-ელი მომხრეები მოვიდნენ, კრემლმა რუსლან აუშევზე ტოტალური ზეწოლა დაიწყო და საბოლოო ჯამში მას გადადგომა აიძულა.

ინგუშეთის ახალმა ხელმძღვანელმა, მურად ზიაზიკოვმა, ფედერალური ცენტრისადმი აბსოლუტურად მორჩილმა ფიგურამ, მოსკოვისგან განუზომელი მხარდაჭერა მიიღო. თუმცა, ნახევარი წლის თავზე რეგიონი მძიმე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. მისი ხელმძღვანელობის პირველი ორი წლის (2002-2003) შემდეგ მთლიანი შიდა პროდუქტი 25%-ით დაეცა, უმუშევრობამ და სიღატაკემ, შესაბამისად - 30%-დან 55%-მდე, და 50%-დან 80%-მდე მოიმატა. კორუფცია მყისიერად გაიზარდა, ზიაზიკოვის რეიტინგი კი ნულისკენ წავიდა.

სწორედ ამ წლებში გაჩნდა ინგუშეთში ხელისუფლებისადმი მძლავრი სამოქალაქო წინააღმდეგობა. ამ რთულ და ხანგრძლივ ბრძოლას შედეგად რეგიონის ხელმძღვანელის გადადგომა მოჰყვა. მოსკოვმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ცვლილება თავიდან აერიდებინა. სპეცსამსახუ-

რებმა და სამხედროებმა სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ ძალადობის კონვეირი აამუშავეს. ბევრი აქტივისტი, მათ შორის გავლენიანი ოპოზიციური საიტის **Ингушетия.Ru**-ს მფლობელი მბპომედ ევლოევი მოკლეს. მოძალადე და კორუმბირებული ხელისუფლება თავისი არსით თითქმის ფეოდალურ მმართველობას დაემსგავსა. საზოგადოების პროტესტი იმდენად ტოტალური, საყოველთაო და უკომპრომისო გამოდგა, რომ მოსკოვს სხვა გზა აღარ დარჩა. კრემლს, რომელსაც ასე ეშინია დემოკრატიის, მისი მკაფიო გამოხატულების წინაშე უკან დახევა მოუწია.

ექსპერტების უმრავლესობა თანხმდება: ინგუშეთის კრიზისის მთავარი მიზანით თავად მურად ზიაზიკოვი იყო. კრიზისი ხელისუფლებაში სწორედ მისი მოსვლის შემდეგ დაიწყო. ახლანდელი პრეზიდენტი იუნუს-ბეკ ევკუროვიც გენერალია, თუმცა - წინამორბედის ანტიპოდი. ევკუროვი ზიაზიკოვის შეცდომებს არ იმეორებს, ის ღია პოლიტიკას აწარმოებს და სამოქალაქო საზოგადოებას დიალოგს სთავაზობს. მან თავის გუნდში მიიწვია რუსლან აუშევის ყოფილი თანამოაზრებიც, რომლებიც ბოლო ექვსი წელიწადი იყვნენ. თუკი ამ ვითარე-

ბას „კარგი და ცუდი ბიჭის“ თეორია რამენაირად მაინც მიესადაგება, მაშინ

რეგიონში სიტუაცია რადიკალურად უნდა შეიცვალოს. თუმცა ეს პროგნოზი, საბოლოო ჯამში, შესაძლებელია, არ გამართდეს.

თუკი ინგუშეთის განვითარების ბოლოდროინდელი უარყოფითი დი-

გამორჩეული და პოპულარული პოლიტიკოსია.

ამავე დროს ზიაზიკოვი კებ-ს და ფსბ-ს კაბინეტებში უსახურ, მოსახუენ კარიერას იკეთებდა. მართალია, ის დიდ ხანს მუშაობდა ინგუშეთში, პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებამდე ბევრი არავინ იცნობდა. გე-

მცირე სხვაობას აღმოვაჩენთ! ორივე დიქტატორი იყო, რომლებსაც დემოკრატია საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრის ხერხად მიაჩნდა. არც ერთი მათგანი არ სცემდა პატივს მოქალაქეთა თავშეყრის უფლებას, საპროტესტო მიტინგები ორიგეს არაერთხელ დაურბევია. მუნიციპა-

**რობორს ჩანს, ახლა
ევკუროვი ფიქრობს, ვინ
გახდეს იცხვეთისთვის:
მეორე აუზვი თუ
პირველი კალიროვი.
არც ერთი ვარიანტი
არც მას და არც
საზოგადოებას კარგს
არაფერს მოუჩანს.**



REUTERS

ნამიკა ამ რესპუბლიკის ხელმძღვანელის პიროვნებას უკავშირდება, მაშინ ზიაზიკოვს რუსლან აუშევისგან რადიკალურად განსხვავებული ნიშნები უნდა გამოემუდავნებინა, რომელმაც სელისუფლებაში ყოფნისას რეგიონულ განვითარებაში დამაჯერებელ წარმატებას მიაღწია.

მართლაც, ერთი შეხედვით, ასეთი შედარება ამ ლიდერთა მხოლოდ განსხვავებებზე მიუთითებს, რომელთაგან ყველა აუშევის სასარგებლოდ მეტყველებს. ის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს კავკასიაში. ავღანეთის ომის გმირი, რომელმაც, მიუხედავად ყველაფრისა, გაბედა და აღიარა, რომ საბჭოთა სამხედრო მისია ამ ქვეყანაში მცდარი და მანქირი იყო. აუშევის სამშვიდობო მისიების წარმატებები გაოცებას იწვევს. მისი, როგორც მოუსყიდველი პოლიტიკოსის სახელი ეჭვგარეშეა. აუშევი არც ერთ კორუფციულ სკანდალში არ ფიგურირებს. ერთი სიტყვით, ის ქარიზმული პიროვნება, მამაცი მებრძოლი,

ნერლის წოდება ზიაზიკოვს მოსკოვმა არჩევნების წინ მიანიჭა მისი გამარჯვების შანსის გასაზრდელად. 2004 წლის ზაფხულში, როდესაც ინგუშეთში „ბოევიკები“ შეიქრნენ და იმავე წელს ბესლანის სკოლა დაიკავეს, ზიაზიკოვის საჯურელი საზოგადოებამ ლაჩირობად ჩათვალა. პრეზიდენტ პუტინისთვის წარდგენილი მისი ბუტაფორიული მოხსენებები, რომლებიც რეგიონის ეკონომიკურ წინავლას ეხებოდა, ოფიციალურ სტატისტიკასც კი ეწინააღმდეგბოდა და საზოგადოებას სულ უფრო მეტად აღიზიანებდა. მთავრობაში კორუფციის ზრდა, როგორც ჩანს, მის პირად ინტერესებსაც უკავშირდებოდა. სამართლანია, თუ ვიტყვით, რომ ინგუშეთის მოქალაქეებს ზიაზიკოვი სძულდათ.

თუმცა, ეს განსხვავებები ორივე ყოფილი პრეზიდენტის პიროვნულ მახასიათებლებად უფრო გამოდგება, ვიდრე მათი - როგორც პოლიტიკოსების. საკმარისა, მათი პოლიტიკის შედარება დავიწყოთ, რომ საოცრად

ლურ დონეზე არჩევითობის დამკვიდრებას არივე წინაღობებს უქმინდა და ადგილობრივი ხელმძღვანელების დანიშვნის უფლებას ხელიდან არც ერთი უშვებდა; სასამართლო სისტემაზე კონტროლის შესანარჩუნებლად ძალისხმევას არ იმურებდა და რეგიონის პარლამენტს ორივე მცაცრად აკონტროლებდა. არჩევნებისას ერთიც და მეორეც მასშტაბური გაყალბებით გამოირჩიდნენ. ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებზე ორიგეს ტოტალური კონტროლი და ცენზურა პქონდა დაწესებული. ერთმაც და მეორემაც ხელისუფლებაში ოჯახური კლანები მიიყვანა.

ეკონომიკურ პოლიტიკაშიც ორივე პრეზიდენტი ერთსა და იმავე პრინციპს მისდევდა: თავისუფალ მეწარმეობას, რომლის დამოუკიდებლობასაც უცხად ხელყოფდნენ, მათგან მხარდაჭერა არ ღირსებია. კერძო მონოპოლიებს ინარჩუნებდნენ და სახელმწიფო სექტორს აძლიერებდნენ, რომელმაც ინგუშეთში წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია.

ანალიზი

არსით ეს სახელმწიფო ეკონომიკა იყო. კერძო ბიზნესისთვის ნარმობის მთელი რიგი დარგები მიუწვდომელი გახდა.

ამავე დროს, მათ მოსკოვისა და ჩეჩენი სეპარატისტების მიმართ დამტკრალურად განსხვავებული პოზიციებიც ჰქონდათ. აუშევი მოსკოვს მდვინვარე ოპონირებას უწევდა, ჩეჩენ სეპარატისტებს კი მხარს ზომიერად უჭერდა. სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც იყო, რომელთა განზოგადება ასე შეიძლება:

ყოფილი პრეზიდენტების შიდა პოლიტიკა სრულიად ერთნაირი იყო, მაგრამ საგარეო კურსი განსხვავებული. თუმცა, ქვემოთ გიჩვენებთ, რომ საგარეო პოლიტიკის არჩევანი იძულებითი იყო და არა დამოუკიდებელი.

ამგვარად, ვნახეთ, რომ ორივე პრეზიდენტი, ერთნაირ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე მსგავს რეგიონულ პოლიტიკას ატარებდა; აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ინგუშეთის განვითარების დინამიკა პრეზიდენტების ფიგურებზე იყო დამოკიდებული, და თუ ასეა, მაშინ „კარგი და ცუდი ბიჭის“ თეორიაც მცდარი ყოფილა.

ჩვენი თვალსაზრისით, ის ფუნდამენტური ფაქტორი, რომელმაც რუსლან აუშევის დროს რეგიონული განვითარების ნარმატება განაპირობა, ინგუშეთში იმ დროს არსებული ეფექტიანი ს.ს.პ. იყო, რომელიც, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ექსპერტებს მხედველობის არიდან გაეპარათ.

ინგუშებისთვის ტრადიციული სამართალი საყოველთაოა და მას უპირატესობა ენიჭება ყველგან, სადაც კი შესაძლებელია. ეს საზოგადოება ისტორიულად აცხადებდა უარს რუსული სამართალის ლეგიტიმაციაზე, შესაბამისი ხელისუფლება კი ყოველთვის უცხოდ აღიქმებოდა(1). სრულიად აქარაა, რომ ინგუშების ნებასურვილით არჩეული პრეზიდენტი მოსკოვთან ულმობელ პოზიციაში უნდა აღმოჩნდეს.

მეორე მხრივ, რეგიონული ინსტიტუტები, რომელსაც რეგიონის ხელმძღვანელობა აკონტროლებს, უმთავრესად აღმასრულებელ ფუნქციას ასრულებენ, ხოლო იმ ინსტიტუტებს,

რომელთაც ფედერალური ხელისუფლება ემორჩილება, მაკონტროლებელი ფუნქცია აქვთ. ამგვარად, არჩეული, ანუ, შესაბამისად, კრემლთან დაპირისპირებული პრეზიდენტის შემთხვევაში, ინგუშეთში სახელმწიფო მმართველობა იდეალურად ხორციელდება, კარგი მენეჯმენტის კლასიკური წესის შესაბამისად, რომელიც აღსრულების და კონტროლის ფუნქციების გაყიფასა და დამოუკიდებლობას გულისხმობს.

აუშევის მმართველობამ სწორედ ასეთ პირობებში ჩაიარა. არჩეული და, შესაბამისად, ელექტორატზე დამოკიდებული პრეზიდენტი რეგიონის ინტერესებს მტკიცედ იცავდა ფედერალური ცენტრისაგან. რაც შეხება ჩეჩენეთის ომს, ამ კონფლიქტში ინგუშები მხოლოდ მონათესავე ეთნოსს კი არ უჭერდნენ მხარს, არამედ რუსეთს კოლონიზაციონ სახელმწიფოდ აღიქვამდნენ. მეორე ფაქტორი, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანიც კი იყოს: ორივე სამხედრო კამპანიის დროს რუსულ ჯარს პირველი დანაკარგები სწორედ ინგუშეთში ჰქონდა, მაშინ, როდესაც ჩეჩენეთის ტრირიტორიის დიდი ნაწილი რუსეთის მიმართ ლიოალური რჩებოდა და არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდა. ამ კონფლიქტში რუსლან აუშევს სხვა პოზიცია რომ დაეჭირა, საზოგადოებაში დასაყრდენს ის დიდი ხნის წინ დაკარგავდა.

ამავე დროს, ინგუშეთში რეგიონული და ფედერალური სახელმწიფო დაწესებულებების დამოუკიდებლობა არა-ერთხელ გამხდარა დაპირისპირების მიზეზიც, რომლის ინიციატორი ხან ერთი მხარე იყო, ხან – მეორე. დამოუკიდებელი პოზიციის ქონა და პორტეტი ჩეჩენეთის ომის წინააღმდეგ, კრემლის მიერ კოლონიური იმპერიის ინსტინქტის შესაბამისად აღიქმებოდა. ფედერალურ სტრუქტურებსა და მათ მაკონტროლებელ ფუნქციებზე დაყრდნობით, მოსკოვი უძლიერეს ზეწოლას ახდენდა აუშევზე, რათა ეიძულებინა, გადამდგარიყო, და ხელისუფლებაში საკუთარი რჩეულის მოყვანის საშუალება მისცემოდა.

თავის მხრივ, აუშევი უზარმაზარი ძალისხმევის ფასად ცდილობდა,

ფედერალური სტრუქტურები საკუთარი ძალაუფლებისთვის დაექვემდებარებინა. ჩვეულებრივ, გამზავების მიზეზი ფედერალური დაექვემდებარების სტრუქტურათა ესა თუ ის არასწორი ნაბიჯი ხდებოდა. პრეზიდენტი აუშევი ყოველ ასეთ შემთხვევაში ჯიუტად, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულ, პარადოქსულ დასკვნას აკეთებდა, რომ მარცხის მიზეზები დაექვემდებარების არსებულ სისტემაში იყო მოსაძებნი. ის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასაც კი ხელყოფდა და მიზეზად მისი თვალსაზრისით მცდარი გადაწყვეტილებების არსებობა მოჰყავდა. აუშევის პოზიციის აშკარა სისუსტის მიუხედავად, ჩევნ ვფიქრობთ, რომ მსგავსი ქცევა ტოტალიტარული იდეოლოგიის და სამხედრო იერარქიის პირობებში ჩამოყალიბებული ადამიანის ალალი და, შესაძლოა, ბუნებრივი შეცდომა იყო. მის გარემოცვას მისივე დაექვემდებარების სტრუქტურათა შეცდომებზე რომ მიეთითებინა, ან მონტესკიეს წაკითხვა ერჩია, პრეზიდენტ აუშევის შეხედულებებზე ეს უდავოდ სასარგებლო გავლენას მოახდენდა.

ერთი შეხედვით, აუშევის სიმეტრიული პასუხი ფედერალებთან ორთაბრძოლაში მართებული ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ამგვარი პასუხი პრონოზირებადი და ძირშივე წამგებიანი იყო. მოსკოვის პოლიტიკა რეგიონში ძალდატანებას ემყარებოდა, აუშევის დასაყრდენი კი საზოგადოების მხარდაჭერა და მაღალი ლეგიტიმურობა იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი ძალა დემოკრატიაში იყო, რომელიც, ამასთანვე, მოსკოვურ კოლონიალიზმს კარგს არაფერს უქადდა. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ დემოკრატია გაეძლიერებინა, აუშევი ფედერალური სტრუქტურების დამორჩილებისთვის იბრძოდა და ძალაუფლების უზრუპაციის მისისრიც მისი მიზანი დასაყრდენს ის დიდი ხნის წინ დაკარგავდა.

მოქნეულ ჯოხს, და არა – თავად ჯოხის მომქნევს.

სანამ მოსკოვსა და აუშევს შორის ბრძოლა გრძელდებოდა, აღმასრულებლები და მაკონტროლებლები ერთმანეთს ვერ ურიგდებოდნენ, მოქალაქეთა უფლებები კი დაცული იყო. როცა მათ უფლებებს ერთნი არღვევდნენ, მოქალაქები მეორებს მიმართავდნენ, მოსკოვი და მაგასი კი საზოგადოების სიმპათიის მოსაპოვებლად იბრძოდნენ.

ამ კონფლიქტმა საზოგადოების და კონკრეტული პიროვნებების განვითრებაზე ძალან დადებითი გავლენა იქონია. იმ დროს ინგუშეთში კორუფციის მაჩვენებელი, როგორც ჩანს, მთელი რუსეთის მასშტაბით, ყველაზე დაბალი იყო. პოლიტიკოსებს და მოხელეებს კარიერის გასაკეთებლად ორი გზა ჰქონდათ: ან აუშევთან უნდა ყოფილიყვნენ და მისი მფარველობის ქვეშ დაფრთხიანებულიყვნენ, ან – დაპირისპირებოდნენ და მოსკოვის მხარდაჭერაც არ დაყოვნებდა. შედეგად, იმ ერის ძეგვრმა წარმომადგენელმა, რომელიც ინგუშეთის დაპყრობის დღიდან რუსეთის დასკრიმინაციის მსხვერპლი იყო, შთამბეჭდავი კარიერა გაიკეთა პოლიტიკაში, სახელმწიფო საპრბილზე და ბიზნესში. სამი მოწვევის დუმაში სამ-სამი ინგუში დეპუტატი იყო, ანუ იმ მაქსიმუმზე სამჯერ მეტი, რომლის იმედიც ამგვარი რიცხოვნობის ერს უნდა ჰქონდა.

ხელისუფლებაში მოსკოვის კრეატურის, ზიაზიკოვის მოსკლამ, რაც მხოლოდ არჩევნების მასობრივი გაყალბებით გახდა შესაძლებელი, რეგიონში დამკიდრებულ ურთიერთშეკავებისა და ბალანსის სისტემას სერიოზული ზიანი მიაყენა. თავიდან საქმე მხოლოდ ზიაზიკოვის პერსონას ეხებოდა, და მას მომდევნო არჩევნებში მონაწილეობა საიმედოს არაფერს უქადა. მაგრამ 2004 წელს ბესლანში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ პუტინმა რეგიონის ხელმძღვანელების საჯარო არჩევნები გააუქმა და მათი დანიშვნა თავად დაიწყო, რითაც ურთიერთშეკავებისა და ბალანსის სისტემა ინგუშეთში საბოლოოდ დაინგრა. მას შემდეგ რეგიონის ხელმძღვანელობა



აპრილი პრომოსკოვური განწყობისაა, რეგიონულის დასაბალანსებლად ფედერალური დაქვემდებარების ინსტიტუტების გამოყენებამ აზრი დაკარგა, საზოგადოებამ კი დაკარგა ხელისუფლების მეთაურზე რეალური გავლენა. მოსკოვი ახლა უშუალოდ პრეზიდენტთან ურთიერთქმედებს, რომელსაც, თავის მხრივ, მოსკოვისგან რეგიონში სამოქმედოდ სრული კარტ-ბლანში და აბსოლუტური ძალაუფლება აქვს. ასე დაიწყო ინგუშეთმა შუასაუკუნეობრივ ფეოდალურ სახელმწიფოდ გადაქცევა.

ურთიერთშეკავებისა და ბალანსის სისტემის განადგურება ერთადერთი უარყოფითი შედეგი არ ყოფილა, რაც რეგიონის ხელმძღვანელების არჩევითობის გაუქმებამ მოიტანა.

ახლა, როგორც წესი, ადგილობრივი ბიუროკრატის ყველა გამოსვლაში ეს სიტყვები ჟღერს: „უხვ დოტაციებს მხოლოდ იმ პატივისცემის წყალობით ვიღებთ, რომლითაც ჩვენი პრეზიდენტი მოსკოვში სარგებლობს. ღმერთი ფარავდეს, რადგან მის გარეშე ჩვენი ბიუჯეტი ცარიელი იქნებოდა, ჩვენ კი მშევრები!“ მაგრამ ეს კომიკური სიბრივე არც ისეთი უცნებელია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ინგუშეთის ბიუჯეტი (დაღესტანსა და ჩენენეთთან ერთად) ყველაზე მაღალი, 90% დოტაციურია.

საფრთხეო ჩერხეთის

პრეზიდენტის, რამზან

კალიქოვის გამოსლილების

გამეორების მსდელობაში

იმალება. ყოველი მხრიდან

კი ეპსერიზთა მოსაზრებები

ისმის, რომელთა აზრით,

იგუაზეთში აგზვარი

გამოსლილების დახერჩვაზე

მოთხოვილება არსებობს.

>>> გამორჩეულება გვ. 112

უკანასკნელი იმპერია?

შიგნით და გარეთ

ავტორი: ზურა ჯობეგარიანი
ილუსტრაცია: ანა ტაბათაძე

აოსტაოლიტიკა

„ეს სამყარო არანორმალურია“
ძეგლები და სხვები

მომხმარებელი X ზის ყუთთან და პირდაპირ ეთერში უყურებს რეალურ ტერაქტებს, რეალურ რევოლუციებს, აფრიკული ტომების ცეკვას National Geographic-ზე, ცუნამისა ამერიკაში, კარნავალს რიოში, ქრისტეს მეორედ მოსვლას ზეციდან... ამავდროულად, ის ასწრებს კბილების გახეხვას, თვალების შეღწვას, იარაღის გადატენვას და როცა „ნიუსები“ მთავრდება, მზადაა სამსახურში ან ოში წასასვლელად.

„შემდეგ რევოლუციას შეგიძლიათ თვალი ადევნოთ პირდაპირ ეთერში!“ – საფრანგეთის უკანასკნელი რევოლუციის ეს სლოგანი, ყველაზე კარგად გამოხატავს პოსტმოდერნული პოლიტიკის ახალ სახეს. „ფაქტები არაფერია, მთავრია ინტერპრეტაცია.“

პოლიტიკა სულ უფრო და უფრო ითვისებს „ემთივი“-სა და კომპიუტერული თამაშების ესთეტიკას, პოლიტიკოსები პო-ვარსკევლავები არიან, მედია პიარი გაცილებით ძლიერი და ეფექტურია, ვიდრე პომო საპიენსის პირადი კონტაქტები. პოლიტიკა შოუს გარეშე მოსაწყები და არაპოპულარული საქმიანობა. მილიარდობით ვირტუალური დოლარი სინათლის სიჩქარით მოგზაურობს კორპორაციებან კორპორაციაში. ვირტუალური ლილაკები რეალურ საქმეებს წყვეტენ, რეალური საქმეები კი პირველ რიგში ვირტუალური (ინფორმაციული) ტერიტორიისთვის ბრძოლაა.


ფეოდალური (პრე-მოდერნული) და მოდერნული (ინდუსტრიული) პოლიტიკა ძირითადად ორიენტირებული იყო ტერიტორიულ დაპყრობებზე, კოლონიის შექმნაზე – მამრი ორანგუტანების ლოგიკა მარტივი და ერთმნიშვნელო-

ვანია. პოსტმოდერნული, გლამურული პოლიტიკა კი ხვდება, რომ რეალური ძალაუფლება პირველ რიგში ნიშანვს ცნობიერების და ყურადღების მითვისებას და ოცნების კონსტრუირებას. სადღაც მეოცე საუკუნის შუაგულში ჩვენ ვერც შევამჩნიეთ, როგორ დასრულდა პოლიტიკა კლასიკური გაგებით და გადაიქცა პოსტპოლიტიკად. შეიძლება ეს მშინ მოხდა როდესაც ერთმა საინტერესო პომო საპიენსმა თქვა: ომი სპარსეთის ყურეში არასოდეს ყოფილა და მთელი ეს ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ სატელევიზიო სპექტაკლი იყო. დუბლი იცდამესამე: საომარი თვითმფრინავები საოცარ ვირაჟებს აკეთებენ ცაში, სარეჟისორ გუნდი გაიძახის: არ ვარგა, თავიდან!

პოსტპოლიტიკა ოცნებების ქარსანაა, სადაც არ არსებობს შეუძლებელის ფაქტორი. ბეტმენის პერსონაჟში ჩადებული მესიჯი შეიძლება არანაკლებ მნიშვნელოვანი და ამაღლებებელი გახდეს, ვიდრე მარტინ ლუთერ კინგის „I have a dream...“. ახალი იცნებების და lyfestyle-

ების კონსტრუირება თითქმის ისეთივე რეალური პოლიტიკური იარაღია, როგორც ატომური ბომბი, ერთმა ოცნებამ შეიძლება მიღიონობით ადამიანი გამოიყვანოს ქუჩებში თვითნაკეთი თუ ცარიელი ტრაფარეტებთ, ამ ტრაფარეტებზე მესივების წერა კი პოსტმოლიტიკის ყველაზე საყვარელი საქმიანობაა.

თავის დროზე მოდერნული პოლიტიკა ჩიხში შევიდა. გარკვეული სახელმწიფოს ტერიტორიის დაპყრობა აჯანყებებს, პატრიოტულ ტერორიზმს, ფარულ თუ ღია დაპირისპირებას იწვევდა. ელემენტარული წესრიგის შესანარჩუნებლად დამპყრობელ მხარეს უზარმაზარი ადამიანური და არაადამიანური რესურსების მუდმივი ხარჯვა სჭირდებოდა, ეს საკუთარი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა და, საბოლოო ჯამში, დამპყრობელს უნდა აერჩია: ან დაპყრობილების ტოტალური გენოციდი ან უკან დაპრუნება. პოსტმოდერნული პოლიტიკის შემთხვევაში, დაპყრობა ძირითადად ინფორმაციული მონოპოლიის შექმნას



გულისხმობს. ტელევიზორი (მედია) და პერსონალური კომპიუტერი პოსტმოდი-ტიკური კამპანიის სტრატეგიული ტე-რიტორიაა. ინფორმაციული ომი პოლი-ტიკური დაპირისპირების უკანასკნელი სახეობაა, უმაღლესი პილოტაჟი, პოლი-ტიკური პროექტების ონლაინ RPG¹. Vote for NOBODY, მეგობარო!

ახალი პოლიტიკა, ძევლისგან განსხვა-ვებით, არასტატიკური, დინამიკური სის-ტემაა. ქაოსის თეორიის მიხედვით კი, საკმარისია დინამიკურ სისტემაში ოდნავ იმოქმედო სისტემის მოძრაობის კოორ-დინატებზე, რომ გამოიწვიო ამ სისტემის უკანტროლო მოქმედება, რაც ნაშნავს იმას, რომ ნებისმიერი ადამიანი შეიძ-ლება უეფრად და გაურკვეველი ვადით იქცეს ახალ ლენინად, ატომურ ბომბად ან უბრალოდ პარის პილტონად. მარ-ტივად რომ ვთქვათ, პოსტპოლიტიკური სუბიექტი იმ ურბანული იგავის პერსო-ნაჟი ხდება, რომლის მიხედვით, პეპლის ერთმა გადაფრენამ ტოკიოს რომელიმე გარეუბანში შეიძლება ეკონომიკური კა-ტასტროფა გამოიწვიოს ნიუ- იორქში. Faster Pussy cat, Kill! Kill!² ასე რომ, შეგი-ძლიათ წინასწარ გამოიწეროთ სუპერგ-მირის კისტრუმი თქვენი დიზაინით, შეადგინოთ საპრეზენტაციო სიტყვა და იყიდოთ ლაზერული პისტოლეტი. Cos' every men and every woman is a STAR.³

მიზანი

„Nothing is true. Everything is permitted“⁴

პოსტმოდერნულ სამყაროში იმპერია ნიშნავს მონოპოლიას ინფორმაციაზე. იმპერია არის მდგომარეობა, როცა ერთ სახე-ხატს აქვს ერთი ლეგიტიმუ-რი ინტერესეტაცია, სხვა დანარჩენი კი მარგინალურ ანომალიად ცხადდება. იმპერია ნიშნავს კოპირაიტს ცხოვრე-ბის სტილზე. აი, მაგალითად, უბრალო დისკი - უბრალოდ დისკია, მაგრამ დისკი ლოგოთი - კოპირაიტია, ხოლო იმპერია არის ამ კოპირაიტის მონოპო-ლია შენს ბაზარზე. იმპერია პოსტმო-

დერნულ სამყაროში მრავალფეროვ-ნების სპექტაკლია და თავისუფლების ილუზია, რაც მხოლოდ ცნობიერების შეზღუდულობის და ერთფეროვნების პრობლემაა. ადრექტისტიანულ ლი-ტერატურაში იმპერია არის სიმბოლო ტყუილის, რომელშიც აღმოჩნდნენ ადა-მიანები, იმპერია არის ცრუ-რეგალიბა, მატრიცა, რომელიც შექმნეს უსახო კონსტრუქტორებმა საკუთარი ძალაუ-ფლების განმტკიცების მიზნით. ფილიპე ნერდა, რომ ჩვენ ყველანი ჯერ კიდევ ვცხოვრობთ რომის იმპერიაში.

მესამე რომი – ეკანასპნელი იმპერია?

„Empire never ended“⁵

„ორი იმპერია უკვე დაეცა, შენი კი დაგას, ხოლო მეოთხე აღარ იქნება!“ – ამ ფრაზიდან, რომელიც პერმა ფილა-ფეიმ მოსკოვის მთავარს მისწერა, დაი-ბადა რუსეთის, როგორც მესამე რომის იდეა. მესამე რომი დღემდე ცოცხლობს და, სულ ცოტა ხანია, რაც ჩვენ მისი ტერიტორიული საზღვრებიდან გამოვე-დით, თუმცა ნებისმიერ დროს შეიძლება ისევ იქ აღმოვჩნდეთ.

საბჭოთა კავშირი ბევრად უფრო პოსტმოდერნული იმპერია იყო, ვიდრე ის, რაც დარჩა საბჭოთა კავშირისგან. დღევანდელი რუსეთი კლასიკური იმპე-რიაა პოსტკლასიკურ სივრცეში. კავში-რის არსებობა, რომელიც გულისხმობდა ორპოლარულ სამყაროს და დაუნდობელ ინფორმაციულ ომს ორ რადიკალურად განსხვავებულ პროექტს შორის – გაუ-

ქმდა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი დასავლური დეფინიცია, რომელიც ცდი-ლობს თანამედროვე რუსული პოლიტი-კის იდენტიფიცირებას, აპსოლუტურად უძლურია. სამყარო, რომელიც ჩამოყა-ლიბდა საბჭოთა კავშირის დაძლის შემ-დეგ, ძალიან ჰგავს ჩერნობილს, ატომურ ზონას, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ჩაკეტილი იყო, მისი გახსნის შედეგად კი ინფორმაციულ ველში შემოვიდა უცხო სხეული, არაიდენტიფიცირებული მუ-ტანტი განსხვავებული ლოგიკით, რომე-ლიც, რბილი გლამურული ინფექციების ნაცვლად, იმუქრება ტანკებით, ამაგრე-ბს კოლონიებს, ციხეში სვამს ოპოზი-ციას. ეს სამყარო პოსტპოლიტიკის და არქაული ტექნოლოგიების სინთეზია.

დღევანდელი რუსული იმპერიალიზ-მის იდეა საბჭოთა კავშირამდე დიდი ხნით ადრე დაიბადა, მისი ინფორმაციუ-ლი კონსტრუირება, რამდენიმე საკუ-ნეა, რაც მიმდინარეობს.

თავდაპირველად იყო ბიზანტია. მე-ორე რომი, ლეთაებრივი იმპერია, რომე-ლიც ლმერთის ანგელოზებთან ერთად ებრძოდა ანტიქრისტეს. მაგრამ ანტი-ქრისტემ, როგორც ჩანს, გაიმარჯვა და კონსტანტინოპოლის დაცვების შემდეგ მართლმადიდებლური იმპერიის ვაკანსია რუსეთის შეავსო. რუსეთი ამიერიდან მესამე რომია, მართლმადიდებლური იმპერია, რომლის იმპერატორი და სუ-ლიერი ბელადი პატრიარქია. მან უნდა დაიცვას და განაახლოს სამყარო, ლვთა-ებრძივი შექი მოჰკინოს დასავლეთის და აღმოსავლეთის ერებს, შეებრძოლოს გოგს და მაგოგს, ადიდოს უფალი.

1. RPG (Role-Playing Game) – როლური თამაში, რომლის მონაწილეები იჩინევენ გარეუებულ როლებს და მოქმედებენ ამ როლის და შერჩეული გარემოს შესაბამი-სად. მარტივი მაგალითია ბავშვების თამაში „ოჯახობანა“, როცა ერთი ბავშვი ხდება „დედა“, ხოლო მეორე – „შეილი“. არსებობს კომპიუტერული და სამაგიდო RPG, დაწერილებითი ინფორმაციას www.wikipedia.org.

2. Faster Pussy cat, Kill! Kill! – რას მეიერის, ცნობილი თრეშ-რეჟისორის ყველაზე არაორდინარული და გახმაურებული ფილმი. რეალური ომი სქესთა შორის. ძალადობის და დესტრუქციის თემატიკა.

3. Every men and every woman is a STAR – „ყოველი მამაკაცი და ყოველი ქალი – ვარსკვლავია“. ინგლისელი მაგის, კლოუნის, ბურჟუას და ნარკომანის ალისთერ ქროულის ბრწყინვალე საპროგრამო მაგიურ ფრზა.

პოსტმოდერნულ სამყაროში იმპერია ნიშნავს მონოპოლიას ინფორმაციაზე. იმპერია არის სახე-ხატს არა მოძრაობის კოორ-დინატებზე, რომ გამოიწვიო ამ სისტემის უკანტროლო მოქმედება, რაც ნაშნავს იმას, რომ ნებისმიერი ადამიანი შეიძ-ლება უეფრად და გაურკვეველი ვადით იქცეს ახალ ლენინად, ატომურ ბომბად ან უბრალოდ პარის პილტონად. მარ-ტივად რომ ვთქვათ, პოსტპოლიტიკური სუბიექტი იმ ურბანული იგავის პერსო-ნაჟი ხდება, რომლის მიხედვით, პეპლის ერთმა გადაფრენამ ტოკიოს რომელიმე გარეუბანში შეიძლება ეკონომიკური კა-ტასტროფა გამოიწვიოს ნიუ- იორქში. Faster Pussy cat, Kill! Kill!² ასე რომ, შეგი-ძლიათ წინასწარ გამოიწეროთ სუპერგ-მირის კისტრუმი თქვენი დიზაინით, შეადგინოთ საპრეზენტაციო სიტყვა და იყიდოთ ლაზერული პისტოლეტი. Cos' every men and every woman is a STAR.³

ისახოდა ვირუსია შენს ხელში. თუ შენ ვერ კლავ ვირუსს, მოიშვილი ხელი და გადააგდე. ისახოდა ვირუსია შენს თვალში. თუ ვერ კლავ ვირუსს, ამოილი თვალი და გადააგდე, ვინაიდან ნათქვამია, სჯობს სამყარო დაიცხოს, ვიღრე თავისუფალ აღამიანს თავისუფალი ხეპის აღსრულება აეკრძალოს.

ასე ჩაისახა რუსული მესანიზმი, რომლის მიხედვით, რუსეთი უნიკალური ცივილიზაციაა და მხოლოდ მას შეუძლია სამყაროს გადარჩენა, რუსი ხალხი მოწოდებულია, რომ დედამინაზე კასტური სოციალური სამების – ეკლესიის, „დერუსავის“ და საზოგადოების პარმონული დალაგბით დავთის სასუფეველი დანერგოს. ამ იდეიდან აღმოცენდა რუსეთის დაპირისპირება ევროპასთან. ის, რაც რუსეთია, არ არის ევროპა, ის, რაც ევროპაა – ანტირუსულია და მომართულია მის გასანადგურებლად. ეს დაპირისპირება რუსულ კულტურულ-ინფორმაციულ ველში რუსეთის თვითიდენტიფიკაციის საწყის წერტილად იქცა, როცა მტრის ხატის არსებობა განსაზღვრავს შესასა.

მაგრამ იმპერია შეფერხდა. 1917 წელს, საბჭოთა რევოლუციის დროს პირველმა კომუნისტებმა, რომლებსაც ალბათ გულწრფელად სჯეროდათ კომუნისტური მომავლის, იმპერია ოფიციალურად გააუქმეს, იმპერიატორი დახვრიტეს და რუსეთი რესპუბლიკად გამოაცხადეს. რევოლუციამ ანტიმიპერიული და ახალი სამყაროს ენთუზიაზმით ჩაიარა, მაგრამ ახლად ჩამოყალბებულმა სახელმწიფომ ძალიან მოკლე პერიოდში ახალი, უცნაური თვისებები გამოამჟღვნა. თუ ლენინი ანტიმიპერიული რევოლუციონერია, სტალინი უკვე ორმაგი ფიგურაა. ერთი მხრივ, ის მტკიცე, თანმიმდევრული მარქსისტია, რევოლუციონერი და მარქსიზმის ახალი კლასიკოსი, მაგრამ, მეორე მხრივ, ის იმპერიატორის თვი-

სებებს ამჟღავნებს. სტალინი წითელი იმპერატორია, ინდუსტრიული ივანე მრისანე, რომელსაც უკვე ევროპის დაპყრობის ამბიციები და საბაბი გაუჩინდა. Empire never ended.

ასე რომ, საბჭოთა კავშირის სპეციფიურმა პოლიტიკურ კიდევ უფრო გაამდავრა რუსული მესანისტური პარანოია – დაპირისპირება დასავლეთთან, სამყაროს გადარჩენის სურვილი, იმპერიული იერარქია, იმპერატორის-ბელადის კულტი. თავისი არსებობის საწყის ეტაპზევე საბჭოთი გადაიქცა ახალ იმპერიად, სადაც მართლმადიდებლობა შეცვალა კომუნიზმში.

საბჭოთა კავშირის შემდეგ ელცინისეული ლიბერალიზმის კრახმა ნეომპერიული, ნეოფაშისტური და ნეოკომუნისტური იდეოლოგიების ახალი აღზევება გამოიწვია. 90-იან წლებში ჩასახული ახალი მემარჯვენე იდეოლოგიები ცდილობენ კლასიკური იმპერიის რეკონსტრუქციას პოსტპოლიტიკურ სივრცეში, რაც ტოვებს ბარბაროსული, კრიმინალური და ფაშისტური აქტის შთაბეჭდილებას.

ტრადიციული რუსული იმპერიული პროექტები შეიძლება დაიყოს ორ განსხვავებულ მოდელად. მოდელი №1: ბიზანტია, ეკლესია, მართლმადიდებლობა, სალვანური, „თეთრი“ იმპერია. მოდელი №2: ჩინგიზ ყაინი, „ოქროს ურდო“, საბჭოთა კავშირი. ევრაზიული, ერეტიკული, „ნითელი“ იმპერია.

პირველი მოდელი გულისხმობს იმპერიას, რომელიც აღმოცენდა მესამე

რომის ტრადიციიდან. მისი ოფიციალური იდეოლოგიაა მართლმადიდებლობა, რომელსაც ჰყავს მონარქი, ან მინიმუმ ქრისტიანი პრეზიდენტი, რომლის სულიერი ლიტერატურა პატრიარქი. ეს იმპერია გააერთიანებს თავისი დროშის ქვეშ ანტიქრისტეს მიერ ჩაგრულ ერებს. „არანაირი სხვა რელიგიურ-მორალური და იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი აღტერნატივა რუს ერს არ გააჩნია. ნებისმიერი მცდელობა, გადავუხვიოთ ამ გზიდან, ნიშანვს რუსული სინამდვილის შეუწერებლივ სატანიზაციას.“ „გათავისუფლება ყველანაირი ქმერისგან, რომელიც საზოგადოებას თავს მოახვიეს კულისებში დამალულმა რეჟისორებმა. კომუნიზმი, ნაციზმი, ლიბერალიზმი, „ადამიანური ლირებულებები“, „სუვერენული დემოკრატია“ და სხვა მასონური, ებრაული გამონაგონი მაშინვე უნდა გავაგზავნოთ სანაგვეში“. „გავაერთიანოთ მართლმადიდებელი მოქალაქები (ერი) და მართლმადიდებლურად ორიენტირებული ორგანიზაციები, რომლებიც იღვიან, რათა ააღირდინონ რუსეთი, როგორც მართლმადიდებლური იმპერია.“ „თავისი შექმნის მომენტიდან რუსეთი წარმოადგენს ცივილიზაციის უნიკალურ ტიპს, რომელიც დაფუძნებულია მართლმადიდებლური სარწმუნოების, რუსული ნაციის და სახელმწიფოს იმპერიული მოწყობის სამებაზე“ და ასე შემდეგ..

მეორე მოდელი გულისხმობს კონსერვატორულ რევოლუციას, ევრაზიულ ტოტალიტარულ რეჟიმს, რომლის არქეტიპი ჩინგიზ ყაინის უძლიერესი იმპერიაა. ამ მოდელის მიხედვით, უნდა მოხდეს ახალი კავშირის კონსოლიდაცია დასავლეთთან და დასავლელ ლირებულებებთან საპროლევლად. ნაციონალ-ბოლშევიზმი მოითხოვდა ტოტალიტარულ იმპერიას ვლადივოსტოკიდან გიბრალტარის სრუტემდე და თავის წმინდა საქმედ მიიჩნევდა „ანტიადამიანური გამრყვნელი სისტემის“ – ლიბერალიზმი-დემოკრატია-კაპიტალიზმის სამების

4. Nothing is true. Everything is permitted – „არაფერია ჰქონია შემარიტი. ყველაფერი წებადაროტულია“. უილიამ ჰესან-ი-საბაპ ლი.

5. Empire never ended! – „იმპერია არასოდეს დამთავრებულა“ (არასოდეს მომკვდარა). ამერიკელი ფანტასტის და ვიზიონისტის ფიზიონის მთავრი თემაა. ჩვენ ცოგვატყუეს, ჩვენ ცოხეში ვარი, რომის იმპერია არ დასრულებულა, ჩვენ ცველოთ ჯვრ კიდევ მის საზღვრებში ვამყოფებთ, დრო კა უძრავლო იღვიანია და სიზმარი. ჩვენ ცველონი ჯვრ კიდევ ჩარჩინები ვართ ქრისტეს შებიდან 70-ე წელში.

6. Brave New World – „ახალი უშიშარი სამყარო“. ოლდოს პექსლის ანტიუტოპიური ფანტასტიკური რომანი. რომანი აღნერილია მიმავლის ტოტალიტარული იმპერია, სადაც ადამიანები ინკუბატორებში მზადებან და მთელი მსოფლიო ტრანსფორმაციულ ბეზე ზის. ჯორჯ არტურის „1984“-ის წინაპარი.

7. All acts of personal\collective liberation are Magical acts – „პერსონალური კოლექტივური გათავისუფლების ნებისმიერი აქტი – მაგიური აქტია.“

განადგურებას. „დავასრულოთ რეფორმები ასე: სტალინი! ბერია! გულაგი!“ ნეოევრაზიული მოძრაობა ამტკიცებს, რომ რუსი ადამიანისთვის ბუნებრივი მდგრამარება არის ძლიერი იმპერია, მყაცრად სტრუქტურირებული იქრარქიული სისტემა და დასავლეთის ზიზლი. „ინდივიდი არაფერია, იმპერია ყველაფერი“. ალექსანდრ დუკინის ნეოევრაზიული თეორია ოპერირებს ოკულტური და ტრადიციონალისტური ტერმინებით და მოძღვრებებით, ხანდახან პოსტპოლიტიკური შოუს ელემენტებითაც კი. მაგალითად, პოლიტიკური სიტუაციების ანალიზი სანტა-ბარბარას სერიალის მიხედვით და აშკარა აგრძეს ბივისისა და ბატქედის მიმართ ძალიან ჰგავს პოსტპოლიტიკურ იუმორს. თუმცაც ის აზრი, რომ ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება უნდა დამთავრდეს ილუმინაციით – უკანასკნელი, წმინდა ომით, სადაც „ბოროტების იმპერია“ (ამ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატები) საბოლოოდ განადგურდება – ორაზროვანია, ვიღაცა ამას აღიქვამს არაპოლიტკურებულ ანეკდოტად, ვიღაც – ეზოთერული ომის ინსტრუმენტად.

ვაშინგტონის ნანგრევებზე ჩვენ დავწერთ ჩვენს სახელებს. **თანკი ჩა კიევ! თანკი ჩა ვაშინგტო!** ალბათ ზუსტად ასე ინყებოდა ფაშიზმი გერმანიაში.

სოციალური რეკლამა: იმპერია არ დამთავრებულა. ტანკები სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრში დაგანან შენი სახლიდან.

გიორ უკვე გამოიწერა გმირის კოსტიუმი, შენ?

BRAVE NEW WORLD: იმპერიის განადგერება

„მსოფლიო ნერვებით კვლავ მოწერ გაეცდებით“

„ჩვენი გმირები დასცხებენ ზარბაზნებით, ტანკებით და თოფებით“⁴

„All acts of personal/collective liberation are Magical acts“⁵

საქართველო, ისევე, როგორც რუსეთი, დიდი დოზით პრე-მოდერნულ და

მოდერნულ სიტუაციაშია გაჭედილი. რ.თ.უ. იმპერიაც და საბჭოთა კავშირიც დაიშალა როგორც პოლიტიკური ერთეული და ჩვენ თითქოს გავთავისუფლდით, მაგრამ იმპერია დღემდე ცოცხლობს ჩვენშიც და ჩვენს გარეთაც მუტირებული სახით, როგორც კულტურული და მენტალური პროგრამა და, შეიძლება ითქვას, როგორც მოსემ ატარა ეპრაელები 40 წელიწადს უდაბნოში, სანამ ეგვიპტეში, მონობაში ნამყოფი უკანასკნელი ადამიანი არ მოკვდა, ზუსტად ასევე, სანამ არ „გარდაიცვლება“ ყველა ადამიანი, რომელიც დაიბადა 1990 წლამდე – კლასიკური იმპერია არ დასრულდება.

კლასიკური იმპერიის პირველი იარაღია შიმის შთაგონება და მონური აზროვნება. იმპერიასთან პირველი შეხებისთანავე ის თითქოს აკოპირებს საკუთარ სახე-ხატს მტრის ცნობიერებაში, ასე რომ, სანამ მტერი გადაწყვეტს, ეპრძოლოს რეალური იმპერიას, ის პირველ რიგში იმპერიის ხატთან მარცხდება საკუთარ თაგში. ეს შინაგანი იმპერია სინამდვილეში ერთადერთი და რეალური ბარიერია, რომელიც აფერხებს რეალური გათავისუფლების აქტს.

რომის იმპერია, ისევე, როგორც ბიზანტია, ბარბაროსულმა ტომებმა გაანადგურეს, მაშინ, როცა რომის წინააღმდეგ უძლური იყო ბევრი სხვა ძლიერი სახელმწიფო. იმიტომ, რომ

ბარბაროსს არ გააჩნდა შინაგანი იმპერია და მისი დესტრუქცია იმდენად თავისუფალი იყო, რომ არც არჩევდა ერთმანეთისგან რომს და ტყეს, რომელიც მას გზაზე გადაელობდოდა. ბარბაროსი აბსოლუტურად სხვა სისტემაა, ბარბაროსი ქაოსია. ნეგატიური გათავისუფლება.

მაგრამ ფილიპე წერდა, რომ ის, ვინც ამარცხებს იმპერიას, თვითონ იქცევა იმპერიად. იმისათვის, რომ დაამარცხო დრაკონი, შენ თვითონ უნდა გახდე დრაკონი. ასე იქცევა იმპერია თავის მტრებად და უსასრულოდ არსებობს. იმპერია ვირუსია შენს ხელში. თუ შენ ვერ კლავ ვირუსს, მოიჭრი ხელი და გადააგდე. იმპერია ვირუსია შენს თვალში. თუ ვერ კლავ ვირუსს, ამოიღე თვალი და გადააგდე, ვინაიდან ნათქვამია, სჯობს სამყარო დაინგრეს, ვიდრე თავისუფალ ადამიანს თავისუფალი ნების აღსრულება აეკრძალოს.

იმპერია მხოლოდ ჩვენი შიშიდან ან იმპერიის შესახებ ხსოვნიდან იღებს ენერგიას. სრულიად არაა გამორიცხული, რომ რუსული ტანკები და ბომბები, უკვე დიდი ხანია, არ არსებობენ, და მხოლოდ ჩვენი შიში და მოლოდინი იხმობს მათ არყოფნიდან. მაგრამ ეს არ არის მთავარი.

ჩვენ გვჭირდება იმპერიით დავირუსებული კულტურის ტოტალური დეკონსტრუქცია. ჩვენ უნდა გადავიტუროთ ნიკეშეანურ „მოცეკვავე ვარსკვლავებად“.

„მატლების სამყაროში პეპელა ყველაზე სახიფათო მტერია არსებული წყობის“. ასე რომ, ჩვენ უნდა შევძლოთ ტრანსფორმირება პეპლებად, მოკვლათ მეფე-იმპერატორიმამა, გამოვიცვალოთ კანი გველებივით გაზაფხულზე, რათა მომზადებულები დავესწორთ ილუმინაციას.

იმპერია ვირუსია შენს კულტურაში, თუ ვერ კლავ ვირუსს, მოიჭრი კულტურა და გადააგდე, ვინაიდან ნათქვამია: კლასიკური, შინაგანი და გარეგანი იმპერია უნდა დასრულდეს კლასიკურად – კაპიტულაციით. ■



პარტიულისტური ფონდი წარმოგილებათ:

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

საჯარო დისკუსია

2009 წლის 4 მარტი

პოლიტიკური ალიანსების რეალიზაცია: რაფირენციალის სტრატეგია?

ბაზლური ვერსია მოახდალა მაღა იმარტინგილა
დისკუსია იჩინდება „შემო შოკოლადის“ რადაქციით



მომსახურებები:

გია ნოდა
პოლიტოლოგი

დავით უსუფაშვილი
„რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე

მოდერნაცია:
გიორგი გვასარია

გიორგი გვასარია: დღეს ძალიან საინტერესო სტუმრებთან ერთად ძალიან მნიშვნელოვან თემაზე ვისაუბრებთ. დალევან-დელ დისკუსიაში გვსურდა, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც მიეღოთ მონაწილეობა, თუმცა, ვისაც ვთხოვეთ, ყველამ უარი გვითხრა. ჩვენი დღევანდელი შეხვედრის თემა „პოლიტიკური ალიანსის ტიპი: რეფერენდუმის სტრატეგია?“ ამ თემაზე სასაუბროდ პოლიტოლოგი გია ნოდა და „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მოვი-წიეთ. სიტყვას ბატონ გიას გადავცემ.

გია ნოდია: დღეს ოპოზიციაში სამი სტრატეგია იკვე-თება. პირველია ზომიერი ანუ საპარლამენტო ოპოზიცია, რომელსაც ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები ხშირად ოპოზიციად არც მიიჩნევენ, თუმცა იგი არსებობს და ისე იქცევა, როგორც ჩვეულებრივ იქცევა საპარლამენტო ოპო-ზიცია: ხან აკრიტიკებს ხელისუფლებას, ხან ეთანხმება მას და ემზადება შემდეგი არჩევნებისთვის.

არის რადიკალური ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებას ბოროტების გამოხატულებად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ასეთ ვითარებაში ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცედურე-ბით მოქმედება არ შეიძლება. ამიტომაც ის რევოლუციურ გზას ადგას და ამ გზით ცდილობს, აიძულოს ხელისუფლე-ბა, წავიდეს. იძულების მექანიზმია რაც შეიძლება მეტი ხალხის გამოყვანა რუსთაველზე.

არის მესამე, შუალედური ოპოზიციაც, რომელსაც ვუწო-დებდი რადიკალებს ზომიერებს შორის და ზომიერებს რა-დიკალებს შორის. როგორც ხელისუფლების შეფასების, ისე წაყენებული მოთხოვნების თვალსაზრისით, ისინი რადი-კალური ოპოზიციის შეხედულებებს იზიარებენ, ანუ მიიჩ-ნევენ, რომ ხელისუფლება იმდენად ცუდია, რომ აუცილე-ბლად და სასწრაფოდ უნდა გადადგეს, მაგრამ თავად ეს მოთხოვნა სხვაგვარად აქვთ შეფუთული. იმის წაცვლად, რომ პირდაპირ მოითხოვონ ხელისუფლების გადადგომა, ამბობენ, რომ ჯერ რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს.

პირადად ჩემთვის, პირველი ორი სტრატეგია უფრო გა-საგებია, რადგან ისინი უფრო თანმიმდევრულია. მესამე სტრატეგია კი საშუალოს პოვნის მცდელობაა, თუმცა ეს შუალედურობა არათანმიმდევრულია. ერთი მხრივ, ისინი აკრიტიკებენ სხვების რადიკალიზმს და ზოგადად ამბობენ, რომ რევოლუციური მეთოდები მათთვის მიუღებელია. მეო-რე მხრივ, მათი მოთხოვნების არსია, პრეზიდენტს ის გააკე-თებინონ, რისი გაეთებაც მას არ სურს და რისი გაკეთე-ბის ვალდებულებაც მას არ აქვს. ამის მიღწევა კი მხოლოდ იძულებით, რევოლუციური მეთოდებითაა შესაძლებელი. რეფერენდუმის, როგორც დამატებითი რგოლის, ჩართვა არსებითად არაფერს ცვლის.

შევეცდები გავაანალიზო, რით არის გამოწეული მათი სტრატეგიის ასეთი არათანმიმდევრულობა. ჩემი აზრით, ამის ძირეული მიზეზია ის, რომ ოპოზიციის ამ ჯგუფს ჰყა-ვს ორი მრევლი, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორი პატონი. ერთია დასავლეთი, მეორე – ქართული საზოგადოება. შე-მთხვევითი არ არის, რომ ბატონ ირაკლი ალასანიას გუნდში რამდენიმე დიპლომატია, ვინც ბოლო წლები დასავლეთში გაატარა და, ჩემი აზრით, საქართველოს რეალობას იქაუ-რი პოლიტიკური კონიუნქტურის თვალით აფასებენ. ისინი ამოდიან იქიდან, რომ 2007 წლის ნოემბრისა და შარშანდე-ლი აგვისტოს ომის შემდეგ დასავლეთში პრეზიდენტ სა-აკაშვილის მხარდაჭერა საგრძნობლად შემცირდა და რაღაც წრებში განვილის განაპირობა. მაგრამ ისევ იმიტომ, რომ დი-პლომატები არიან და კარგად იციან დასავლური განწყობე-

ბი, ისიც იციან, თუ რამდენად დაბალი წარმოდგენა აქვთ იქაურ პოლიტიკოსებსა თუ ექსპერტებს აქაურ იპოზიცია-ზე; ოპოზიციაზე, რომელიც გვყავდა თუნდაც 2007 წლის შემოდგომიდან შარშან მაისამდე. ასეთ ოპოზიციას დასავ-ლეთი მხარს არ დაუჭერს: ამიტომ დასავლეთში არსებობს მოთხოვნა უფრო რესპექტაბელურ და ცივილიზებულ ოპო-ზიციაზე, რის მხარდაჭერასაც დასავლეთი შესაძლებლად ჩათვლის. ამიტომ ახლად შექმნილი ოპოზიცია დისტანცი-რებული უნდა ყოფილიყო ძველისგან, ან ძველი ოპოზიციი-დან მხოლოდ იმ ძალებს დაკავშირებოდა, რომლებსაც შე-ნარჩუნებული ჰქონდათ რესპექტაბელურობა დასავლეთის თვალში.

მაგრამ პირველ რიგში, ამ ოპოზიციამ საქართველოში უნდა იმოქმედოს, უნდა ჩამორჩებოს მის პოლიტიკურ კლასში და ისე უნდა მოიქცეს, რომ აქაც აღიარონ იპოზიციად. ხოლო ქმედებების ის წესი, რომელიც საჭიროა იმისთვის,



გია ნოდია

საქართველოში გაბატონებულია რადიკალიზმის კულტურა: ამიტომ უნდა დაამტკიცო, რომ არავის ჩამორჩები რადიკალიზმში. მაგრამ სწორედ ამიტომ დასავლეთის მხარდაჭერა შეიძლება დაკარგო. რაც უფრო ჩაერთვები ქართულ პოლიტიკურ ოპოზიციურ სინამდვილეში, ნაკლებად მისაღები ხდები დასავლეთისთვის, და პირიქით, რაც უფრო მისაღები ხარ დასავლეთისთვის, მით უფრო გიჭირს საქართველოში აუხსნა ვინმეს შენი სტრატეგია.

რომ დასავლეთმა გაღიაროს რესპექტაბელურ ოპოზიციად და ქმედების წესი, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ ქარ-თულმა ოპოზიციამ თავისინად გაღიაროს, ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

საქართველოში გაბატონებულია რადიკალიზმის კულ-ტურა: ამიტომ უნდა დაამტკიცო, რომ არავის ჩამორჩები რადიკალიზმში. მაგრამ სწორედ ამიტომ დასავლეთის მხარ-დაჭერა შეიძლება დაკარგო. ეს წინააღმდეგობა ძალიან რთული დასაძლევია: რაც უფრო ჩაერთვები ქართულ პო-

დისკუსია

ლიტერატურ ოპოზიციურ სინამდვილეში, ნაკლებად მისაღები ხდები დასავლეთისთვის, და პირიქით, რაც უფრო მისაღები ხარ დასავლეთისთვის, მით უფრო გიჭირს საქართველოში აუსწნა კინძეს შენი სტრატეგია. ამიტომ ვიღებთ იმ შუალედურ პოზიციას, რომელზეც წელან ვსაუბრობდა.

ახლა შექხედოთ სიტუაციას არა ოპოზიციის ტაქტიკის, არამედ ნორმატიული კუთხით. რამდენად გამართლებულია პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა? რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, მოსთხოვოს პრეზიდენტს გადადგომა, ისევე, როგორც პრეზიდენტს აქვს უფლება, გადადგეს. მაგრამ პრეზიდენტს ასევე აქვს უფლება, უგულებელყოს ეს მოთხოვნა და განაგრძოს თავისი საქმიანობა. ის არჩეულია ხუთი წლით, მოსწონს თავისი სამსახური, გულწრფელად მიაჩნია, რომ ყველაზე კარგად ასრულებს თავის მოვალეობას და თანამდებობისთვის გათვალისწინებულ ფუნქციებს,



ლავით უსაფაშვილი

რეფერენდუმით ჩვენ ხელისუფლებას ვთავაზობთ გამოსავალს, რომ თუ ერთი კაცია წასასვლელი, მისმა წასვლამ არ გამოიწვიოს ის უბედურება, რაც ქვეყანაშია მოსალოდნელი. ამიტომ ჩვენ, ორი მრევლის მსახურები კი არა, სწორი გზის მსახურები ვართ, ამასთან, ვიცით, რომ ეს საკითხი არ არის პოპულარული ქართული ოპოზიციური ამომრჩევლის დიდ ნაწილში.

დარწმუნებულია, რომ კანონიერად უკავია ეს თანამდებობა და რომ დღესაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს. რატომ უნდა გადადგეს? ამიტომ უნდა აიძულო, რომ გადადგეს. ხოლო თუ ამაზე აგებ პოლიტიკურ სტრატეგიას, თუ შენი პოლიტიკური იდენტობა ამ წუთში განისაზღვრება პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, ესე იგი, ორიენტირებული ხარ კონსტიტუციური მოქმედების ფარგლებიდან გასვლაზე, რადგან ამ მოთხოვნას არ აქვს კონსტიტუციური საფუძველი. ოპოზიციას არა აქვს სხვა არგუმენტი პრეზიდენტის გადადგომის მოსათხოვად გარდა იმისა, რომ ის ძალიან არ მოსწონს, ეს არგუმენტი კი არ თავსდება კონსტიტუციონალიზმის ჩარჩოში.

საქართველოში არსებობს პრეზიდენტის იძულებით „გაგდების“ პრეცედენტები. პირველ რიგში, ეს არის 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“, რომელიც საზოგადოებას კარგად ახსოვს და შეიძლება მოდელად ჩაითვალოს დღევანდელი ოპოზიციისთვის. მაგრამ სინამდვილეში, დღევანდელ ვითარებას ეს პრეცედენტი ნაკლებად მიუდგება: ოპოზიციის ქმედება გაცილებით უფრო ახლოს დგას 1991-92 წლების პრეცედენტთან, როდესაც პრეზიდენტი გამსახურდია გადაყენება.

საამისოდ ორი არგუმენტი მაქვს. პირველი რიგში, რომ „ვარდების რევოლუცია“ ელექტორალური, მინიმალურად რევოლუციური რევოლუცია იყო. ოპოზიციამ ჯერ ელექტორალურ წარმატებას მიაღწია და ჰქონდა ამ წარმატების მიღწევის უტყუარი საბუთი ეგზიტპოლებისა და ხმების პარალელური დათვლის სახით. სახალხო გამოსვლა უკვე მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნების საშუალება იყო. ხელისუფლებამ პირველმა დაარღვია კონსტიტუცია, ხოლო ხალხმა აიძულა ის, კონსტიტუციურ ჩარჩოში დაბრუნებულიყო.

დღევანდელი ვითარება არსებითად განსხვავებულია. ოპოზიციას აქვს პრეტენზია, რომ არჩევნები შარშან იანვარსა და მაისში ისე არ ჩატარდა, როგორც უნდა ჩატარებულიყო, შესაძლოა, ეს პრეტენზია მართლაც იყოს კამათის საგანი, მაგრამ არავის, ოპოზიციის გარდა, არ უოქვამს, რომ ხელისუფლებამ წააგო არჩევნები და ოპოზიციამ გაიმარჯვა. გარდა ამისა, ამ არჩევნების შემდეგ უკვე დიდი დრო გავიდა და ის ისტორიის კუთვნილებად შეიძლება ჩაითვალოს.

მეორე არსებითი განსხვავება უფრო სოციალურ-პოლიტიკურია, ვიდრე სამართლებრივი: 2003 წლის ნოემბერში ძველ რევმის საზოგადოებაში სერიოზული მხარდაჭერა არ ჰქონია, ამიტომ ამ რევოლუციას საზოგადოების გათიშვა არ გამოუწვევია. საზოგადოების უდიდესმა უმრავლესობამ მიღლი ეს რევოლუცია. დღეს არსებობს საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელიც ხელისუფლების მხარდამჭერია და მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ოპოზიცია. ამიტომ ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლების გადაყენების მცდელობა, პრაქტიკულად, სამოქალაქო ომის სიტუაციას ქმნის.

რამდენად უკავესია რეფერენდუმის მოთხოვნა პრეზიდენტის პირდაპირ გადადგომის მოთხოვნასთან შედარებით? სამართლებრივი თვალსაზრისით, ჩემი აზრით, ეს მოთხოვნა უარესია. ორივე შემთხვევაში, პრეზიდენტის გადადგომისკენ იძულება ენინაალმდეგება კონსტიტუციონალიზმის სულისკვეთებას. რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ „პირდაპირ დემოკრატიაზე“, მაგრამ თანამედროვე დემოკრატია უპირველეს ყოვლისა კონსტიტუციური და ნარმომადგენლობითი დემოკრატია, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხი, დემოსი, როგორც სუვერენი, შეზღუდულია კონსტიტუციით. ანუ, თუ ხალხმა აირჩია პრეზიდენტი ან პარლამენტი ხუთი წლით, უნდა მოითმინოს და ამართვინოს თავი ამ წლების განმავლობაში. იმისთვის

არსებობს კონსტიტუციაში ვადები, რომ ისინი შესრულდეს. თუ ვიტვით, რომ ერთ ან ორ წელიწადში ხალხმა გადაიფიქრა და ახლა კარგი იქნება რეფერენდუმის ჩატარება, ეს საშინელ პრეცედენტს ქმნის და აშკარად დაუპირისპირება კონსტიტუციონალიზმის ლოგიკას და სულს. ის, რომ რეფერენდუმის მოთხოვნას მოჩვენებითი ზედაპირული რეპექტურობა ახლავს თან, მხოლოდ უფრო სახიფათოდ აქვევს მას კონსტიტუციონალიზმის თვალსაზრისით.

მე არ ვიცი ჩამოყალიბებული დემოკრატიის მაგალითი, სადაც ამგვარი რეფერენდუმები ჩატარებულიყო, თუმცა სააკაშვილზე გაცილებით ნაკლებ პოპულარული პრეზიდენტები ჰყოლიათ. მაგალითად, პრეზიდენტი ბუში ძალიან არაპოპულარული იყო მისი პრეზიდენტობის ბოლო წლებში. სხვათა შორის, ამ არაპოპულარობის ძირითადი მიზეზი იყო იმი, რომელსაც ის ცუდად ანარმობდა. იქაურ მეგობრებს უთქვამთ ჩემთვის, რომ რცხვენიათ, რომ ბუშია მათი პრეზიდენტი და გაუსაძლისად მიაჩნდათ ასეთ ქვეყანაში ცხოვრება. მაგრამ არავის მოსვლია აზრად, რეფერენდუმი მოეთხოვა პრეზიდენტის გადასაყენებლად.

დაბოლოს, რამდენად რეალისტურია რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა? ცხადია, წინასწარ არასოდეს ვიცით, რა გამოუვა და რა არა. ოპოზიცია აპელაციას აკეთებს 2007 წლის ნოემბერში პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომაზე, როგორც პრეცედენტზე და მიიჩნევს, რომ ეს ახლაც შეიძლება მოხდეს. მაგრამ აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი.

პირველი ის, რომ მაშინ პრეზიდენტს მეორე ვადით არჩევის პერსპექტივა ელოდა და, ფაქტობრივად, მან მხოლოდ ერთი წელი დათმო. ახლა კი გადადგომა სააკაშვილისთვის პოლიტიკური კარიერის დასასრულის ტოლფასია – ესე იგი, საამისოდ მისი იძულება გაცილებით უფრო ძნელია.

მეორე არგუმენტია – და ამ შემთხვევაში შემიძლია ვისაუბრო, როგორც აგრეთვე ხელისუფლების ყოფილმა წარმომადგენელმა – ნოემბრის შემდეგ ხელისუფლებამ ჭკუა ისნავლა. მანამდე ხელისუფლება იმდენად ძლიერად თვლიდა თავს, რომ შეეძლო გაეკეთებინა ყველაფერი, რისი გაკეთებაც სწორად მიაჩნდა, მიუხედავად იმისა, მოენონებოდა ეს ხალხს თუ არა. მისი ანგარიშით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად (რაც 2008 წლის შემოდგომისთვის იყო დაგეგმილი), ის „გამოსწორდებოდა“ და საზოგადოებას უფრო „ეპთილ“ მხარეს დაანახებდა. მაგრამ ნოემბერში მას ამდენი აღარ აცალეს. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება მეორე უკიდურესობაშია გადავარდნილი – დაერიდება რაომე არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმას, თუნდაც მათ ქვეყნისთვის საჭიროდ თვლიდეს. ეს შეიძლება თავისთავად ცუდი იყოს, მაგრამ საზოგადოებასთან ურთიერთობაში ის იოლად არ გაიმეორებს ძველ შეცდომებს.

ჩემთვის უცნობია, ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება რამდენად არის მომართული რევოლუციისენ. ერთი შეხედვით, ეს მაინცდამაინც არ ჩანს. სამწუხაროდ, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ადამიანები, რომლებიც ანალიტიკოსებად მიიჩნევენ თავს, ვერ ეყრდნობიან საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს, რაც საქართველოს



გია ლომაძე

კონსტიტუცია ადგენს პრეზიდენტის

უფლებამოსილების ვადებს. შესაბამისად,

ახლაც არის მცდელობა რეფერენდუმით

მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რაც

კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, სახელდობრ

რეფერენდუმით შეიცვალოს საპრეზიდენტო

ვადა. გამოდის, რომ რეფერენდუმით

აუქმებთ კონსტიტუციას.

არადემოკრატიულობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. გავიხსენებ ირაკლი ალასანიას გამოსვლას დავით ბაიქაძის გადაცემაში. მან თქვა, რომ გუმანით ხვდება, რომ ხალხი ოპოზიციას მხარს დაუჭრეს. სოციალური გამოკითხვების ტექნოლოგია დიდი ხანია, არსებობს, მაგრამ ჩვენ მაინც გუმანით ვზომავთ არსებულ განწყობებს.

მეც, გუმანით, ჯერჯერობით ვერ ვგრძნოს რევოლუციური ტალღის აზვროთებას. პრობლემაა ის, რომ ოპოზიციის იმედი ხელისუფლების შეცდომებს ეფუძნება. ზოგადად, ყველა ქვეყანაში რადიკალური ოპოზიციისთვის დამახასიათებელია ხელისუფლების პროცესირება შეცდომების ჩასადენად. მეორე მხრივ, ის, რომ ოპოზიციაში არ არის ერთიანობა, ასევე არ უწყობს ხელს ასეთი ტიპის მასობრივ გამოსვლებს, იმიტომ, რომ რევოლუციის ლოგიკით, შედეგის მისაღწევად ყველა ერთად უნდა იდგეს.

საქართველოში რესპექტაბელური ოპოზიციის შექმნა, რომლის ხელისუფლებაში მოსვლისაც არ შეგემინდება, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, ირაკლი ალასანიას აქვს შანსი, რომ ასეთი ძალა ჩამოაყალიბოს, მაგრამ არა მგონა, რომ რადიკალური ტალღის აყოლა მას ამაში ხელს შეუწყობს. სამაგიეროდ, 2013 წლამდე ნამდვილად არის იმდენი დრო, რომ სერიოზული ოპოზიციური ძალა ჩამოყალიბდეს, რომელსაც შეეძლება რეალურად ჩაბაროს ქვეყნის მმართველობა, თუკი ხალხი ამას გადაწყვეტს.

გიორგი გვახარია: ვიდრე ბატონ დავითს გადავცემდე სიტყვას, მინდა ვთხოვო, რომ გვერდი არ ავუაროთ იმ მნიშვნელოვან აქცენტებს, რომლებიც ბატონმა გიამ დასვა თავის გამოსვლაში. ვგულისხმობ დასავლურ და, მეორე მხრივ, რადიკალურ პოლიტიკას, პოლიტიკურ კლასს, რომელსაც სურს რადიკალიზმი. ასევე საინტერესო იყო ანალოგია პრეზიდენტ ბუშთან, და შემამთველებელი ანალოგია 91-92

დისკუსია

წლების მოვლენებთან. როგორც მე გავიგე, რევოლუციის მოხდენის შემთხვევაში, დღეს იგი არ იქნება მშვიდობიანი, „ვარდების რევოლუციის“ მსგავსი და შეიძლება განმეორდეს 91-92 წლების მოვლენები. ამ მოვლენების გახსენებას დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა რიტორიკაშიც ვამჩნევთ, თუმცა ამავე დროს ალბათ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ 91-92 წლებში სხვაგვარი სიტუაცია იყო ქართულ ჯარში, პოლიციაში და, საერთოდ, განსხვავებული პოლიტიკური სპექტრი იყო, საზოგადოების პოლიტიკური კოლტურის დონეც დღეს ალბათ ბევრად უფრო მაღალია. ბატონ დავით უსუფაშვილს მოვუსმინოთ.

დავით უსუფაშვილი: ბატონ გიას საუბრიდან გამომდინარე, საკითხი ისე კი არ დგას, რომელი იპოზიციური გზაა სწორი, არამედ გამოიდის, რომ არც ერთი ოპოზიციური გზა, რომელიც ხელისუფლების ვადამდელი შეცვლის საკითხს დააყენებს, არ შეიძლება იყოს სწორი. მოსმენილის მთავარი თეზა ის იყო, რომ 2013 წლამდე ხელისუფლების შეცვლაზე ფიქრი, მიტინგის გზით იქნება თუ რეფერენდუმის, არასწორია. ასეთ ვითარებაში აზრს კარგავს იმაზე საუბარი, რომელი გზა შეიძლება იყოს უფრო სწორი და შესაბამისი ქვეყნის ინტერესებისთვის.

როგორც ჩანს, არის რამდენიმე პოზიცია. პირველი, რომ არაფერი არ უნდა შეიცვალოს და ამ პოზიციას ძალიან ბევრი არგუმენტი აქვს. ისინი მე ჯერ კიდევ ოცდაორი წლის წინ მოვისმინე საბჭოთა არმიაში. ამ შემთხვევაში ამოსავალი წერტილი ის არის, რომ ხელისუფლება საუკეთესოა, მას ძალიან ბევრი რამ უნდა აპატიო და ანგარიში გაუწიო მის განწყობებს. მაგრამ არის სხვა გადმოსახედიც, რომელიც „რესპუბლიკურ პარტიას“, ჩვენს კოლეგებს ახლად შექმნილ ალანძში ცოტა სხვაგვარად გვაფიქრებინებს. ამიტომ მიგვაჩინა, რომ თუ ამ ქვეყნაში სასწავლო არ შეიცვალა ბევრი რამ, მაშინ ყოველ მომდევნო თვეს და წელს გაცილებით მეტი პრობლემა დაგვიდება, უფრო მეტი რამ იქნება შესაცვლელი და შეიძლება ბევრი რამ შეუქცევადი და შეუცვლელიც აღმოჩნდეს.

შეგახსენებთ ხელისუფლების მთავარ დაპირებებს, რომლებიც გვემონდა მთელი ხუთი წლის განმავლობაში და აღარ გვესმის ბოლო ხუთი თვეა. ეს პირველ რიგში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ეხება. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე ექსპერტები გამუდმებით იმეორებდნენ, რომ ეს იყო მთავარი პრობლემა და ამიტომ ამ სისტემის ცალკეულ ხარვეზებზე არ უნდა გაგვემახვილებინა ყურადღება. მეორე მთავარი გზავნილი იყო ძლიერი სახელმწიფოს ფორმირება, რომელიც საჭიროა ყველა სხვა ამოცანის გადაწყვეტისთვის. იყო საუბარი ნატო-ზე, 2008 წელს ნატო-ში უნდა ვყოფილიყავით, უნდა მოვარებულიყო უსაფრთხოების საკითხი, ეკონომიკური პროგრესისთვის უნდა მიგვედრია და ა.შ.

შევხედოთ რომელია ამ ამოცანებიდან შესრულებული. იმედი მაქს, ყველამ მოისმინეთ პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლა. მასში არც ნატო ყოფილა ნახსენები, არც უსაფრთხოების სისტემა და ძლიერი სახელმწიფო. ერთა-

დერთი თემა, რომელზე საუბარსაც მიხეილ სააკაშვილს დღეს პიარ-ტექნოლოგები უჩემდები, სოციალური თემაა, თუმცა ამ საკითხშიც ვითარება უმძიმესია. სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2002 წლიდან 2007 წლამდე სამუშაო ძალის რაოდენობა 160 ათასი კაცით შემცირდა. 160 ათასი შრომისუნარიანი ადამიანი გასულა საქართველოდან. დასაქმებულთა რაოდენობა არ გაზრდილა, თვითდასაქმებულთა რიცხვი გაიზარდა მილიონამდე. ესენი არიან გლეხები, რომლებიც მინას ამშავებენ.

ჩვენ საკითხს ასე ვაყენებთ – აქვს თუ არა უნარი ხელისუფლებას, გაუმკლავდეს იმ პრობლემებს და გამოწვევებს, რომელთა წინაშეც საქართველო დიდწილად ამავე ხელისუფლების უუნარობისა და ამავდროულად იმ ვითარების და ობიექტური გარემოებების გამო აღმოჩნდა, რომელიც წარმოიქმნა საქართველოს გარშემო? მათ გამოწვევებში საქართველოს ხელისუფლებასაც მიუძღვის წვლილი, თუმცა რუსეთი და კრემლი რომ სააკაშვილს არ მოუგონია, ამას ყველანი ვხვდებით.

გაიფლანგა უნიკალური შანსი, რომელიც საქართველომ მიიღო 2003 წელს. საქართველოს ჰერიტაჟი, უპრობო მხარდაჭერა, რაც დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, წარმატების წინაპირობაა. ჩვენ კი გავფლანგეთ ეს პოლიტიკური მხარდაჭერა. განსაკუთრებით აგვისტოს მერე თავზაღუნული ვზივარ შევედრებზე ჩვენს უცხოელ კოლეგებთან. ის, რასაც ვისმენ და ვხედავ, უკვე სამარცხებინო გახდა ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის და პოლიტიკისთვის. ბალტიისპირელ და პოლონელ ხალხს დიდი მაღლობა მხარდაჭერისთვის, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ მათი პრეზიდენტები საქართველოში სააკაშვილის მხარდასაჭერად ჩამოდიან. ისინი ჩამოდიან თავიანთი ინტერესების მხარდასაჭერად, იმიტომ, რომ ხედავენ, თუ რუსეთმა საქართველო დააჩიქა, მათაც იგივე ელით. ბოლო თვეების განმავლობაში, განსაკუთრებით აგვისტოს შემდეგ, არ მახსენდება ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც ილაპარაკებდა იმაზე, რომ 2013 წლამდე ამ ქვეყნას აქვს მომავალი.

რაც შევხება იმ საკითხს, რამდენი მრევლი ჰყავს ჩვენს აღიანს. არ მგონია, რომელიმე პოლიტიკურ ძალას საქართველოში სხვა ტიპის ფორმატში უხდებოდეს მოქმედება, თუ არა ურთიერთობა ქართულ საზოგადოებასთან და დანარჩენ მსოფლიოსთან.

დღეს საქართველოს სუვერენიტეტი დასულია თითქმის ნებ პროცენტად მდგრადი. ჩვენი სუვერენიტეტის უდიდესი ნაწილი მოსკოვის ხელშია, ნაწილიც ნასულია ევროპის და მსოფლიოს სხვადასხვა დედაქალაქებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და ა.შ. ასეთ ვითარებაში არ გაუწიო ანგარიში გეოპოლიტიკურ ვითარებას, უპასუხისმგებლობა იქნებოდა.

ხელისუფლების ერთი სერიოზული ნაწილი დაკავებული იყო ექსპერტიმენტით, კულტურული რევოლუციით, ახალი ქართველის გამოყვანით. ამ საზოგადოებიდან უნდა შექმნილიყო ახალი საზოგადოება, რომელიც დაეფუძნებოდა

რაღაც იდეებს, მაგრამ ესეც მარცხით დასრულდა. ჩვენ საზოგადოებას ასე არ ვუურებთ და პირველ რიგში სწორედ ქართველ ხალხთან გვაქვს ანგარიში ჩასაბარებელი, გვაინტერესებს მათი მოსაზრებებიც და განწყობებიც.

ბევრი მიუიქრია იმაზე, რას გააკეთებდა სააკაშვილი ჩემს ადგილზე 2008 წლის 10-11 აგვისტოს. დარწმუნებული ვარ, რომ იმ ვითარებაში ის რუსთაველზე ხალხს გამოიყვანდა და მოითხოვდა იმ ხელისუფლების წასვლას, რომელმაც ამ ტრაგედიამდე მიიყვანა ქვეყანა. ჩვენ ასე არ მოვქცეულვართ.

91-92 წლებისთვის დღევანდელობის შედარება, რბილად რომ ვთქვა, საკითხისადმი არაპროფესიონალური მიდგომაა, იმიტომ, რომ ხალხი, პოლიტიკური წრე, საზოგადოება, უურნალისტები, ყველა, ვისაც რაიმე სიტყვა ეთქმის ამ საქმეში, ამ ოც წელიწადში მეტ-ნაკლებად გავიზარდეთ და ასეთი ანალოგიები და პარალელები არასწორად მიმაჩნია.

როგორც აქ ითქვა, რეფერენდუმის გზა არ ყოფილა სწორი, რადგან ის შეიძლება ყველაზე ეფექტურად ჩაითვალოს. ხელისუფლებამ ისწავლა ჭაუა, როგორ უნდა გაუმკლავდეს მასობრივ დემონსტრაციებს. ამიტომ ამ მეთოდით, ისევე, როგორც შიმშილობით, ცვლილება დღეს აღარ მიიღწევა, როგორც ჩანს, ეს გზები ნაკლებად სახიფათოა ხელისუფლებისთვის და აღარ აღელვებს. რეფერენდუმის შემთხვევაში, საქმე სხვაგვარადაა. რეფერენდუმის დროს ხალხს ეძლევა სიტყვა და ამ ნაწილში ხელისუფლებას უჭირს, იმიტომ, რომ მან იცის, რომ შიდა ვითარება აღარ არის ისეთი, როგორიც იყო თუნდაც ერთი წლის წინ, თუნდაც 7 წლებრივის შემდეგ.

სოციალური კვლევების შედეგებს ჩვენ დიდი ყურადღებით ვეცნობით. იმ კვლევებსაც, რომელიც მიხეილ სააკაშვილს მაგიდაზე უდევს, ეს არის თებერვლის პირველ რიცხვებში ჩატარებული კვლევები, რომლითაც მისი რეიტინგი თბილისში 17-18%-ს არ აღემატება. სექტემბერში ეს პროცენტი 47-ს უტოლდებოდა. იგივე კვლევები სხვა რამეზეც მეტყველებს. „მემარჯვენებთან“ ალანისის შექმნამდეც გაეზიმეთ და შემდეგაც და აღმოჩნდა, რომ ამ ორი პარტიის გაერთიანება ჩვენი ცალ-ცალკე მხარდამჭერების არითმეტიკულ ჯამს იძლეოდა. ანუ, ჩვენი ამომრჩეველი არ განაწყენებულა ალანისის შექმნით. ასეთივე თავსებადობა აღმოჩნდა ირაკლი ალასანისათან გაერთიანების შემთხვევაშიც. დღევანდელი მონაცემებით, ალასანია-ახალი მემარჯვენები-რესპუბლიკელების ჯამური რეიტინგი მნიშვნელოვანდ აღემატება ნებისმიერი სხვა ოპოზიციური ძალის რეიტინგს და უახლოვდება ხელისუფლების რეიტინგს თბილისში.

მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცის ეს ყველაფერი, ამიტომ მას რეფერენდუმის ყველაზე მეტად ეშინია. ხალხის განწყობა სხვაა, საერთაშორისო ორგანიზაციების – სხვა. 2008 წლის იანვარში საპრეზიდენტო არჩევნებზე ყველას ეშინდა, რა იქნებოდა სააკაშვილის წაგების შემთხვევაში; იმიტომ, რომ მაშინდელმა ოპოზიციამ, ჩვენი ჩატარებით, ვერ დავანახეთ ვერც ხალხს და ვერც საერთაშორისო საზოგადოებას ის ალტერნატივა, რომელიც არა მარტო სააკაშვილის შეცვლას

მოახერხებდა, არამედ უკეთესი ქვეყნის აშენებასაც შეძლებდა. ეს მოიტანა 7 წლებრივი და სააკაშვილის ე.წ. გადადგომამ, როდესაც მას ერთი დღითაც კი არ დაუტოვებია თავისი რეზიდენცია. სააკაშვილი არ გადამდგარა, მან გაითამაშა ეს ფარსი. 7 წლებრივი კი იმ კონსტიტუციური ვადების უხეშმადრღვევამ გამოიწვია, რომელშიც, ჩემდა სამწუხაროდ, ბატონი გიაც მონაწილეობდა. ის საკონსტიტუციო კომისიის წევრი იყო, როდესაც სააკაშვილმა ერთპიროვნულად გადაწყვიტა თავისი შეხედულებისამებრ გადაეწერა კონსტიტუცია და დაწინიშნა საპრეზიდენტო და საპარლამენტო ვადები. მაშინ, როდესაც სააკაშვილმა პარლამენტს, „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებიდან გამომდინარე, 6-7 თვით გაუგრძელა ვადა, არ მასხოვს ექსპერტების საპროცესტო გამოსვლები. როდესაც წლებრივი ვითხოვდით, დავბრუნებოდით



დავით სახაფავილი

სააკაშვილის ეპოქა, პროექტი დასრულდა. ეს პროცესი დაიწყო 7 წლებრივი და 7 აგვისტოს დამთავრდა. ეს არის ჩვენი გულწრფელი დასკვნა, ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ ცვლილება. ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს ეროვნული მასშტაბის დაპირისპირება და ანგარიშსწორება, არ უნდა გამოიწვიოს კვალიფიციური და პროფესიონალი ადამიანების მთელი არმიის მოცილება, რაც საქართველოში არაერთხელ მომხდარა.

კონსტიტუციურ ვადებს, იმ ვადებს, რომელშიც დანიშნული იყო არჩევნები, გვიპასუხეს, რომ კონსტიტუციაში უკვე სხვაგვარად ენერა.

რეფერენდუმი, ასევე პლებისციტი, არის კონსტიტუციური მექანიზმი და ამ მექანიზმით ბევრ ქვეყანაში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გადამწყდარა. თავმოყვარე ხელისუფლები თავის ყოფნა-არყოფნას კონკრეტულ საკითხებს უკავშირებენ. როდესაც რეფერენდუმზე არ გადის პოზიცია, რომელზეც ისინი დაგანახენ თანამდებობას.

>>> გამორჩეული გვ. 115



В честь 10-летия пролетарского рата
народа Кавказа Правда и Победа
пред собой Конституцию, написанную
в боях наших героя. Правда и Победа
захватят весь мир и все три
диктатуру капиталистической гвардии
Британской Испанской Французской
Италии и Германии. Правда и Победа
захватят мир и все диктатуры
имperialistов.

Сталин

Да здравствует Конституция победившего Социализма!
Да здравствует величайший творец конституции
творец Сталин!

სტალინის აქცენტი ლა ქართული ენის აკოკალიფისი

ავტორი: გიორგი მაისურაძე
ილუსტრატორი: მაია სამბაძე

„და სახარებასა შინა ამასა ენას ლაზარე ჰქვია“.
ოთანე ზოსიმე

შიბოლეთი – ქართული აქცენტის გამოგონება

„აბა, ახლა გააღეთ პირი და სთქვით – ააა!“ – „შე-
რეკილები“

„ძველი აღთქმის“ „მსაჯულთა წიგნის“ მე-12 თავში აღნერილია კონფლიქტი ორ ეპრაულ ტომს შორის. ქალაქ გილეადის მცხოვრებლები იცავენ მდინარე იორდანის გადასასვლელს და არ ატარებენ ეფრემელ ლტოლვილებს. იმისათვის, რომ მათ ლტოლვილების ეფრემელობა დაადგინონ, აძმულებენ თქვან სიტყვა „შიბოლეთი“, რადგანაც მათ იციან, რომ ეფრემელები ამ სიტყვას თავისებურად გამოთქვამენ და ამით თავიანთ წარმომავლობას გამოამჟღავნებენ. ამ ბაბლიური ისტორიის საფუძველზე მოგვიანებით გაჩნდა ტერმინი „შიბოლეთი“, რომელმაც ამოსაცნობი ნიშნის მნიშვნელობა შეიძინა. ფილოსოფოსი უკა დერიდა შიბოლეთს ისეთ მასასიათებელ ნიშნად განსაზღვრავს, რომელიც თავისთავად ყოველგვარ აზრსაა მოკლებული, მაგრამ მისი მეშვეობით განსხვავებულობა დგინდება, საგნების გამიჯვნა ხდება და ამით ეს ერთგვარი „უაზრობაც“ გადამწყვეტ მნიშვნელობას იქნება. ასეთი ფართო შინაარსით „შიბოლეთი“ შეიძლება იყოს ნებისმიერი გარეგნული ნიშანი, – იქნება ეს ჩატმულობა, მიმიკა, მეტყველების მანერა თუ აქცენტი, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის ადამიანი ამა თუ იმ ეთნოსს, რეგიონს, სოციალურ ფენას თუ სუბკულტურულ ჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ, რომელსაც შემდგომ მთელ რიგ სხვა ნიშან-თვისებებსაც მივწერთ, – იმ ცოდნისა თუ სტერეოტიპების საფუძველზე, რომლებიც ჩვენ ადამიანთა ამ კონკრეტუ-

ლი კოლექტივის შესახებ გვაქვს. „მსაჯულთა წიგნის“ მესაზღვრემ იცის, რომ თუ ვინმე „შიბოლეთის“ ნაცვლად „სიბოლეთს“ იტყვის, რადგანაც მას „შ“-ს წარმოთქმა არ შეუძლია, მაშინ იგი ეფრემელია, ხოლო ეფრემელი კი მტერია, რომელიც არ უნდა შემოუშვა. ამდენად, „შიბოლეთი“ აუცილებლად „სიბოლეთსაც“, ანუ „არასწორ“ ან „დამახინჯებულ“ წარმოთქმასაც საჭიროებს. იმისათვის, რომ არსებობდეს ცენტრი, საჭიროა პერიფერია, და პირიქითაც: მარგინალური ცენტრალურისგან, „ოფიციალურისგან“ უნდა იმიჯიზებოდეს. „სწორი“ წარმოთქმა კი ყოველთვის უკეთესობის ხარისხშია აყვანილი. მაგალითად, არსებობს „მაღალი“, სალიტერატურო ენა, რომლის ფლობაც განათლებულობას, მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას და იმის ძალაუფლებასაც გულისხმობს, რომ ენის ამგვარად აქცერება ნორმად, ანუ სისწორედ იქნას გამოცხადებული და დამკიდრებული. ამდენად „მაღალი“ ენა, თავისი „სწორი“ აქცერების წესებიანად, ძალაუფლების, გადაწყვეტილების მიმღებთა ენაა, რომლებმაც იციან რა არის „სწორი“, „მართალი“, „ნორმა“. ასეთი ნორმებიდან გადახვევა კი მეტყველებაში აქცენტით გამოიხატება, რომელიც მის მქონეს თავის ირგვლივ მყოფთაგან განასხვავებს და ამარგინალურებს.

აქცენტი გარკვეული შეუსაბამობიდან ჩნდება, როდესაც, მაგალითად, ადამიანი არ იმყოფება თავისი წარმომავლობის არეალში, – იქნება ეს გეოგრაფიული თუ სოციალური გარემო, ანუ იგი დომინანტურ უმრავლესობის არ მიეკუთვნება, მაგრამ ამ უმრავლესობის ენაზე მეტყველებს. მის განსხვავებულობას ასეთ ვი-

„გალალი“ ენა, თავისი „სწორი“ აულიერის წესებისად, ქალაუფლების, გალაუფლების მიმღებათა ენა, რომლებმაც იციან რა არის „სწორი“, „გართალი“, „ნორმა“. ასეთი მორმებიდან გადახვევა კი მიზანი აქცენტით გამოიხატება, რომელიც მის მძონეს თავის ირგვლივ მყოფთაგან განასხვავებს და ამარჩინას.

თარებაში აქცენტი ავლენს, რომელიც „ნორმიდან გადახვევად“ მხოლოდ საკუთარი ტერიტორიისა თუ არეალის გარეთ მიიჩნევა. მაგალითად, ქართული აქცენტი მხოლოდ ქართლის ფარგლებს გარეთაა „აქცენტი“ და არა იქ, სადაც ამ უძლერადობით მოლაპარაკე ადამიანები უმრავლესობას წარმოადგენენ. მაგრამ იმისათვის, რომ აქცენტი შიბოლეთად ჩაითვალოს, საჭიროა მისი იდენტიფიკაცია, რაც მსმენელის გარკვეულ ცოდნას ამ აქცენტის მქონეთა შესახებაც საჭიროებს. მაგალითად, გერმანიაში გერმანულად მოლაპარაკე ქართველი თავისი აქცენტით ამჟღავნებს საკუთარ უცხოელობას, მაგრამ არა ქართველობას, რამდენადაც გერმანელი უმრავლესობისათვის ქართული აქცენტის უღრადობა უცნობია, ის მისთვის არაფერთან არ იგივება, განსხვავებით, მაგალითად, ფრანგულისაგან, რომელიც შიბოლეთია, რადგანაც მისმა მსმენელმა გერმანელმა იცის, რომ ეს ფრანგული აქცენტია, რაც იმასაც ნიშნავს, რომ მან იცის საფრანგეთის არსებობა, აქეს გარკვეული, თუნდაც სრულიად ზედაპირული და სტერეოტიპული წარმოდგენა საფრანგეთისა და ფრანგების შესახებ. ამით აქცენტი ასოციაციათა მთელ ჯაჭვს წარმოშობს, რომელიც შეიძლება ყოფითი სფეროებით ინყებოდეს და თანდათანობით კულტურულ თუ პოლიტიკურ ფენომენებზეც გადადიოდეს. ამდენად აქცენტი, რომელიც შიბოლეთად აღიქმება, რეპრეზენტაციული შინაარსისა და მსმენელში, გამომდინარე მისი ცოდნიდან თუ გამოცდილებიდან, სხვადასხვა სახის ემოციებსაც წარმოშობს. ასეთ ემოციებს აფექტები ეწოდება, რომლებიც არა განსჯითა და ფიქრით, არამედ ასოციაციურად ჩნდება და აღმტული საგნის მიმართ ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებას გამოხატავს. აფექტების უკან კი ცალკეული ხატები თუ ისტორიები იმაღება, რომლებსაც აქცენტი ასოციაციურად ებმება. თუკი ეგროპაში ქართული აქცენტი არანაირ ასოციაციას არ აღძრავს, რუსეთში ეს აქცენტი რუსული კულტურული მეხსიერების ნაწილია და ერთ კონკრეტულ პიროვნებას – ისეს სტალინს უკავშირდება, რომლის აქცენტიც ზოგადად ქართული აქცენტის პროტოტიპადაა წარმოდგენილი: სტალინის გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი, როდესაც რუსი პაროდიატები ქართული აქცენტის იმიტაციას ცდილობენ, ნიმუშად ისევ სტალინის აქცენტს იყენებენ.

ქართული აქცენტი სტალინის აქცენტია და სწორედ ამ ნიშნითა იგი შიბოლეთი. ეს კი ერთგვარ პარადოქსს ქმის თავად რუსულ ისტორიულ და კულტურულ მეხსიერებაში: პიროვნება, რომელიც რუსეთის სამხედრო და პოლიტიკუ-

რი ძლიერების სიმბოლოა, მარგინალურობის ნიშანს ატარებს. 1945 წლის 9 მაისს სტალინის მიერ წარმოთქმულმა ფორმულამ „Великий русский народ“, რომელიც ახალი დიდრუსულ შოვინიზმისა და იმპერიალიზმის დეკლარაციად მიიჩნევა, ქართული აქცენტით გაიყდერა! ამით თავად დიდრუსულ შოვინიზმს მარგინალურობის დაღი დაესვა, რამდენადც მისი საავტორო უფლება არარუსს, მარგინალ პიროვნებას, „სიბოლეთს“ ეკაეთვის. 1956 წელს სკაპ XX ყრილობაზე ხრუშჩინის ცნობილი სიტყვა და საბჭოთა კავშირის დესტალინიზაცია რუსულ-საბჭოთა იმპერიალიზმის ამ ფონეტიკური დეფექტისგან გათავისუფლების მცდელობა იყო, – „აღარ იზრახებოდეს“ რუსეთში რუსული ენა ქართული აქცენტი! მაგრამ ის, რაც კოსმეტიკურ პერაციად იყო ჩაფიქრებული – „სიბოლეთის“ „შიბოლეთად“ შესწორება, ანუ რუსული იმპერიისათვის ქართული აქცენტის ჩამოშორება, თავად ამ იმპერიის ნგრევის დასაწყისი აღმოჩნდა.

THE STALIN CODE

“Товарищ Сталин - Вы большой ученый - в языкоизнанье знаете вы толк...”

უზა ალექსანდრესკი

1950 წლის 20 ივნისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა სტალინის სტატია „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, რომლის ოფიციალური მიზანი საბჭოთა ენათმეცნიერის ნიკო მარის მოძღვრების უარყოფა იყო. მარის და მის მიმდევრების აზრით, ენა არის ის, რასაც მარქსი ზედნაშენს უწოდებდა, ანუ სოციალურ-ეკონომიკური ბაზისის იდეოლოგიური პროდუქტი. ამდენად, შესაძლებელია, რომ ენა კლასიბრივ ფენომენად მიეჩნიოთ, ანუ ყოველ სოციალურ კლასს თავისი საკუთარი ენა ჰქონდეს. სტალინი ასეთ თეორიას მცდარს უწოდებს და აცხადებს, რომ ენა არ შეიძლება იყოს ზედნაშენი და რომ ის ყოველგვარი ბაზისისა და ზედნაშენისგან დამოუკიდებლად არსებობს. ენა არ არის კლასიბრივი, არამედ იგი მთელი საზოგადოებისთვისა შექმნილი, დამოუკიდებლად მისი წევრების კლასიბრივი მიკუთვნებულობისაგან. „საკმარისია ენამ დათმოს ეს თავისი საერთო-სახალხო პოზიცია, საკმარისია მან დაიკარის მიკერძოებული პოზიცია რომელიმე სოციალური ჯგუფის სასარგებლოდ და სხვა სოციალურ ჯგუფთა საზიანოდ, რომ ის დაკარგავს თავის თვისებას, შეწყვეტს არსებობას, როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერ-

თობის საშუალება, რომ ის გადაიქცევა რომელიმე სოციალური ჯგუფის უარგონად, დეგრადირდება და გასაქრობად გაიწირება“. სტალინი ამ ნაშრომში ხშირად ლაპარაკობს დიალექტებსა თუ უარგონებზე. სიტყვა „აქცენტს“ კი მხოლოდ ერთ ადგილას ახსენებს, ისიც ირონიულ კონტექსტში: „რუსი არისტოკრატები ... თავს იწონებდნენ იმითი, რომ რუსულად საუბრის დროს მათ ენა ფრანგულად უბორძიედებათ, რომ რუსულად საუბარი მათ მხოლოდ ფრანგული აქცენტით შეუძლიათ“. ასეთი, სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კლასობრივი ყოყოჩიობისგან“ რუსეთი რევოლუციის შედევად გათავისუფლდა. სამაგიროდ, კლასობრივი შინაარსის ფრანგული აქცენტი რუსეთის იმპერიის პროვინციების აქცენტებმა შეცვალა, რომლებიც საბჭოთა რუსეთის უმაღლესი სახელისუფლებო ეშელონებიდან მოისმოდა. ასეთი რამ რუსეთის ისტორიისათვის თითქოს ახალი არ უნდა ყოფილიყო: სამაგალითოდ იმპერატორ ეკატერინე II-ის გახსენებაც კმარა, რომელიც, როგორც ამბობენ, სიცოცხლის ბოლომდე არა მხოლოდ გერმანული აქცენტით, არამედ ზოგჯერ გრამატიკული შეცდომებითაც კი მეტყველებდა რუსულ ენაზე. პრინციპული განსხვავება ეკატერინეს აღმოსავლურ პრუსიულ და სტალინის ქართულ აქცენტებს შორის ის იყო, რომ ქართული, განსხვავებით გერმანული-საგან, რუსეთის კოლონიის ენის ხმოვანება იყო, რომელიც 31 წლის განმავლობაში ერთ დროს დამპყრობელი რუსეთის ენას დაპყრობილისა და პროვინციის ტონალობას ანიჭებს. საგნების ასეთი კონსტელაცია არსობრივად ცვლის საბჭოთა სახელმწიფოს არსს: თუკი ლენინისა და ტროცკის პროლეტკულტურული ექსპერიმენტების მეშვეობით ადამიანებს შორის სოციალური და კულტურული განსხვავებულობის ყველა ნიშნის წაშლა უნდა მიღწეულიყო და ნაციონალური იმპერიის ადგილი მსოფლიო ინტერნაციონალის ზესახელმწიფოს დაეკავებინა, სტალინი მართლმადიდებლურმესიანისტურ ტრადიციას აღორძინებს, რომელში ჩაბმული ერები და ეროვნებები „დიდი რუსი ხალხისა“ და რუსული ენის მეშვეობით სამყაროს ანითლებენ. ესენი არ არიან უეროვნებო პროლეტარები, არამედ ერთადერთ ჭეშმარიტ ფორმაციაზე ასული ერები, რომელთა ერთობასაც „საბჭოთა ხალხი“ ეწოდება. მარის მოძღვრება ენის კლასობრივი ხასიათის შესახებ, რომელიც, როგორც ზედნაშენი, ფორმაციის ცვალებადობასთან ერთად იცვლება, რაოდენ აბსურდული ბოდვაც არ უნდა იყოს ენათმეცნიერული თვალსაზრისით, არის ადრეული საბჭოთა მოდერნიზმის ორგანული ნაწილი, რომელიც ადამიანის ახალი სახეობის გამოგონებას მიზნად ისახავდა. მარის ლამის მისტიკური იდეა, რომ ყველა ენა ოთხი მარცვლიდან – სალ, ბერ, იონ და როშ-იდან მომდინარეობს, არა უბრალოდ სამეცნიერო-ფანტასტიკურ უანრს მიეკუთვნება, არამედ ადრესაბჭოთა მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი მორიგი უნივერსალისტური ფანტაზიაა. მარის აზრით, „არ არსებობს ეროვნული და საერთოეროვნული ენა, არსებობს მხოლოდ კლასობრივი ენა, და სხვადასხვა ქვეყნების ერთი და იმავე კლასების ენები ტიპოლოგიურად ერთმანეთთან უფრო მსგავსია, ვიდრე ერთი ერის სხვადასხვა კლასების ენა“. ეს კი პრინციპუ-



საბჭოთა კავშირი არაა ერთ ენაზე მოლეანარაც ერთი ერი, არამაც პედიოდი ერებისგან (საბჭოთა იდეოლოგით, ამ სახელმიწოდო 300-ზე მეტი ეროვნება ცხოვრობს!) შემდგარი რჩეული ხალხი, რომლებიც, რომორც მართლმორწმუნე ქრისტიანები სამოთხეში, – ისე შეაბიჯებინ კომუნიზმი.

ლად ენინაალმდეგება ერის სტალინისეულ განსაზღვრებას: „ერი – ესაა ისტორიულად ჩამოყალიბებული ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქოლოგიური წყობის მყარი ერთობა“. სტალინისათვის ენა და ერი განუყოფელია. მისი სიტყვებით, ენა ვითარდება, „ვაროვნული ენიდან ტომის ენამდე, ტომობრივი ენიდან ხალხის ენამდე, ხალხურიდან ეროვნულ ენამდე“. ენის სიკვდილი კი მთელი საზოგადოების მოსპობას ნიშნავს. ამასთანვე სტალინი საუბრობს „ენათა შეჯვარებაზე“, რომლის შედეგი არა მესამე ენის წარმოქმნაა, არამედ „გამარჯვებული ენის“ გამდიდრება: „ასე ხდებოდა, მაგალითად, რუსულ ენასთან მიმართებაში, რომელსაც მისი ისტორიული განვითარების მანძილზე სხვა ხალხების ენები ერწყმოდა, მაგრამ რუსული ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა“.

სტალინი ეროვნულობის პრინციპებით არა მხოლოდ აგებს საბჭოთა იმპერიას, არამედ ამ სახელმწიფოს მაგალითზე საკუთარი თეორიის მართებულობის დამტკიცებასაც ცდილობს. იგი არათუ არ უარყოფს ერებს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში იგონებს კიდევაც მათ. მაგალითად, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხებს, რომლებიც ფეოდალურ, ზოგჯერ კი გვაროვნულ ურთიერთობებით იმყოფებიან, სტალინი ეროვნებებად აცხადებს, უსაზღვრავს ტერიტორიებს, ათხვევინებს ისტორიებს, აქმევინებს დამწერლობებსა და მწერლობებს, რომლებმაც, ქრისტიანული ესქატოლოგიური მოძღვების „ლოთის ხელმიწიების“ მსგავსად, კომუნიზმის აღსრულება უნდა აუნყონ საბჭოთა ადამიანებს მათსავე მშობლიურ ენებზე. მოსახლეობის ერებად და ეროვნებებად კლასიფიკაცია განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკურ-გეოგრაფიულ სტრუქტურას, რომელიც არა მხოლოდ საბჭოთა კავშირს აქცევს ერთ დიდ იმპერიად, არამედ ცალკეულ მოკავშირ რესპუბლიკებსაც უქმნის პატარა იმპერიობის ილუზიას, რომლებსაც საკუთარ ცენტრებს დაქვემდებარებული ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები ჰყავთ. ასეთი სტრუქტურა კი იმპერიის სეპარატიზმისაგან დაცვის მექანიზმია, რომელიც საერთო იმპერიიდან განცალევების მცდელობა სეპარატიზმის ჯაჭვურ რეაქციას „მცირე იმპერიებშიც“ გამოიწვევს.

საბჭოთა კავშირი არის ის მიწიერი სამოთხე, სასუფეველი, რომელში მოხვედრილი ეროვნებებიც საკუთარ თავს განსაკუთრებულებად უნდა გრძნობდნენ. იმისათვის, რომ საბჭოთა ეროვნებები თავიანთ გამო-რჩეულობაში დარწმუნდნენ, მათ უნდა მიეწოდოთ ისტორიები, რომლებიც, ერთი მხრივ, მათ ეროვნულ სიამაყეს განამტკიცებს, მეო-

რე მხრივ კი მათ მიერ არჩეული კომუნიზმისაკენ მიმავალი გზის ჭეშმარიტებაში დაარწმუნებს. ამ მიზანს ემსახურება სახალხო და კულტურული გმირების ხატები, რომლებიც სტალინის რეჟიმის მთავარ იდეოლოგიურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს. „სახალხო გმირი“ – შრომის, კლასობრივი ბრძოლის იდეალებისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის სანამუშო ადამიანია. 30-იანი წლებიდან მოყოლებული, განსაკუთარებით ომის დროს, რომელსაც სტალინი „დიდ სამამულო ომს“ უწოდებს (ანუ ესაა ომი არა იდეოლოგიისათვის, არამედ მამულისათვის!), სახალხო გმირების შარავანდედით სულ უფრო და უფრო ისტორიული პირველები იმოსებიან, რომლებიც კლასობრივი თვალსაზრისით მტრები უფრო იყვნენ. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „კულტურულ გმირებს“. ეს ფენომენი მე-19 საუკუნის დასავლეთ ევროპაში გაჩნდა და ამ რანგში ამალება წილად ხვდათ არა მხედართმთავრებსა თუ თავგანწირულ გმირებს, არამედ მწერლებს, ხელოვანებს, რომლებიც ახლადნარმოშობილი ერების კულტურული იდენტიტების სიმბოლოები, მათი უმაღლესი ეროვნული ავტორიტეტები და მარად უკვდავი სულიერი წინამძღვრები იყვნენ. სტალინის უშუალო მითითებით საბჭოთა ერებიც ქმნიან ასეთ ფიგურათა მთელ პანთეონებს, რომელთა იუბილეებიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით სახალხო დღესასწაულების სახეს იღებს. რუსეთისათვის ესაა, პირველ რიგში, პუშკინი, რომელსაც სტალინი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხებში“ საგანგებოდ მოიხსენიებს და რუს ხალხს ახსენებს, რომ ისინი პუშკინის ენაზე მეტყველებენ; უკრაინაში იქმნება ტარას შევჩენკოს კულტი; 1937 წელს შოთა რუსთაველის 750-ე წლისთავს მთელი საბჭოთა კავშირი აღნიშნავს.

ამით სტალინი „ლოთისგან რჩეული ხალხის“ ძველადთქმისეული იდეის ტრანსფორმაციას ახდენს და მას საკუთარი იდეოლოგიური დაქტირინის საფუძვლად იყენებს. საბჭოთა კავშირი არა ერთ ენაზე მოლაპარაკე ერთი ერი, არამედ ბედნიერი ერებისგან (საბჭოთა იდეოლოგიით, ამ სახელმწიფოში 300-ზე მეტი ეროვნება ცხოვრობს!) შემდგარი რჩეული ხალხი, რომლებიც, როგორც მართლმორწმუნე ქრისტიანები სამოთხეში, – ისე შეაბიჯებენ კომუნიზმში. ამ „სამოთხეში“ კი ისინი არა როგორც ცალკეული ინდივიდები, არამედ საბჭოთაში გაერთიანებული ერები მოხვდებიან. ასეთ ერთობასა და გამორჩეულობაში დასარმუნებლად ინერება საბჭოთა კავშირის ისტორიაც. სახელმწიფო, რომელიც 1922 წელს შეიქმნა, საკუთარ ისტორიას ადრე ქვის ხანის

ეპოქიდან იწყებს. სტალინური ისტორიოგრაფიის მთავარი მახასიათებელი ნიშანია საბჭოთა ხალხების მუდმივი ისტორიული სიმართლის ჩვენება: ისინი ყოველთვის სამართლიან ომებში იბრძოდნენ, ყოველთვის „კარგები“ იყენენ, ყოველთვის უკეთესობისკენ ისწრაფოდნენ. ისტორიული მტრები კი ახლაც მტრულ, კაპიტალისტურ ქვეყნებად დარჩენ, მაშინ, როდესაც საბჭოთა ხალხებმა ისტორიული განვითარების ერთადერთი ჭრშმარიტი გზა აირჩიეს, რომელსაც ისინი კომუნიზმის სახით გაბრტყინებამდე მიჰყავს. კომუნიზმი კი, როგორც საზოგადოების განვითარების უმაღლესი საფეხური და ფორმაცია, ისტორიას ასრულებს, რადგანაც მასზე უფრო მაღალი და იდეალური წყობილება აღარ არსებობს.

მაგრამ ამ იდეალურ წყობილებამდე ჯერ განკითხვის უამია გასავლელი...

პატარა გორი დიდია

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისია სანამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.“

იოანე ზოსიმე

„საბჭოთა ხალხი“ – ესაა „თავისუფალ ერთა“ ოჯახი, რომელშიც „უფროსი ძმა“ რუსეთია, ხოლო მამა კი, – „Отец всех народов“ – სტალინი. ამ დიდ ძმურ ოჯახში მამის ქართველობა საქართველოსაც განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს. ეს სტატუსი საქართველოსადმი სტალინის სიყვარულისა თუ მისი პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგი კი არ არის, არამედ თავად ის ფაქტი, რომ „ყველა ხალხის მამა“ ქართველია, ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას იმხელა ძალას ანიჭებს, რომ მის ფონზე ნებისმიერი ჰუმანისტური დისკუსია სტალინის დანაშაულების შესახებ სასაცილოდაც არ უდერს. თუკი საბჭოთა კავშირის 300-ზე მეტ ეროვნებას სტალინის მითითებით შეთხზული ისტორიების საფუძველზე შეუძლიათ ირწმუნონ საკუთარი გამორჩეულობა, ქართველები არიან ასეთები და ამისათვის არა რაიმეს რჩება, არამედ რადიოს ჩართვა და სტალინის ხმის გაგონება სჭირდებათ.

საქართველოს ინტელექტუალური საზოგადოება სრულიად იგნორირებდა და ახლაც თვალს სუჭავს იმ ფაქტზე, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სტალინისტია. ამ კულტის საფუძველი კი არა უბრალოდ პრიმიტიული თუ ხალხური ნაციონალიზმია, არამედ თავად ქართული ნაციონალიზმის ის დომინანტური ფორმა, რომელიც სტალინის, როგორც ნაციონალური იდენტობის მთავარი ფიგურის ირგვლივ და სტალინური მსოფლმხედველობის სტრუქტურის მიხედვით გაფორმდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართული ანტისტალინური აფექტი ისეთივე ბუნებისაა, როგორიც რუსული: ორივეს საფუძველი სტალინის მეტყველებაა. დესტალინიზაციით რუსულმა ნაციონალიზმა სტალინისათვის მისი აქცენტის ჩამოცილება სცადა, ქართულმა კი მისი ენის ქართულად თარგმნით აქცენტისა და ენის შესატყვისობაში მოყვანა.





ქუთაისი, ზღვის პირი

ავტორი: აკა მორჩილაძე

ქუთაისზე როგორ უნდა დავწერო, ქუთაისს ისეთი მწერლები ჰყავს.

ქუთაისი ისე მიყვარს, რომ იქ არც მიცხოვრია. ერთ ღამეზე მეტი, გადაბმულად არც არასდროს გამითევია. დღემდე ვერ ავულე ალლო ქალაქის გეოგრაფიას. ანუ, მარტო რომ შევიდე, ეგებ გასასვლელს ველარც ვუწიო.

შესასვლელი ვიცი, მარცხნივ კვახჭირი დარჩება.

ძველი შესასვლელიც ვიცი, ურიცკის ქუჩით.

არსებობს ახლა ძველი შესასვლელი?

ეგ სამწუხაროდ აღარ ვიცი.

ანდა რა მნიშვნელობა აქვს? ქუთაისში არ მიდიხარ ხოლმე გეოგრაფიის დასამახსოვრებლად. არასდროს. ქუთაისში მიდიხარ და მორჩა.

მართლა არ ვიცი, როგორ დავწერო ქუთაისზე. თავში სულ ფერადები დამირბის.

ეს არ არის ბოლო ოცი წლის ფერადები.

იყო ფერადები ბოლო ოც წელიწადს? ალბათ იყო, მაგრამ მე როგორლაც არ მომვდა.

1918 წლის ზამთარში, სულ რამდენიმე დღეში, ქუთაისი დაიცალა. ყველამ, ვინც ქუთაისის სახეს ქმნიდა, რატომდაც გადაწყვიტა, რომ თბილისში წამოსულიყო. პოეტებმა, მხატვრებმა, მსახიობებმა, მასწავლებლებმა, ინჟინრებმა ასე გადაწყვიტეს. მგონი იმიტომ, რომ საქართველო დამოუკიდებელი იყო და ერთგვარ ცენტრად თბილისი აღიმებოდა. ეს შეუმჩნეველი ამბავია ჩვია ჩვენს ისტორიაში. თან უცარუი ამბავი. არადა მომზდარი

ამბავია. დიდი შეცდომაც, რომელიც ალბათ ველარასდროს გამოსწორდება.

ქუთაისის ლეგენდარული ქართული გიმნაზიის მასწავლებლები შეიქნენ თბილისის უნივერსიტეტის პროფესიონები. განთქმული ქუთაისელი ექიმები მოენყვნენ თბილისის საავადმყოფოებში. ქუთაისელი პოეტები ჩამოსახდნენ თბილისის კაფე „ქიმერიონში“, რომელიც ეგებ სხვა არც არაფერი იყო, უქიმერიონის გარდა. უქიმერიონისა აღმართი... გეხსომებათ.

ამის შედეგი ის იყო, რომ ერთი ქალაქი დაიმცრო, მეორე კი კიდევ უფრო იზარდა.

არა მხოლოდ ესენი: ლეგენდარული ახალციხური გვარებიც კი, რომლებიც ქუთაისში აგე, როდის მოვიდნენ, თბილისისკენ გამოიშურენ.

რა არის ეს თბილისი ამისთანა. რატომ იყო საჭირო. რისთვის იყო საჭირო ეს დაძრა. ასეთი უცბეჭდი. არც მახსოვს, სად ამოვიკითხე ეს ამბავი. ერთადერთი წინადადება ეწერა, – ასე მოხდაო. მგონი, არც იყო ქართული ტექსტი. ინგლისური იყო. ნამდვილად ინგლისური.

ჩვენს წიგნებში არ წერია ხოლმე ასეთი რამები.

ეს ალბათ ძლიერ ინფარქტს ნიშნავდა.

სულაც არ მინდოდა ამ დრამატული ამბის გახსენება.

ბოლოს და ბოლოს ქუთაისს თავადაც ერგბოდა საუნივერსიტეტო ქალაქად ყოფნა.

მოხუცებული დიმიტრი ყიფიანი, რომელიც ყველა თანამდებობას ჩამოშორებული იყო, ბოლოს იმერეთის თავადაზნაურო-



ბის მარშლად აირჩიეს. გადარეული ყოფილა, – რა მიქნეს ამ ქუთაისელებმა, როგორ დამხვდნენ. ეტლში ჩამსვეს და მთელი ქალაქი ზარზებით მომატარესო.

დიმიტრი, ქართლელი ყიფიანი იყო, სუბათაანთ აზნაური. ცხოვრება ისე გალია, რომ ზედმეტად არავის გაუღიმია მის-თვის.

ქუთაისური გიტარა. სად წავიდა ქუთაისური გიტარა? მგონი, დღევანდელ თბილისურ ტრიოში გადმოინაცვლა.

ოღონდ, სიმართლე რომ ვთქვა, არც ამის გახსენება მინდოდა. სულ სხვა რამის დაწერა მინდა.

სამსონ ფირცხალავას უწერია, – ქუთაისიდან თბილისში რომ გადმოვედი, წავედი კაცი, ვერ შევეგუე ასეთ სიჭრელეს, ასეთ განსხვავებულობასო.

პურსაც კი ვერ ვჭამდი, იმდენად განსხვავდებოდა ქუთაისურისგან, ჩემი დამემართა, სანამ მივეჩირეო.

ბავშვობისა რა მახსოვს და, ადრიან დილით ქუთაისში, რუსთაველის ქუჩაზე, პანაწინა სახლში მამიდაჩემი ცხელ ხაჭაპურს ჭრის და ჩაის ძველებურ ჭიქაში ბლომად ალუბლის მურაბას მიყრის. ვფიქრობდი, რანაირა ნეტა ეს ქუთაისი-თერი. არ ვიცოდი, ვიცოდი მხოლოდ ეს სახლი.

ჩვენები ომამდე ქუთაისში ცხოვრობდნენ, კაი დიდი სახლი ჰქონდათ გორაზე. მერე ომმა არია ცხოვრება. ბაბუაჩემი დაიძრა.

ეს გრძელი ისტორიაა და უცხოს არ დააინტერესებს.

სინამდვილეში სულ სხვა რამე მინდოდა მეთქვა. აი, ვუტრიალებ და ვერ ვახერებ. რაღაც ნაკუნძებს ვერთ და მგონი, საბოლოოდ რამე გამომიგა.

მე რა უნდა დაეწერო ქუთაისზე. ბავშვობიდან ვყოფილვარ იქ. ქუთაისის სადგურში დიდთოვლობას გაჩერილ მატარებელშიც ვწჯდარვარ, სათაფლიას დუქანშიც ვყოფილვარ, გელათის ამბავსაც მივხვედრილვარ, მგონი, და ბაგრატის ტაძრის თაღში რომ ლელვის ხე იყო შეზრდილი, ისიც დამამახსოვრდა. შიგ ჩიტები ფრთხიალებდნენ. ლელვი იყო, მგონი. ვერ ვცნობდი მაშინ, პატარა ვიყავი. საოცარი რამ კი იყო. ახლა აღარ არისო, – მითხრეს. ბაგრატი უნდა აშენდესო, მგონი, ამასაც ამბობდნენ. ის თაღში ამოზრდილი ტოტები და შიგ შეფრთხიალებული ჩიტი, მგონი, ყველაზე ლამაზი რამ არი, რაც ცხოვრებაში მინახავს. კი-ბეც გადასარევია. გახსოვთ, „საბუდარელ ჭაბუკში“ ჩხუბი როა

ამ კიბეზე? ცუდი უშანგი და კარგი გოგიტა რო ჩხუბობენ?

ქუთაისი სურათებია. სურათებს სიცოცხლე უნდა. სად არის სიცოცხლე?

რა უნდა ვთქვა ქუთაისზე. ნაგლეჯები: რესტორანი ქაშავაზე. ძველი გოგისვანიძები. დავით ალმაშენებელი. მოწამეთა. მამაო გაგი თავისი სამკურნალო ბალახებით. ყველა მაინც გაგის ეძახდა.

ბიენენტიას წყვილი ქაბაბი. ნიკო ნიკოლაძის დები. აკაკი აივანზე. ბოჩკები. ქუთაისელი ქურდები. ქუთაისელი ბუფეტჩიკები. ტუა. ბუნჩულა. რა ვიცი. სულ სურათებია, რომლებსაც ბავშვობიდნ ვხედავდი გაკვრით ან არ ვხედავდი, ყურს მოვკრავდი და წარმოვიდგინდი.

რა ინდუსტრიის მშენებელი ეგ იყო.

გალავტიონი. ქუთაისის გიმნაზია. ცისფერი ყანწის ბიჭები. დახვერეტიონი ბარინ ბიბინეიშვილის მოგონებები ქუთაისის შესახებ. საოცარი მოგონებები, სხვათა შორის. ქუთაისის ციხე. ან გამქრალი. სტალინის კამერა. გიუუსა ნახტომი. თხაწვერა გოგი. პოეზია. ქუთაისის თეატრი. ის, ძველი, ჭიჭიკია და ბიჭიკია. იმათი ძალლი. ბისკვიტია. პიანი ბაზარი. მწვანე ბაზარი. კვაჭიკავაზანტირაძე, კაცი დაბადებული სამტრედიასა და ხონს შუა, ქუთაისში გამიმართისტებული.

სულ მომზონდა ქუთაისის უბნების სახელები. თბილისისა როგორდაც უფრო დამჯდარი და პირქუში იყო. მწვნეყვავილა. სასაფლაოს უკეთესი სახელი მე არ გამიგონია. ასე რომ ულერდეს. სამსონ თოფურია. სამსონ თოფურიას ლეგენდარული ბიუსტი. სად არის იგი? განახავთ სამსონ თოფურიას ფოტო? ექიმი, ადესაში მტვირთავად ნამუშევარი. სხვა იერის კაცი. აკაკის გადამრჩენი, არაერთხელ. ექიმი ასევე, ივანე გომართელი. სოციალისტი, მგონი. წერდა გაუთავებლად. გარეგნობა-საუკეთესო სასიძო. რიონის წვერა. რიონის ქვები. კომუნისტებმა გაისროლეს რიონი ქუთაისიდან. დააწყალმარჩხეს. დარჩა ქვები. თეთრი. ქუთაისის ხიდები... შეიძლება, რომ ყველაფერი ასე სახელიანი იყოს? ასე გამოკვეთილი? ჯაჭვის ხიდი. სანამ ვნახავდი, ბავშვობაში უშველებელი წარმომედგინა. მერე გადავარეთ. პატარა ხიდია. მაინც განუმეორებელი. არაფერი და ყველაფერი. როგორ მირბის ზედ, რევოლუცირმომარჯვებული კონსტანტინე დადებქელიანი, რომელმაც ეს წუთია მოჰკლა გუბერნატორი. ამპრეტუზო მედუზო. პიკასოს ბიჭი. ლადო

საავტორო

მესხიშვილი, ხმა ჩახლეჩილი, ფრანც მოორის როლში, კინაღამ მართლა რომ ჩამოიხრჩო თავი. პაპინია მიქელაძე ახტა სცენაზე, ხმლით გადასჭრა თოკი. დარჩა ხმა გაბზარული. ქუთაისის ხმა. სერგია ერისთავი. გიცანი, სერგია გიცანიი? რომნა რო მივქონდე და მეძახდე გიცნობო, ასეა საქართველოს აბავოო. სერგია ერისთავი. ქუთაისური ხუმრობა. დღეს, მგონი, ოდნავ ნაძალადევი, სერგიაზე და სხვათა კლასიკაზე აწყობილი. ოთარ მამფორიაზე, რასაკვირველია.

მინახავს მოხუცებული ბუღალტრები, შავი ჰალსტუხებით, ტილოს პიჯაკებში, გარეთა ჯიბეში სამი-სამი ავტორუჩით, შლაპებით. ბადში. მოვესნარი ამის შემჩნევას. ბაღისკიდეც მას-სოფს. ცოტა ლუპენული ხუმრობებისკენ მიდრეკილად წერდნენ მის შესახებ.

ბულვარი, გულვარდი. ასე უნდა სწორედ სიტყვის მორგება და გადაკეთება. დანიელა ურა. ქუთაისის ებრაელობა. ქუთაი-სის რუსობა და ქუთაისის პოლონელობა. მოკრივე ბოჭოლია. ნამდვილი ვარსკვლავის კი არა, შოუ და რაღაცა. ძველი ქუთაი-სელი ძელეცბი. ერთხელ, ბავშვობაში, ქუჩაზე დამხსოვრებული კაცი. ეს კინაა, იცი? იობიძეა, ათასკაციანი ქორწილი რო გადოუხადა შეიღს და რო დეიჭირეს. დაჭერები. პიერ, პიერ. მე მილიციაში ვმუშაობ და ქორწილებში თუ ვუბაგუნე დოლს... ქუთეისია, უნდა უბაგუნო. ჩემი მეგობარი ნოდარი. ტიტე ვაჩაძე. ტორპედო. ქუთაისის ტორპედო. თავისი მთელი ამბებით. იუზა ლოსაბერიძის გოლი კიევის კარში, სისინა ქარის თანხლებით.

ომი ქუთაისის სტადიონზე, სიკვდილი. სახალხო მღელვარება. დალუპული ბიჭი. ბადრი ფარულავა, დურმიშან ქვირია, ლეგენდა – ჯემალ ხერხაძე. კარგია, როცა ყველაფერი შენი გაქვს. მე მომწონს, სხვისა არ ვიცი.

მე რა უნდა ვთქვა ქუთაისზე, რაც არ უთქვამო და რაც თავიანთ გულში არ გაუტარებიათ? მართლა მაისში იყო მაგარი. ქარები იცის, ოხრული ქარები. მიდი, მოდი, თეთრო ხიდო, ოლასკურა, საფიჩხია... შალიკო ხვინგიაძე. სინამდვილეში გიგიაძე. შეხვედრები ჰიტლერთან. დათეშიძის გორა. აგული ერისთავი, სასაფლაოთა მიქელანჯელო. პერსონაჟები და რეალური ადამიანები სრულიად ერთად, ყოველგვარი გამოცალკევების გარეშე. ქუთაისური გვარები. მიქელაძე-მიქელთაძე. რომელ ქალაქში დაარქმევენ შვილს შედანს ჩვენს დროში? შედან ჭილაძე, მეჩივიდმეტე საუკუნის დიდი მსმელი. ჰოდა, არქემევნ. კოლია ქვარიანი. კოლია ქვარიანი! გოლიათი, ამერიკულ ფილმებში. გადახვენილი. დიდი და მეღოტი კოლია ქვარიანი. ზანგ ხულიგნებთან ჩხუბში დალუპული სამოცდაჩვიდმეტი წლის დევი. დღემდე კლასიკა, ჭიდაობის სურათი, ჩახედით იუთუბს, ჯინ სტენლი-კოლია ქვარიანი. სიმონ ქვარიანი, ისტორიული რომანი... მამაჩემის მოგონება: ჩამოვედი მატარებლიდან, გავიარე სადგური, დილაა, ვიტრინიდან ხელს მიქნევენ ბოჭოლია და გენდრიმოვიჩი, ნინ უდგათ არყის ბოთლები და ლუდის კათხები. უნდა დაგვეწიო, თითო ბოთლი დაცლილი გვაქ უკვეო. რავარი დასაწევია. პერაშე ჩააყოლე, პერაშე. რიონის წვერა.



გინახავთ, ჩხირებზე აგებული? ეს ორი ვარია შოუშვი ისრიმ მაყვალში... მწვანილი, ქუთაისის მწვანილობის ეპიქა... მგონი, რაღაც ვთქვი და რაღაცას მოვყევი, იქ არმცხოვრები კაცის პირობაზე, თორემ მე რას უნდა მოვყევ ქუთაისზე. მე ვინ ვარ ამ საქმეში? ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა. ცოტათი მაინც. მთავარი კი არ მითქვაშს.

დიდი ქუთაისური ლიტერატურა. დიდზე დიდი. პირადად ჩე-მთვის სრულიად გადამწყვეტი და განუმეორებელი დღევანდელი ჩენენი მწერლობისთვის. ეგ რომ არ ყოფილიყო... არ ვიცი, აზრებს ძნელად გამოვთქვებმ ხოლმე ფილოლოგიურად. ასე და-ცლილმა, ასე გადასხვაურებულმა, გულგამოლებულმა, მაინც მოახერხა და ამდენი გააკეთა. ამდენი კი არა, მე რო მკითხო...

ჩემს გონებაში ქუთაისი, როგორც სისტემა დაინტერ რეზო ჭეიშვილის მოთხრობით, სადაც წყალტუბოს არქივში მომუშავე მწერლის ცხოვრება იყო აღნერილი და სადაც მოთხრობილ იყო მოქრივე ბაჭიას სიკვდილზე ავტოკატასტროფაში.

ალბათ ბაჭია მშინვე დავუკავშირე, ადრევე გაგონილ ბოჭოლისა და ალბათ იმასაც მიეხვდი, რომ ეს ერთი და იგივე კაცია. მე რა უნდა ვთქვა ქუთაისზე. ეგებ სულაც არასწორად ვამბობოდესლაც გაგონილ სახელებს.

მაგრამ მახსოვეს წევიმა იმ მოთხრობაში და ქველი ქუთაისელი ძელეცები რესტორანში.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ მოთხრობამ ჩემზე სრულიად განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა. სრულიად გარკვევით ვხედავთ იმ ადამიანებს, რომლებიც იქ მიმოდიოდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ რაღაცები და ვიღაცები უკვე მენახა ქუთაისში. არ ვიცი. მაგრამ ასე კი იყო და ახლაც ასეა.

მერე წავიკითხე მისივე „მუსიკა ქარშ“. ჩემი ჭუუთ, ეს არის უმნიშვნელოვანესი ქართული წიგნი ბოლო ას წელნადში. ჩე-მთვის, ისევ და ისევ, თორემ სხვისთვის რა ვიცი. ამ წიგნის ტონი სრულიად უცხოა ჩენენბური წიგნებისთვის. ომის და ომისშემდგომი ქუთაისი. სიმინდი, ბაბუა, ლევის ბიჭი, პორფილი, დაუმთავრებელი სახლი. ბიჭი, რომელიც ყველაფერს იმახ-სოვრებს. ასეთი ქუთაისი კარგა ხანს მმართავდა. სულ არ გავდა იმას, რასაც თვალს მოვერავდი ხოლმე. იქ რომ მოვხვდებოდი, აუცილებლად გადავხტებოდი ხოლმე ამ წიგნში და ვადარებდი. ეგეთი ქვეყანა საქართველო. გააკეთებ ასეთ რაღაცას და არის ეს რაღაცა ჩუმად, ვითომ ასეთი წესია. მოხდება ხოლმე ასე.

მგონი, არ უნდა შევყოლოდი ამ ლაპარაკს. ვეღარ დავამთა-ვრებ. ანდა დაუნდობლად უნდა მოვევეცო. ჩემი ქუთაისური წიგნები კი რასაკვირველია ჩემთან დარჩება.

ერთხელ კოტე ჯანდიერმა რეზო გაბრიაძესთან წამიყვანა. ვისხედით და ვლაპარაკობდით. მე რა უნდა მელაპარაკა, მეი-თხავდა რამეს და ვუპასუხებდი. იჯდა და ხმადაბლა გვიამ-ბობდა რაღაცებს, ლიმონათს აძალებდა ჩემს ქალიშვილს და მალიმალ ეუბნებოდ, – ყოჩალ, თუ სამიანებს იღებ ხოლმეო. მისი მობილური ყოოდა მამალივით, ის თავად ეწეოდა ძალიან წვრილ სიგარეტებს, ჩასცეროდა საფერფლეს და ხმადაბლა გვიყვებოდა, როგორ ჩამოვიდა ქუთაისიდან თბილისში, დაბა-ლი და გამხდარი; როგორ დადიოდა საჯაროში, სად რომელი ბირჟა იდგა რუსთაველზე და ამას ყვებოდა არა წარსული-სადმი მისი თაობის თბილისელთათვის ჩვეული რომანტიკით და ლალის წყლებზე აქცენტით, არამედ როგორც განვლილი ტკივილის შესახებ. ეს არ იყო ტკივილი წასული რომანტიზმის შესახებ. ეს სულ სხვა ტკივილი იყო. მე მინდოდა, ქუთაისზე მოეყოლა. ხომ არ დაუუწყებდი გამოკითხვას. იმ ნაამბობში, ქუთაისი ერთადერთხელ ახსენა და ისე, რომ არ უხსენებია. ასე თქვა: ჩამოვედი აქ, ბავშვი. სიყვარულის მეტი არაფერი მენახა და არაფერი ვიცოდი.

ჰოდა, რაიმეს კითხვა ქუთაისის შესახებ რაღა საჭირო იყო. კაცმა თქვა, – სიყვარულიდან ჩამოვედიო.

ისე რაღაცნაირად დამამახსოვრდა.. .

ახლა ხომ არ მოვყები, რა არის რეზო გაბრიაძის ქუთაისი და რა მნიშვნელობა პქონდა ჩვენთვის მის ქუთაისს ბოლო ორმოც წელიწადს.

მგონი, რაღაც კუთხით, მისმა ქუთასმა გადაგვარჩინა კიდეც. ოლონდ ადამიანებს არ უყვართ ასეთ რამეებზე ფიქრი. ვაი და, სადამდე მიხვიდე.

მე კიდევ, რა უნდა ვთქვა ქუთაისზე.

ეს იყო ბელთაშუა ზღვის ქალაქი, რატომდაც მოხვედრილი ხელთაშუა ზღვისგან შორს. ალბათ ეს არის ამ ქალაქის დრამა.

მოვიგეთ, ფეოლა... .

გაგიჭირდებოდათ.

მიტოროფანე ლალიძემაც იქიდან დაძრა თავისი წყლები თბილისისკენ.





ტყუილ-გართლის ზონა

<< დასახული გვ. 30

ქართული ტელეარხებიდან ბიგვავას შესახებ გავიგეთ, რომ იგი აფხაზებმა გაიტაცეს, ორივე ფეხში დაჭრეს და შემდეგ ნათესავების დახმარებით განმუხურში გადმოსვლა შეძლო. წამყვანის ამ ტექსტს კადრებად მიჰყებოდა საავადმყოფოში გადაღებული სცენა, სადაც სახეზე ცელოფანგადაფარებული კაცი წევს, ორივე ფეხი შეხვეული აქვს და ნასისხლარი ეტყობა. მაყურებელმა უნდა იყარაუდოს, რომ ეს კაცი ირაკლი ბიგვავა მაშინ, როცა ის არაფრით ჰგავს ნამდვილ ირაკლი ბიგვავას. შემდეგ კადრში რეალური ბიგვავა უურნალისტს ინტერვიუს აძლევს და ამბობს, რომ არ იცის, ვინ გაიტაცა, წამყვანი კი დაუინებით იმეორებს, რომ ის აფხაზებმა გაიტაცეს. ზუგდიდში ყოფილისას როდესაც ერთ-ერთ სოფელში ძლივს ვპოლობთ ნათესავის ოჯახში გადამალულ ირაკლის, ის კი ჩემდა გასაოცრად ინტერვიუს თანხმდება, ამ შეუთავსებლობების შესახებ თვითონაც მიამბობს. არ იცის, ვინ იყო ტელეკადრში გამოჩენილი ორივე ფეხში დაჭრილი უცნობი (ირაკლის მხოლოდ ერთი ფეხი აქვს შეხვეული). მეუბნება იმასაც, რომ აფხაზებისთვის ხელი არც ერთ უურნალისტთან საუბრისას არ დაუდია, რადგან მის გამტაცებლებს სახეზე ნიღბები ეკეთათ და მეგრულად საუბრობდნენ. აფხაზები არაფრები დაუდანაშაულებია, მიუხედავად იმისა, რომ უურნალისტების-გან კითხვა სწორებ ამ ფორმით მიიღო, - აფხაზებმა გაგიტაცეს, არა?... ირაკლის

ნაამბობში ბევრი უზუსტობა (ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ბიგვავას ასე სასტიკად იმიტომ გაუსწორდნენ, რომ ის აფხაზებმა დეზერტირად შერაცხეს, თუმცა, თვითონ ირაკლი გვეუბნება, რომ აფხაზური ჯარიდან ის თვითონ ოცმეთაურმა დაითხოვა; ცოლი შევირთე და გამათავისუფლაო. შემდეგ რამდენიმე თუე ისე გავიდა, არავის გავხსენებივარ, არც ოფიციალური ცნობა მომსვლია, არც არავის მოუთხოვია უკან დაბრუნება, დამივინწყეს და მეც უკან აღარ (ნავედიო); ისიც გასაგებია, რომ უურნალისტთა წრეში უცებ გაგრცელდა ხმა მისი ორმაგი აგენტობის შესახებ, თუმცა ეს გარემოებები ბიგვავას გატაცების ტელეისტორიად გადაცევას და ფაქტის მრუდედ გაშუქებას მანიც არ ამართლებს: ბიგვავა ტელევიზიების გმირი მაქსიმუმ ორი დღით გახდა, ვიდრე მისი ისტორია ანტიაფხაზურ პროპაგნდას წარმატებით გააბუქებდა. შემდგომ როგორ განვითარდა მოვლენები, ამით უურნალისტები არ დაინტერესებულან. ის, რომ ბიგვავას გამო ოტობაიადან გამოძევებული 50 ოჯახი მეორე დღესვე დაუბრუნდა საკუთარ სახლებს, აღარ-სად უთქავამთ. არც იმით დაინტერესებულა ვინმე, თუ როგორ უნდა გადაეხადა ირაკლი ბიგვავას ზუგდიდის საავადმყოფოში მეუბნელის სარჯები (ზუგდიდის მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაპირიებისა მას, - ხარჯებს მე აგინაზღაურებო), და არც იმით, როთი იკვებება დევნილი ირაკლი ბიგვავას 3 თვის ანა, როგორ უნდა არჩინოს ის დაჭრილმა მა-

მამ. ირაკლიმ გვითხრა, რომ როცა ფეხი მოუშუშდება, ისევ გალში დაბრუნდება. ამბობს, - აქ დევნილი ვარ, აქ არ არის ჩემი სახლი, ყველაფერი იქ მაქვს და აქ რა უნდა ვაკეთო, როგორ ვიმუშაო, ასე ცხოვრებას აზრი არ აქვსო.

დღეს ირაკლი ბიგვავა აღარ არის ტელევიზიების მთავარი გმირი, ცხელ-ცხელ აბაგას მისგან ვეღარ შექმნან. მისმა ისტორიამ დიდი თეატრისთვის უკვე აქტუალობა დაკარგა. ბიგვავას გატაცება შუუერთდა იმ წლების განმავლობაში გაშუქებული პერმანენტული ინციდენტების რიგს, რომელთაც ხელისუფლება და მედია უბრალოდ ერთი ხაზის გასატარებლად იყენებს. ადამიანების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო ინტერესების დაცვის მოტივით მართლდება. თან ამით მეორე კეთილი საქმეც კეთდება - სრულიად საქართველო პერიოდულად იხსენებს, რომ საზღვარზე კვლავაც ისვრიან და კვლავაც იტაცებენ ადამიანებს, ისევე, როგორც წლების განმავლობაში გვასხენებდნენ გზატკეცილებზე გამოკიდებული ბილბორდები, რომ აფხაზეთი ჩვენი ტკივილი იყო...

ახლა ეს ბილბორდებით დეკლარირებული ტკივილი მოგვემატა. ტკივილია არა მხოლოდ ის ადამიანები და მიწები, რომლებიც ისედაც ვიცოდით, რომ ჩვენი იურისდიქციის მიღმა დარჩენენ, არამედ ისინიც, რომლებიც აგვისტოს შემდეგ დავიკარგეთ. ალბათ საქართველოს მთავრობას არანაკლებ სტკივა განმუხურიც, რომლის პატრიოტთა ბანაკიდანაც დაურნგული რეინის საწოლების გროვა, აფეთქებული ვოლგა, ელექტროენერგიის ჩამწყდარი ბოძები და აქა-იქ თვალში უხეშად მოხვედრილი სტაფილოსფერი ხელოვნური პალმები დარჩა. თუმცა, განმუხურს - ამ მეორე სასაზღვრო სოფელს - ხერჩასთან შედარებით, მანც წელში გამართული ჰქვია. გარეგნულად ასე ჩანს - აქ გზაც მშვენიერია და დიდი სკოლაც ფუნქციონირებს, ცენტრალური გათბობითა და კომპიუტერებით. 4 თებერვალს კი, როგორც უკვე მოგასხენეთ, აქ ფოსტაც გაიხსნა. განმუხურში ჩასვლისთანავე ფოსტის ნახვას ვითხოვ. ციფრული კომუნიკაციების გრანდიოზული კომპანიის ნახვას ამ სოფელში, ცხადია, არ ველი, მაგრამ რასაც ვხედავ, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ფოსტა დაახლოებით 8 კვ.მ. ფართის ოთახია. ორი თითქმის

ცარიელი მაგიდა დგას, კომპიუტერსა და ფაქსზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მგონი ტელეფონიც არ აქვთ. ერთ-ერთ მაგიდა-ზე მხოლოდ „თბილის“ ბანკის ბარათების გასატარებელი აპარატი დგას, ოლონდ არავინ იცის, რამდენ განმუშაველს აქვს საკრედიტო ბარათი. ფოსტის თანამშრომელი მეუბნება, რომ აქამდე ფოსტას რკინის კარი არ ჰქონდა, კარი მხოლოდ გუშინ დააყენეს, ამიტომ კომპიუტერი და ფაქსი სახლში ჰქონდათ შენახული, – ამ დღეებში დავაძრუნებთ და დავიწყებთ მუშაობას. ერთ იმეილს ფოსტის თანამშრომლის დახმარებით განმუშაველი 50 თეთრად ამობეჭდავს, 1 ფურცელს ინტერნეტიდან კი – 15 თეთრად. თუმცა ეს მაშინ, როცა რეინის კარის იმედად (მანც სასახლერო ზოლია, რა იცა, რა ხდება) კომპიუტერს და ფაქსს დააბრუნებენ. მანამდე კი განმუშავერის ფოსტაც ისევე, როგორც სოფლის მთელი შერემონტებული ინფრასტრუქტურა, მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის დადგმულ ბუტაფორისას ჰგავს. სახელდახელოდ შექმნილ პროექტს რეფრენით – აი, რა კომფორტული შეიძლება იყოს ქართულ იურისდიციაში ცხოვრება. თუმცა, გაურკვეველია, რატომ არ შეიძლება თუნდაც სხვისთვის საჩვენებელ პროექტად იგივე ხურჩა და დანარჩენი სასახლერო სოფლები ექციათ. იქაც გაეყვანათ გზა, დაწინაათ ავტობუსი, გაეხსნათ თუნდაც განმუშავერის მსგავსი ფოსტა... ახლა კა, ამ სოფლების სრული იგნორირების ხარჯზე, ხურჩა უფრო აფხაზურ პროექტს ჰგავს სათაურით: „როგორ შეიძლება მოვანდომოთ ქართველებს აფხაზეთის მხარეს გადასვლა!..“

ფოსტისგან განსხვავებით, განმუშავერის სკოლა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. სკოლიდან რუსების ჯარი 13 სექტემბერს გასულა. სწორად ჩვეულებრივად გრძელდება. სკოლის დირექტორი გვეუბნება, რომ ახლა სკოლის 232 მოსწავლიდან 60 დევნილია. დევნილებს ეძახიან გალიდან გადმოსულ ბავშვებს, ზოგი ოტობაიდან დადის ყოველდღე, ზოგი ფიჩორიდან. ფიზიკის ერთ-ერთი პედაგოგიც ოტობაიელია. სკოლები იქაცა, მაგრამ დირექტორი იმ ფაქტს, რომ ეს ბავშვები განმუშავეში სიარულს ამჯობინობის მიზნით არ აქვთ, არცერთი სანდო იერის უკრნალისტის, არც ადგილობრივი, არც ცენტრალური და არც მარიონეტული ხელისუფლების, ისინი მხოლოდ საკუთარ აღდოს ენდობიან – როცა საჭიროა, მაშინ ტყუილი თქვან, და როცა საჭიროა – სიმართლე, ოღონდ კი თავი გადაირჩიონ. ამ ფიქრები ვარ გართული, როცა ენგურის მთავარ ხიდზე მოვდივართ. ნისლსა და წვიმაში ხიდის გადაღმა აფხაზური დროშა მოჩანს. აქეთ-იქით ლელევებში, წვიმის წკაპა-წკაპის ფონზე, ბაყაყების ყიყინი ისმის. ხიდის შუაგულამდე მისვლა თავისუფლად შევიდოლა. მანძილი აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრამდე 100 მეტრამდე მოკლდება. შორიდანვე ვამჩნევ, ხიდის მეორე მხრიდან ჭალარათმიანი, შავოსანი ქალბატონი მოდის, ორივე ხელში მძიმე ჩანთები უჭირავს დაცვას ცდილობს. დიქტოფონით შუა ხიდზე გაჩერება აზრადაც არ მომდის, საეჭვო იქნება. ამიტომ ქალბატონს უკან მივყვები და, – რა ხდება იქით-მეტეი, – ვეკითხები. არ ჩერდება,

შორის ზოგჯერ არა მარტო ხელოვნური, არამედ ძალიან პირობითია – საზღვრის იქითა მხარეს დარჩენილი მოსწავლეებისთვის საზღვრის აქეთა სკოლა უფრო ახლოსა) და კიდევ იმიტომ, რომ ჩვენი სკოლა გალის სკოლებზე უკეთ არის მოწყობილი, საკლასო ოთახები და დერეფნები გარემონტებულია, შენობა კი ცენტრალური გათბობით თბებაო.

გალიდან გადმოსული ბავშვები და პედაგოგიც ჩვენთან გასაუბრებაზე უარს ამბობენ. მასწავლებელი საერთოდ არ გვენახვება, ერთ ოტობაიელ მე-11 კლასელ გოგონას კი საშინლად ვალიზიანებ ჩემი დაუინებული თხოვნით, დამელაპრაკეოს. ადამიანი არ ხარო, – ზურგს მაქცევს თითქმის ისტერიკით და წასვლას მთხოვს. ჩემთვის, ჩუმად ამ გაღიზანების მიზეზის გაგებას ვცდილობ, როცა გონებას Eurasianet-ის ერთ-ერთ სტატიაში ამოკითხული ციტატა მინათებს, როგორ ამბობდა ერთი გალელი ქალი: „ჩვენ ორი სახე გვაქვს – ერთს აფხაზებს ვუწვენებთ, მეორეს ქართველებსონ“, გააჩნია, რომელ მხარეს რისი მოსმენაც შენ გინდა, იქიდან გამომდინარე, რომ ყველაზე ხშირად სწორედ ასეთ უურნალისტებს ხვდებიან და, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ადამიანები მიეჩივენენ, ყველას ის სახე დაანახონ, რომელიც შექმნილ სიტუაციას ყველაზე მეტად ესადაგება...“

სიმართლის გაგების იმედი უკვე დაგარგვე სწორედ ამ ქალბატონთან გასაუბრების შემდეგ. სინამდვილეს ვერ დავადგენ, რადგან აქ ყველა იმას გიპასუებს, რისი მოსმენაც შენ გინდა, იქიდან გამომდინარე, რომ ყველაზე ხშირად სწორედ ასეთ უურნალისტებს ხვდებიან და, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ადამიანები მიეჩივენენ, ყველას ის სახე დაანახონ, რომელიც შექმნილ სიტუაციას ყველაზე მეტად ესადაგება...“

თუმცა მშინ, როდესაც ერთი ზუგდი-დელი მპირდება, რომ სრულიად ინიოგნიტოდ გალიდან გადმოსულ ბიძას შემახვედრებს, ჯერ კადევ მაქვს იმის ილუზია, რომ გალელი პირველწყაროსგან ჭეშმარიტებას შევიტყობ. სოფლის უკაცრიელ გზაზე მივდივართ. გზა კარგია, ეს ჯერ კიდევ განმუშავერია. გზაჯვარედინს მივადექით. გზის ერთი ტოტი ხრეშანი იორლიბით გრძელდება, მეორე ტოტი ხრეშანი იორლის იქითაც უკვე გალი ინყება. საბჭოთა მანქანა აფხაზური ნომრებით ამ გზიდან გვიახლოვდება. მამაკაცი დიქტოფონის ჩართვაზე უარს ამბობს, სახელის და გვარის გამხელაზეც. ბლოკობით შეიძლება. ოღონდ, თუ ვინმე გამოივლის, ბლოკონტი უნდა დავმალო. როდესაც ვეკითხები, რისი ეშინია, რომელ მხარეს უფრთხის, იმდენად ბუნდოვნად და ზოგადად მპასუხობს, რომ ბოლომდე ვერ ვხვდები, ქართული მხარის პროპაგანდისტული რიტორიკიდან ამოვარდნა არ სურს, თუ გალბი დაბრუნების შემდეგ აფხაზების ზენოლის შიში აქვს. მიყვება,

გამოცემა

ორმ მის სოფელში – ფინირში ორასამდე
ოჯახი ცხოვრობს. შეიღები უმრავლე-
სობას ზუგდიდში ჰყავს, თვითონ კი იქ
მოსავალი მოჰყავთ და ოჯახებს არჩენტნ. გალის ბაზარში იძევითად დადიან, იქ ბა-
ზარი კვირაში რამდენჯერმე იმართება,
ამიტომ ურჩევინათ, მოსავალი ზუგდიდის
ბაზარში გაყიდონ, მიუხედავად იმისა,
რომ საქონლის გადმოტანა უფრო ძვირი
ჯდება და საგუშავოებზეც ათასგვარი
ტყუილის თქმა და ქრთამის გაღება სჭირ-
დებათ. ქართულ პირადობის მოწმობებს
ისინი ჩუმად ინახავენ, საგუშავოზე სა-
ჩვენებლად კი ძელი რუსული პასპორტი
აქვთ. უკვე კარგა ხანია, აფხაზურ ჯარში
მისი თანასოფლელი ქართველი ბიჭები
მსახურობენ. თავისი სურვილით არავინ
მიდის, მაგრამ სხვა გზა არ აქვთ. ზოგი
იმალება კიდეც, მაგრამ აზრი არ აქს, ნახავენ და მაინც წაიყვანენ. მეუბნება, –
ჩვენ სოფელში ჯერ არავის უთქვამს, –
რუსული პასპორტები აიღეთო, – მაგრამ
თუ იტყვიან, პრობლემას ვერ ხედავს.
მეუბნება, – მეც მინდა, ეს კონფლიქტი
დამთავრდეს, ისევ საქართველოს საზღ-
ვრებს დაუბრუნდეს აფხაზეთი, მაგრამ
ჯერჯერობით ისეა საქმე, რომ იმათ პას-
პორტსაც ავიღებ, მქონდეს, მერე რაო...
ადამიანებისთვის, რომლებიც სახელმწი-
ფოს ინტერესებს იზიარებენ, ახეთი ცი-
ტატები ღალატად აღიქმება, როგორც
ზემოთ უკვე გითხარით. არადა, რომელ
ღალატსა და მორალზეა ლაპარაკი, როცა
ადამიანებს სიცოცხლის გადასარჩენად
თითოეულ ყოფით დაილოგსა და ქმედე-
ბაში თითოეული ნაბიჯისა და სიტყვის
მოზომვა სჭირდებათ. მამაკაცს რუსულ
სამხედრო ბაზაზე ვეკითხები, რომლის
შესახებაც ოფიციალური განცხადება
უკვე მოსმენილი მაქს, რომ: სამხედრო
ბაზის მშენებლობა იქ უკვე დასრულე-
ბულია, სოფელში რუსული საჯარისო
ნაწილი დგას. შემოყვანილია დამატები-
თი სამხედრო კონტინგენტი და ტენიკა.
ჩემი ინკოგნიტო რესპონდენტი მეუბნე-
ბა, რომ სამხედრო ბაზა ცოტა სხვა რამე
ჰყონა, იმ სოფელში კი რასაც ხედავს,
იმას ბაზას მაინცდამაინც ვერ დაარქმე-
ვს. მავთულებლართებით რუსებმა ჯერ
კიდევ შემოღვამაზე შემოღვის ზღვის-
პირა მხარის ერთი ნაწილი, მოასწორეს
მიწა, ჩადგეს რამდენიმე კარავი, ჰყავთ 1
ტანკი და რამდენიმე სატვირთო მანქანა

— სულ ეს არის, არავითარი მშენებლობა და არავითარი მძიმე ტექნიკა. მისი თქმით, რუსები სოფლებში სატვირთო მანქანებით მოძრაობენ, მაგრამ მოსახლეობასთან შეხება არ აქვთ, კვირაში ორჯერ შემადგენლობა იცვლება, ვერტმფრენით ფირმები ახალი რაზით ჩამოდის. თავის-თვის არიან, მე ვერც ვხედავო, — მეუბნება. სამაგიროდ, რუსებს ძალიან ახლო მანძილზე ხედავს ოთარ ქობალია და მისი ოჯახი. ამ ოჯახის ისტორიას ინკოგნიტო გალელთან გასაუბრების შემდეგ აფხაზეთის-მედია ცენტრში მიამბობენ. იქ ვიგებ, რომ ქობალიას 350-ძრიანი თხილნარი და ჰეტერონაცევრიანი სიმინდის ყანა აუჩეხს, მისი მიწა მიითვისეს და თავიანთ ბაზას შეუერთეს. ახლა ქობალიების ხუთი ბავშვი ყოველდღე ხედავს და ისმენს მეზობელად დასახლებული რუსების სამხედრო წერტინებსა და სროლებს. აფხაზეთის მედიაცენტრში იმასაც მეუბნებიან, რომ პასპორტიზაციის პროცესი თითქმის დასრულებულია გალის იმ სოფლებში, რომლებიც აფხაზებმა ტყვარჩელსა და ოჩამჩირეს მიუერთეს. რუსულ ენაზე სწავლებაც სულ უფრო მასტებულ სახეს იღებს. ურთიერთობამომრიცხავი კომინტარების ნაკადი სწორედ ამ ორ თემაზე საუბრისას მძაფრდება. ჩემი ინკოგნიტო რესპონდენტისგან ვიცი, რომ სოფელ ფირმის სკოლაში პედაგოგები ხელფასს საქართველოს განათლების სამინისტროდან იღებენ, სწავლებაც ქართულ ენაზე მიღის. მაგრამ აფხაზებისგან რუსულ ენაზე გადასვლის ინიციატივაც მოდის, ჩვენი სკოლის დირექტორი კი ჯერჯერობით მაგრად დგას და ენას ინარჩუნებს. ამას ემატება განმუხურის სკოლის დირექტორის ნამჭირი. მან ერთ-ერთი მოსწავლის ძებისიგან იცის, რომ ოტობააში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს, რუსული სახელმძღვანელოებით, იმავე სოფელზე ერთი გალელი ქალბატონი იმასაც მეუბნება, რომ ოტობააში ქართულის მასწავლებელი დაიჭირეს, ახლა ეშინათ და რუსულ ენაზე გადავიდნენონ. სამაგიროდ, ნაბაკევიდან გადმოსული ქალები ამბობენ, რომ რუსული სახელმძღვანელოების შესახებ არაფერი გაუგაიათ. შემდეგ ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში უხვდები ორ გალელ სტუდენტ გოგონას. ერთისაგან ვისმენ, რომ სოფელ ოქუმში სწავლა მთლიანად რუსულ ენაზე,

რუსული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს, მეორე გოგონა კი ორქოფობის, მე როგორც ვიცი, ოქტომბერის ქართულადაც სწავლობდენ. ენგურის ხიდზე გაცნობილი ერთ-ერთი ქალაბატონი სიტუაციას კი-დევ უფრო დრამატულს ხდის, მეუბნება, რომ სოფელ ღუმურიშის სკოლაში უკვე რუსულ სწავლებაზე გადავიდნენ, მაგრამ მასწავლებელი ახერხებს, ბავშვები გაკვეთილების მერე დატოვოს და ქართულად ამეცადონის, სხვებისგან ფარულად. მეორე ქალაბატონი კი ყველაფერს უარყოფს, სამაგიროდ, გალში მომრავლებულ რუსებზე მიყვება და მეუბნება, სავსეა გალი რუსებით, ხშირად ისვრიან და ქალაბში ბეტტერებით დადიანო. მერე უცება ამბობს, – ისე, კაი ბიჭა ისო. ვინ-მეორი, რომ ვეკითხები, მპასუხობს, საკავშილით. კაი ბიჭია, აბა რა, 85 მანეთი მაქსე პერსია, დახმარებასაც ვიღებ და მაგით ვცხოვრობო. აქეთ გადმოვდივარ „სეკრეტად“ ფული რომ ავილოო. მერე ზუგდიდის მარშუტაში ჯდება და მეუბნება, იქით არ გარისკო, დედა, წასვლა, უცხო გარეგნობა გაქვს, საშიშია... სამაგიროდ, ფიჩორში მეპატიუება ჩემი ინკოგინოტო რესპონდენტი. როცა ფარულ ინტერვიუს მოურჩით, მანქანიდან წითელი ღვინო, შემწვარი ქათამი და ხაჭაპურები გადმოალაგა და იქვე გზაჯვარედინზე რამდენიმე სადლე-გრძელო გვათქმევინა. აქეთ, ამ მხარეში, გამუდმებული ომიანობის მიუხედვად, პირველ რიგში მშვიდობის სადლეგრძელოს კი არ სვამენ, არამედ პირდაპირ – საზღვრების მოსპობის. დიდი პოლიტიკა სხვა რამენა, მას სხვა სამეტყველო ენა და აღქმის სხვა მასშტაბები აქვს. საზღვარზე მცხოვრებ უბრალო ადამიანებს კი უბრალო სურვილები აქვთ. სურთ, რომ მეზობელო სოფელში, რომელიც სულ ხეთი წუთის სავალზეა, აფხაზური „პროპუსკისა“ და 200 რუბლის გარეშე გადმოიდინენ; სურთ, რომ ნათესაური ურთიერთობები შეინარჩუნონ, ტყვიების შიშის გარეშე იცხოვრონ და არც პასპორტების დამალვა უწევდეთ. გალელი მპირდება, – აი, ნახავ, ჩემს სოფელშიც ჩაგიყვან შემოვლითი გზების გარეშე და იქ ისე გიმასპინძლებ, როგორც საკადრისია... მისი ეს დაპირება მართლა უფრო სადლეგრძელოს ჰგავს, ვიდრე ახლო ანდა შორეულ პერსპექტივას... მანამდე კი ჩემულებრივ ადამიანებს საზღვრის აქეთ და იქით მთარეობები

თავთავიანთ გმირებს სჩრიან. ენგურის ხიდზე ქალმა მითხრა, – გალის ცენტრში, მთავარ მოედანზე უზარმაზარი პლაკატი გამოუკიდიათ – კოკოითი და ბალაფში ერთმანეთს ხელს ართმევენ და მეგობრულად ილიმებიანო. აქეთ სხვა პლაკატებია, სხვა სლოგანები და სხვა სახელმწიფო ინტერესები. ამ ინტერესების, ბილბორდე-

ბის და პროპაგანდის მიღმა კი, სასაზღვრო ზონაში ყოველდღიურობას უძლებენ ჩვეულებრივი ადამიანები, საზღვარზე მიასვენებენ მიცვალებულს, რომელსაც აფხაზურ მოწმობას ულებენ, იქთ გადასვენება რომ შეძლონ; საზღვრიდან გადმოაქვთ რუსეთიდან შემოსული არაუანი და ზუგდიდის ბაზარში იაფად ყიდიან; სკო-

ლის დამთავრების შემდეგ საქართველოში ეროვნულ გამოცდებს აპარებენ და მერე ხან უკან ბრუნდებიან, ხან აქვე რჩებიან.

ეს ადამიანები მედიის მიერ შემოთავაზებულ მრუდე სარკეში არ ჩანან. ეს ადამიანები შეეჩივნენ იმას, რომ ორი სახე უნდა ჰქონდეთ, რადგან ტყუილ-მართლის ზონაში ცხოვრობენ. ■



<<< დასანცისი გვ. 38

რაც უნდა დედასავით ექცეოდეს მათ თუნდაც ასმათი, წლების განმავლობაში უნახავ მშობელთან შეხვედრა პატარებზე სულ სხვანაირად მოქმედებს. ამიტომაც არის, რომ „პირველი ნაბიჯელები“ სულ ცდილობენ მშობლების წაექებას. რუსიკო მიყენება: „ხშირად ვეუბნებით ხოლმე, არ არის საჭირო არაფრის მოტანა, ნუ გრცხვენიათ, რომ ხელცარიელი მოხვალთ, მთავარია, მოხვიდეთ, ბავშვებს თქვენგან მეტი არაფერი სჭირდებათ.“ და როდესაც დგება ჯადოსნური წამი და რომელიმეს დედა აკითხავს, როგორც რუსიკო ამბობს, ბედნიერ ბავშვს აღარავნ და აღარაფერი ახსოვს. დედის სტუმრობა თითოეული აღმზრდელის, ფსიქოლოგის და პედიატრის სითბოს

უჭირთ, რომ ვერაფრით დაადანაშაულებ, შვილები ბავშვთა სახლისთვის რომ გაიმტეტეს.

რუსიკო ერთი პატარა ბიჭის ბებიაზეც მიამბობს. მოხუცი ქალბატონი ქერივია, აღარც შვილები ჰყავს, თავის იბოლ შვილისვილს, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, წლების განმავლობაში მარტო ზრდდა. თუმცა, შემდეგ სამსახური დაკარგა, თვითონ ბავშვს მარტო ვეღარ უვლიდა და ამიტომ კასპის ბავშვთა სახლს მიაბარა. ბიჭი კასპიდან „პირველი ნაბიჯის“ ბავშვთა სოფელში მოხვდა. ბებიამ იცის, რომ მის შვილიმვილს აქ უკეთესად გაზრდიან, ვიდრე მარტოხელა მოხუცი შეძლებდა. ამიტომ ურჩევნია, ბავშვი ენატრებოდეს, მასთან სტუმრად დადიოდეს, ვიდრე შინ ნაიყვანის.

„თუმცა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ბავშვი როცა შინ, მშობლიურ გარემოში იზრდება, გაცილებით უოლდება შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა,“ – მიხსნის თამუნა ზაალიშვილი, მაგრამ

იმასაც მეუბნება, რომ ბავშვის შინ დაბრუნება თვითმიზანი არ არის: ჩვენთან მშობლების უმრავლესობამ არ იცის, თუ რა სპეციფიკა და ცოდნაა საჭირო მათ შვილებთან ურთიერთობისთვის. არცოდნა მშობლების გაღიზიანებას და აგრძიას ინგვეს, ამას ხშირ შემთხვევაში ემატება უსახსრობაც (ამ პატარებზე ზრუნვა ხომ განსაკუთრებულ საკვებ რაციონს და ძვირადლირებულ მედიკამენტებსა და მკურნალობას მოითხოვს) და ბოლოს ყველაფერი თითქმის ისეთივე შედეგით მთავრდება, როგორიც საზოგადოებამ კასპის პანსიონატის სახით მიიღო. თამუნა მეუბნება, რომ იდალური შემთხვევაა, როცა, პირველ რიგში, თვითონ მშობლები ეგუებიან იმ აზრს, რომ მათ შვილს სულ სხვა საჭიროებები და პრობლემები აქვს, ვიდრე დანარჩენ პატარებს; პირველ რიგში, თვითონვე ითავისებენ იმას, რომ ასეთი შვილის არ უნდა რცხვენოდეთ და შემდეგ უკვე ბავშვის სწორად აღზრდაც უიოლდებათ. თამუნას ვეკითხები, თქვენ თუ იცნობთ ასეთ მშობლებს-მეთქი. მეუბნება, რომ „პირველი ნაბიჯის“ ერთი გუნდი სწორედ მშობლებთან მუშაობს. აქვთ პროგრამა, რომელსაც ოჯაბში მომსახურება ჰქვია. კვირაში რამდენჯერმე იმ სახლებს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ცხოვრობენ, „პირველი ნაბიჯის“ სპეციალისტები აკითხავენ; ისინი შველიან დედებს ბავშვების მოვლაში და აჩვენებენ, როგორ უნდა იზრუნონ მათზე სწორად.

ახლა „პირველ ნაბიჯში“ მშობლების შეერებას ვესწრები. თამუნა ზაალიშვილი და დანარჩენები მათ პრობლემებს ისმენენ. უკვე ვხვდები, ამ შეხვედრებს „დაცლის“ ფუნქციაც აქვს. დედები ხმა-მაღლა ჰყებებიან თავიანთ შვილებზე: „ჩე-მას უკვე შეუძლია რამდენიმე წუთით

გამოცემება

დადგეს“, „მართლა? ნინოს ისე უხარია სკოლაში სიარული, უთენია დგება და სკოლის ავტობუსს ფანჯარასთან ელოდება“... პყვებიან თავიანთი ცხოვრების წესზე: „გუშინ გოგოები რესტორანში ვიყავით, ბავშვი მამასთან დავტოვე. ცოტა კი ვინერვიულე, მაგრამ იცი, რას მივხვდდ? უკან რომ დავპრუნდი, გომთან ურთიერთობისთვის უფრო მეტი ენერგია და ხალისი მქონდა. ეს გადართვები მშველის ხოლმე...“

„შემოძლების შეკრებიდან გამოსული ოფისში ვპრუნდები. ნეტში ერთი ამერიკელი დედის საიტს ვპოულობ, რომელზეც ქალი ონლაინ დღიურს წერს თავისი ცხოვრების შესახებ და პყვება, რომ ოთხი შვილიდან სამს სხვადასხვა ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენა აქვს. ის კერავს ნინისაფრებს, ზენრებს, ეტლზე გადასაკრავ ქსოვილებს ისეთი ბავშვებისთვის, რომელთაც მისი შვილებისნაირი პრობლემები აქვთ და საიტის საშუალებით ავრცელებს. ვეცდები, რომ ჩვენს საზოგადოებას ზუსტად ასეთი დედები აკლია; დედები, რომლებიც შვილებს „ჩვეულებრივი“-„უნაროს“ ნიშნით არ ასხვავებენ, მათ გამო არ კომპლექსდებიან, მათზე ზრუნვას სწავლობენ და მათი მიღწევებით სიხარულს. ქვეყანაში, სადაც ეს დედა ცხოვრობს, კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების შესახებ ჯერ კიდევ 1975 წელს მიიღეს. დედებს კი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ, ყველაფერი ახლა აქვთ მოსაპოვებელი – სოციალური სისტემაც, გამართული კანონმდებლობაც, პროგრესული საზოგადოებაც, უფლებებიც და შვილების ნორმალური მომავლისთვის – სხვა გარანტიებიც. და მაინც, ასეთი დედები ჩვენთან არ არიან. კითხვა მიჩნდება – რატომ?

მეს შენი კლასელი ვარ

თამუნა და ნინო კვირის დღეებში დილადრიან დგებიან. საუზმობენ, საკოლო ჩანთას ილაგებენ და ავტობუსით მეასე საჯარო სკოლაში მიდიან. იქ ისინი ინტეგრირებულ კლასში სწავლობენ, რომელიც „პირველმა ნაბიჯმა“ გახსნა. კლასი სულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებითა დაკომპლექტებული, მაგრამ როგორც რუსიკ მიხსნის, რადგანაც ეს კლასი ჩვეულებრივ საჯარო

სკოლაშია გახსნილი, თამუნას და ნინოს მაინც აქვთ საშუალება, შესვენებებზე, საერთო სასკოლო გაკვეთილებზე თავიანთ თანატოლებს ეთამაშონ. ბავშვებს ერთად უტარდებათ მუსიკის გაკვეთილი, ფიზიკულტურა და მეასე სკოლის მოსწავლეებიც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ეგუებიან იმ აზრს, რომ თურმე არსებობენ ბავშვები, რომელთაც არ შეუძლიათ სიარული და, მით უმეტეს – სირბილი, აზროვნებენ უფრო ნელა, მაგრამ ამის გამო ისინი არ უნდა აითვალინონ. ერთი შეხედვით, რთულია, გაიგო, რეალურად რა ხდება ამ ბავშვებს შორის. მეგობრობენ კი ისინი ერთმანეთთან? არის კი მათი ურთიერთობა გულწრფელი? თუმცა, ერთია – ამ დაახლოების შედეგებს ჯერ ვერ დაკინახავთ. ინტეგრირებული კლასი ეს უბრალოდ არის მცდელობა და გზა, როგორ შეიძლება დავაახლოვოთ ისინი ერთმანეთს.

მეასე სკოლაში გახსნილ ინტეგრირებულ კლასს თავიდან ექსპერიმენტული სახე ჰქონდა. თუმცა, პარალელურად, სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტაციაში გაჩნდა ცნება – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვი. ამ განსაზღვრებაში რამდენიმე კატეგორიის ბავშვები მოხვდნენ: მათ შორის – ქუჩის ბავშვები, ეთნიკური უმცირესობების ნარმომადგენლები და, ცხადია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარები. 2006 წელს მოხდა პირველი სერიოზული გარღვევა: ამოქმედდა პროექტი, რომლის მიხედვითაც, თბილისის ათ სკოლაში ინკლუზიური კლასები გაჩნდა. ეს კლასი სულ სხვა დონის ინტეგრაციას ნიშნავდა – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარები ჩვეულებრივ სასკოლო კლასში ისხდნენ და, მართალია, ჰქონდათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მაგრამ გაკვეთილებს მაინც თავიანთ „ჩვეულებრივ“ თანატოლებთან ერთად ესწრებოდნენ. ბავშვებს, რომელსაც ბოლომდე აქვს გაზრდული თავისი სტატუსი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი), რა გასაკვირია, რომ ჩვეულებრივ სკოლაში სიარული ძალიან ერაყება. „პირველი ნაბიჯის“ ბავშვთა სოფელში პატარებს მოსვლის დღიდან ასწავლიან – არ არსებობს ისინი და ჩვენ, არსებობს მხოლოდ – „ჩვენ“. როდესაც ინყება დამოუკიდებელი ცხოვრება, „პირველი ნაბიჯის“ ბავშვები სულ სხვა რეალობას ეჯახებიან. ამიტომაც თინერჯერებისთვის პერსპექტივის შეთავაზება „პირველი ნაბიჯის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავსატეხია.

მგონი, ასეთ და ისეთ პატარებს შორის ერთ დღეს მართლა ამოიცება.

სიმიზის ასაკი

- რუსო, მიყვარხარ, – ყვირის შორის დან გიორგი.
- მეც მიყვარხარ, გიო, – პასუხობს რუსიკ.
- რუსო, როდის ნავალ დილომში, როდის?

გიორგი 18 წლისაა. სათვალე უკეთია, რომელსაც ხშირ-ხშირად ისწორებს ხოლმე და როცა დაგინახავს, ოდნავ არეული ნაბიჯით, ენერგოულად გამოექანება შენეკენ და მაგრად ჩაგებუტება. უცებ გავხდი მისთვის თამუ, არც ლევანის წვერებმა დააფრთხო და დაუძმაკაცდა. იცის, რომ უავე დოდი ბიჭა და უფლება აქვს, თანატოლებივით გვესაუბროს. წინა შეხვედრაზე მთხოვა, – თათრული მუსიკა მომწონს და დისკი მინდაო. ვერ ვუშვევ, მაგრამ მაპატია. უხარია ის, რომ მალე დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებს. 18 წლის ბიჭი „პირველი ნაბიჯის“ ბავშვთა სოფელში ველარ დარჩება. „პირველმა ნაბიჯმა“ მისთვის საქმე, თავშესაფარი, მოკლედ, მომავალი უნდა იპოვოს. რუსიკ მეუბნება, რომ პატარებს რა უნარსაც შენიშნავენ, იმ უნარის მიხედვით ასწავლიან ხელსაქმეს. გიორგი სოციალური თერაპიის სახლის სახელოსნოში დადის და ბლოკონტებს ამზადებს. ბავშვებმა იციან ხეზე კვეთა და კომპიუტერზე ბეჭდვაც. თუმცა ის ფაქტი, რომ ამ ბიჭებს ჩვეულებრივ შეუძლიათ გარკვეული სამუშაოს შესრულება, არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი თანატოლებივით გაუკოლდებათ სამსახურის შოვნა. სისტემაში, რომელშიც მათ არსებობას და მათ უფლებებს არც ინფრასტრუქტურა, არც საჯარო დაწესებულებების საკადრო პოლიტიკა და არც სოციალური დაზღვევა ითვალისწინებს, რთულია, ინტერესი ის, რასაც „პირველი ნაბიჯის“ ბავშვთა სოფელში პატარებს მოსვლის დღიდან ასწავლიან – არ არსებობს ისინი და ჩვენ, არსებობს მხოლოდ – „ჩვენ“. როდესაც ინყება დამოუკიდებელი ცხოვრება, „პირველი ნაბიჯის“ ბავშვები სულ სხვა რეალობას ეჯახებიან. ამიტომაც თინერჯერებისთვის პერსპექტივის შეთავაზება „პირველი ნაბიჯის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავსატეხია.

ბოლოს ამ თემაზე რუსიკო ბოჭორიშვილს თებერვალში ვესაუბრე. მისგან გავიგე, რომ ერთი წლის წინ პირველად მოხდა ასეთი რამ: სამოქალაქო რეესტრში დასასქეს ადამიანები, რომელთაც გადაადგილება არ შეუძლიათ და ეტლში სხედან. ისინი კომპიუტერებთან დასვეს და საინფორმაციო ბაზაში ინფორმაციის შეტანა დავალეს. თუმცა, ეს მხოლოდ ერთჯერადი ინიციატივა იყო, რომელიც ჯერჯერობით არც ერთ დანესებულებას არ გაუმორებია. ამიტომ „პირველიმა ნაბიჯი“ ასეთი რამ მოიფიქრა: გიორგის და კიდევ სამ სხვა 18 წლის ბიჭს უქირავეს ბინა, სადაც ისნი „პირველი ნაბიჯის“ დედებისა და დეიდების მეთვალყურეობის ქვეშ ერთად იცხოვრებენ, იყლან „სამსახურში“ – დამაზადებენ ბლოკნოტებს და გარკვეულილად შეიქმნან ნარმოდგენას იმის შესახებ, თუ რას ნაშავს დამოუკიდებელი ცხოვრება. „პირველი ნაბიჯის“ ეს გადაწყვეტილება არის ალტერნატიული გზა იმ სახელმწიფო სტრუქტურაში, რომელიც შანსს და გარანტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს ვერ სთავაზობს. თუმცა, არსებობს ამ რეალობის კიდევ უფრო დიდი ალტერნატივაც. ეს გრემია.

რეალობის ალტერნატივა

გრემში შობის წინა დღეს მივდივართ. „პირველი ნაბიჯის“ მრჩეველთა საბჭოს წევრი, ლალი მესხი და პედიატრი ირმა გოცირიძე ჩემი მეგზურები არიან. მათგან ვისმენ გამაოგნებელ ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ თქა უარი წიკა კვაშალმა საკუთარ ცხოვრებაზე. თბილისში გაყიდული ბინას სანაცვლოდ, როგორ შეიძინა გრემში ერთი ისტორიული შენობა, როგორ წაიყვანა თან თემების ბავშვთა ინტერნატიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 16 წლის ბიჭი არსენაც და როგორ გაუღო შემდეგ კარი ვევლა გაჭირვებულს, მიუსაფარს, შეზღუდული უნარისას და ასევე უბრალოდ მოხალისე ადამიანს. წიკა კვაშალი თავის თავს წიკა-პაპას ეძახის, გრემელებიც მას ასე მიმართავენ. სიტყვა-ძენია და საკუთარი თავის, არჩევანის და მოტივების შესახებ ლაპარაქს ურჩევნია, გრემელები გაგაცნოს. მეც ეზოში გავდივარ და ნაცონბებს ვიძენ.

გრემის თემის ვეტერანი ბინადარი არსენა ახლა უკვე 30-ს გადაცილებული

კაცია. მაგრამ მაინც ბავშვურად იღიმება და წილდება, როცა რამეს ჰკითხავ. დილას ძროხის წველით იწყებს. სანამ 10 საათზე, სამზარეულოში საუზმეზე შეიკრიბობდნენ, არსებასავით ყველა შრომობს. ზურა სარეცხის თადარიგის იქერს, გოგოები ოთახებს ალაგებენ. გრემის თემს თავისი დირექტორი, მეუჯერები და მეურნები ჰყავს. ამ სტატუსების გარეშე, საქმე ვერც აენყობოდა. უნიკალური ხის საჭრელი დანადგარებით გამართულ ხის სამქროს (ეს დაზებები გრემის უცხოელმა მეცენატმა აჩუქა), ვენახს და ღვინის მარანს თავისი პასუხისმგებელი პირები სქირდება, ყველაფერმა უშეცდომოდ რომ იმუშაოს. გრემელები თვითონვე უძღვებიან დიდ მშენებლობასაც, სულ თავისი ძალებით აშენებენ უფრო დიდ სახლს, სადაც უფრო მეტი ადამიანი დაეტევა. ამხელა მეურნეობას ყველა ერთად უძლევება, ნატო, ზურა, ლევან პაპა – ადამიანები, რომლებიც აქ გააზრებული არჩევანის შედეგად მოვიდნენ და არსენიც, დათო და ნინო – რომლებიც, თავიანთი გარეგნული თუ გონებრივი ნაკლის მიუხედავად, მაინც მათ თანასწორებად ითვლებიან. ამ თემში მცხოვრები ადამიანებისთვის, რაც უნდა შეუძლებლად მოგეჩენოთ, არ არსებობს ზღვარი სტატუსებს, დაიგონიებს და გარეგნობებს შორის. აქ შეიძლება ნახო ქერამიანი იულია, რომელიც ისე სხარგად ვერ აზროვნებს, ხშირად ღიზიანდება და ბავშვურად რეაგირებს მოვლენებზე, მაგრამ მოსიყვარულე და მზრუნველი დედა. მას 12 წლის გოგონა, წინიკო ჰყავს, მაგრამ როდესაც რამდენიმე წლის წინ თემის ჭიშკართან უცხონებმა ბავშვი დატოვეს და გაიქცნენ, მე ვიშვილებო, – მაშინვე მონიდომა იულიამ. 3 წლის მათეც, რომელსაც შეზღუბა ჩამოყრილი თავთავისფერი თმა აქვს და ჯანმრთელი ბავშვია, იულიას დედას ეძახის და ის მართლა დედასავით უყვარს. იულია მათეს აძლევს იმას, რაც აქვს – სიყვარულს, მათეს აღზრდასა და განვითარებაში კი თბილისიდან ყველ კვირას ჩამოსული ირმაც მონაწილეობს, თემის ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან პაპაც, თემის ბუღალტერი და ძალიან ყოჩაღი გოგო ნატოც და თემის სოციალური მუშავი – გალინაც. ახლა მათე ლევან პაპას მხარზე ზის და დინჯი სახით დაგვყვება თემის

მეურნეობაში, გზად იულია გვხვდება. იულია დღეს ცუდ ხასიათზეა, ეჭვიანობს შვილზე – ჩვენთან ერთად რომ დადის, ამიტომ მათეს ზედაც არ შეხედავს, გაბრაზებულ ჩაგვივლის გვერდით. ბავშვი კი გულამომჯდარი იწყებს ტირილს. დედა, არ ნახვიდეთ, დედაააა... პატარას გოგოები ამშვიდებზე – მათე ხომ მათი გაზრდილიცაა და შვილივით უყვართ.

გალინა მაღალი, მომხიბვლელი, ქერამიანი გოგოა, რომელმაც სოციალური მუშაკის განათლება ახლახან მიიღო და თემის პირველი დიპლომიანი სოც. მუშაკია. გალინა მთელი დღე დაკავებულია. ის იმ 33 თებელზე ზრუნავს, რომლებიც განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებენ. ეხმარება მათ ჩაცმაში, ბანაობაში, ემოციების დაბალანსებაში. მათი ნახვა მინდა, ირმას მეორე სართულზე ავყავარ. დერეფანში არავინაა, გარშემო სრული სიჩუმეა. მერე უცებ ვალებთ ყრუ კარს და ძალიან ვიბენვი. ოთახში პატარა ნათურა ციმციმებს, ტელევიზორი დაბალ ხმაზეა ჩართული, ზოგი ზის, მონოტონურად ამოძრავებს თავს და სივრცეში იყურება, ზოგი ხელებგაშლილი დადის, გეჯახება, მერე გეხება, გსინჯავს, გამოწმებს, თითქოს, რაღაცის თქმა უნდა, ვერ ამბობს, უკან მოგყვება. ირმას ერთ-ერთი ბავშვის აღლვებული დედა ხვდება, – რა კარგია, რომ ჩამოხვედით, ჩემი პატარა დღეს ძალიან გაღიზიანებულია, იქნებ, ნახოთო. ირმა თახში ჩჩება, მეგარეთ გამოვდივარ და ვხვდები, რამხელა ძალისხმევა და შინაგანი წინასწორობა სჭირდება თუნდაც ირმას და თუნდაც გალინას იმისთვის, რომ ამ ბავშვებზე იზრუნობ, მათ გაუგონ, დაამშვიდონ და მოეცერონ.

გალინა ფიქრობს, რომ გრემს არასდროს დატოვებს; აქაურმა გარემომ თუ არ დაგაფრთხო, მერე წასვლა ძნელია, – ამბობს. როგორც ჩანს, აქ გალინასავით ფიქრობს ყველა. ამიტომაც ერთმანეთის გვერდით თანაცხოვობები ადამიანები სრულიად განსხვავებული და ხშირად ტრაგიკული წარსულით, ტრავმებით და იმედგაცრუებებით. გრემი მათთვის ჯავშანია, რომელიც გაცილებით დაგვილებისგან განვითარებისგან იცავთ, რომელიც ღობის გადაღმა, „გარეთაა“.

... წამოსვლის წინ ეზოში ერთ ქერა ბიჭს ვამჩნევ. ეს აი, ის გერმანელი მო-

გამოცემება

ხალისეა, რომ გიამპობდითო, – მეუბნებიან, – ჩვენი თემის შესახებ გერმანიაში გაიგო და დასახმარებლად ცოტა ხნით ჩამოვიდათ. უცებ წარმოვიდგინე, როგორ ზის საშუალო სტატისტიკური ქართველი ბიჭი ინტერნეტთან, როგორ ექცებს უპოვართა თავშესაფრებს მესამე მსოფლიოს ქვეყნებში და როგორ არჩევს, სად წავიდეს, ვინ გაიცნოს და ვის დაეხმაროს. ვხვდები, წარმოდგენში და-ხატული ეს სურათი უტოპიურია. უტოპიურია იმიტომ, რომ ქართველი ბიჭები მოხალისედ ჯერ არც გრემში ყოფილან. უტოპიურია იმიტომაც, რომ ჩემ და ჩემზე უფროს თაობას სოციალური ვალდებულების განცდა დაჩრდუნგებული აქვს. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება, მოგინდეს, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ჩახვიდე თუნდაც გრემის თემში და იმუშაო; არ დაგაფრთხოს ზინას მიღმურმა მზერამ, რომელიც სულ კართან დგას, თავისთვის იღმიება, თავს აქნებს, არავის ელაპარაკება, სხვა პარამეტრებით აზროვნებს და თავის სამყაროში ცხოვრობს.

მეორე, მესამე, მეოთხე... ნაბიჯი

კასპის პანსიონატი რამდენიმე თვის წინ დაიხურა. იქ დარჩენილი ბავშვები სხვადასხვა ადგილას გადანანილდნენ. 24 პატარა კი კოჯორის საალმზრდელო დაწესებულებაში დასახლეს. კოჯო-

რი „პირველი ნაბიჯის“ და განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტია. შეთანხმება, რომელიც ორიოდე წლის წინ გააფორმეს, ასეთი იყო: მთავრობა იზრუნებდა ბავშვთა სახლის შენახვასა და ფინანსურ უზრუნველყოფაზე, „პირველი ნაბიჯი“ კი მოამზადებდა აღმზრდელებს, ასწავლიდა მათ ბავშვებთან ურთიერთობის სპეციფიკას. „პირველი ნაბიჯის“ ერთჯერადი გრანტით გარემონტდა კოჯორის სახლის შენობა, 2008 წლის 1 მაისს კი აქ უკვე გადმოყვანეს კასპში დარჩენილი 24 ბავშვი. ბავშვთა სახლის დირექტორი მაია ჩიტაიშვილი იხსენებს, რომ, რამდენიმეთვიანი მოშზადების მიუხედავად, პირველი დღე მაინც მძიმე გადასატანი იყო. თოთოული ბავშვის პრობლემის გარევა, აღლოს აღება გამძლე ნერვებს და მოთმინებას საჭიროებდა. ბავშვებს მართლაც მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა ჰქონდათ. ამიტომ ჯერაც ძალან ჩამორჩებიან „პირველი ნაბიჯის“ ბავშვთა სოფელში მცხოვრებ თანატოლებს. როგორც ჩანს, უკვის თვე არ არის საქმარისი დრო, კასპის რამდენიმეწლიანი კოშმარის ბოლომდე დასაკინებლად. მაია ჩიტაიშვილიც ფიქრობს, რომ რეალური შედეგები ბავშვებს 1-2 წელიწადში დაეტყობათ. მანამდე ინდივიდუალური განვითარების ვრცელი გზაა გასავლელი. პატარები, რომლებიც კოჯორში გადმოყვანის პირ-

ველ დღეებში კენჭებს და ბალახს ჭამდნენ, ახლა სტუმრებს იღებენ, თამაშობენ, ზოგი სკოლაშიც დადის.

ლალი მესხი ამბობს, რომ ამაზე დაბალი სტანდარტი, როგორიც კოჯორის სახლს აქვს, სახელმწიფომ არც ერთ ინსტიტუციაში არ უნდა დაუშვას. ეს მინიმალური ზღვარია. ამის ქვევით უკვე კასპის გამოცდილება. ეს გამოცდილება კი სამუდამოდ უნდა ამოვიშალოთ მეხსიერებიდან.

„პირველი ნაბიჯი“ საკუთარ თავზე იღებს იმას, რომ ეს მოგონებები, პირველ რიგში, ბავშვებს დაავიწყოს. შემდეგი ნაბიჯი კი, ალბათ, ის არის, რომ თვითონ საზოგადოებამ გადაუსვას ხაზი საბჭოურ ცნობიერებას, მოშალოს საზღვრები სტატუსებს შორის და როდესაც ეტლიანი თამუნა დიდი გოგო გახდება, თავის წრეში შემოუშვას, სცენაზე გამოსულს მოუსმინოს და ტაში დაუკრას; როდესაც გოორგის რომელიმე საჯარო დაწესებულებაში, ვთქვათ, ქსეროქსის აპარატთან მომუშავეს შეხვდება, თვალი არ აარიდოს და მის გვერდით იმუშაოს; როდესაც რომელიმე საშუალო სტატისტიკური ქართველი ბიჭი თვითონ გადაწყვეტს წავიდეს გრემში, გაიცნოს არსენა, ზინა, ნინო, დათო და სხვები, დაუმეგობრდეს მათ და მათზე იზრუნოს. მეორე, მესამე, მეოთხე ნაბიჯიც, ალბათ, ეს არის. ■



მააა კახაბერი

<<< დასაწყისი გვ. 46

ამდენი მონარქი გვყავდა ქართველებს და სად წავიდა საქართველო? მეფეს მირონს რომ ვცხებთ და თანაც – რუსული ტრადიციით, იდიოტი რომ აღმოჩნდეს, მერე რაღას ვშვრებით? ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით, სამი შობა არსებობს: პირველი – მამისგან, ხორციელად შობა, მეორე – ნათლობის მადლი, ქრისტეში შობა,

და მესამე – ადამიანმა თვითონ უნდა შეგას თავის თავი, და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, ამის გარეშე, ნათლობის მადლიც იკარგება. დღეს ბევრს ლაპარაკობენ ქართველების გადარჩენაზე, ტრადიციის გადარჩენაზე. იმავე ბაგრატიონთა დნასტიამ გადაარჩინა საქართველო კატასტროფას? ყველამ ვიცით, დამარცხებული შევიდა საქართველო რუსეთის იმპერიაში. როცა არჩევანის წინაშე იდგა ქართველი

ერი, მაგალითად სულხან-საბას დროს, ქართველებმა მართლმადიდებლობა ავირჩიეთ და დავიცავით. დღეს სხვანაირია სამყარო. ხომ შევიდა საბერძნეთი ევროკავშირში? რა, აღარ არიან მართლმადიდებლები? ბულგარეთი, რუმინეთი, სერბეთიც შევლენ ევროკავშირში... დღეს გვეზნებიან, – რუსეთის ეკლესია ჩვენი მეგობარიაო. როგორ შეიძლება, მეგობარი იყოს, როცა ომის დროს ერთხელაც არ მოუწოდებია, – შეწყვიტეთ ბრძოლაო?!

ერთი ოსი მეგობარი მყავდა, რომელიც შევიცარიაში გაფიცანი. ქართული ხალხური სიმღერა ჰქონდა კომპიუტერში ჩაწერილი; ამაყობდა იმით, რომ ქართული ქრისტიანობა და კულტურა კავკასიულებმაც შექმნეს – აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები ქმნიდნენ ქართულ კულტურას. ქართველებს ოსური წარმოშობის წმინდანებიც კი გვყვავს, მაგალითად – ქრისტოდულოს ოსი. ომის დროს, ამ ჩემს მეგობარს ბიძაშვილი მოუკვდა ომში და დღევანდელმა პატრიარქმა, მაშინ მიტროპოლიტმა კირილემ, მას სამძიმის წერილი მისწერა, სადაც აღნიშნავდა, – ქართველები თავს მუხანათურად დაესხნენ ოსებს და ა.შ. ხომ შეეძლო, უბრალოდ მიეწერა, ვიზიარებ შენს მწუხარებას? ისიც ძალიან საწყენია, რომ აგვისტოში არც ერთმა მართლმადიდებელმა ხმა არ ამოიღო ჩვენს დასაცავად. რომის პაპმა ორჯერ გააკეთა სპეციალური განცხადება. ეკლესიათა საბჭოს დელეგაციი ჩამოვიდა საქართველოში და ჟუმანიტარული დახმარება ჩამოგეტანა. წარმოიდგინეთ, რამხელა მორალური დახმარება იქნებოდა, მართლმადიდებელ ეკლესიებს ჩვენთვის რომ დაეჭირათ მხარი?

ის, რომ სამყარო სხვანაირია, და არა ისეთი, როგორიც ადრე, ყველაზე ნაკლებად ეკლესიაში ჩანს. ზოგიერთები იმასაც ამბობენ, – მართლმადიდებლობის ძალაც სწორედ ისაა, რომ არ იცვლება, ტრადიციების ერთგულიაო. შეიძლება, ეკლესიის პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყოს: ქართველებს, როგორც წესი, გვეშინია ცვლილებების და გვგონია, რომ ჩვენ ტრადიციებს ყველაზე კარგად ეკლესია ინახავს.

– თუ ვლაპარაკობთ ტრადიციაზე, ეკლესია არ არის მხოლოდ საქართველოში და ეკლესია არ არის მხოლოდ დღეს. უნდა ვისაუბროთ საეკლესიო ტრადიციაზე პირველი საუკუნიდან მოყოლებული დღემდე. მაგრამ თან უნდა დავვიქრდეთ – ხომ არ ვიქცევით ისე, როგორც მე-18-მე-19 საუკუნეებში ვიქცევილი? ხომ გავიდა საუკუნეები, ხომ შევიცვალეთ? ადრე ბიზანტიის პროვინცია ვიყავით, მერე რუსეთის. მოდით, დღეს ნუდარ ვიქნებით ნურავის პროვინცია. ხომ შეიძლება, მარტო რუსულ ტრადიციაზე არ ვისხდეთ, ლიტურგიასაც მიყუდებეთ შემოქმედებითად, კორექტირება შევიტანოთ ჩაცმულობაშიც. ლიტურგიაში რომ არის მოწოდებები, – „აღსდეგინ!“, – ეს იმას ნიშნავს, რომ ადრე მრევლი მსახურების დროს იჯდა. დღეს ჩვენი ეკლესიების უმრავლესობაში ისეთი სივრცეა, ვერავინ დაჯდება; სკამი რომ დაიდგას, სხვანაირი, უფრო მორგებული არქიტექტურაც ხომ შესაძლებელია დღევანდელი ტექნოლოგიური განვითარებისას.

სწორედ ამ კონსერვატორული ბუნების გამო, ხანდახან ისე ჩანს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მოწვევტილია თანამედროვე ცხოვრებას. თუმცა, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხან ირიბად და ხანც პირდაპირ ერევა ხოლმე. ასეთ დროს საზოგადოების აზრი იყოფა.

– დღეს ამბობენ, – ეკლესია არ უნდა ჩაერიოს საზოგადოების და პოლიტიკურ ცხოვრებაშიო. არ არის ასე. რეალურად ერევა, არა მარტო საქართველოში, ყველგან ერევა. ასევეა ხელიონებაც – ლიტერატურაზე რომ არაფერი ვთქვათ, კინოც ერევა, მუსიკაც... ეს ხალხი, ეკლესიის მრევლი, რაღაც ნიშნითაა გაერთიანებული, ჯგუფია. ჯგუფს კი ყოველთვის აქვს თავისი აზრი. ჩარევა აუცილებელია, მაგრამ არა ისეთი ავტორიტარული, როგორც დღესაა. პირდაპირ რომ ამბობენ, – ღვთის ნებაა, ღმერთისგან მოდისო. ხალხმაც რა ქნას, პირდაპირ ღმერთის ხომ არ დაეტაკბა? ეკლესიამ საზოგადოებას ნებისმიერი აზრი არგუმენტირებულად უნდა მიაწო-

დოს. რაც შეეხება ერთობას, ერთობა სწორად უნდა იყოს ორგანიზებული. ადამიანი სული და ხორცია (ანუ ხორციელიც სულის ზრუნვის საგანია). დიქტატურა რომ იყოს, ეკლესია არ არის ვალდებული, რომ თქვას, – დიქტატურაა? დასავლეთში დღეს ეკლესია ადამიანზე ზრუნვს, ეხმარება მას, გაუმკალავდეს მარტობას. საეკლესიო ერთობამ ისე უნდა მომართოს თავისი ცხოვრება, მარტო საკრალურ მხარეზე კი არ უნდა ისაუბროს, არამედ – სამოქალაქო ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე, კულტურაზე. თუ სწორად წარმიართება სამრევლოების ცხოვრება, ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. ჩვენთან შუალედური რგოლი არ არსებობს ხალხის მასებსა და ხელისუფლებას შორის. ესეც პრობლემაა. თუ მიტინგზე არ დადგა, ხალხს არ შეუძლია ჩამოაყალიბოს აზრი და გაუზიაროს ხელისუფლებას. მიტინგზე კი შეუძლებელია აზროვნება და, მით უმეტეს, აზრის გაფორმება – იქ მხოლოდ შეძახილები და ემოციების დაფრქვევა შეიძლება. ეკლესიას აქ შეიძლებიდა დადებითი როლი ეთამბა. მაგრამ დღეს პატარ-პატარა ტაძრები გვაქვს, სადაც მღვდლებს ხშირად აბსოლუტური მონარქია აქვთ სამრევლოში. ყველა ხედავს, როგორც ცხოვრობენ, როგორი მანქანებით დადიან, როგორი მედიდურობით იქცევიან და ძირითად მასას ეს მოსწონს კიდეც. დღეს ასეა – მღვდელი უკამაყილებს „სულიერ“ მოთხოვნილებებს მრევლს, მრევლი ემსახურება მღვდელს და ხორციელ მოთხოვნილებებს უკამაყილებს (უნგითარებს კიდეც) მას. ბუნებრივია, მღვდელსაც უნდა ჰქონდეს მანქანაც და სახლიც. მაგრამ გავიხსენოთ, რას ამბობდა სოკრატე: ზოგი ცხოვრობს, რომ ჭამოს, მე ჭამ იმიტომ, რომ ვიცხოვო. დღევანდელ გადამეტებულად მომხმარებლურ სამყაროში ეკლესია უნდა გამოირჩეოდეს, მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. ერთი ხელის მოსმით ვერაფერი გავეთდება, მაგრამ, სურვილის შემთხვევაში, ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. ■



პასუხი პასუხისმგებლობის საკითხზე

<< დასაწყისი გვ. 74

საქართველოს მოსახლეობის სიმცირის და ტრადიციული სტრუქტურიდან გამომდინარე, დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ყოველთვის მიღებნება მეგობრული, ოჯახური ან ნათესაური კავშირები, რამაც საერთოდ შეიძლება ხელი აგვალებინოს პასუხისმგებლობის განაწილებაზე. სიმართლის და შერიგების კომისიის ორგანიზებით, ისედაც დაპირისპირებულ და გახლეჩილ საზოგადოებას გამოლიანებისა და შერიგების შანსი მიეცემა, ოლონდ – საკუთარ თავზე მტკიცნეული სიმართლის მოსმენისა და გააზრების სანაცვლოდ. თუ გვინდა სახელმწიფო ორგანიზაციები ცხოვრება მართლაც ახალი სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ, ასეთი პროცესი სააკაშვილის ხელისუფლების წასკლიდან არ უნდა იწყებოდეს, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობიდან, ვინაიდნ ძალიან ბევრი პრობლემა, რომელსაც დღეს ვაწყდებით, სწორედ იქნიან მომდინარეობს, რომ 1990 წლიდან მოყოლებული მთელ რიგ პროცესებზე ჩვენ პასუხისმგებლობა არ აგვიღია.

მაგალითისთვის, ზვიად ძიძიგურმა საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების ერთგულებისათვის რამდენიმე წელი პა-

ტიმრობაში გაატარა. იგი იმ ასეულობით ადამიანს შორისაა, რომლებსაც წლების განმავლობაში, 1992-დან 2003 წლამდე, შევარდნაძის ხელისუფლების სამართალდამცავი ორგანოები უკანონოდ აპატიმრებდნენ, ანამებდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ. საქართველოს მოქალაქეებს არ გაუციათ იმ კითხვაზე პასუხი, თუ ვინ იყოს ის ხალხი, ვინც ამ დანაშაულებს სჩადიოდა. ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, ზოგიერთი მათგანი დაწინაურდა შევარდნაძის და შემდეგ სააკაშვილის სტრუქტურებში, ხოლო ზოგიერთი თავად აღმოჩნდა იმავე სისტემის მსხვერპლი. თავად ედუარდ შევარდნაძე სულაც არ იყო თითოეული ამ დანაშაულის ავტორი და დამკუთხი. ამ საქმიანობას გეგმავდნენ და ასრულებდნენ თანამშრომლები, რომელთა შორის, ჩვენი მოსახლეობის სიმცირიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე, ალბათ ჩვენი მეგობრებიც, ნათლიერიც და მეზობლებიც იყვნენ. საქართველოს სახელმწიფო ვერ განვითარდება, თუ ერთხელ და სამუდამოდ მსგავს პროცესებს თვალებში არ შევხედეთ და იქ საკუთარი თავი არ ამოვიცანით. სიმართლის და შერიგების პროცედურით ეს შეიძლება მტკიცნეულად, მაგრამ ყველაზე კონსტრუქციულად და ნაყოფიერად მოხდეს.

არადემოკრატიული ხელისუფლების დემოკრატიულით წარმატებული ცვლილებისათვის საჭიროა, რომ ახალმა ხელისუფლებამ საკუთარი თავი განასხვავოს ძველი რეჟიმის კულტურისა და ჩვევებისაგან. სააკაშვილის ხელისუფლების ძირითადი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ მან არ მოინდომა ეს გაეკეთებინა ან, მერკანტილური მიზეზების გამო, ეს არ განახორციელა. როცავი უნდა მოვიდეს შემდეგი ხელისუფლება, მის წინაშე აუცილებლად დადგება საკითხი – როგორი პოზიცია დაიკავოს წინა რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულების და მათ ავტორთა მიმართ. წინა მთავრობების შეცდომების გაუცინობიერებლობა, ამ საკითხის იგნორირება ან კიდევ სპონტანურად, უახლოესი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე გადაწყვეტა ისევ მის ავტორებს დაუჯდებათ ძვირად. როგორც აქამდე, საქართველოს მოსახლეობის მიერ ეს გაგებული იქნება „რობერტის სინდრომის“ მორიგ გაგრძელებად, როდესაც უზარმაზარი და ენთუზიასტური საპროტესტო ტალღა იმასვე გაანადგურებს, ვინც ცოტა ხნის წინ მანვე მოიყვანა ხელისუფლებაში. ამიტომაც, გრძელვადიანი და მდგრადი დემოკრატიული განვითარების ინტერესებშია, რომ ლიდერებთან ერთად ჩვენც, ამომრჩევლები დავიწიეთ პოლიტიკურ პროცესებში საკუთარ პასუხისმგებლობაზე, და რომ პოლიტიკურმა ლიდერებმაც ამ საკითხზე გულწრფელი და პატიოსანი მსჯელობა შემოგვთავაზონ. სიმართლის და შერიგების კომისია ამისათვის საუკეთესო საშუალება იქნება. ■



<< დასაწყისი გვ. 81

კავკასიის კოლოქიუმი გენერალები

დეფიციტის დასაფარი სუბსიდიები რამდენიმე მარტივი ფორმულით განისაზღვრება, რომელიც მთავარ არგუმენტად მოსახლეობის ოდენობას იყენებს და მას ეყრდნობა. ამიტომაც, თუ განვითარებული რეგიონების ხელისუფლებები შემოსავალს გადასახადების ხარჯზე იღებენ და, შესაბამისად, საქმიანი კლიმატის გაუმჯობესებაზე ზრუნავენ, ინგუშეთის ფინანსთა სამინისტროს მხოლოდ და

მხოლოდ იმის გაკეთება უხდება, რომ რამდენიმე მარტივი ფორმულა სტატიური მონაცემებით შეავსოს, რის შემდეგაც ბიუჯეტის 90%-იანი დეფიციტის შესავსებად გაიზინულ ტრანსფერებს მიიღებს, ამის შედეგად კი დამაფიქრებლად უსამართლო დისპალანსი წარმოიქმნება: ინგუშეთს ბიუჯეტი მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით ეგვება, მაგრამ ამასთან ერთად, ხელისუფალის არჩევნების გაუქმების შემდეგ ამავე მოსახლეობას მის გაკონტროლებაზე ხელი საერთოდ აღარ მიუწვდება.

არადა, საბოუჯეტო პროცესი ყველა სახელმწიფო ინსტიტუტისთვის უმნიშვნელოვანესი და უწყვეტია. როცა ძირითადი პროცესი დაუფარავად პარაზიტულ და უპასუხისმგებლო ხასიათს იქნება, თავად ინსტიტუტებიც იცვლება; მათგან საზოგადოებისათვის სახელმწიფო მომსახურების შეთავაზების ფუნქცია იყლებს. ამგვარად, დოტაციურობის მაღალი დონე, საზოგადოებრივი კონტროლის სრულ არარსებობასთან ერთად, სახელმწიფო ინსტიტუტების ხარისხის დაცემას უკავშირდება.

მართალია, რუსეთის ხელისუფლების ყველაზე მაღალ დონეზე ხშირად გაისმის განცხადებები, რომ დოტაციური რეგიონების რაოდენობა უნდა შემცირდეს, სინამდვილეში, საბიუჯეტო კანონმდებლობა ჩამორჩენილი რეგიონებისათვის სრულებით არ შეიცავს იმგვარ სტიმულებს, რომ ისინი ფინანსური დამოუკიდებლობის მისაღწევად წაახალისოს, და ამჟამინდელი სიტუაციის კონსერვირებას იწვევს.

საინტერესოა, რატომ არ იშურებდა რუსლან აუშევი ძალისხმევს ინგუშეთის ბიუჯეტის დოტაციურობის შესამცირებლად? ეს კითხვა კიდევ ერთხელ გვაძრუნებს ურთიერთშეავების და ბალანსის სისტემასთან, რომელიც რეგიონის ხელმძღვანელების არჩევითობის პერიოდში ჩამოყალიბდა. საკუთარი ამორჩევლების ნება-სურვილის შესაბამისად, რუსლან აუშევი იძულებული იყო, მოსკოვისგან მეტი დამოუკიდებლობისთვის ებრძოლა, ამ თვალსაზრისით კი ბიუჯეტის დოტაციურობა დიდი პრობლემა იყო. არსებობს მოსაზრება, რომ ობიექტურ მიზეზთა გამო, ინგუშეთი მოსკოვზე ფინანსური დამოუკიდებულებისთვისაა განწირული. წარმატები,

რომელთაც აუშევი ამ დამოუკიდებულებასთან ბრძოლისას აღწევდა, მსგავს შესედულებებს აქარნელებს. მაგალითად, 2000 წლის განმავლობაში დოტაციებმა 90%-დან 60%-მდე იყლო.

მართალია, ბიუჯეტის დოტაციურობასთან დაკავშირებით შეშფოთება ზიაზიკოვსაც არაერთხელ გამოიუტვამს, მაგრამ, როგორც იმთავითე მოსკოვზე დამოუკიდებულ პოლიტიკოსს, რომელიც საკუთარ ხალხს არ აურჩევია, და საზოგადოებში პოპულარობა არ ჰქონდა, ვითარების შესაცვლელად არაფერი გაუკეთებია; მისი ხელმძღვანელობის დროს ბიუჯეტში დოტაციების წილი მხოლოდ იზრდებოდა.

მცდარი იქნება იმის მტკიცება, რომ ინგუშების ურუყოფითი დამოუკიდებულება რუსეთის ხელისუფლების მიმართ მხოლოდ ნეგატიურ ისტორიულ გამოცდილებას ეყრდნობა; მაგალითად ისეთს, როგორიცაა რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ ინგუშთა მინების პერიოდული ჩამოჭრა ოსების სასარგებლოდ, 1944 წლის დეპორტაცია ციიბირში, ან 1992 წელს ჩრდილოეთ ოსეთში მომზდარი ინგუშების ეთნიკური წმენდა. დაპირისპირების ფუნდამენტური მიზეზი რუსეთის ხელისუფლების დე-ფაქტო ავტორიტარული პრინციპებისა და თავისუფალი საზოგადოების იმ პრინციპების შეუთავესებლობაა, რომელთაც ინგუშთა ტრადიციული სამართალი აღიარებს. ეს უკვე დემოკრატიულ ფასეულობათა და ავტორიტარული აზროვნების გლობალური შეჯახების ლოკალური გამოვლინებაა.

ახალი ხელმძღვანელის, იუნის-ბეკ ევკურვის მოსვლა ინგუშეთის სახელმწიფოებრივ მართვაში ადეკვატურობას და ეფექტურობას ვერ შეიტანს. სახელმწიფოს მართვაში საზოგადოების ჩართვის მრავალი არხი არსებობს, მაგრამ პირდაპირ არჩევნებს ყველა მათგანის ერთობლივი ამოქმედებაც კი ვერ შეცვლის. მოქალაქეებთან, ოპზიციასა და სამართალდამცველებთან ეკუურვის მოსაწონი აქტიური თანამშრომლობის მიუხედავად, ყველაზე სავარაუდო მაინც ნეგატიური სცენარის განვითარება რჩება. პრეზიდენტის პირდაპირი არჩევითობის გაუქმებამ ეს რეგიონი, დანარჩენებთან შედარებით, ყველაზე მეტად დააზარალა.

როგორც ჩანს, ახლა ევკურვი ფიქრობს, ვინ გახდეს ინგუშეთისთვის: მეორე აუშევი თუ პირველი კადიროვი. არც ერთი ვარიანტი არც მას და არც საზოგადოებას კარგს არაფერს მოუტნის.

სანამ ევკურვი აუშევის გზას აირჩევს, იმის გაცნობიერება მოუწევს, რომ მსგავსი გზა ამჟამინდელ პირობებში, როცა საზოგადოება ხელისუფლების არჩევის უფლებას მოკლებულია, უბრალოდ არ არსებობს.

თუმცა, ნამდვილი საფრთხე ჩეჩენეთის პრეზიდენტის, რამზან კადიროვის გამოცდილების გამეორების მცდელობაში იმაღლება; მით უფრო, რომ ყოველი მხრიდან ექსპერტთა მოსაზრებები ისმის, რომელთა აზრით, ინგუშეთში ამგვარი გამოცდილების დანერგვაზე მოთხოვნილება არსებობს. ამ მოსაზრების მომხრეები არგუმენტად რატომდაც ამ ორი ხალხის ენათა და ეროვნულ ტრადიციათა ბევრ მსგავსებას ასახელებს. სხვა, გონივრული დასაბუთება ჯერ არავის მოუყვანია, თუმცავი, ამ თეზისის გასაქარნებლად არგუმენტები ნამდვილად არსებობს.

ჩეჩენები სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის იპროდნენ, ინგუშები კი თავისუფალი საზოგადოებისა და პროვინციების თავისუფლებისთვის. შეიარაღებული გზით დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობა, როგორც ჩეჩენეთის შემთხვევაში მოხდა, ჩვეულებრივ, იმას მოწმობს, რომ ეს ორი მიზანი ერთმანეთთან შეუთავესებელია: დამოუკიდებლობას უფრო მეტი ტირანია მოაქვს, ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ტირანის ეროვნება იცვლება. მეორე მხრივ, როცა სამოქალაქეური უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ ტერიტორია მეტროპოლიაზე მეტი მოთხოვნილებას ამჟამნებს, მაშინ დამოუკიდებლობა მშენდობიანი გზებით ან გაცილებით მცირე სისხლის ფასად მიიღება, მოქალაქეებებს კი საკუთარ სახელმწიფოში დემოკრატიის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა ექლევათ. ასე მოხდა, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

რუსეთისთვის ჩეჩენურ სეპარატიზმზე გასამარჯვებლად ერთი ტირანის მეორით შეცვლაც საკმარისი აღმოჩნდა: კადიროვს ჩეჩენეთის შიგნით მოქმედების თავისუფლება მიეცა, სეპარატიზმის ლოზუნები კომიურად გადასხვაფერდა,

გამოშელება

ფედერალური ბიუჯეტიდან კი თანხები გამოიყო, და ხალხი, რომელიც ადრინდელივით უფლებო და დაუცველი დარჩა, ტირანთა ცვლას გარდაუვალი ბედისწერასავით შეეგუა. დასავლეთს დევნილის სტატუსით თავშეფარებული „იდეური“ სეპარატისტებიც კი კადიროვის ლეგიტიმურობის აღიარებასა და განდიდებას შეუდგნენ, თითქოს მას სანუკვარი დამოუკიდებლობისთვის მიეღწიოს. როდესაც ჩეჩენეთის მოსახლეობამ გააცნობიერა, რომ უგუნურებაა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება დამოუკიდებელი იყოს ფედერალურისგან, სეპარატიზმის იდეამ მიმზიდველობა დაკარგა, ყველაზე შეურიგებლებმა კი რელიგიური ლოზუნები აიტაცეს.

მოსკოვს ზიაზიკოვისთვის ინგუშეთში ნაკლები ძალაუფლება არ უბოძება. ინგუშეთის პრეზიდენტს მოსკოვიდან მეტი სამხედრო, მორალური და ფინანსური მხარდაჭერაც კი ჰქონდა, ვიდრე კადიროვს. მაგრამ ზიაზიკოვს ხალხს დღითი

დღე შორდებოდა, და მისი რეიტინგიც შესაბამისად ეცემოდა. ზიაზიკოვისა და პუტინის ხშირმა შეხვედრებმა, რასაც, ჩანაფიქროთ, ამ რეიტინგის სტიმულირება უნდა მოხედინა, ინგუშეთის რეალური სიტუაციის სრულიად არაადეკვატური შეფასების გამო, ორივე დაცინვის და ირონის ობიექტად აქცია. ძალოვანთა აღვირასნილობა და კორუფციის ზრდა საზოგადოებისთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. ოპიზიციური საიტი ინგუშეთში ინფორმაციის ყველაზე პოპულარული წყარო გახდა. უკანასკენელ წლებში მურად ზიაზიკოვი საზოგადოებას მთლიანად მოსწყდა. ამგვარად, „ჩეჩენიზაციის“ მსგავსი პროექტის გამოცდა ინგუშეთში დაწყებული იყო, მაგრამ მარცხი განიცადა. აღვნიშნავ, რომ კადიროვის როლისთვის რამდენიმე კანდიდატურა პარალელურად მზადდებოდა, მაგრამ „ქასთინგი“ ჩაიშალა: ზოგს პრეზიდენტის პოსტზე დათანხმება იმგვარი სისასტიკის გამოჩენის აუცილებლობამ გადააფიქრებინა,

რომელიც ამ როლზე დასამტკიცებლადა საჭირო; უფრო მტკიცენი კი ისეთ საპასუხო სისასტიკეს გადააწყდნენ, რომელიც ზოგიერთი მათგანისთვის ფატალური გამოდგა.

საფუძვლიანი პესამიზმის არსებობის მიუხედავად, ჰიპოთეტური შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტი ევკუროვი საკმარისად თავისუფლად აზროვნებს, მაინც არსებობს. მას შეუძლია სიტუაცია მთლიანობაში, „კარგი და ცუდი ბიჭის“ თეორიის თვალით გაიაზროს და გააცნობიეროს, რომ ყველას ის ადგილი უკავია, რომელიც ზოგადი ლოგიკით აქვს მიკუთვნებული. მისთვის უმთავრესი სტრატეგია, საკუთარი როლის წინამორცედზე უკეთ შესრულება კი არა, თვით როლის შეცვლა უნდა იყოს: საზოგადოების დემოკრატიული მხარდაჭერა ხომ გაცილებით მეტ სიმყარესა და ლეგიტიმურობას შესძენს, ვიდრე კრემლის მხარდაჭერა.

ეს საკითხი შემდგომ განხილვას საჭიროებს. აქ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას დავვჯერდებით. ■



კოლიტიკური ალტერნატივა: რეზერვუალის სტრატეგია?

<<< დასახილი გვ. 88

მას შემდეგ, რაც 2004 წლის თებერვალში მოხდა, საქართველოს კონსტიტუცია არ აქვს. მაშინ საქართველოს

და ქართველებს კონსტიტუცია კონსტიტუციური მექანიზმების დარღვევით თავზე დაგვახილეს. სააკავილმა რუსულ-თურქებული კონსტიტუცია შეგვიქნა და მიიტაცა მთელი ძალაუ-

ფლება. ერთადერთი დარჩენილი მექანიზმია პლებისციტი და რეფერენდუმი, და ისიც ისეა ჩახლართული, რომ უნდა დანოშავს, უნდა არა. დღემდე საქართველოში სარეფერენდუმო წინადადების ინიცირების თხუთმეტი შემთხვევა იყო და არც ერთი არ დაკავშირდებულა, არც შევარდნადის, არც სააკავილის დროს; იმიტომ, რომ ჯერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა გაიარო რეგისტრაცია კითხვაზე და მას შეუძლია არ დაგირეგისტრიროს საკითხი.

რეფერენდუმი, ჩვენ კი არა, ქვეყანას სჭირდება სწორედ იმიტომ, რომ არ მივიღეთ გათიშულობამდე. იმ კრიზისში, რომელშიც იმყოფება ქვეყანა ომის შემდეგ, 7 ნოემბრის შემდეგ, ორი გაყალბებული არჩევნების შემდეგ არ მინდა სახელმწიფო დანგრეს. არ მინდა დაინგრეს შეკონინებული კონსტიტუციური სისტემა რევოლუციით ან სხვა რამით; იმიტომ, რომ დღეს პპოზიცია და ხელისუფლება მარტოები არ არიან ერთმანეთის პირისპირ. სუვერენიტეტი არ არის თეორიის ამბავი, ის

პრაქტიკული ბერკეტებია. დღეს ყველაზე მეტი ბერკეტი რუსეთის ხელშია. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ისეთ გამოსავალზე, რომელიც რუსეთის ბერკეტს ყველაზე ნაკლებ საშუალებას დაუტოვებს რეალიზებისთვის. რუსთაველზე შეკრებილი 200 ათასი კაცი პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით დიდი ხიდათის შემცველია ქვეყნისთვის. ამიტომ ჩვენ სააკაშვილს მოვუწოდებთ რეფერენცუმის დანიშვნისკენ. ამ გზით მშენდობიანად გაირკვევა, რას ფიქრობს ამ კონკრეტულ საკითხზე ხალხი. ხელისუფლება ამ შემთხვევაში შეძლებს ან დარჩენს, ან ღირსეულად წასვლას. რეფერენცუმით ჩვენ ხელისუფლებას ვთავაზობთ გამოსავალს, რომ თუ ერთი კაცია წასასვლელი, მისმა წასვლამ არ გამოიწვიოს ის უბედურება, რაც ქვეყანაშია მოსალოდნელი. ამიტომ ჩვენ, რომ მრეცვლის მსახურები კი არა, სწორი გზის მსახურები ვართ, ამასთან, ვიცით, რომ ეს საკითხი არ არის პოპულარული ქართული ოპოზიციური ამორტივი ამორტივის დიდი წანილში.

ხელისუფლებამ მიიტაცა მასმედიის საშუალებები, აქვს სრული კონტროლი ბიზნესზე. შარშან, 5 იანვრის არჩევნების დროს ყველა პარტიის მიერ გამოქვეყნდა დეკლარაციები ფინანსური შემონირულობების თაობაზე, მათ შორის – „ნაციონალური მოძრაობისაც“. იმ შემონირულობებში კერძო პირების შემონირულობათა 99% წასულია „ნაციონალურ მოძრაობაში“, მაშინ, როდესაც, ხელისუფლების დათვლითაც კი, მოსახლეობის 47% მხარს უჭრს ოპოზიციას. გამოძიება არ არის საჭირო იმის დასანახად, რომ მოქალაქეს 10 ლარის შენირვაც კი აშინებს ოპოზიციური პარტიისთვის. ამ გადმოსახედიდან მეღაპარაკებიან იმაზე, რომ ოპოზიციური პარტიები ვერ ვთარდებიან და ამიტომ გარდაუვალია სააკაშვილის 2013 წლამდე ყოფნა.

ჩვენი საფიქრალი არ უნდა იყოს ხელისუფლების განწყობები, ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რა სჭირდება ქვეყანას. ამის გასარკვევად კი რეფერენცუმზე უკეთესი საშუალება არ არსებობს. ყველას მიეცემა საშუალება, გამოთქვას საკუთარი აზრი. შესაძლოა, ხელისუფლებამ განიმტკიცოს კიდეც

ლეგიტიმაცია, რომელიც ძალიან აქვს შერყეული, რადგან ბევრი არასწორი ნაბიჯი გადადგა. ჩვენ გვჭირდება ხელისუფლება და არა ხელისუფლებისთვის მეტრძოლი ხელისუფლება. ჩვენ გვჭირდება მთავრობა და არა თანამდებობის შენარჩუნების მიზნით მყოფი მთავრობა, გვჭირდება მთავრობა, რომელსაც მუშაობის საშუალება ექნება. სინამდვილეში, ყველა პიარით არის დაკავებული.

მე, რა თქმა უნდა, არ ველი, რომ სააკაშვილი რეფერენცუმს დანიშნავს, ბატონი გიას დღევანდელმა მოხსენებამაც დამარწმუნა, რომ ეს არის ის გზა, რომლისაც სააკაშვილს ყველაზე მეტად ეშინია. ვიცი, რომ ჩვენი კოალიცია სერიოზული დარტყმების წინაშე დადგება, გარკვეულმა ოპოზიციურმა ძალებმა უკვე გახსნეს ცეცხლი და ამბობენ, რომ ჩვენ სააკაშვილთან ვართ შეკრულები. ხელისუფლების შეცვლა არ ნიშნავს სახელმწიფოს დაზიანებას, არასწორი ხელისუფლების შენარჩუნებაა სახელმწიფოს დაზიანება. ჩვენი პრიორიტეტია ხელისუფლების ისე შეცვლა, რომ სახელმწიფოებრიობა არ დაზიანდეს და არ დაფუშვათ არაკონსტიტუციური გზები. სამწუხაროდ, პროცესები, შესაძლოა, აქეთკენაც წავიდეს. შესაძლოა, დღევანდელი გადასახედიდან ხვალ და ზეგ ეს ჩვენი რეფერენცუმი საოცნებოც გაგვიხდეს, ისევე, როგორც გახდა საოცნებო 7 ნოემბრის შემდეგ. 2 ნოემბრის აქციების შემდეგ 4 და 5 ნოემბერს პლებისციტის ჩატარებაზე იყო უკვე საუბარი, მაგრამ უარი ითქვა, როგორც ჩანს, ჯერ უნდა მომხდარიყო 7 ნოემბერი, შემდეგ მართლაც დანიშნეს პლებისციტი საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს პოლიტიკური კი არა, მოქალაქეობრივი საკითხია და ამ თემაზე ჩვენი დღევანდელი პოზიციები მნიშვნელოვანი იქნება მომავლისთვის.

გიორგი გვახარია: ბატონო დავით, რა გარანტია არსებობს, რომ დანიშვნის შემთხვევაში არ გაყალბდება რეფერენცუმი. და თუ უშვებთ იმას, რომ რეფერენცუმით თქვენ წაგოთ და ხელისუფლებამ გაიმარვეოს? ყველა-

ნი ვეცნობით სოციოლოგიურ გამოკითვებს.

დავით უსუფაშვილი: იქნებ მითხრათ, კონკრეტულად რომელ სოციოლოგურ გამოკითხვას გულისხმობთ? ჩვენც გავეცნობიდით მას. ის, რომ სააკაშვილს ფარდობითი უპირატესობა აქვს კონკრეტულად ჩვენთან, ბურჯანაძესთან და სხვებთან შედარებით, არ ნიშნავს იმას, რომ მას აბსოლუტური უმრავლესობა აქვს.

2008 წლის 22 მაისს, არჩევნების მეორე დღეს, მე ვიყავი პირველი და შესაძლოა, ერთადერთი, როგორც პარტიის წარმომადგენელი, რომელმაც ვალიარე არჩევნებში დამარცხება. ისიც ვთქვი, რომ ამ დამარცხებას ორი მიზანი ჰქონდა. ყველაფერი ხელისუფლებისთვის არ დამიბრალება. მე ვთქვი, რომ ჩვენ მივიღეთ დაახლოებით 4%, ამდენივე დავკარგეთ ჩვენი არასწორი კამპანიით, დაახლოებით 3-4% ხელისუფლებამ წაგვართვა და ა.შ. პატიოსან ბრძოლაში დამარცხების აღიარებაც უნდა ვისწავლოთ. ამიტომ თუ გაიმარჯვება სააკაშვილის პოზიცია, რომ 2013 წლამდე უნდა დარჩეს ეს ხელისუფლება, ყველაფერი ასევე დარჩება. ჩვენ მივიღებთ ამას, როგორც ჩვენი ხალხის გადაწყვეტილებას.

რაც შეხება იმას, რატომ არ ან ვერ გაყალბდება რეფერენცუმი. სააკაშვილი არ არის ჯადოქარი, რომელიც შეძლებს ჯოხის აქნევით გააჩინოს ბიულეტენები ყუთში. მას ამ საქმეში ათიათასობით ადამიანი ეხმარება მთელ საქართველოში, დაწყებული მთავრობიდან, ეგზიტპოლების სპეციალისტებითა და პედაგოგებით დამთავრებული. სხვათა შორის, განათლების სისტემა ამ წანილში ყოველ ადგილზე იყო. დღეს რატომ ვფიქრობთ, რომ არ მოხდება იმ მასტების გაყალბება, რაც უნინ მომხდარა. ამ თემაზე რეფერენცუმის დანიშვნა ძალიან სერიოზული გზავნილია იმ ადამიანების მიმართ, რომელიც ნლების განმავლობაში ჩართულები არიან ამ სიყალბის მანქანაში. ისინი ხვდებან, რომ შესაძლოა, სერიოზული ცვლილებები მოხდეს და ამიტომ, როგორც წესი, სხვა მოტივები უჩნდებათ.

გაგრძელება

გაყალბების მექანიზმის ეფექტურობა ამ დროს მნიშვნელოვნად მცირდება. მეორე, გაყალბების საშუალებას ხელისუფლებას ოპოზიციის არაკონორდნირებულობა და შეუთანხმებლობა აძლევს ხოლმე. როდესაც ისმება ძალიან მკაფიო კითხვა - გსურთ თუ არა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 2009 წლის განმავლობაში - ხერხდება ხოლმე ოპოზიციის ერთიანობის მიღწევა. ოპოზიციის ერთიანობა ხმების დასაცავად ძალიან სერიოზული ფაქტორია, რომელიც გვაძლევს იმის მიედს, რომ რეფერენდუმი ვერ გაყალბდება და მესამე, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი - მიმდინარე მოვლენებისადმი საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება, რომლის გარეშე ვერც გამარჯვება „პრავდება“ და ვერც რევოლუცია. დღეს, თუნდაც 2008 წლის იანვრის გან, სრულიად განსხვავებული დროა. რეფერენდუმის დანიშვნის შემთხვევაში, პრაქტიკულად ყველა უბანზე იქნება საერთაშორისო დამკირვებელი. მედია-მონიტორინგი უნდა ჩატარდეს არა არჩევნების დღეს, არამედ ორი თვით ადრე. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებზე მონიტორინგის სისტემაც ორი თვით ადრე უნდა ჩაირთოს, და ეს უნდა იყოს ქმედითი. საერთაშორისო სადამკირვებლო ორგანიზაციების და მისიების მონაწილეობით. და ბოლო ფაქტორი - თავად სააკაშვილის პოლიტიკური გუნდი. არ ვაპირებ იმ მინისტრებისა და პარლამენტარების გვარების დასახელებას, რომლებსაც ჩემზე მეტი არგუმენტი დაუგროვდათ იმისთვის, რომ სერიოზული ცვლილებებია განსახორციელებელი. ყველანი ვერდათ ამ პოლიტიკური გუნდის ნამსხვრევებს, ზოგს ოკეანის გაღმა, ზოგსაც - პარლამენტს მიღმა. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, ბატონი გია ნოდია რომ აღარ ენდომებათ მთავრობაში, ასეთი პოლიტიკური გუნდი რისი შემძლეა ხვალ ან ზეგ. პოლიტიკური გუნდის ერთიანობის ილუზია, მე მგონი, უკვე თავადაც დაემსხვრათ.

გიორგი გვახარია: ყველაფერი ის, რაც ჩამოთვალეთ, ალბათ მიაზე მიუ-

თითებს, თუ რატომ არ დანიშნავენ რეფერენდუმს.

დავით უსუფაშვილი: გეთანხმებით.

გია ნოლაძე: შევეცდები, მოკლედ თეზისურად ჩამოვაყალიბო სათქმელი. რაც შეეხება 1991-92 წლებთან ანალოგიას, თავის დროზე პეტრიაშვილი ვისნავლე, რომ ისტორია არ მეორდება, ასე რომ, იმ წლების მოვლენების გამორება არ მიგულისხმია. მეც ვიცი, რომ დღეს სახელმწიფოც სხვაა და საზოგადოებაც, ამიტომ მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ახლა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა ტიპოლოგიურად უფრო წაგავს იმ პერიოდის ოპოზიციის ქცევას, ვიდრე 2003 წელს.

მე არ მითქვამს, რომ ეს ხელისუფლება საუკეთესოა. ამ თქმაზე კამათი დღევანდელი თემის მიმართ რელევანტურად არ მიმაჩნია. შესაძლოა, ხელისუფლება ძალიან ცუდიც იყოს, მაგრამ ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაინც არ ამართლებს ვადამდელ არჩევნებს. ხოლო იმის თქმა, რომ 2004 წლის შემდეგ კონსტიტუცია აღარ გვაქვს და ამიტომ კონსტიტუციონალიზმზე აღარ უნდა ვიფიქროთ, არავითარ შემთხვევაში გამართლებულად არ მიმაჩნია.

დავით უსუფაშვილი: მე მხოლოდ იმის საჩერებლად გავიხსენ 2004 წლის თებერვალიც და ის პერიოდიც, როდესაც თქვენც იყავით კომისიაში, რომ მეტვენებინა, ვინ როგორ მოეპყრო კონსტიტუციას.

გია ნოლაძე: მხოლოდ ერთს დავამტებ. იმის თქმა, რომ კონსტიტუცია აღარ გვაქვს და პირდაპირ დემოკრატიაზე უნდა გადავიდეთ, დავივინყოთ კონსტიტუცია, არასწორი მგონია. რაც შეეხება რეფერენდუმის თემას - მე იმაზე არაფერი მითქვამს, ეფექტურია თუ არა იგი. ერთია ის, რომ მე არ მესმის, სამართლებრივად რა გამართლება აქვს მას და მეორეა ის, რომ ხელისუფლებას ისევე აქვს საფუძველი, არ დანიშნოს რეფერენდუმი, როგორც არ გადადგეს.

კიოთხვა დარჩაზიდან: ბატონო დავით, რეფერენდუმის დანიშვნის ლეგიტი-

მური და კონსტიტუციური გზა არის 200 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერის მობილიზება. ვიცი, თქვენ აქტიურად მუშაობდით საქართველოს კონსტიტუციის ჩამოყალიბების პროცესში. როდესაც კონსტიტუციაში იდებოდა რეფერენდუმთან დაკავშირებული საკითხები, შეკითხვაზე, თუ რატომ არის საჭირო 200 ათასი ადამიანის ხელმოწერა რეფერენდუმის დასანიშნად, იყო ახსნა, რომ ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ იგი ფართო საზოგადოების განსჯის საგანი, ფართო საზოგადოების ინიციატივა უნდა ყოფილიყო. ამით კონსტიტუციაში ხაზი ჰქონდა გასმული რეფერენდუმის მნიშვნელობას.

საინიციატივო ჯგუფის მიერ 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება კონსტიტუციური, სამართლებრივი და გასაგები გზაა. ალბათ ჯერ უფლების მიღების პროცედურა იყო საჭირო, თუ ამის გაკეთების უფლებას არ მოგცემდნენ, შემდგომ დადგებოდა ამ თემაზე პოლიტიკური დებატების გამართვის საჭიროება, შეგახსენებთ, სამი ორგანიზაციის - „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის“, „ყოფილი პოლიტიკური და ადამიანის უფლებებისათვის“ და „21-ე საუკუნის“ ინიციატივით დაისვა რეფერენდუმის საკითხი, შეგროვდა 200 ათასი ხელმოწერა და დღეს პარლამენტში 85 დეპუტატით ნაკლებია. შედეგს მივაღწიეთ საქართველოს ისტორიის უახლოეს პერიოდში. აქედან გამოდინარე, ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა, ეს გზა უფრო ფართო საზოგადოების მხრიდან ყოფილიყო არჩეული და არა ორი პოლიტიკური სუბიექტის მიერ.

დავით უსუფაშვილი: რეფერენდუმის დანიშვნის ლეგიტიმური გზა ნამდვილად არის 200 ათასი ხელმოწერის შეგროვება, მაგრამ ეს არ არის ლეგიტიმურად რეფერენდუმის დანიშვნის ერთადერთი გზა. ჩვენი კანონმდებლობით, და სამწუხაროდ, ყოველთვის ამის წინააღმდეგი ვიყავი, პრეზიდენტს შეუძლია ამ 200 ათასი ხელმოწერის გარეშეც დანიშნოს რეფერენდუმი. პრეზიდენტს აქვს სარეფერენდუმო უფლებამოსილება, რომელიც ერთ-

ერთ იმ უფლებამოსილებათაგანია, რომელიც სერიოზულად არის გადასახედი. ორივე ლეგიტიმური გზაა. რატომ ავიოჩიეთ ჩვენ გზა, რომლითაც მივმართავთ პრეზიდენტს და ვახსენებთ, რომ მას აქვს ასეთი უფლება და, ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, ვურჩევთ გამოიყენოს ეს უფლება. ამას ორი მიზეზი ჰქონდა. პირველი – მწარე გამოცდილების გამო. ვიდრე 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებას დაიწყებ, ჯერ ეს საკითხი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა დაარეგისტრირო, სადაც გადაწყვეტილება ხმების უმრავლესობით მიიღება. მეორე – რომც მოხდეს სასწაული და ცესკო-მ მოვცეს ამის უფლება, გადავდივართ ხანგრძლივ პროცედურებში, რომლის დრო და საშუალებაც ქვეყანას არა აქვს. ამიტომ მივმართეთ პრეზიდენტს, გამოიყენოს მოკლე გზა და დანიშნოს რეფერენდუმი თავისი გადაწყვეტილებით. ეს არის ჩვენი მკაფიო პოზიცია.

გია ნოდია: მინდა შევახსენო ბატონ დავითს და აქ შეკრებილ საზოგადოებას, რომ როდესაც 2003 წლის რეფერენდუმის საკითხი იდგა, ბატონი დავითი მისი წინააღმდეგი იყო და ამბობდა, რომ რეფერენდუმი არ უნდა გამართულიყო, რადგან ეს არ იყო სარეფერენდუმო შეკითხვა. ეს შეკითხვა მაშინ შეეხებოდა პარლამენტის წევრთა რიცხვის შემცირებას 150-მდე.

დავით უსუფაშვილი: კონსტიტუციური ცვლილება რეფერენდუმის გზით დაუშვებელი იყო მაშინაც და ახლაც.

გია ნოდია: ჩემი აზრით, ახლაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. კონსტიტუცია ადგენს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადებს. შესაბამისად, ახლაც არის მცდელობა რეფერენდუმით მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რაც კონსტიტუციის ენინაღმდეგება, სახელმისამართ, რეფერენდუმით შეიცვალოს საპრეზიდენტო ვადა. გამოდის, რომ რეფერენდუმით აუქმებთ კონსტიტუციას.

დავით უსუფაშვილი: ბატონ გიას მსჯელობაში არის სერიოზული ლოგი-

კა და არგუმენტაცია, მაგრამ ამ თემაზე ჩვენ ნაფიქრი გვაქვს და ის, რასაც ჩვენ ვთავაზობთ ხელისუფლებას, თავსდება იმ პრინციპში, რომ კონსტიტუცია იცვლება პარლამენტის მიერ და არა რეფერენდუმის გზით. მაშინაც, იმ საინიციატივით ჯგუფთანაც და შევარდნაძესთანაც, რომელმაც ის რეფერენდუმი დანიშნა, სერიოზული კამათი მქონდა. კონსტიტუციური ცვლილების საკითხი არ შეიძლებოდა ასე დამდგარიყო, იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტი გაუგებარ ვითარებაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, პარლამენტია ის ორგანო, რომელმაც კონსტიტუციის ცვლილებას ხელი უნდა აუნიოს და სხვა ვერავინ შეცვლის კონსტიტუციას, მეორე მხრივ, წერია, რომ რეფერენდუმის შედეგია და იურიდიულად მავალდებულებენ. ჩვენს შეთავაზებაში ასეთი პრობლემა არ ჩნდება.

მამუკა ყუფარაძე, სტუდია „რე“: ბატონი გია, თქვენ ბრძანეთ, რომ საპრეზიდენტი არჩევნებზე რეფერენდუმის დასანიშნად ძალიან სერიოზული მიზეზებია საჭირო. როგორც ჩანს, იმისთვის, რომ ხალხს ასეთი მოთხოვნილება გაუჩნდეს, მოის გამოწვევა და შედეგები სერიოზულ მიზეზად არ მიგაჩინიათ. იქნებ დაგვისახელოთ მაგალითი, სხვა რა შეცდომა უნდა დაეშვა ხელისუფლებას, რომ ლეგიტიმურად ჩაითვალოს რეფერენდუმის დანიშვნა.

გია ნოდია: იპოზიციის ან იპოზიციური ცვლილება განწყობილი საზოგადოების უკანასკნელი მიმდევა მით, რომ ხელისუფლება ცუდია, არ არის საფუძველი იმისთვის, რომ შეიცვალოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა. რათქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი ვითარება, რომ ხალხს გადაავინდეს კონსტიტუციიაც და კანონებიც და მორალური აღშფოთების ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ კონსტიტუციის არავინ დაფიქრდეს, მაგრამ მე ვერ ვხედავ დღევანდელ საზოგადოებაში აღშფოთების ასეთ დონეს. მათ შორის იმში საქართველოს ხელისუფლების ქმედებას ასეთი აღშფოთება არ გამოუწვევია. ვერც იპოზიციაში ვხედავ სერიოზულ კრიტიკას და მსჯე-

ლობას იმაზე, სახელდობრ რა გაკეთა ხელისუფლებამ ომის დროს არასწორად, და რა იყო სწორი მოქმედება პრეზიდენტის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მხრიდან ასეთ შემთხვევაში.

შორენა შავერდაშვილი, უურნალი „ცხელი შოკოლადი“: ბატონი დავით, თუ შეგიძლიათ ისაუბროთ მოვლენების განვითარების შესაძლო სცენარებზე. როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება მოვლენები და რა იქნება თქვენი მომდევნო ნაბიჯი?

გიორგი გვახარია: მეც დავამატებ ერთ შეკითხვას. როგორ წარმოგიდგნიათ თანამშრომლობა შემდგომში რადიკალურ იპოზიციასთან. როგორც ვიცით, რადიკალური იპოზიცია უკამაყოფილოა რეფერენდუმის საკითხის დაყენებით. დადგებით თუ არა 9 აპრილს რადიკალურ იპოზიციასთან ერთად?

დავით უსუფაშვილი: ჩვენი ანალიზით, მდგომარეობა უკიდურესად შემაშფოთებელია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ, რიგი მიზეზების გამო, საკუთარი თავი ისეთ ვითარებაში ჩაიყენა, როდესაც უმთავრესი პრობლემებისადმი გამკლავების უნარი აღარ შესწევს. ეს არის ეკონომიკური თემებიც, სოციალური და უსაფრთხოების საკითხები. საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ავტორიტეტის დღით დღე დაცემა სერიოზულ ბერკეტს აძლევს რუსეთს არა მხოლოდ იმისთვის, რომ სააკაშვილი შეცვალოს, არამედ იმისთვისაც, რომ ასეთ ვითარებაში მყოფი ხელისუფლების პირობებში მაქსიმუმი მიიღოს. უკიდურესად შემაშფოთებელი ვითარებაა შექმნილი კავკასიაში. როდესაც რამე ნაბიჯის გადადგმას ვაპირებთ, ვცდილობთ ამ ყველაფრის გათვალისწინებას. ეს არ არის მხოლოდ ცხინვალის და სოხუმის თემა, მხოლოდ დევნილების თემა. ეს არის საქართველოს სხვა რეგიონების თემა, თურქეთის პოლიტიკის ფორმირების პროცესი, რომელშიც უკიდურესად შემაშფოთებელი ნიშნები ჩანს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ

გამოყენება

უნდა გადანაწილდეს რუსეთსა და თურქეთს შორის ინტერესები კავკა-სიაში და ამ ვითარებაში საქართველოს და ქართველი ერის პროექტი და ინტე-რესუბი რამდენად ჯდება ან არ ჯდება. ბევრი სხვა თემა არსებობს, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, მსო-ფლიონ გეოპოლიტიკურ კონტექსტში საქართველოს თემამ მნიშვნელოვნად გადაიწიოს უკანა პლანზე.

მე ჯერ კიდევ შორს ვარ იმ აზრის-გან, რომ სააკაშვილი თავად ემსახუ-რება ვინმეს ინტერესებს, გარდა მისი-ვე საკუთარი, ჩემი აზრით, არასწორი ინტერესებისა, მაგრამ ძალან მიჭირს ბევრი მოვლენის ახსნა ჩვენი უახლო-ესი ხუთი წლის განმავლობაში, არა მხოლოდ კონფლიქტებთან, არამედ ეკონომიკასთან, რუსეთთან მიმართებაში. დღემდე გაუგებარია ჩემთვის, რა ხდება ენგურჰესის ირგვლივ. და-ახლოებით ორი თვის წინ, დეკემბრის შუა რიცხვებში, როდესაც ბ-ნ ბრაზია ბრძანდებოდა საქართველოში, მასთან გვერდა შეხვედრა და გვეუბნებოდა, რომ რუსეთის მთავარი ამოცანა ახლა ენგურჰესზე კონტროლის დამყარებაა და გვირჩევდა, მზად ცყოფილიყავით პროვოკაციებისთვის ამ მიმართულე-ბით. იანვარში უცებ ვიგებთ ენგურჰე-სის გადაცემის შესახებ, მაგრამ ვერ მოვისმინეთ ამ საკითხის ვერც არგუ-მენტები, ვერც ახსნა.

როდესაც ქვეყანა მრავალმხრივი გამონვევების წინაშე დგას, ქვეყნის პოლიტიკური სისტემა სტაბილური უნდა იყოს. ჯერ კიდევ სექტემბერში გვერდა ეს ინიციატივა, მივმართეთ ხელისუფლებას, რომ ყველა გეგმას-თან ერთად შეგვედგინა ქვეყნის შიდა პოლიტიკური განვითარების გეგმა. სექტემბრის გადმოსახედიდან ვფი-ქრობდით საპარლამენტო არჩევნებზე, ვთქვათ, ერთი წლის თავზე, 2009 წლის შემოდგომაზე. ერთი წელი ის ვადაა, რომლის დროსაც ხელისუფლება თა-ვისუფლდება წნევისგან, რომ ყოველ ნაბიჯზე ვიღაც არის ჩასაფრებული და ფეხს გამოსდებს, ამიტომ დახვავე-ბული პრობლემებისთვის მოიცლიდა. ოპოზიციაც დაინახავდა ცვლილებე-ბის შესაძლებლობას, ხალხს აუხსნიდა, რომ ქვეყნის ინტერესებისთვის ახლა

ასეა საჭირო, როგორც აგვისტოში სი-ტყვა არ დაგვცედენია ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, იმ პერიოდშიც ვამ-ბობდით, რომ გაიხსნებოდა საარჩევნო კამპანია და ეს იქნებოდა ნორმალური გადასვლა ახალ ვითარებაზე.

ჩვენი შეფასებით, სააკაშვილის ეპო-ქა, პროექტი დასრულდა. ეს პროცესი დაიწყო 7 ნოემბერს და 7 აგვისტოს დასრულდა. ეს არის ჩვენი გულწრ-ფელი დასკვნა, ამიტომ მიგვაჩნია სა-ჭიროდ ცვლილება. გვინდა, ეს ცვლი-ლება ნორმალური იყოს. მან არ უნდა გამოიწვიოს ეროვნული მასტერის დაპირისპარება და ანგარშესწორება ყოველი ოფისის დონეზე, არ უნდა გამოიწვიოს კვალიფიციური და პრო-ფესიონალი ადამიანების მოელი არ-მიის მოცილება, რაც საქართველო-ში არაერთხელ მომხდარა.

ხელისუფლებისთვის რეფერენდუმის დანიშნვასთან დაკავშირებით მიცემუ-ლი ულტიმატუმის ვადა ხვალ საღამოს იწურება, რა იქნება ზეგ, თუ პრეზი-დენტი არ გაითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნას, ჩვენ, „ალიანსი საქართველოსთვის“, მძიმე არჩევანის წინა-შე აღმოჩენდებით. ჩვენ გავაკეთებთ იმას, რისიც გვვერა. პირველ რიგში, მივალთ ჩვენს ხალხთან. ხალხი უნდა გაძლიერდეს ყველა ტიპის საფრთხის-თვის. გაძლიერებაში მის მობილიზებას და გააქტიურებას ვგულისხმობ. ყველ-გან უნდა გვეგულებოდეს ადამიანები, რომლებიც, როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, შეძლებენ პროცესე-ბზე გავლენის მოხდენას.

გიორგი გვახარია: როგორ აპირებთ ამის გაკეთებას?

დავით უსუფაშვილი: ჩვენ დავიწყეთ ბანკის მოვალეთა კომიტეტების შექმნა ყველა რაიონში. ვვიქრობთ, იმ პრო-ცესს, როგორ აიღო მოქალაქეებთ თავისი ხელფასის იმედით 500 ლარის ოდენო-ბის საბანკო კრედიტი, როგორ შეიძი-ნა მაცივარი, შემდეგ როგორ დაკარგა მის გამოსახური და ალარ აქვს ბანკისთვის პროცენტის გადახდის სა-შუალება, ბანკს კი არ აქვს მისთვის ახალი ბიზნესიდებისთვის თანხის მიცე-მის საშუალება, სახელმწიფო შორიდან

არ უნდა უყურებდეს. მით უმეტეს, რომ სახელმწიფომ იმ 4-მილიარდნა-სევრიან დონორულ დახმარებაში სა-ბანკო სექტორის დახმარებისთვის 700 მილიონით დაბმარების დაპირება მიი-ღიო. ჩვენი აზრით, ეს თანხა პირდაპირ ბანკს კი არ უნდა გადაეცეს, ამ თან-ხით სახელმწიფომ უნდა გაისტუმროს ბანკის ვალი და მოქალაქე დარჩეს სა-ხელმწიფოსთან ვალში; შესაბამისად, მოხდეს რესტრუქტურიზაცია და ამ ვალის გადახდა პირდაპირ მიებას სა-შემოსავლო გადასახადის გადახდის დაწყებას. ეს არის ის ფენა, რომელ-მაც ამ ვითარებაში რაღაც წამოიწყო. ბანკიდან სესხის აღება არ არის მარ-ტივი გადაწყვეტილება. ეს არის საშუ-ალო ფენის ჩაბასაზე, რომელიც იწყებს მომავალზე ფიქრს, ეს არის საზოგა-დოება, რომელმაც მომავალში სამუშაო ადგილი უნდა შექმნას და მერე სხვაც დაასაქმოს. ეს იყო ერთი კონკრეტული მაგალითი.

რაც შეეხება ჩვენს მონაწილეობას 9 პპრილს დაგეგმილ აქციაში, ამ თე-მაზე კონსულტაციები მიმდინარეობს. ჩვენ გვაქვს სერიოზული კითხვები იმ მოდელთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, ცხრაში შეიკრიბებიან და სააკაშვილის გადადგომამდე არ დაიშ-ლებიან. ჩვენი აზრით, ეს არასწორი გზაა, არა იმიტომ, რომ რადიკალური და დესტრუქციულია. საქმე ის არის, რისი მიღწევა შეიძლება ამ გზით. გვე-ეჭვება, ასეთ მიტინგებში გამობრძ-მედილ სააკაშვილს ძველი სტილის მიტინგებით რაიმე დაათმობინო. გვაშ-ფოთებს ის, რომ ათასგარ პროვოკა-ციაში გამობრძმედილი სააკაშვილი არ წავიდეს ისეთ პროვოკაციაზე, რომე-ლიც ცუდ შედეგს გამოიღებს. არც იმაში ვართ დარწმუნებულები, რომ ასეთ ვითარებაში რუსეთს არ მიეცემა მანევრის საშუალება. ჩვენ მასობრივ და საპროტესტო აქციებს კი არ გამო-ვიცხავთ ჩვენი არსენალიდან, გვინ-და, არ გავიმეოროთ ის, რაც ადრე ხდებოდა. 2 ნოემბერს 120 ათასი კაცი მოვიდოდა რუსთაველზე თუ 20 ათასი, არავინ ვიცოდით წინაღამეს. მთელი საქართველო შემოვიდარეთ, დაგენარება ხალხი, მაგრამ ზუსტად რამდენი ადა-მიანი მოგროვდებოდა, წინასწარ არა-

ვინ ვიცოდით. როდესაც საყოველთაო აქციაზე იწვევ ხალხს, უნდა გქონდეს იმის გარანტია, რომ კრიტიკული მასა, ჩვენს სტანდარტებში ეს 30 ათასია თუ 40, არ ვიცი, სახელით და გვარით უნდა იცოდე. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ამ აქციას პერიოდეს სოლიდურობა და არ იქმნებოდეს ისეთი სიტუაციები, როგორიც ადრე შექმნილა. ამიტომ, საპროტესტო აქცია ეფუძნული უნდა იყოს და სხვადასხვა ძალის მხრიდან პროვოკაციას გამორიცხავდეს. დღევანდელი გადასახედიდან ვერ ვხედავთ, რომ 9 აპრილს ეს თემები მოგვარეობული იქნება და შევძლებთ თამამად მისვლას და მონაწილეობას. თუმცა, თუ კოლეგები დაგვარწმუნებენ, 9 აპრილი შეიძლება დავინახოთ, როგორც სამოქალაქო სოლიდარობის და მნიშვნელოვანი პროტესტის გამოთქმის ერთ დღე.

სოფო ჭავა, ურნალისტი: თქვენი ალიანსის შექმნის მთავარი იდეა არის თუ არა რეფერენციული და არის თუ არა შესაძლებელი, რომ თუ ზეგ აღმოჩნდა, რომ ამ ულტიმატუმმა არ იმოქმედა, თქვენი გზები გაიყოს, ალასანამ განაგრძოს გზა იმ 200 ათასი ხელმოწერის მოთხოვნით, თქვენ კი აღმოჩნდეთ აქციაზე და ა.შ.?

დავით უსუფაშვილი: ალიანსის შექმნის პროცესში დაინტერესებულ წევებში, პრესაში, პოლიტოლოგებში, უამრავი თემა ტრიალებდა. რაღაც არ გვიქადენ, ამბობდნენ, რომ ეს ალიანსი არ შედგებოდა, და ა.შ. ეს არ არის მხოლოდ არაკავალიფიციურობის ბრალი. აქ აშკარად შეინიშნებოდა ამ პროცესების მართვის უხილავი ხელი. შემიძლია გთხოვთათ, რომ ალიანსი შექმნილია მინიმუმ 4-5-წლიანი პერსპექტივით. იმ შემთხვევაშიც, მოვიპოვებთ წარმატებას და ვიქენებით ხელისუფლებაში, თუ ვერა.

ეს არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ვითარებაზე, იმაზე, დაინიშნება თუ არა რეფერენციული, რა მოხდება 9 აპრილს და ა.შ. ჩვენი მისია ის არის, 2009 წლის ხელი შექუწყოთ არსებული ხელისუფლების უკეთესით შეცვლას. ამასობაში, ზოგი სხვა პოლიტიკოსის

თუ საზოგადო მოღვაწისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვსვამთ საკითხს ასე, რომ 2009 წლის 31 მაისმდე თუ სააკაშვილი არ გადადგა, მაშინ ჩვენ გადავდგებით ან ბიზნესში წავალთ და უცხოეთში გავემგზავრებით. არსად წასვლას არ ვაპირებთ, ყოველ ცისმარე დღეს კონკრეტულ ვითარებაში, რის გაკეთებასაც ჩავთვლით საჭიროდ და რისი გაკეთებაც იქნება შესაძლებელი, იმას გავაკეთებთ. ალიანსის 4-5-წლიანი ვადა უკავშირდება 4-6-წლიან საპარლამენტო ვადას და 5-წლიან – საპრეზიდენტოს. 2009 წლს თუ არის ორივე არჩევნები, ჩათვალეთ, რომ 4-5 წლის შემდეგ უნდა გაიმართოს შემდეგი არჩევნები. ძალიან ბევრი რამ ჩვენს ხედვებში სწორედ ამ ციკლს უკავშირდება. კარგი იქნება, საქართველოში გამოჩნდეს ხელისუფალი, რომელიც თვითონ შეუწყობს ხელს ვადის ამონურვის შემდეგ მშვიდობიანად და წყნარად წასვლის პრეცედენტის შექმნას.

გიორგი გვახარია: არჩევნებში ერთი ბლოკით გამოხვალთ, ბატონო დავით?

დავით უსუფაშვილი: დიახ.

გიორგი გვახარია: „ახალი მემარჯვენები“ აღარ საუბრობენ მონარქიაზე?

დავით უსუფაშვილი: მონარქია უნდა იყოს თუ საპარლამენტო რესპუბლიკა, ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. „რესპუბლიკურებს“ 1993 წლის დეკემბრიდან მოყოლებული უჯრაში გვიდეს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე აწყობილი კონსტიტუციის პროექტი. ეს პროექტი უჯრაში დარჩება და ოდესმე არქიტექტურაში მიშემთხვევაში, თუ ხელისუფლებაში არ მოვედით. დღევანდელ ვითარებაში ალიანსისთვის სმის მიცემით თქვენ არ წყვეტთ მონარქიის, რესპუბლიკის, საპრეზიდენტო და ასეთ საკითხებს. ეს საკითხები უნდა გადაწყვდეს კონსტიტუციური ცელის გზით. როგორიც კონსტიტუციური სისტემა უნდა არსებობდეს ქვეყანაში, მონარქიული თუ საპარლამენტო, მგონი, რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს, რომ მერე ამ სისტემას დაეფუძნოს ის

ცვლილებები, რომელსაც პარლამენტი მიიღებს. ჩვენი ვარაუდით, ამ თემაზე ხელისუფლებაში მოსვლიდან ძალიან მაღეუნდა ჩატარდეს რეფერენციული, რათა შემდგომში ხელისუფლებამ შეასრულოს ეს ფუნქცია და გამართოს კონსტიტუცია, რომ მომდევნო საარჩევნო ციკლი დანაწყოს იმ სისტემაში, რომელიც ხალხის მიერ იქნება ხელდასმული. ეს შემდგომში განსახილებელი საკითხებია.

შორენა შავერდაშვილი: – თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, ჩვენი პირველი გადასაჭრელი ამოცანა უნდა იყოს, მონარქია გვინდა თუ რესპუბლიკა?

დავით უსუფაშვილი: – არა, მე ეს არ მითქვამს. ჩვენ გვაქვს სამ ეტაპად გაყოფილი საკონსტიტუციო რეფორმა. ხელისუფლებაში მოსასვლელად არსებულ კონსტიტუციას უნდა გაჰყვეონ, „რესპუბლიკურებს“ რომ პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები არ მოგენონს და გვინდა, რომ აღარ იყოს, არ ნიშნავს იმას, დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა არ მივიღოთ. მაშინ ვერასოდეს მიხვალ იქამდე, რომ ამ საკითხს ხელი მოკიდოთ. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჩვენი პირველი კამპანია იქნება სწორედ სამეტაპიანი საკონსტიტუციო რეფორმის კამპანია.

პირველი ეტაპია პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ბალანსის დამყარება. ეს ბალანსი პირველ ეტაპზე არის პორტონტალზე – პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი, სასამართლო ხელისუფლება.

მეორე ეტაპია ვერტიკალური, რეგიონულ სამხარეო მმართველობაზე გადასვლა, რაც რეგიონებში არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოების გაჩენას გულისხმობს. ანუ გულისხმობს რეგიონებში აღმასრულებელ სისტემაში ძირითადად ადგილობრივი არჩევითი მონაბრძოლის წასუხისმგებელი პირის გაჩენას, რომელსაც ცენტრი და ექნება გარკვეული ბერკეტი და პასუხისმგებლის, თვითმმართველობის პირების დონის გაჩენას და მათ შორის უფლებამოსილების გამიჯვნას. დღეს სააკაშვილი იმიტომ კი არ არის უგვირგვინო მეფე, რომ პარლამენტი

გამოყენება

არ ჰყავს, იმიტომ არის, რომ სხვა არა- ვინ არის მის ქვემოთ.

მესამე ეტაპია კონსტიტუციური მო- ნარქიისა და ასეთი საკითხები. მოხა- რული ვიწერები, თუ ჩვენს ქვეყანაში ამ თემებზე დისკუსიები გაიმართება და ის იქნება მთავარი განასახილველი საკითხი, მონარქიისა და რესპუბლიკის მომხრე- ბი რატომ და როგორ არიან ერთად.

დავით პაიჭაძე, უურნალისტი – რა- მდენიმე დღის წინ ჩემს გადაცემაში სტუმრად მყოფა ბატონშა დავით ზურაბიშვილმა თქვა, რომ არ უშვებს იმას, რომ უახლოეს მომავალში ხელი- სუფლება არ წავა. ჩემი აზრით, პოლი- ტიკოსმა უნდა გათვალოს და დაუშვას სხვა გარიანტებიც. შესაბამისად, ვფი- ქრობ, რომ ხელისუფლების წინააღ- მდეგ და მისი გადადგომის სასარგე- ბლოდ თქვენი არგუმენტები უკმარია და ისინი არ წნევება იმ პერიოდს და ვითარებას, თუ ხელისუფლება უარს იტყვის წასვლაზე. როგორ ფიქრობთ, კიდევ რაში შეიძლება ხელისუფლების კრიტიკა და რატომ არ ამხელთ, თუკი არსებობს სხვა არგუმენტებიც. რატომ არ ამზადებთ საზოგადოებას სხვაგვა- რი საბუთებისთვის, მსჯელობისთვის, რომელიც შეიძლება თქვენ გამოგად- გეთ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუ- ფლება არ დაემორჩილება იმ ზენო- ლას, რომელსაც მას ახლო მომავალში ჰპირდებით.

ბატონ გია ნოდიასაც მინდა მივმარ- თო. გასაგებია, რომ ხელისუფლება ზოგი შეფასებით ფრთხილი, ზოგი- თაც, შეშინებული და ძალაგამოცლა- ლია, მაგრამ შედეგი ერთია. ჩვენ ვხე- დავთ, რომ რეფორმები ძევვრ სფეროში დამუხრუჭებულია და წინ არ ინვეს. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად ჩნდე- ბა კითხვა, რად გვინდა ხელისუფლება, რომელიც ვერ ასრულებს შეპირებულ რეფორმებს. ამ კუთხით თუ შევხე- დავთ, რატომაც არ უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები. ოპოზიციიდან რეფორმების შეჩერების გამო კრიტიკა არ გვესმის.

დავით უსუფაშვილი: მე უკვე ვთქვი, რომ თუ ხელისუფლება არ წავა, ჩვენი ალიანსი აპირებს ბრძოლისა და შრო-

მის გაგრძელებას. მე ამაზე მკაფიო პასუხი მაქვს. ამასთან, ვალდებულიც ვარ, რაღაც თემების მიმართ მქონ- დეს ჩემი პოზიცია და აზრი, მქონდეს მომავლის მონახაზი და პროგნოზი. დღესაც ვალდებული ვარ, ვთქვა, რომ ხელისუფლება რაც შეიძლება მალე შშვიდობინად არის წასასვლელი. თუ არ წავა, ჩვენ გვიცხოვრია სხვა ხელი- სუფლებების პირობებშიც, რომლებიც არ წასულან, მაგრამ მერე საბოლოოდ ცუდად წასულან.

მეორე საკითხი, თუ რატომ არ ვა- მხელთ ხელისუფლებას რამე დამა- ტებითი არგუმენტებით. თუ სიტყვა „რეფორმა“ დეფიციტია ჩვენს რიტო- რიკაში, ამ შენიშვნასაც გავიზიარებთ და ხშირად ვისაუბრებთ იმაზე, რომ რეფორმა არ გატარდა სასამართლო სისტემაში, მასმედის თავისუფლე- ბის საკითხში, საარჩევნო საკითხებში. დღემდე არ გვაქვს ისეთი პირადობის მოწმობა, რომლითაც შესაძლებელი არ იქნება გაყალბება, ამ პატარა ბარათის დაბეჭდვა ხელისუფლებამ ხუთი წლის განმავლობაში იმიტომ ვერ მოახერხა, რომ თუ მასში მაგნიტური ლენტი მო- თავსდება, კარგად დავითვლებით და გაყალბების საშუალება აღარ იქნება. არ გატარებულა რეფორმები არც ეკო- ნომიკის, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში. მიუხედავად ჩემი მწვავე დამოკიდებულებისა ბატონი ბენდუ- ქიძის მიმართ, ამ ადამიანის გარდა, ხელისუფლებაში ვერ ვნახე ვერავინ, ვისაც რამე აზრი ექნებოდა რეფორ- მებზე. იქნებ ბატონმა გიამ გვიპასუ- ხოს, როგორ გატარდა რეფორმები განათლების სისტემაში. როდესაც იგი დაინიშნა განათლების მინისტრად, თა- ვად აკრიტიკებდა რეფორმას ამ სის- ტემაში.

გია ნოდია: ის, რომ მინისტრობის პერიოდში პირველი ორი კვირა თავად ვაკრიტიკებდი რეფორმებს, სიმარ- თლეს არ შეესაბამება. ვამბობდი, რომ რეფორმების ფალეფეული ელემენტი, ვთქვათ, ლოტოტრონის გამოყენება სკოლის დირექტორების დანიშნისას, გადასასიჯია, და ამამიც გულწრფელი ვიყავი. თუმცა, გამუდმებით ვამეორე- ბდი, რომ სამინისტროში ჩემი მოსვლის

მიზანი რეფორმის არსებული კურსის გაგრძელება იქნებოდა. აქვე დავთან- ხმები ბატონ დავითს, რომ წინასარ- ჩენოდ მართლაც იყო პოპულისტური ზენოლის შემთხვევები განათლების სისტემაზე, მაგრამ რეფორმების კურ- სი მაინც არ შეცვლილა.

როგორც ანალიტიკოსს, შემიძლია, შევუერთდე კრიტიკას, რომ შემცირ- და რეფორმის ტემპი. მაგრამ საკი- თხის ასე დასმას, რომ თუ ხელისუ- ფლება ვერ ასრულებს რეფორმებს, რა საჭიროა მისი ხელისუფლებაში ყოფნა, ორი პასუხი ექნება. ერთი ის, რომ მართალია, შემცირდა რეფორ- მების ტემპი, მაგრამ რაღაც რეფორ- მები მაინც მიმდინარეობს, და მეორე არგუმენტი ის იქნება, რომ ამ ხელი- სუფლებას ამ რეფორმების კონსოლი- დაცია მაინც შეუძლია, ხოლო პო- ზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში რეფორმების შექცევა მოსალოდნებლი. და ზოგადი დასკვნა – დავრწმუნდი, რომ ბატონ დავით უსუ- ფაშვილს გულწრფელად არ მოსწონს ეს ხელისუფლება და ძალიან უნდა დაარწმუნოს პრეზიდენტი სააკაშვი- ლი, დანიშნოს რეფერენცუმი, მაგრამ იმაშიც დავრწმუნდი, რომ ამ ალიანსს არ გააჩნია ნათელი სტრატეგია ამ მი- ზინის მისაღწევად.

კითხვა დარბაზიდან: ბატონი დავით, თქვენ ისაუბრეთ პრობლემებზე, ჩამო- თვალეთ სფეროები, სადაც არ გატა- რებულა რეფორმები. მაინტერენციას, თუ გაკეთდა რაიმე დადებითიც.

დავით უსუფაშვილი: ბევრი კარგიც გაკეთდა და იმედი მაქვს, ამ კარგის გადარჩენას შევძლებთ და სააკაშვი- ლის წასვლას არ მოჰყვება ამ კარგის გაფუჭება. იმედი მაქვს, რომ ქვეყანა- ში დარჩება იმის შესაძლებლობა, რომ გორამდე მიყვანილი გზა ფოთამდე ჩავიდეს და სააკაშვილის წასვლასთან ერთად არ დასრულდება მისი კეთება. საპატრულო პოლიციის საკითხშიც, ყველანი ვხედავთ, რომ ბევრი რამ გაკეთდა. იქ, სადაც იყო მონდომება, იყო სერიოზული წინსვლაც. უნდა ალ- ვნიშნო უმაღლეს სასწავლებლებში კო- რუფციასთან სერიოზული ბრძოლა. ეს

მართლაც მნიშვნელოვანი პროგრესია, თუმცა მას მოჰყვა ბრძოლა ბევრ სხვა რამესთან და დღეს საერთოდ გვაქვს თუ არა უმაღლესი განათლების სისტემა, ალარც კი ვიცი. იყო სერიოზული წინსვლა მიმართულების დანახვის თვალსაზრისით. მაგალითად, გადაიდგა ნაბიჯები საიმისოდ, რომ სახელმწიფომ მუდმივად არ ათრიოს საპენსიო ტვირთი, მაგრამ მერე შეჩერდა და ახლა ეს ყველაფერი საბიუჯეტო ტვირთად არის ქცეული. ბევრი რამ მონესრიგდა სავარო რეესტრში, ბევრი რამ ალირიცხა, თუმცა ყველა პრობლემა არც იქ მოგვარებულა. ბევრი სხვა რამეც გაკეთდა, საგარეო ასპარეზზე საქართველოს საქმე გავიდა. საქართველო იქცა ინტერესის სფეროდ და ადგილად, მაგრამ გაკეთებულზე ათჯერ მეტი გაფუჭდა და ამ გაკეთებულსაც წყალი აქვს შეყენებული. საგადასახადო სისტემაც უკეთესი გახდა, მაგრამ ამის პარალელურად დამკვიდრდა და აყვავდა არაფორმალური გადასახადების სისტემა. ის, რომ არაფერი გაკეთებულა, შეიძლება მხოლოდ ამ ქვეყნის მტერმა თქვას.

ნინო ბექიშვილი, უურნალი „ცხელი შოკოლადი“: ჩვენ ყველანი, შეიძლება ითქვას, შიშით ველოდებით 9 აპრილის მოსვლას და საპროტესტო ტალღის აგორებას. 2007 წლის ნოემბერში ბევრი ისეთი ფაქტორი იყო, რომელიც დღეს აღარ არის. ხალხიც უფრო გაბრაზებული იყო, ოპოზიციასაც გაცილებით დიდი ბერკეტი ჰქონდა „იმედისა“ და ბადრი პატარკაციშვილის თანხის სახით. იყო ირაკლი იქრუაშვილიც, რომლის სატელევიზიო გამოსვლების შემდეგ ტემპერატურა საგრძნობლად მატულობდა. ახლა თითქოს ასეთი ალარაფერი სდება. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ასეთ პირობებში სერიოზული საპროტესტო ტალღის აგორება.

დავით უსუფაშვილი: პოლიტიკური პროცესების აპოკალიფსური დღის გამოცხადებად, გაბრწყინებად ან დაბნელებად დანახვა, არა მგონია, სწორი იყოს. არა იმიტომ რომ ხალხის უკმაყოფილების დონე ნაკლებია ადრინდელთან შედარებით. სიცხარის შეტანის, თუ პოლიტიკურ კერძზეა საუბარი, ათასერთი რეცეპტი აქვს

ოპოზიციას. ეს არ არის პრობლემა. მაგრამ ამან სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს, ეს არის საქმე. ბევრი რამ შეიძლება მოიძებნოს, რაც ხალხს ენთუზიაზმს შესძენს, მაგრამ ამით რისი მიღწევა შეიძლება დღევანდელ ვითარებაში, ეს არის მთავარი. არ მგონია, რომ საზოგადოების მობილიზების პოტენციალი 7 ნოემბერთან ან 2008 წლის სექტემბერთან შედარებით დღეს ნაკლები იყოს.

კვლევების მიხედვით, 4-5-ჯერ არის გაზრდილი იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც მზად არიან, საპროტესტო აქციებს შეუერთდნენ და ეს ნიშნული ნოემბრის მობილიზების რაოდენობას უტოლდება. საპროტესტოდ განწყობილი 100 და 200 ათასი კაცი ქვეყანაში სათანადო მართვით ყოველთვის მოიძებნება. მაგრამ არ ვიცი, რამდენად მართვადი იქნება ეს ყველაფერი. მე არ ვარ 9 აპრილის აქციის ორგანიზატორ; შესაძლოა, ვიყო აქციის მონაწილე, ისიც იმ შემთხვევაში, თუ დავდგები მძიმე არჩევანის წინაშე. ვფიქრობ, ნებისმიერ შემთხვევაში, საფრთხეები აცილებული იქნება. ■



<<< დასანყისი გვ. 94

ორივე შემთხვევაში კი მოხდა მისი სახელის განდევნა, - ამ სიტყვის ფსიქო-ანალიტიკური მნიშვნელობით. ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებაში განდევნილია, მაგალითად, საკუთარი მამის მკვლელობის სურვილი, რომელიც ცნობიერიდან განდევნით არაცნობერში გადაინაცვლებს და იქიდან სახეცვლილი, უმეტეს შემთხვევაში, ნევროზების სახით, უკან ბრუნდება. ნევროტული სიმპტომების ანალიზი კი ისევ იმ „პირველადი სცენის“ აღდგენის საშუალებას გადალევს, რომლებიც ადამიანის დაფარული მოტივაციების გაგებას შეგვაძლებინებდა. ამდენად, ქართული სტალინიზმის ანალიზით უკანასკნელი ოცნებულის ქართული ნაციონალიზმის გაგებაც უნდა იყოს შესაძლებელი, რომლის ყველაზე დიდი ფუნდამენტი სტალინის დროს,

სტალინის აქცენტი და ქართული ენის აკოკალიფი

გამოქველება

ზოგჯერ კი უშუალოდ სტალინის მითითებით შეიქმნა. თუმცა კონცეფციებსა და იდეოლოგიურ დირექტივებზე მნიშვნელოვანი თავად საიდენტიფიკაციო ფიგურაა, რომელიც არა რომელიმე პრეისტორიული და მითოლოგიური არსება, არამედ ცოცხალი ადამიანი, რომლის სხეული და მეტყველება ყველა მითოსის სათავეა. ანუ მითები სტალინის პიროვნებაზე მის პიროვნულ ნიშნებზე ფიქ-საციით და ამ ნიშნებზე ასოციაციური ფანტაზიების შედეგად წარმოიშობა. ფანტაზიების შინაარსი კი ფსიქოლოგიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი გარკვეული სურვილებისა თუ ოცნებების სიმბოლური გამოხატულებებია.

როგორც უკვე ითქვა, სტალინის, როგორც ქართველი ეროვნული იდენტობის ფიგურის ფაქტორი, ქართველ ადამიანს არა მხოლოდ სიამაყის გრძნობას უღვივებს მისი სახელოვანი შვილის გამო, არამედ მას განსაკუთრებულ ადგილსაც ანიჭებს დიდ საბჭოთა ოჯახში, რომელშიც რუსი კი უფროსი ძმაა, მაგრამ „ყველა ხალხის მამა“ ქართველია. თუმცა კი მხოლოდ ამის ცოდნა საკმარისი არაა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ქართველ „მამას“ არც გვარი აღარ ა აქვს ქართული და აღარც ქართულ ენაზე მეტყველებს. სტალინის ქართველობის ერთადერთი უტყუარი „შიბოლეთი“ მისი აქცენტია, რომელიც ქართველ მსმენელში არა მხოლოდ აკუსტიკურ სიამოვნებას აღძრავს, არამედ მას ქართულ კულტურულ მეხსიერებაში რელიგიური განზომილებაც შეიძლება მოექცენოს. გავიხსენოთ ის, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით: სტალინის მმართველობა ქრისტიანული ესქატოლოგიის სიუჟეტის ნიშნებს იმეორებს, რომლის მიზანიც მესისის მეორედ მოსკოვით „ღმერთის ხელმწიფების“ – კომუნიზმის აშენებაა. ამავე სიუჟეტის მიხედვით მას წინ უსწრებს „განკითხვის უამი“, რადგანაც ამ მარადიულ სამეფოში მხოლოდ მართალი მოპოვებენ დამკვიდრების უფლებას. „მართლისა“ და „არამართლის“ გარჩევა კი „განკითხვის უამის“ თავად მესისის გადასაწყვეტია. 1937 წლის რეპრესიების მიზანიც საბჭოთა ხალხის მტრებისგან გასუფთავებაა. „მტრები“ და „მავნებლები“ კი 37 წლის ლოგიკით ასეთ

ბოროტმოქმედებებამდე ერთადერთი ჭეშმარიტი აზროვნებიდან გადახვევამ, იდეოლოგიურმა ერეტიკოსობამ მიიყვანა. „ტროცკიზმი“ და „მემარჯვენე უკლონიზმი“ ხომ ზუსტად ისეთივე მწვალებლობებია, როგორებიც ორთოდიქსი ქრისტიანობისათვის ნებისმიერი თავისუფალი გადახვევა ერთანი ეკლესიური დოგმატიკიდან.

მილიონობით ადამიანის ფიზიკური განადგურება, რომელიც სტალინის ყველაზე ცნობილი ნამოქმედარია, არანაირ რაციონალურ ახსნას არ ექვემდებარება და ამ ქმედების ერთადერთ აზრს შეიძლება მხოლოდ მისი განკითხვის უამად წარმოდგენა იძლეოდეს. ამ მოვლენას კი ქართულ რელიგიურ ცნობიერებაში სპეციფიური მნიშვნელობა აქვს, რომლის თანახმადაც კაცობრიობის განკითხვა ქართულ ენაზე უნდა წარიმართოს. ახლა ამ კონტექსტში წავიკითხოთ მე-10 საუკუნის ქართველი ბერის ოანე-ზოსიმეს ცნობილი სიტყვები: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. მესია-სტალინი რუსულად მეტყველებს და ამ ენაზე განიკითხავს საბჭოთა ხალხებს, მაგრამ ქართული აქცენტი! ქართული ენა დამარხულია რუსულში, რომლიდანაც იგი სტალინის ქართულ აქცენტად არსდგება და მსაჯულად ევლინება კაცობრიობას. თუკი სტალინის ქართული წარმომავლობა ქართველს საბჭოთა ხალხთა ოჯახში „მამის“ ადგილს უძებნის, მისი აქცენტი შუა საუკუნეებს ქართული მესიანისტური წინასარმეტყველების აღსრულების შეგრძნებასაც ბადებს. ასეთი ხორციელი სამოვნების განცდა, რომელსაც თვით ქართველი ანტისტალინისტებიც კი ვერ მაღავენ და რომელსაც სტალინის მიერ აუღერებული რუსული ბადებს, იმდენად ინტიმური გრძნობაა, რომელიც პირდაპირ გამოსახვას არ ექვემდებარება და მისი რეკონსტრუქცია თუ წარმოდგენა მხოლოდ აფექტურის საბჭოთა ხალხის მისი მიმდევით შეიძლება მოექცენოს. გავიხსენოთ ის, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით: სტალინის მმართველობა ქრისტიანული ესქატოლოგიის სიუჟეტის ნიშნებს იმეორებს, რომლის მიზანიც მესისის მეორედ მოსკოვით „ღმერთის ხელმწიფების“ – კომუნიზმის აშენებაა. ამავე სიუჟეტის მიხედვით მას წინ უსწრებს „განკითხვის უამი“, რადგანაც ამ მარადიულ სამეფოში მხოლოდ მართალი მოპოვებენ დამკვიდრების უფლებას. „მართლისა“ და „არამართლის“ გარჩევა კი „განკითხვის უამის“ თავად მესისის გადასაწყვეტია. 1937 წლის რეპრესიების მიზანიც საბჭოთა ხალხის მტრებისგან გასუფთავებაა. „მტრები“ და „მავნებლები“ კი 37 წლის ლოგიკით ასეთ

მიღებული არაა. თუმცა კი აფექტულიდან, რომლებიც ფსიქოლოგიური ბუნებისა, ისტორიები ითხზება. ისტორიების გაჩენას კი ბიძგს გარკვეული გარემოებები აძლევს. სტალინის ქართული აქცენტი უკვე ასეთი გარემოების შემქმნელია, რომელშიც ყველაფერს ამაქცენტიანს განსაკუთრებული ადგილი უკავია: ესაა რუსული საბჭოთა კანო, სადაც აუცილებლად ქართულმა აქცენტმაც უნდა გაიუღეროს, რაიხსთავგზეც ქართველმა უნდა ააფრიალოს გამარჯვების წითელი დროშა... 1934 წელს მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა ქართული ლიტერატურის ზეიმადაც იქცევა: სიტყვით გამომსვლელთა დიდი ნაწილი თავს ვალდებულად გრძნობს ქართულ ლიტერატურას ორიოდე სიტყვით მაინც ხოტბა შეასხას, უკრაინის მწერალთა დელეგაციის ხელმძღვანელი კი, იმის ნაცვლად, რომ უკრაინული ლიტერატურა წარადგინოს, თითქმის მთელ თავის მოხსენებას ქართული მწერლობის ქება-დიდებას უთმობს; 1943 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა ხელისუფლების წლისთავების მილოცვაზე გადადის, რუსეთის ეკლესია სიიდანაც იღებს 1917 წელს გამოცხადებული ავტოკეფალიის აღიარებას. 1948 წელს კი კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ასეთ წერილს უგზავნის ბერადს: „კაცთა შორის რჩეულო! ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო საკუთარი თვალით მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბერად არ მარგუნა ეს ბედნიერება, ალბათ ამისი ღირსი არა ვარ. მიიღეთ ძვირფას იოსებ, საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა მშობელი ეკლესიის საბჭოთა კავშირში არსებული შეკვენისათვის, ხოლო ჩემი კადნიერი კაცობრიობაა, რომელიც პირდაპირ გამოსახვას არ ექვემდებარება და მისი რეკონსტრუქცია თუ წარმოდგენა მხოლოდ აფექტურის საბჭოთა ხალხის მისი მიმდევით შეიძლება მოექცენოს. გავიხსენოთ ის, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით: სტალინის მმართველობა ქრისტიანული ესქატოლოგიის სიუჟეტის ნიშნებს იმეორებს, რომლის მიზანიც მესისის მეორედ მოსკოვით „ღმერთის ხელმწიფების“ – კომუნიზმის აშენებაა. ამავე სიუჟეტის მიხედვით მას წინ უსწრებს „განკითხვის უამი“, რადგანაც ამ მარადიულ სამეფოში მხოლოდ მართალი მოპოვებენ დამკვიდრების უფლებას. „მართლისა“ და „არამართლის“ გარჩევა კი „განკითხვის უამის“ თავად მესისის გადასაწყვეტია. 1937 წლის რეპრესიების მიზანიც საბჭოთა ხალხის მტრებისგან გასუფთავებაა. „მტრები“ და „მავნებლები“ კი 37 წლის ლოგიკით ასეთ

კათალიკოზ-პატრიარქისაგან“.
ჩემი
აზრით, ეს წერილი არანაირად არ არის
კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს
სადისკურსიტაციო მასალა, არამედ
ესაა ქართული საბჭოთა პოლიტიკური
თეოლოგიის რეზიუმე: „კაცთა შორის
რჩეული“, „მსოფლიოს უდიდესი ადა-
მიანი“ და „მაშვრალთა წინამძღვარი“
არის „ჩეგნი ხალხის სიამაყე“, „იოსებ
ქართველი“. ამით იხატება მესიანური
ხელმინიფის ხატი, რომელიც სტალინი-
სავე განსაზღვრულ ეროვნულ ნიშანს
ატარებს: იგი ქართველია! ეს კი, სა-
ბოლოო ჯამში, ის ქვაა, რომელზედაც
მესიანისტური შეფერილობის ქართუ-
ლი ნაციონალიზმი და პოლიტიკური
მართლმადიდებლობა აიგება.

სტალინი და „ალმოსავლურ(– ძართულ)ი რევესანები“

„იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ
ითქმის სახელი?“ – ილია ჭავჭავაძე
„და შენც ქართველო სწავლითა, სამშო-
ბლო გაახარეო.“ – იოსებ ჯულაშვილი

ქართული ნაციონალიზმი, რომელიც
თანამედროვე საქართველოში წამყანი,
დომინანტი პოლიტიკური იდეოლოგიაა,
მე-19 საუკუნეში ჩაისახა, ხოლო სახე
მიიღო და გაფორმდა საბჭოთა პერიო-
დში. მისი ავტორი სრულიად საქართვე-
ლოა, – „განათლებულიც“ და „გაუნა-
თლებელიც“, – გარემოების შემქმნელი,
ტონალობისა და მიმართულების მიმცე-
მი საინტეგრაციო ფიგურა კი ყველაზე
ცნობილი ქართველი – იოსებ სტალინი,
რომლის არსებობის ფაქტიც ქართუ-
ლი ნაციონალიზმის ინერციის წყაროა,
რომელიც ამ იდეოლოგიის მთელი წარ-
მოსახვითი სამყაროს მასშტაბებს, მისი
პროექციებისა და ფანტაზიების ხა-
სიათს განსაზღვრავს. სტალინის პირო-
ვნული როლი ამ საქმეში ძირითადად
პასიურია, ანუ სტალინი თავადაა პრო-
ეციების საგანი, რომლის პიროვნული
სიდიადე ქართველთა წარმოსახვაში
მთელ საქართველოზე გადმოდის. თუ-
მცა არც მისი უშუალო თანამონანი-
ლებაა დასავინყებელი, რომელიც,
როგორც ყველგან, ისე ამ სფეროშიც
მიმართულებებსა და კონტურებს იძ-
ლება. 1937 წელს სტალინის მითითებით
საქართველო ზეიმობს ილია ჭავჭავაძის

100 წლის იუბილეს, რითიც საფუძველი
ეყრდნა ილია ჭავჭავაძის ოფიციალურ,
თავად ბელადის მიერ კურთხეულ
კულტს და, შესაბამისად, ამ პიროვნე-
ბის იდეოლოგიური გაყლობების ტრა-
დიციას. 50 წლის შემდეგ ილია ჭავჭავა-
ძის წმინდანად კანონიზაცია სტალინის
მიერ დაწესებული კულტის საკრალურ
ტერმინოლოგიაზე თარგმნალა იყო, რის
შედეგადაც, საბოლოო ჯამში, ილიას
ლოუზუნგებისა და დევიზების წყაროდ
დაკონსერვება მოხდა. ილია ჭავჭავა-
ძის კულტს სტალინის დროს არა მხო-
ლოდ „კულტურული გმირის“ სტატუსი
ენიჭება, რომლის ფუნქციებიც ეროვ-
ნული კულტურის ფუძემდებლობითა
და მისი ეტალონობით შემოიფარგლე-
ბა, არამედ იგი ბიძლიური პროფესიის
მსგავსადაც გაიაზრება, რომელმაც ბა-
ზალეთის ტბის ძირას მდგარი ოქროს
აკვიდან ქართველი მესიის დაბადება
ინიციანარმეტყველა. ამ უსახელო ყრ-
მის, – „ვისაც დღე-და ღამ ჰატრუ-
ლობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“, –
სტალინთან გაიგივებით სტალინიზმი
ქართულ ხალხურ მესიანიზმად გარ-
დაიქმნება, რომელიც მე-20 საუკუნის
საქართველოში ყველაზე გავრცელე-
ბული ხალხური რწმენა-წარმოდგენაა.
მას, ქრისტიანობისგან განსხვავებით,
ბეთლემის საქართველოში სიმბოლური
გადმოტანა არ ესაჭიროება, რადგანაც
იგი ისედაც საქართველოშია და მას
სახელად გორი ჰქია. ასეთი წინაპი-
რობებიდან სრულიად ლოგიკური უნდა
ყოფილიყო მოგვანებით პერესტროი-
კის ხანში ლეგალიზებული ქართული
მესიანიზმის მიერ უკვე „ზეციური იე-
რუსალიმის“, რომელიც იოანეს „გა-
მოცხადების“ თანახმად ანტიქრისტეს
დამარცხების შემდეგ ზეციდან მიწაზე
დაეშვება, „ზეციურ საქართველოდ“
პაროდიზება, ისევე, როგორც „საქარ-
თველოს გაბრძყინებაში“ სტალინური
ესქატოლოგიის მთავარი პრინციპის –
ერთ, რჩეულ ქვეყანაში კომუნიზმის გა-
მარჯვების ტრანსფორმაცია (გასახსე-
ნებელია, რომ სტალინური პროპაგანდა
კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს
გაბრძყინების სიმბოლოებით გამოსა-
ხავდა).

სტალინის სიცოცხლეშივე იწყებს
განვითარებას ქართული აკადემიური

ნაციონალიზმიც, რომელიც, განსხვა-
ვებით ხალხური რწმენა-წარმოდგენე-
ბისაგან, ბევრად უფრო მიწიერია და,
უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიაზე,
როგორც ერთ ენაზე მოლაპარაკეთა
ისტორიულ საკუთრებაზე პრეტენზიას,
პოლიტიკურ არგუმენტად ამზადებს,
რომლის საფუძველიც სწორედ ერის
სტალინური განსაზღვრებაა. ამ არგუ-
მენტის პირველი აპრობაცია იყო 1945
წლის 14 დეკემბერს ჯერ გაზეთ „კო-
მუნისტში“, ხოლო 20 დეკემბერს „პრა-
ვდასა“ და „იზვესტიაში“ გამოქვეყნე-
ბული ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ
ჯანაშიას ერთობლივი სტატია – „თურ-
ქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენ-
ზიების შესახებ“, რომელიც თურქეთის
ტერიტორიაზე მდგარა საქართველოს
ისტორიულ ნაწილებს ეხებოდა. 1945
წლის ოქტომბერში ბელადი თავის აგა-
რაკებ ხვდება ამ ორ, იმ დროს ყველაზე
ავტორიტეტულ ქართველ ისტორიკოსს
და პირდაპირ რჩევებს აძლევს მათ
იმის თაობაზე, თუ რა მიმართულე-
ბით უნდა გაგრძელდეს საქართველოს
ისტორიის კვლევა. ნიკო ბერძენიშვი-
ლის მოგონებების თანხმად, სტალი-
ნი განსაკუთრებით დაინტერესებული
ყოფილა ქართველთა ეთნოგრენზისას
და ევროპისა და ნინა აზიის უძველეს
მოსახლეობასთან ქართველთა ნაოე-
საობის კვლევებით: „ქუშმარიტებაა –
ტერმინი „ქართველი“ უნდა გაფართოვ-
დეს. ეს აუცილებელია, როგორც ისტო-
რიული მეცნიერების თვალსაზრისით,
ისე ადრინდელი საქართველოს პოლი-
ტიკის თვალსაზრისით... ჰერიტაჟდა სი-
მონს: შეიძლება – ხეტსკო-გრუზისკაია
გრუპა ნაროდოვ?“ ამავე შეხედრაზე
სტალინი განსაკუთრებული ინტერესით
საუბრობს დავით ალმაშენებლზე. მის
აღტაცებას ინვევს დავითის სიძლიერე
და ძალის პოლიტიკა: „ჩვენ ანიმიტიზმი!
– აცხადებს ბელადი. მას ასევე აუცი-
ლებლად მიაჩინა, რომ საქართველოს
ისტორიის წერისას ხაზი გაესვას ქარ-
თველთა კულტურულ აღმატებულობას
მათ სამხრეთელ მტრებსა თუ მეზო-
ბლებზე... ნიკო ბერძენიშვილი ასკვინის:
„სტალინი განუხელად ქართველი პა-
ტრიოლი იყო!“ ცნობილი ისტორიკოსის
ეს განცხადება, პირველ რიგში, თავად
პატრიოტიზმის იმ შინაარსს გამოხატა-

გამოცემება

ვს, რომლის საქართველოში დამკვიდრებასაც სტალინის „ხელნერა“ ამჩნევია. სტალინი თუმცა თვით ქართველ მეცნიერებთანაც კი რუსულად ლაპარაკობს, მაგრმ მას მუდამ თან დაჰყვება მისი შიბოლეთი – ქართული აქცენტი, რომელიც მისი წარმომავლობის მაჩვენებელია. იდენტობის ეს ფორმა კი არა-ნაირ უარყოფას არ ექვემდებარება, რის გმოც დიდი სტალინი მუდამ პატარა საქართველოსთან ასოციაციაში დარჩება. ასეთ ვითარებაში საჭიროა თავად საქართველო წარმოჩნდეს დაიდი. სტალინი იძულებულიც კია შეცვალოს მისი შიბოლეთის ის შინაარსობრივი დატვირთვა, რომელიც მე-19 საუკუნის რუსულმა იმპერიალიზმა შექმნა და რომელიც საქართველოს და მთელ კავკასიას ველური, უკულტურო ტომებით დასახლებულ ტერიტორიად აღიქვამდა. სტალინს საქართველოს სიდიადე მისი საკუთარი მაღალი, კულტურული წარმომავლობის საჩვენებლად სჭირდება, რაც პირდაპირი პასუხიცაა რუსულ წაციონალ-ბოლშევიზმზე, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ნიკოლაი ბუხარინი რუსი ეროვნების ადამიანების სხვა საბჭოთა ეროვნებების ადამიანებზე კულტურულ აღმატებულებას აღნიშნავდა. მონუმენტალიზმი, რომელიც სტალინური ეპოქის კულტურის მთავარი მახასიათებელი ნიშანია, ჰუმანიტარულ აზროვნებაშიც აისახა. ყველაზე დიდი ქართველის სიდიადეს საქართველო რეფლექტირებს, ირეკლავს და ითავსებს. ამით მისი დამარტინო, ჯერ კიდევ პრეისტორიული დიდებაც ლაზარესავით აღსდგება და აღორძინდება წითელი მესის აქცენტიდან. აღორძინებას კი შესაბამისი ტერმინი აქვს: რენესანსი. შალვა ნუცებიდის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი წიგნი „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ (1947წ.) ამ ეპოქალური პათოსის საუკეთესო გამოხატულებაა, რომლის მთავარი აზრი არა მხოლოდ ისაა, რომ რუსთაველი რენესანსის პოეტია, არა-მედ რენესანსი საქართველოში უკვე მე-12 საუკუნეში არსებობდა და, ამდენად, იგი ორი საუკუნით უსწრებს ევროპულს. ამ წიგნში არის ერთი ადგილი, რომელიც, ჩემი აზრით, მთელი სტალინური ეპოქის ქართულ ნაციონალისტურ იდე-

ას ან წარმოსახვას ააშკარავებს. ნუცებიდე წერს, რომ რუსთაველის ქმნილება კლასობრივ სიძულვილზე ამაღლდა თავისი ინტერნაციონალური შინაარსით. ამას მოჰყვება შეკვეცილი ციტატა „ვეფხისტყაოსნის“ 970-ე სტროფიდან ნუცებიდისავე რუსულ თარგმანში, რომელიც ასე უღრეს: „И пришли пред ним склонить тварей мира вереницы, / Инды, греки и арабы с двух сторон из-за границы, / Персы, русские и франки, и египтяне-мисрийцы“ (გამოტოვებული მეორე სტრიქონი შეგვიძლია ქართულად გავიხსენოთ: „კლდით წადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნაანგნი, ცით მფრინველნი“). ნუცებიდის მიერ შეცვლილ კონტექსტში რუსთაველის და მისი ქვეყნის თაყვანის საცემად მოდიან მსოფლიოს ხალხები, რაც ქართველი ბელადის საერთაშორისო თაყვანისცემის პროექციაა, რომელიც მთელ საქართველოზე უნდა გავრცელდეს.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, სუპერლატივი, ანუ აღმატებითი ხარისხი, რომელიც თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი თვისებაა („ყველაზე დიდი“, „ყველაზე ძლიერი“), სათავეს სტალინის ეპოქაში იღებს და უშუალოდ სტალინის, როგორც ქართული ეროვნული იდენტურობისა და სიამაყის ხაზზე პროექტითავა სტიმულირებული. ამიტომაცაა საქართველო სკვპ XX ყრილობის გადაწყვეტილებით აღმფოთებული, რომელსაც ის საკუთარი ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფად, მის დეკლასირებად აღიქვამს. თბილისში 1956 წლის 9 მარტის საპროტესტო დემონსტრაცია ქართული ნაციონალიზმის სტალინის ფიგურასთან, მის ქართველობასთან იდენტობის პირდაპირი გამოხატულებაა. ამბოხებული საქართველო რუსულ-საბჭოთა იმპერიაში ქართული აქცენტის ჰეგემონიის აღსასრულს აპროტესტებს და საკუთარ ეროვნულ გრძნობებს შელახულად აღიქვამს. ამ მანიფესტაციის სისხლიანი ჩახშობა კი სტალინსაც კვლავაც იმ მითოსურ გმირად აქცევს, „ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღე-და-ღამ ჰანგრულობს, ჩუმის ნატვრითა ქართველი“. ოფიციალური ქართული კულტურიდან

განდევნილი სტალინის სახელი კიდევ უფრო მყარად მკვიდრდება „უენო“ ანუ არანარატიულ ხალხურ კულტურაში, სადაც იგი ეროვნული გრძნობების გამოხატვის მთავარ სიმბოლოდ რჩება. მაგრამ არც ოფიციალური თუ „ელიტარული“ კულტურა ჰყარგავს იმ ინერციას, რომელიც მას სტალინის აქცენტის ბიძგბითა აქვს მიღებული: პატრიოტობა, რომელიც ამ ფენომენის სტალინურ მოდელზეა აგებული და საქართველოს ისტორიაზე და ქართულ კულტურაზე აღმატებით ხარისხში აღაპარავს გულისხმობს, გვიანსაბჭოთა პერიოდში დისიდენტურ ტონად ითვლება, თუმცა კი ქართული ფილოლოგია, ისტორიოგრაფია, – მთლიანად ქართველოლოგია, – ამ განდევნილი „მამის“ სახელის მიერ და მის ხატად შექმნილ ნაციონალისტურ დისკურსში იმყოფება და მის ერთგულ დამცველად რჩება. 60-იანი წლებიდან მოყოლებული ქართულ კულტურაში (კინო, თეატრი, მუსიკა, დასავლურ-ევროპული ფილოლოგია, ფილოსოფია, სახვითი ხელოვნება, ყველაზე ნაცლებად კი ლიტერატურა) ალტერნატიული ტენდენციები ჩნდება, რომლებიც, მიუხედავად საერთაშორისო წარმატებებისა თუ „ელიტარულობის“ ხიბლისა, 80-იანი წლების ბოლოს ადვილად მარცხდება საბოლოოდ ლეგალიზებულ ქართულ ნაციონალიზმთან, რომლის ლეგალიზაციაც სწორედ ამ „ალტერნატიულზე“ იერიშით, მისი ანტიეროვნულ და კოსმოპოლიტურ დეკადანსად შერაცხვით იწყება. სამაგიეროდ, კანონიერ სტატუსს იძენს ეროვნული გმირებისა და წმინდანების, საქართველოს გაბრძინების, მისი სულიერი მისის, ქართველთა უძველესი ქრისტიანობისა და ევროპელობის ნაციონალისტური კიჩი, რომლის „არქეტექტორი“ და „თანამდევი უკვდავი სული“ არა ილია ჭავჭავაძე, შოთა რუსთაველი ან დავით აღმაშენებელი, არამედ იოსებ სტალინია, რომლის „ოფიციალური კულტურიდან“ განდევნილი სახელი 80-იანი წლების ბოლოს ხალხურ-პროვინციულ სტალინიზმს საბოლოოდ შეერწყმა და რელიგიური ნაციონალიზმისა და პოლიტიკური მესიანიზმის სახით უკან დაბრუნდა. ■

დეგაპრინტი
DP
DEGAPRINT

სიცოდული მფლობელი ბაზღავა

ტელ.: +995 32 995007 / 998843

ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasis.net



1935
MARJANOFF EXPRESS

იტალიური რასტორანი



36 95 16

95 03 23

სახლის კარტოფილი
სამარინებელი მარინებული
სამარინებელი მარინებული

მარინებული მარინებული

მარინებული მარინებული

კარტოფილი კარტოფილი

კარტოფილი კარტოფილი

კარტოფილი კარტოფილი

კარტოფილი კარტოფილი

კარტოფილი კარტოფილი

კარტოფილი კარტოფილი



Georgia Tbilisi Marjanishvili Str. #8

მოსობელი მოსობელი ა. №8

Italian Restaurant MARJANOFF EXPRESS



რადიო „უცნობი“ წარმოგებილი გადაცემაში „ტურიქას კომენტარები“



მწერალი დათო ტურაშვილი საავტორო გადაცემაში „ტურიქას კომენტარები“ მიმოიხილავს გასული ერთი კვირის მანძილზე საქართველოსა და მსოფლიოში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს. კომენტარები ეხება არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ლიტერატურულ და კულტურულ პროცესებსაც.

დათო ტურაშვილი: „რადიოს სპეციალისტი კიდან გამომდინარე შევეცდები ჩემი გადაცემის ანალიტიკური ნაწილი არ იყოს მძიმე და ისეთი სერიოზული, რომ მსმენელისთვის მოსაწყენი გახდეს. ასევე შევეცდები კომენტარები გავუკეთოთ იმ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლის შესახებაც ჩვენი აზრის მოსმენა ჩვენს მსმენელს სურს. გადაცემაში ერთი რუბრიკა მაინც დაეთმობა ახალ წიგნს ან რომელიმე წიგნს, რომლის მიმოხილვაც აუცილებლად მიგვაჩინია. გადაცემაში ასევე გვექნება მუსიკა, რომელიც თემატურად უკავშირდება ჩვენს გადაცემას და მსმენელს თამამად ვპირდებით, რომ ის ჩვენთან ერთად არასდროს მოიწყენს.“

მსმენელს საშუალება აქვს დარეკოს გადაცემაში და საკუთარი აზრი გამოთქვას. გადაცემაში მონაწილეობას მიიღებენ მოწვეული სტუმრებიც.

გადაცემა „ტურიქას კომენტარები“ რადიო „უცნობის“ ეთერით გადის ყოველ ორშაბათს, დღის 2 საათზე. რუბრიკების სახით კი მთელი კვირის განმავლობაში ტრიალებს.



VONG

asian fusion

აბაშიძის ქ. 29 Abashidze st.

T: 29 25 70

ნატაშტარი
NATASHTARI

BREWERY

FISH CAFE



I. Abashidze 22 Tel: 23 00 90